ქართული ემიგრაცია

5 (8)/ 2018-2019

სარედაქციო
კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე
რედაქტორი

ლაშა ბაქრაძე
რუსუდან დაუშვილი
გიორგი მამულია
მალხაზ მაცაბერიძე
პაატა ნაცვლიშვილი

© ქართული ემიგრაცია

შინაარსი

ქართული ემიგრაციის ისტორია 7

ოთარ ჯანელიძე / ივანე ჯავახიშვილი და ქართული ემიგრაცია 7
გიორგი ასტამაძე / კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში 1912-1919 წწ.. 26
მაია ცერცვაძე / ქართველი ემიგრანტებისადმი მიძღვნილი
გიორგი გამყრელიძის ლექსები 40
მარიამ მარჯანიშვილი / უცხო მიწაში გადაკარგულნი
(მათე კერესელიძის ეპისტოლეების მიხედვით)..... 63
მალხაზ მაცაბერიძე / მიხეილ წერეთელი საქართველოს
სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივების შესახებ რუსეთის
1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ 76
გიორგი მამულია / ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის
(თამარ მეფის ორდენის) შექმნის ისტორიიდან 81
პაატა ნაცვლიშვილი / ქუთაისელი ფრანგის ქართული წერილები
ირანიდან არგენტინაში..... 91

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის.....112

შოთა ბერეჟიანის მოგონებები – **რუსუდან დაუშვილის** პუბლიკაცია 112

ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობა.....141

აკაკი ჩხენკელის სიტყვა თბილისის უნივერსიტეტის გახსნისას
(1918 წ. 26 იანვარი)..... 141
ლეო კერესელიძე / საქართველო და რუსეთის ბატონობა.
ფრანგულიდან თარგმნა **მაია ვარსიმაშვილი-რაფაელიმ** 144
მერაბ ოდიშელიძე / სიტყვა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩოხის
საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის გადაცემისას..... 178

ემიგრაციის მარშრუტები.....181

პაატა ნაცვლიშვილი / დროთა კავშირი
(საპროექტო წინადადება და სინოფსისი დოკუმენტური ფილმისათვის) ... 181

რეცენზია. გამოხმაურება 188

გიორგი მამულია / რეცენზია რ. დაუშვილისა და ო. ჯანელიძის წიგნზე „გიორგი მაჩაბელი“ 188
რუსუდან დაუშვილი / რეცენზია ალბომზე „ვარლა. ფელიქს ვარლამიშვილი“, თბილისი, 2018. 192
როსტომ ჩხეიძე / სიკეთის სახარება / (გიორგი პაპაშვილის ამერიკული თავგადასავალი)..... 199
ლაშა ბაქრაძე / გამოხმაურება გ. მამულიასა და გ. ასტამაძის ნაშრომზე „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ 204
პაატა სურგულაძე / „ოქროს წიგნის“ წარდგინება. ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის გამოცემის გამო 206
პაატა ნაცვლიშვილი / დადა-მანიფესტიდან სულ-სხვა(ა)-რითმამდე ანუ ბუენოს-აირესიდან თბილისამდე..... 212

ახალი წიგნები ქართულ ემიგრაციაზე 222

ქრონიკა..... 223

ჟურნალის ავტორები 224

ოთარ ჯანელიძე

ივანე ჯავახიშვილი და ქართული ემიგრაცია

1921 წლის თებერვალ-მარტში დემოკრატული რესპუბლიკის დამხობამ და საქართველოს საბჭოურმა ოკუპაციამ რამდენიმე ათასი ქართველი უცხოეთში გადახვეწა. ემიგრაციის პირველი ტალღა, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გამო რეპრესიებს გარიდებულმა ნაკადმაც შეავსო, 3 ათასზე მეტ ადამიანს მოითვლიდა. ემიგრაციაში აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დამფუძნებელი კრების წევრთა უმეტესობა, პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ბირთვი, მაღალი სამხედრო რანგის ოფიცრობა და იუნკრები, ანტიბოლშევიკურად განწყობილი შეძლებული ფენებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიფანტნენ, მაგრამ უფრო კომპაქტურად საფრანგეთში, თურქეთში, პოლონეთში, გერმანიაში, ჩინეთში (ხარბინი, შანხაი), მოგვიანებით კი - არგენტინაში, ჩილეში, აშშ-სა და კანადაში დასახლდნენ. საგულისხმოა, რომ ამათ შორის იყო საქართველოდან ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში სასწავლებლად გაზავნილი რამდენიმე ათეული ქართველი ახალგაზრდაც, რომელთა შერჩევაში ივანე ჯავახიშვილს, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული.

„უცხოეთის ცის ქვეშ" თავშეფარებულ თანამემამულეთა დიდ ნაწილს ივანე ჯავახიშვილი პირადად იცნობდა, ბევრთან ახლო ურთიერთობა, ხოლო ზოგიერთთან მეგობრობაც აკავშირებდა (ექვთიმე თაყაიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, სამსონ ფირცხალავა, მიხაკო წერეთელი...). სამშობლოს იძულებითმა დატოვებამ ემიგრანტებს ქართულ უნივერსიტეტსა და მის მესაძირკვლესთან წინანდელი საქმიანი თუ სხვა ურთიერთობის შესაძლებლობა წაართვა.

ივანე ჯავახიშვილსაც დიდად დააკლდა ბევრი ამ ადამიანის გვერდით არყოფნა და ადრინდელი კონტაქტების შეწყვეტა, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე ის იყო, რომ საბჭოთა რეჟიმი ემიგრაციასთან მიმოწერასაც კრძალავდა ან მნიშვნელოვნად ზღუდავდა, რაც ურთიერთშეხმიანების ხსენებულ ტრადიციულ ფორმასაც თითქმის უსარგებლოს ხდიდა. ყოველივეს მიუხედავად, მეხსიერების ხვეულებში რჩებოდა მონატრებული პიროვნების სახება, რომელიც სამშობლოდან იძულებით გახიზნულმა ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ მოგო-

ნებათა ფურცლებზე გადაიტანა და ამით შთამომავლობას მისი გაცნობა შანსი დაუტოვა.

ვიდრე ქართველ ემიგრანტთა მოგონებებში ასახულ თვალსაჩინო სწავლულის პორტრეტულ შტრიხებს გავეცნობოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა, რომ ემიგრაციაში მოღვაწე არაერთი ქართველი პოლიტიკოსი, მკვლევარი თუ პუბლიცისტი დიდად აფასებდა ივანე ჯავახიშვილის პროფესიონალიზმს, იცნობდა და იმოწმებდა მის გახმაურებულ წიგნებსა თუ ცალკეულ ნაშრომს. ამ მხრივ უპირველესად ექვთიმე თაყაიშვილი – თავადაც დიდი ჰუმანიტარი მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის კოლეგა და ახლო მეგობარი უნდა დავასახელოთ. ისინი თანამოაზრენი იყვნენ საქართველოში და ასეთებადვე დარჩნენ ურთთიერთგანშორების შემდეგაც. ემიგრაციაში გამოქვეყნებულ ექვთიმე თაყაიშვილის წიგნებისა თუ სტატიების სქოლიოში მრავალგზის ვიხილავთ ივანე ჯავახიშვილის გვარს, ისე როგორც ივანე ჯავახიშვილის არაერთ გამოკვლევაში ვხვდებით ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომების დამოწმებას.

ექვთიმე თაყაიშვილის გარდა, ივანე ჯავახიშვილს, როგორც საისტორიო მეცნიერების დიდ ავტორიტეტს, თავიანთი ნააზრევის დასასაბუთებლად ხშირად მიმართავდნენ გრიგოლ ფერაძე და მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე და გრიგოლ რობაქიძე, გიორგი შარაშიძე და შალვა ბერიძე, ალექსანდრე მანველიშვილი და ისიდორე მანნკავა, ზურაბ ავალიშვილი და კალისტრატე სალია, რევაზ გაბაშვილი და შალვა ამირეჯიბი, აკაკი და თამარ პაპავები, გიორგი გვაზავა და რაფიელ ივანიცკი, ელისე პატარიძე და ნიკოლოზ ინასარიძე (ინდო ინასარი) და სხვ. ყველა ჩამოთვლილი ავტორის პუბლიკაციებში ბევრჯერაა მითითება ივანე ჯავახიშვილის ამა თუ იმ მონოგრაფიაზე, რაც ცნობილი სწავლულის უდაო აღიარებას ცხადყოფს.[1]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდები 1920-იანი წლების პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ურთიერთობას ივანე ჯავახიშვილთან, აცნობდნენ მას თავიანთ მიღწევებს, ეკითხებოდნენ რჩევას, უზიარებდნენ და უთანხმებდნენ მუშაობის გეგმებს. მეცნიერის არქივში შემორჩენილია შალვა მიქელაძის, გიორგი ნანეიშვილის, ვლადიმერ ემხუარის, ალექსანდრე ჯანელიძის, გრიგოლ ფერაძის, ნიკოლოზ ქოიავას, სიმონ ყაუხჩიშვილი, სვიმონ ყიფშიძისა და სხვათა ასეთი შინაარსის წერილები. უცხოეთიდან თბილისის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე გამოგზავნილ ქართველ სტუდენთა თუ ასპირანტ-მაგისტრანტთა ბარათებში ხშირად საუბარია მათ მატერიალურ ხელმოკლეობასა და მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე, ბევრი წერილი შეიცავს თხოვნას სახელმწიფოს მხრიდან დახმარების თაობაზე. გულისხმიერი რექტორი არც ერთ კორესპოდენციას უყურადღებოდ არ ტოვებდა და თუ უნივერსიტეტის ბიუჯეტი სტუდენტათვის ხელის გამართვის საშუალებას არ იძლეოდა, დახმარებისათვის ზემდგომ სტრუქტურებს მიმართავდა.

ევროპის უნივერსიტეტებში მოსწავლე ამ ახალგაზრდებს, რომელთაგან ნაწილი ემიგრაციაში დარჩა, ივანე ჯავახიშვილი არა მხოლოდ ეიმედებოდათ, არამედ, მასთან კონტაქტი „ერთგვარ ზნეობრივ ძალასაც მატებდათ მომავლისათვის" (ვუკოლ ბერიძე).

---

1 შალვა ამირეჯიბი წუხდა, რომ ემიგრაციაში ცოტა მოეპოვებოდათ ივანე ჯავახიშვილის თხზულებები. მართლაც, სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწე ქართველი ემიგრანტების პირადი წერილებიდან ჩანს, რომ ისინი ხშირად თხოვდნენ ერთმანეთს დიდი ისტორიკოსის ამა თუ იმ ნაშრომს და ივანე ჯავახიშვილის წიგნებიც მოგზაურობდნენ ქალაქიდან ქალაქში და ქვეყნიდან ქვეყანაში.

ივანე ჯავახიშვილი დიდად იყო დაინტერესებული უცხოეთში დარჩენილი თანამემამულეების ბედით, განიცდიდა, რომ მათი ნიჭი და ცოდნა ვერ ადგებოდა მათსავე სამშობლოს და ცდილობდა შეექმნა პირობები ქართული მეცნიერების განვითარებისათვის ამ აუცილებელი კადრების უნივერსიტეტში მოსაწვევად. საგულისხმოა მისი ძალისხმევა ცნობილი იურისტის, პროფესორ ზურაბ ავალიშვილისა და ინჟინერ-ქიმიკოსის, მიხეილ ყაუხჩიშვილის საქართველოში დასაბრუნებლად, რათა მათ მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განეგრძოთ. ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ცნობილია, რომ ზურაბ ავალიშვილი, სანამ ამის შესაძლებლობა არსებობდა, არ წყვეტდა კავშირს ივანე ჯავახიშვილთან. 1923 წლის ბოლოს იგი პარიზიდან სწერდა უნივერსიტეტის რექტორს, რომ მსჯელობა ჰქონდა და საქართველოს სიძველეების შესწავლით დააინტერესა ამერიკელი მეცნიერები. ავალიშვილს მათთვის ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების წინადადება შეუთავაზებია და ახლა ივანე ჯავახიშვილს მთავრობისაგან ნებართვის აღებას სთხოვდა გათხრების საწარმოებლად.[2]

ქართული ემიგრაცია საგაგანგებო შეკრება-საღამოებს უძღვნიდა თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღებს. ასეთ ღონისძიებებზე, ბუნებრივია, იხსენებდნენ და პატივს მიაგებდნენ უნივერსიტეტის მესაძირკვლეს ივანე ჯავახიშვილსაც. მაგალითად, 1927 წლის 19 თებერვალს პარიზში, უცხოელ სტუმართა მონაწილეობით, მოეწყო „დღესასწაული" უნივერსიტეტის 10 წლისთავის აღსანიშნავად. ზეიმს უძღვებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ევროპაში აკაკი ჩხენკელი, რომელმაც მოიგონა უნივერსიტეტის დაარსების პერიპეტიები და წარმოაჩინა ივანე ჯავახიშვილის როლიც ამ საქმეში. სიტყვები წარმოსთქვეს პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა, საფრანგეთის ყოფილმა უმაღლესმა კომისარმა საქართველოში აბელ შევალიემ და მიხეილ ხუნდაძემ.[3]

1927 წლის მარტში გარდაიცვალა თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. მის სახსოვრად, იმავე წლის ივლისში, პარიზულმა ემიგრანტულმა გაზეთმა „დამოუკიდებელი საქართველო" გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილის საყურადღებო მოგონება პეტრე მელიქიშვილზე. უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი პეტრე მელიქიშვილს წარმოაჩენდა როგორც ფართოდ აღიარებულ, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერს, რამაც განაპირობა კიდეც მისი რექტორად არჩევა. პეტრე მელიქიშვილის რექტორად არჩევის იდეა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნოდა, პროფესორთა უმრავლესობა კი მიიჩნევდა, რომ უნივერსტეტს სათავეში თვითონ ივანე უნდა ჩადგომოდა, „როგორც ამ საქმის ინიციატორი, მისი სულისჩამდგმელი, რომელთანაც სრული ერთსულოვნებით, მხნედ და აღტაცებით დღე და ღამე მუშაობდა მცირე ჯგუფი ქართველოლოგიაში უკვე კარგად ცნობილი", – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი. მოგონებაში გამოხატულია ავტორის ღრმა პატივისცემა სახელგანთქმული ქიმიკოსისადმი და დიდი გულისხმიერებით გამოძერწილია პეტრე მელიქიშვილის პორტრეტის რამდენიმე შტრიხი. იქვე აღნიშნულია საინტერესო დეტალიც, კერძოდ ნათქვამია, რომ ფაქტობრივ რექტორობას უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე ივანე ჯავახიშვილი ეწეოდა. პეტრე მელიქიშვილი დატვირთული იყო თავისი

---

2 ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 325.

3 გაზ. „მამულიშვილი", პარიზი, 1928 წ., თებერვალი, გვ. 4.

შესაფერი საქმეებით, უმაღლესი სასწავლებლის ყოველდღიურ ცხოვრებას კი ივანე ჯავახიშვილი უძღვებოდა: „ის იღებდა სტუდენტობას, მსმენელებს, საზოგადოების წევრებს, მოსამსახურეთ, მასწავლებელთა და პროფესორთა პერსონალს და სხვ.“[4] ექვთიმე თაყაიშვილის სხვა ემიგრანტული ჩანაწერის მიხედვითაც: „ფაქტობრივი რექტორი იყო ივანე ჯავახიშვილი, ურომლისოდაც პეტრე მელიქიშვილი არავითარ მნიშვნელოვან საკითხს არ გადაწყვეტდა ხოლმე.“[5]

გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველო“-ში 1928 წელს დაიბეჭდა აკაკი ჩხენკელის მოგონება თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებასთან დაკავშირებით. მოგონება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ აკაკი ჩხენკელს საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით წილად ხვდა პატივი, გაეხსნა ქვეყნის პირველი უმაღლესი სასწავლებელი. მემუარისტი იხსენებს, – მე მოწმე ვიყავი, რა ჭაპან-წყვეტა განვლეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა ვიწრო ჯგუფმა, სანამ მიზანს მიაღწევდნენ. „ივანე ჯავახიშვილის დარბაისლური მტკიცებანი, მისი შეურყეველი რწმენა, რომ სიტყვას საქმედ აქცევდნენ, საკმაოდ თავდები იყო ჩვენთვის (იგულისხმება საქართველოს ეროვნული საბჭო, – ო. ჯ.), რომ გავეტაცნეთ მის იდეას და ხელიც შეგვეწყო შეძლების გვარათ. ...მახსოვს, მაგ. რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ უნივერსიტეტის შენობიდან გაგვეყვანა ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც იქ მოკალათებულიყო „რევოლიუციური გზით.“ როდესაც რუსეთში ხელისუფლებას ბოლშევიკები დაეუფლნენ, სამხრეთ კავკასია რუსეთისაგან დისტანცირების გზას დაადგა და „სიმძიმის ცენტრმა“ ეროვნული საბჭოებისაკენ გადმოინაცვლა, ივანე ჯავახიშვილი და მისი მეგობრები „საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან მიიქცნენ და ითხოვეს, ასე ვთქვათ, მისი ლოცვა-კურთხევა, რაიცა მათ უკამათოთ მიიღეს. ეს უკვე იყო ნამდვილი სახელმწიფო აქტი, რომლის სიმბოლური გამოხატულება უნივერსიტეტის, ეროვნული საბჭოს სახელით, გახსნაში დავინახეთ.“[6]

აკაკი ჩხენკელის ჩართულობას ქართული უნივერსიტეტის დაარსების სამზადისში ცხადყოფს ერთი საინტერესო საარქივო დოკუმენტიც, რომელიც შემორჩა მის პირად არქივს. ეს არის ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერი ბარათი, დათარიღებული 1917 წლის 9 ოქტომბრით. ბარათში წერია: „ღრმად პატივცემულო ბატნო აკაკი! ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გუშინდელ საერთო კრებაზე თქვენ ერთხმივ არჩეული იყავით გამგეობის თავმჯდომარედ. დღეს, 9 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე დაიწყება ხსენებული საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის პირველი შეერთებული კრება. გთხოვთ მობრძანდეთ და დაესწროთ ამ კრებას. სხდომა ამიერკავკასიის ბანკის სადგომში იქნება.[7] ...თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი.“[8]

„დამოუკიდებელ საქართველო“-შივე დაიბეჭდა ასევე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ივანე ჯავახიშვილის სტუდენტობის დროინდელი

---

4 გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1927 წ., ივნისი-ივლისი #18-19.

5 თაყაიშვილი ე. ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის, წიგნში: რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 417.

6 გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1928, იანვარი, # 25, გვ. 4-6.

7 ამიერკავკასიის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე იასონ ლორთქიფანიძე არჩეული იყო საუნივერსიტეტო საზოგადოების საფინანსო კომისიის ხელმძღვანელად. სხდომის ბანკის შენობაში გამართვაც ამ ფაქტით იყო განპირობებული.

8 შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2004, გვ. 145-146.

მეგობრის, სამსონ ფირცხალავას მოკლე წერილი „ტფილისის უნივერსიტეტი." ავტორის სიტყვით, ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებლებმა მაღალი მიზანი დაისახეს: ქართველ მკვლევართა და მეცნიერთა შემოკრებით, უმაღლესი სანავლებლის შექმნა „ქართული აზროვნების გასაწაფად და განსავითარებლად."

სამსონ ფირცხალავა მიიჩნევდა, რომ თბილისის უნივერსიტეტი სრულის ღირსებით ემსახურებოდა ამ მიზანს, როგორც ქართველი ერის საუკეთესო კულტურული ტრადიციების გამგრძელებელი, რითაც მან მოკლე დროის განმავლობაში საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ემიგრაციაში კარგად იცოდნენ იმ გაუსაძლისი ვითრების შესახებ, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა გააბატონა საქართველოში და მათ შორის უნივერსიტეტშიც. მიუხედავად ამისა, სამსონ ფირცხალავა იმედს გამოთქვამდა: „ვერც ბოლშევიკების ინკვიზიცია დაახშობს აზროვნების ლამპარს ტფილისის უნივერსიტეტში და ის ეროვნული სული, რომელმაც წარმოშვა უნივერსიტეტი, შეაძლებინებს მას დასძლიოს ყოველი დაბრკოლება და მტკიცედ დაიცვას მშობელი ერის საუკეთესო გონებრივი მისწრაფებაანი."[9]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა, ნიჭიერმა ქართველმა ემიგრანტმა მოაზროვნე ისიდორე მანწკავამ უნივერსიტეტის დაარსებიდან ათი წლისთავს მიუძღვნა სტატია ჟურნალ „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატში", რომელიც პარიზში გამოიცემოდა და, ცხადია, ივანე ჯავახიშვილიც გაიხსენა.

პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „საოკუპაციო ხელისუფლება დაუზოგველათ ებრძვის ყოველ ქართულ საქმეს. უნივერსიტეტი, ცხადია, რიგს გარეშე ვერ დარჩებოდა. 1922-23 წლიდან დაიწყო კომუნისტური რეფორმები, რომელიც 1926 წელს ყოვლად უსირცხვილოდ და ვერაგულად დამთავრდა. პატივცემულ რექტორ ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ადგილზე მოწვეულ იქნა პოლიტიკური შანტაჟისტი თედო ღლონტი. ამაზე შორს ცინიზმი ვერ წავა. ამ ფაქტმა ნათელი გახადა საოკუპაციო ხელისუფლების ზრახვები ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ და ქართული მეცნიერების კერა მან კომუნისტების სათარეშო და მახინჯ კომსომოლას მოსაშენებელ ქარხანათ გადააქცია."

ავტორი იმედს არ კარგავდა, რომ ვითარება მალე შეიცვლებოდა და სტატიას იმედიანად ასრულებდა: „მტერმა დროებით დაიპყრო ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ ვერ გასტეხა ქართველი სტუდენტობა, ოდნავ ვერ შეარყია მისი სიმტკიცე. ...ოკუპანტების იქ თარეში დროებითი და წარმავალია. ჩვენი ქვეყნის აღდგენასთან ერთად აღდგება ქართული უნივერსიტეტიც და ის დროებით გაწყვეტილ საქმიანობას ერთი ათად გააჩაღებს."[10]

1937 წელს საქართველოში, მთელ საბჭოეთში და მის ფარგლებს გარეთაც, ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის იუბილე. საიუბილეო საღამოები ქართველმა ემიგრანტებმაც გამართეს საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, შვეიცარიაში, გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში. ქართულმა ემიგრანტულმა პერიოდიკამ უყურადღებოდ არ დატოვა საქართველოში ჩატარებული გრანდიოზული ზეიმი და აქცენტი საიუბილეო ღონისძიებათა ორგანიზებაში ივანე ჯავახიშვილის ღვაწლზეც გაამახვილა.

---

9 გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1928 წ., იანვარი, # 25.

10 ჟურნ. „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი", პარიზი, 1928, იანვარი, №3, გვ. 9-10; ასევე, შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2004, გვ. 504-505.

მართლაც, ივანე ჯავახიშვილი ქმედითად იყო ჩართული იუბილეს სამზადისში. იგი შედიოდა საიუბილეო სამთავრობო კომისიაში, რომელიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ ჯერ კიდევ 1934 წელს ჩამოაყალიბა.[11] სახელოვანი პოეტის უკვდავყოფის დამაგვირგვინებელი ღონისძიებები 1937 წლის ბოლო დეკადაში – 24-30 დეკემბერს გაიმართა. თბილისს უამრავი სტუმარი ეწვია. იუბილე რუსთაველის სახელმწიფო თეატრში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმით დაიწყო. მილოცვების გარდა მოისმინეს რამდენიმე საყურადღებო გამოსვლა, მათ შორის პავლე ინგოროყვას, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვ. დიდი მოწონება ხვდა წილად პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენებას, რომელიც მაშინვე გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ სახელწოდებით: „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა ვეფხისტყაოსანი.“[12] პროფესორი სერგო ჯორბენაძის შენიშვნით, ივანე ჯავახიშვილის ეს მოხსენება, რომელშიც ღრმადაა ნაჩვენები თუ რა სოციალურმა სინამდვილემ მოამზადა საქართველოს კულტურის აყვავება XII საუკუნეში და წარმოშვა „ვეფხისტყაოსანი“, – „მთელი ზეიმის გვირგვინად იქცა.“[13]

1937 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში გაიხსნა გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“ რომელიც ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და პავლე ინგოროყვას ხელმძღვანელობით მომზადდა. გამოფენას მუზეუმის ახალი შენობის ორი სართული ჰქონდა დათმობილი. ექსპოზიციამ არნახული ინტერესი გამოიწვია. მუზეუმს ექსკურსიებისა თუ ჩვეულებრივ დამთვალიერებელთა სახით მრავალი ადამიანი მიაწყდა, მათ შორის რაიონებიდან ჩამოსულნიც. „ზოგიერთი მოქალაქე 4-5-ჯერ და მეტჯერაც მოდის გამოფენის დასდათვალიერებლადო“, აღნიშნულია მუზეუმის ერთ-ერთ საარქივო საქმეში.[14]

ხსენებულ გამოფენასთან დაკავშირებით დავიმოწმებ ცნობილი ქართველი ემიგრანტი მოღვაწის აკაკი პაპავას ერთ წერილს ექვთიმე თაყაიშვილისადმი. აკაკი პაპავას საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის სტატიის მეშვეობით გაუგია საქართველოში რუსთაველის საიუბილეო სამზადისის შესახებ და ამ ამბის გამო აზრს უზიარებს ექვთიმე თაყაიშვილს. წერს: „ამას წინად ივ. ჯავახიშვილის ვრცელი მოხსენება იყო დაბეჭდილი „კომუნ.“ (იგულისხმება გაზეთი „კომუნისტი“, – ო. ჯ.), საცა აღნიშნავდა, თუ რა დიდ მზადებას აწარმოებს საგანგებო კომისია შ. რუსთაველის ზეიმის ჩასატარებლად. ფრიად საინტერესო იყო ის წერილი, წაიკითხავდით. განზრახულია მეტად მრავალმხრივ დიდ გამოფენის მოწყობა ტფილისში რუსთაველის ეპოქიდან. ბ-ნი ი. ჯ. (ივანე ჯავახიშვილი, – ო. ჯ.) აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ მაშინდელ (და უფრო გვიანი) ხანის მხედრის აღკაზმულობა და აღჭურვილობა საქართველოში აღარ მოიპოებაო და 2 ცალი ასეთი აღკაზმულობის ცხენოსან მეომრისა (ხევსურის) თითქოს უნდა ყოფილიყო ბერლინის „ციოგჰაუსში.“[15] ყველა საამისო (სამწუხ. მეტად შეკვეცილი) ცნობები შევკრიბე „ცოიგჰ.-ის“ გამგე-პროფესორისგან და აქედან ვსწერ ბ. ივ. ჯ-ს ამ

---

11 გაზ. „კომუნისტი“, 1934 წ., 21 აგვისტო.

12 გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ., 29 დეკემბერი; სურგულაძე ა. ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1976, გვ. 20.

13 ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 522.

14 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, აღწ. 1, საქმ. # 126, ფურც. 4.

15 Zeughaus – ბერლინში, უნტერ დენ ლინდენზე მდებარე მე-18 საუკუნეში აგებული არსენალი, დღეს გერმანიის ისტორიული მუზეუმი.

მოხსენებას და ვუგზავნი სურათებს (იქნებ მას არ მოეპოება, ასე გავიგეთ ჩვენ ის წერილი). თუ გეინტერესებათ იმ სურათს თქვენც გაახლებთ ბერლინიდან."[16]

საქართველოში ჩატარებულ იუბილეს თავისებურად გამოეხმაურა ქართული ემიგრანტული ჟურნალი „სოციალისტური აზრი", რომელიც თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის რედაქტორობით პარიზში გამოდიოდა. ჟურნალის თანახმად, მე-12 საუკუნის საქართველოს კულტურის არაჩვეულებრივი გამოფენის მთავარი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი სახელოვანი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ბრძანდებოდა. „რა დიდი გონებრივად გამომაფხიზლებელი გავლენა ექნებოდა დიდი და ჰუმანიური კულტურის კლასიკურ ნიმუშთა და ნაწარმოებთა გამომზეურებას საბჭოთა ჯურღმულში ჩამწყვდეულ ხალხისთვის, ამას ჩვენ აქედან ვერ ვიანგარიშებთ, ...მაგრამ უდავოა, რომ ყოველივე ეს უდიდეს ეროვნულ საგანძურად შევა ქართული კულტურის ისტორიაში"[17]- წერდა ჟურნალი.

შოთა რუსთაველის იუბილეს 1938 წელს ვიქტორ ნოზაძემ ემიგრანტული ჟურნალის „ქართლოსის" საგანგებო ნომერიც მიუძღვნა. ჟურნალში პავლე ინგოროყვას, კონსტანტინე ჭიჭინაძის, დავით კარიჭაშვილის, მოსე გოგიბერიძისა და სხვათა რუსთველოლოგიური სტატიების გვერდით, დაბეჭდილია თბილისში გამართულ იუბილეზე ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული მოხსენების ტექსტი „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა ვეფხისტყაოსანი",[18] რომელზედაც ზემოთ ვისაუბრე.

ივანე ჯავახიშვილი არც თუ ხანდაზმული, 64 წლის ასაკში აღესრულა 1940 წლის 18 ნოემბერს. მეცნიერი თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში საჯარო მოხსენების კითხვის დროს გარდაიცვალა. ეს იყო ეროვნული განათლების, მეცნიერების, კულტურის უზომო დანაკლისი. მომხდარი ფაქტი მწუხარებით შეიტყვეს უცხოეთში მიმოფანტულმა ქართველმა ემიგრანტებმაც. „ჩვენი სახელოვანი მკვლევარის და ადამიანის ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებამ თავზარი დამცა", – წერდა ერთ კერძო წერილში ექვთიმე თაყაიშვილი. [19] არანაკლებ მგრძნობიარე იყო მიხაკო წერეთლის რეაქციაც. მისი სიტყვით: ამ ამბის გაგება „ლახვარივით მეცა გულს, და, ვეჭვობ, მან ყოველი ქართველის გული ისევე განგმირა, როგორც ჩემი, – ყოველი ქართველისა, რომელმაც იცის თუ ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი."[20]

1941 წლის 5 იანვარს, ბერლინში, ქართული კოლონიის ძალისხმევით, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. მთავარი სიტყვა პროფესორმა მიხაკო წერეთელმა წარმოსთქვა. მან ვრცლად მიმოიხილა თანამემამულე სწავლულის განვლილი გზა, გააშუქა მისი როლი თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებისა და ქართული საისტორიო მეცნიერების ფორმირებაში, დაახასიათა დიდი ისტორიკოსის ნაშრომები და ისაუბრა მათ

---

16 თაყაიშვილი ე. წერილები თამარ და აკაკი პაპავებს, პაატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 2009, გვ. 46.

17 ჟურნ. „სოციალისტური აზრი", პარიზი, 1937, # 8, გვ. 16; ასევე, შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 517.

18 ჟურნ. „ქართლოსი", პარიზი, 1938, მაისი, № 11–12, გვ. 170-171.

19 იხ. თაყაიშვილი ე. წერილები თამარ და აკაკი პაპავებს, პაატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 2009, გვ. 53.

20 ჟურნ. „ქართველი ერი", ბერლინი, 1943, აგვისტო-სექტემბერი, № 3/4. დამატება, გვ. 2.

მნიშვნელობაზე. მიხაკო წერეთელმა ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს წინაშე ქართული კულტურის უდიდესი მოამაგეებისა და წმინდა მამების ღვაწლს შეადარა და აღნიშნა: „ჯავახიშვილი რომ იმ დროს დაბადებულიყო, იგი იქნებ სხვა ექვთიმე ან გიორგი მთაწმინდელი, ან ეფრემ მცირე ყოფილიყო, ან თუ გინდ გრიგოლ ხანძთელი, რათგან იგი ახალ საქართველოში იგივე მოვლენა იყო, როგორიც იყვნენ ეს დიდნი მამანი ძველ საქართველოში."[21]

მიხაკო წერეთლის თანახმად, ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებისას „ჯავახიშვილს იგივე სული ამოძრავებდა, რომელიც საუკუნეთა უწინარეს ამოძრავებდა გრიგოლ ხანძთელს, ან იოანე მთაწმინდელს მათ მონასტერთა დაარსებისას ხანძთაში და ათონზედ." ივანე ჯავახიშვილი ისე იცავდა და უფრთხილდებოდა მის მიერ საფუძველჩაყრილი უნივერსიტეტის სახელსა და ღირსებას, როგორც „ძველნი დიდნი მამანი, წინამძღვარნი ძველ დიდებულ ქართულ ლავრათა."

ივანე ჯავახიშვილი იყო „ნამდვილი ბატონი მეცნიერებისა", რომლის „ყოველი აზრი, დასკვნა მისი დინჯი კვლევის ნაყოფია." ყველა მისი ნაშრომი, ან ნათქვამი, დამყარებული იყო საგნის ღრმა შესწავლასა და იმ უღრმეს ცოდნაზე, რომელსაც იგი ფლობდა მეცნიერების მრავალ დარგში. ივანე ჯავახიშვილმა თავისი გონების გიგანტურ მხრებზედ აიკიდა ეს უზარმაზარი ტვირთი (საქართველოს ნამდვილი და სრული ისტორიის კვლევის, დაწერის, ქართული საისტორიო მეცნიერების შექმნის, – ო. ჯ.), რომელიც მან მთელი მისი კეთილშობილი ცხოვრების განმავლობაში ღირსეულად, ნაყოფიერად და ბრწყინვალედ ჰზიდა."

მიხაკო წერეთელმა მოიგონა, რომ საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისას ივანე ჯავახიშვილს ერთი წუთითაც არ უფიქრია სამშობლოს მიტოვება და უცხოეთში გახიზვნა. იგი „თავის სადარაჯოზედ დარჩა, თუმცა იცოდა, რომ მტარვალისთვის სული საწამებლად უნდა მიეცა. ... და მართლაც აწამეს იგი."

თავის სიტყვაში მიხაკო წერეთელი მეცნიერის ბიოგრაფიის ერთ საჩოთირო ფაქტსაც შეეხო, რომელიც საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების შეფასებასთან იყო დაკავშირებული. ეს საკითხი საფუძვლიანადაა აქვს გაშუქებული მკვლევარ დავით სართანიას თავის საინტერესო ნაშრომში „ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის" და ზოგიერთ დეტალს ამ წიგნიდან დავიმოწმებ.

ცნობილია, რომ 1924 წლის აგვისტოში ეროვნული თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის დიდი შემართება მარცხით დასრულდა. საბჭოთა ხელისუფლება უმკაცრესად გაუსწორდა აჯანყებულებს და მთელ ქვეყანას თავს არნახული რეპრესიები დაატეხა. ფიზიკური ანგარიშსწორების პარალელურად, საბჭოთა რეჟიმის მესვეურებმა თვით აჯანყების დისკრეტიზაცია მოინდომეს და ამ საქმეში ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების ჩართვა გადაწყვიტეს. რაკი ეს ნებაყოფლობით ნაკლებად გამოვიდოდა, უარი არც ძალმომრეობაზე უთქვამთ. მაგალითად, 1924 წლის 5 სექტემბერს საგანგებო კომისიამ დააპატიმრა ივანე ჯავახიშვილი და აიძულა ხელი მოეწერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ცნობილ დეკლარაციაზე, რომელიც 1924 წლის 7 სექტემბერს პრესაში გამოქვეყნდა.[22] ჩეკა-ში შედგენილ ამ დოკუმენტში, რომელზედაც ივანე

---

21 ჟურნ. „ქართველი ერი", ბერლინი, 1943, აგვისტო-სექტემბერი, # 3/4. დამატება, გვ. 12; ასევე, წერეთელი მ. ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014, გვ. 37.

22 გაზ. „კომუნისტი", 1924 წ., 7 სექტემბერი; იმავე წლის ნოემბერში „დეკლარაცია" პარიზში გამოცემული თავისი გაზეთის – „ახალი საქართველოს" პირველ ნომერში გადაბეჭდა გრიგოლ ვეშაპელმა.

ჯავახიშვილის გარდა ხელი საბჭოს სხვა წევრებსაც მოაწერინეს,[23] აღნიშნული იყო: „სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეუძლია უტყვი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომლებიც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების. მოწინააღმდეგეთა უპასუხისმგებლო ავანტურამ და თავისი მკაცრი საპროტესტო ხმა არ აღიმაღლოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალაუფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდეს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს. ავანტურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

...უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად."[24]

მიხაკო წერეთლმა განაცხადა: როდესაც ივანე ჯავახიშვილს „დაუყენეს დილემა: ან განადგურება მის მიერ შექმნილი უნივერსიტეტისა, ან ხელისმოწერა წინდაწინ დამზადებულ განცხადებაზედ", მეცნიერმა ხელი მოაწრა ამ დეკლარაციას, რასაც შემდეგში თურმე მუდამ ნანობდა: „ნეტავ ამაზედ ხელი არ მომეწერა და მომკვდარვიყავიო".[25]

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილი პიროვნულად მართლაც არ იყო შეიარაღებული აჯანყების მომხრე. იარაღით ხელში გამოსვლის იდეას არც ივანეს მიმდევარი უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურა იზიარებდა, მაგრამ ქართველთა თავგანწირვის მკაცრად დაგმობასა და ამ სახით შეფასებაში რომ რეჟიმის ხელი ურევია, ეს აშკარაა და ივანე ჯავახიშვილის სინანულიც ამას მოწმობს.

აჯაყების დამარცხებამ თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის გადასინჯვა და შეცვლა მოითხოვა. რეჟიმთან მოჩვენებითი თუ ნამდვილი კოლაბორაცია აუცილებელი გახდა და ემიგრაციაში თუ საქართველოშიც ბევრი ამ გზას დაადგა.

„სულიერად დახვრეტილები"[26], – ასე უწოდა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა იმ ადამიანებს, ვინც 1924 წლის აჯანყების შემდეგ ხელი აიღო საბჭოთა ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირებაზე და წინააღმდეგობის ალტერნატიული, მშვიდობიანი, – როგორც შალვა ნუცუბიძე იტყოდა, „თავდაცვის ხმლით" გაგრძელება ამჯობინა. ეს იყო გამარჯვებულ სისტემასთან ლოიალობისა და ამ საფუძველზე ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტზე გადანაცვლების გზა ანუ „ზომიერი ნაციონალიზმის ხაზი"[27], რომლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად საქართველოში ივანე ჯავახიშვილი მოგვევლინა.[28]

შემთხვევით არ წერდა 1929 წლით დათარიღებულ კერძო წერილში ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პატრიოტი ემიგრანტი მოღვაწე სევერიან ჭირაქაძე თავისი პარტიის ლიდერს სპირიდონ კედიას. „აი, ეხლა როცა ამ წერილს გწერთ ჩემის მაგიდის წინ კედელზე, ჩემს პირდაპირ სამი დიდი ქართველის სურათი ჰკიდია: ილია ჭავჭავაძისა, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილისა.

---

23 სართანია დ. ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის, თბ., 2017, გვ. 197.

24 გაზ. „კომუნისტი", 1924 წ., 7 სექტემბერი.

25 ჟურნ. „ქართველი ერი", ბერლინი, 1943, აგვისტო-სექტემბერი, № 3/4 დამატება, გვ. 14.

26 გრიშაშვილი ი. დაუბეჭდავი ლექსები, თბ., 1992, გვ. 79.

27 ჯანელიძე ო. 1924 წლის აჯანყების გაკვეთილები, წიგნში – 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი, თბ., 2016, გვ. 174.

28 ციციშვილი გ. დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2016, გვ. 127-128; 138; 143; 173.

ჩვენი, ახლგაზრდა ნაციონალისტების ეროვნული შემეცნების სათავეები იწყება მათგან. ეს სამი ქართველია ჩვენი შთამაგონებელი მაგისტრალები ეროვნული იდეისა და საქმიანობისა."[29]

საბჭოთა ხელისუფლება ეჭვით უყურებდა ივანე ჯავახიშვილს და შეიძლება ითქვას, პირდაპირ სიცოცხლე გაუმწარა მას ხან რექტორის თანამდებობიდან გადაყენებით, უნივერსიტეტიდან განდევნით თუ პირადად მის წინააღმდეგ მიმართული კამპანიითა – ე. წ. სამეცნიერო დისკუსიებით, რომელთა მიზანს დიდი სწავლულის დაგმობა და მისი ნააზრევის გაბიაბრუება წარმოადგენდა.[30] ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილისათვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო მის წინააღმდეგ ზოგიერთი მისივე მოწაფისა და აღზრდილის გამოყენება.[31] სრულ სიმართლეს ამბობდა მიხაკო წერეთელი, რომ ივანე ჯავახიშვილი შემკული იყო „წამების გვირგვინით" და ამითაც მიემსგავსებოდა თავის დიდ წინამორბედს ილია ჭავჭავაძეს. „შენი ადგილი დიდ ილიასთან არის, რომელმაც შენზედ ადრე მიიღო ჯილდოდ დიდი ღვაწლისა იგივე გვირგვინი" - ამ სიტყვებით დაასრულა ქართველი ერის წინაშე ივანე ჯავახიშვილის ღვაწლზე საუბარი მიხაკო წერეთელმა.[32]

არანაკლებ საგულისხმო იყო ბერლინის ქართველთა კოლონიის სხდომაზე ცნობილი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის შალვა ამირეჯიბის მიერ წაკითხული მოხსენება სათაურით „თავადი ივანე ჯავახიშვილი"

შალვა ამირეჯიბი თავის საკმაოდ შინაარსიან მოხსენებას ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის მხოლოდ ესკიზს უწოდებდა, თუმცა ტექსტი დიდი ისტორიკოსის მემკვიდრეობის გარკვეულ შეფასებასაც შეიცავს.

შ. ამირეჯიბის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილმა დიდი მისია შეასრულა. იგი ჯერ კიდევ „გიმნაზიის სკამიდან წამოდგა მზა ფიქრით და მზა მისწრაფებით, თუ რა უნდა ეკეთებინა თავის მომავალ ცხოვრებაში." მან მშობლიური ერის გრძელი და მდიდარი ისტორია შეისწავლა, დაწერილი გამოიკვლია, ხოლო დაუწერელი შეავსო და ეს ჩაიდინა „დედამიწური ენერგიით, უნივერსალური ცოდნით, უმაგალითო მეცნიერული სისპეტაკით და დიდი ეროვნული შთაგონებით."

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის გვირგვინი თბილისის უნივერსიტეტის შექმნა იყო. შალვა ამირეჯიბის სიტყვით, „საქართველოში არ იყო მეორე კაცი უფრო ავტორიტეტიანი და უფრო მოწოდებული ამ საქმისათვის, ვიდრე ივანე ჯავახიშვილი." იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ დიდი ზნეობრივი პიროვნებაც, საქართველოს დიდი ავტორიტეტი. „ის იდგა ყველა თავის ქართველ თანამედროვეზედ მაღლა. თავისი პიროვნების მორალური ძალით მან აამაღლა ქართველი ერის ზნეობრივი დონეც. ქართული უნივერსიტეტი და ქართული მეცნიერება შეიქმნა და არსებობს იმიტომ, რომ საამისო ზნეობის ძალას ივანე

---

29 სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ. თბ., 2007, გვ. 89.

30 ქართველი ემიგრანტი პუბლიცისტის მიხელ ქავთარაძის სიტყვით, როდესაც კომუნისტებმა ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორობიდან გადააყენეს, „კარგად იცოდნენ რასაც შვებოდნენ. ...უნივერსიტეტის მეთაური იყო კაცი, რომელიც ბარათაშვილის გამოთქმის პარაფრაზა რომ ვიხმაროთ: „საბჭოთა ხელმწიფებას ქართველთა შორის ძალას ართმევდა." იხ. ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა", პარიზი, 1976, დეკემბერი, № 14-15, გვ. 4.

31 ჯავახიშვილი ივანე, წარსულის ფურცლები (პირადი მიმოწერა), შეადგინა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ, თბ., 1996, გვ. 40.

32 ჟურნ. „ქართველი ერი", ბერლინი, 1943, აგვისტო-სექტემბერი, # 3/4 დამატება, გვ. 14; ასევე, წერეთელი მ. ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014, გვ. 42.

ჯავახიშვილი აძლევდა. ...ოცი წლის განმავლობაში ქართულმა მოქალაქეობამ და ეროვნულმა იდეამ თავი შეინახა იმიტომ, რომ საქართველო, მთელი ქართველი ერი, სულიერ კონტაქტში იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილთან."[33]

შალვა ამირეჯიბმა ხაზი გაუსვა ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის სულიერ ნათესაობას და გამოსვლა დაასრულა ფრაზით: „ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძემ საქართველო შეასახელა და საქართველომ მას ჯავახიშვილით უპასუხა."[34]

შემორჩენილია ერთი საყურადღებო პირველწყარო, რომლის მეშვეობით ირკვევა, რომ ქართველთა ასოციაციის გამგეობას 1941 წლის იანვარში, პარიზში, სახელოვანი თანამემამულე ისტორიკოსის ხსოვნის აღსანიშნავად საეკლესიო პანაშვიდი გაუმართავს. აი, ეს დოკუმენტიც. „[1941] ქართველთა ასოციაციის გამგეობა იხდის პანაშვიდს 26 იანვარს 12 ¼ ს. უკრაინელთა ეკლესიაში 96, Bd. Aug.-Blanqui, მეცნიერ ივანე ჯავახიშვილის მოსახსენებლად."[35]

ემიგრანტულმა ჟურნალმა „ქართველი ერი" 1944 წლის ერთ-ერთი ნომრის ფურცლები დაუთმო პროფესორ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს „ქართული და კავკასიური ენები" და გამოაქვეყნა გამოკვლევის დასკვნითი ნაწილი. პუბლიკაციის წინასიტყვაში „ვ. ნ." (ვიქტორ ნოზაძე, – ო. ჯ.) აღნიშნავდა: „ჩვენმა სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართველი ერის წარსულის შესწავლასა და მთელი თავისი განუსაზღვრელი უნარი შეალია ამ დარგში მუშაობას, ქართულ მეცნიერებას დაუტოვა უკანასკნელი შრომაც, რომელიც ენის საკითხებს ეხება." ავტორის შეფასებით, ივნე ჯავახიშვილის დასკვნა „ახალი სიტყვაა კავკასიის შესახებ მეცნიერებაში. ...უბრალო თვალის გადავლება გვიჩვენებს, თუ რა უზარმაზარი შრომა გაუწევია პროფესორ ივ. ჯავახიშვილს, რომლის ღვაწლი ჯერ კიდევ სათანადოდ არაა დაფასებული."[36]

1968 წლის 14 იანვარს, პარიზში, „მიუზე სოსიალის" დიდ დარბაზში, თბილისის უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად საზეიმო კრება გაიმართა. კრების ორგანიზატორი იყო „ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს გამგეობა, ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა და თანამგრძნობ ქართველ მეცნიერთა და მწერალთა საპატიო მომწვევი კომიტეტი." თავმჯდომარეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების ყოფილი მინისტრის მოადგილე ნოე ცინცაძე, რომელმაც წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. მოისმინეს ასევე, ალექსანდრე მანველიშვილის, ელისე პატარიძის, ლევან ზურაბიშვილის, ლეო ჭეიშვილის, ნიკოლოზ ყურულაშვილისა და სხვათა გამოსვლები.

ნოე ცინცაძემ ივანე ჯავახიშვილი დაახასიათა, როგორც „დიდი მკვლევარი – მეცნიერი და მასთან მოქალაქეობრივი ინტუიციით და გამბედაობით შემკული" პიროვნება.[37] სხვა ორატორებმაც ისაუბრეს უნივერსიტეტის შექმნის სირთულეებზე, გამოკვეთეს ივანე ჯავახიშვილის წვლილი ცოდნის ტაძრის დაარსებაში და წარმოაჩინეს ის სულის შემხუთველი ატმოსფერო, რომელშიც აღ-

---

33 ამირეჯიბი შ. თავადი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940), წიგნი მეორე, თბ., 1998, გვ. 78-80.

34 ამირეჯიბი შ. თავადი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940), წიგნი მეორე, თბ., 1998, გვ. 74.

35 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზი, სამსონ ფირცხალავას საარქივო ფონდი.

36 ჟურნ. „ქართველი ერი", ბერლინი, 1944, მაისი, № 8/9, გვ. 53-54.

37 ჟურნ. „კავკასიონი", პარიზი, 1968, № XIII, გვ. 10.

მოჩნდა ქვეყნის პირველი უმაღლესი სასწავლებელი კომუნისტური რეჟიმის პირობებში. გამოსვლებში ობიექტურად აღინიშნა ის წარმატებებიც, რომელთაც, ხელისშემშლელი გარემოებების მიუხედავად, მაინც მიაღწია ალმა-მატერმა...

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად იმავე 1968 წელს ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში არაერთი საგულისხმო სტატია გამოქვეყნდა. მათ შორის: უნივერსიტეტის პირველი მსმენელის მედეა ღამბაშიძის, გიორგი ნაკაშიძის, შალვა კალანდაძის, ლევან ტიტვინიძის, სევერიან ჭირაქაძისა და სხვ., რომლებშიც მრავალი გულთბილი სიტყვაა ნათქვამი ივანე ჯავახიშვილის მისამართით.

ლევან ტიტვინიძის მოგონებაში მეცნიერისადმი დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით დახატულია ივანე ჯავახიშვილის, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი პორტრეტი: „იგი იყო საშუალო ტანის კაცი; ჰქონდა მეტად სათნო და სიმპათიური გამომეტყველების სახე; ძალიან ცოცხალი და ჭკვიანური თვალები; უკან გადავარცხნილი ჭაღარა-შერეული თმა; სქელი შავი წარბები შეკრეჭილი, ინით შეღებილი ულვაშები.

იგი იყო ზედმიწევნით სუფთა, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად; დიდად სამართლიანი და მიუდგომელი; სასტიკი და დაუზოგავი; მართალს არ დასჯიდა; უსამართლობას არავის აპატიებდა, რის გამოც ყველა პროფესორი „იესო ქრისტეს" უწოდებდა.

კაცი ენა-წყლიანი და ტკბილად მოუბარი; ზედმიწევნით იცოდა გარდა ძველი და ახალი ქართულისა, მრავალი უცხო, მკვდარი და ცოცხალი ენა. იგი იყო არაჩვეულებრივად საგნის გადმომცემი; მისი ნათქვამი არასდროს დაგვავიწყდებოდა და თუ წესიერად ყურს დაუგდებდი, ყოველი მისი სიტყვა ისე ჩადიოდა თავში, როგორც კენჭები ჩაალაგო ყუთში."[38]

ლ. ტიტვინიძე იხსენებდა, როგორი ოვაცია გაუმართეს სტუდენტებმა ივანე ჯავახიშვილს 1927 წლის იანვარში, როდესაც, რექტორობიდან გადაყენების შემდეგ, ის პირველად ეწვია უნივერსიტეტს სიმონ ყაუხჩიშვილის დისერტაციის დაცვაზე ოფიციალური ოპონენტის რანგში. მემუარისტის სიტყვით: „როგორც კი ივ. ჯავახიშვილი შემოვიდა და ფეხი შესდგა კათედრაზე, ისეთი ტაშისკვრა შეიქმნა, რომლის მსგავსი ერთხელ შეიძლება ნახოს ადამიანმა მის ცხოვრებაში. ამით ქართველმა ახალგაზრდობამ ბ-ნ ივანეს დაუმტკიცა სიყვარული, ნდობა და პატივისცემა."[39]

შეგვიძლია სრულად ვენდოთ ამ ცნობას, რადგან სწორედ იმავე ხანებში (1928 წ.) უნივერსიტეტის სტუდენტობაში ივანე ჯავახიშვილის მიმართ ზუსტად ამგვარივე დამოკიდებულება აღნიშნული აქვს საქართველოს სსრ მთავარი პოლიტსამმართველოს (ГПУ) უფროსს ლავრენტი ბერიასაც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში იგი აღნიშნავდა: „პროფესორი ჯავახიშვილი გაღმერთებულია. იგი სტუდენტობისათვის ნამდვილი კერპი გახლავთ. დამახასიათებელია, რომ საზეიმო სხდომის დროს, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ათი წლისთავს, სტუდენტობამ საკმაოდ ცივად მიიღო ამხანაგი ფ. მახარაძე, თედო ღლონტი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, მაგრამ

---

38 ჟურნ. „კავკასიონი", პარიზი, 1968, # XIII, გვ. 20.

39 ჟურნ. „კავკასიონი", პარიზი, 1968, # XIII, გვ. 20.

საკმარისი იყო ვიღაცას დაეყენებინა წინადადება პრეზიდიუმმში ივანე ჯავახიშვილის (იგი ამ დროს იქ არ ყოფილა) არჩევისა, რომ დარბაზი პირდაპირი აზრით ახმაურდა ხანგრძლივი შეუწყვეტელი ტაშისკვრითა და მისასალმებელი წამოძახილებით."[40]

საბჭოთა ხელისუფლებამ გვიან, მაგრამ მაინც მოახერხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოზიციების გამაგრება და ამ დაუმორჩილებელი ეროვნული კერის კომუნისტურ მარწუხებში მოქცევა. 1926 წელს დამტკიცებული უმაღლესი სკოლის ახალი დებულების შესაბამისად, უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია განხორციელდა. რექტორის თანამდებობას ჩამოაშორეს ივანე ჯავახიშვილი და უნივერსიტეტის მესაჭეობა ყოფილ სოციალისტ-ფედერალისტს თედო ღლონტს ჩააბარეს, რომელიც 1924 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა. ქართულმა ემიგრაციამ ამ ფაქტში ივანე ჯავახიშვილისადმი ხელისუფლების სრული უმადურობა დაინახა და გაკვირვება გამოთქვა – „სად ივანე და სად თედო?" მაგრამ იყო საპირისპირო პოზიციაც:

გრიგოლ ვეშაპელმა, რომელიც 1924 წლის აჯანყების შემდგომ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას გაემიჯნა და ბოლშევიკურ რეჟიმთან თანამშრომლობის გზას დაადგა, თავის გაზეთში „ახალი საქართველო" თბილისის უნივერსიტეტთან დაკავშირებული ამბები საბჭოური პოზიციიდან გააშუქა, თუმცა ირწმუნებოდა: „ჭშმარიტების დაცვის სურვილი ჩვენ გვავალებს საქმის ვითარება სისწორით გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებასო."

„რა მოხდა? აღორძინებისკენ თუ დანგრევისაკენ მიყავს ჩვენი უნივერსიტეტი შეტანილ ცვლილებებს?" – კითხვას სვამდა გ. ვეშაპელი და პასუხსაც იძლეოდა: „შვიდი წელი უკვე გავიდა, რაც ჩვენმა უმაღლესმა სკოლამ დაუშრეტელი ენერგიით დაიწყო მუშაობა. მას საძირკველი ჩაუყარა და დღემდის უხელმძღვანელა ყველა ქართველისათვის კარგად ცნობილმა „ქართველი ერის ისტორიის" მკვდრეთით აღმდგენმა ბ. ივანე ჯავახიშვილმა. მაგრამ რამდენათ დიდია მისი დამსახურება მეცნიერული კვლევა-ძიების დარგში, იმდენადვე სუსტია მისი მოღვაწეობის პრაქტიკული მხარე; მან ვერ შესძლო მშრომელი ხალხის ახალ მოთხოვნილებებთან დაახლოვება, მისი მდგომარეობის გარდამქნელ და გამაუმჯობესებელ ინტენსიურ საქმიანობასთან „თავისი" სკოლის შემოქმედების შეგუება. ის დარჩება დიდ სამეცნიერო ძალად, მაგრამ ამიერიდან საკითხის მეორე მხარეს ახალ რექტორს უთმობს."[41]

თურმე ივანე ჯავახიშვილი პრაქტიკულ საქმეებში სუსტი ყოფილა. მაგრამ ამ „პრაქტიკულ მოღვაწეობაში სუსტმა კაცმა" როგორ შეძლო რომ უნივერსიტეტი დააფუძნა და ამით ქართველ ერს „სხივოსანი მზიანი კანდელი" აუნთო? ეს მაშინ საქართველოსა და ემიგრაციაშიც საყოველთაოდ იყო ცნობილი, მაგრამ ბოლშევიკური პრესა და მის კვალზე პარიზული „ახალი საქართველოც" მკითხველს თვალში ნაცარს აყრიდა.

ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის დაკნინების მცდელობა საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთა იყო და გ. ვეშაპელის ხსენებული პუბლიკაციაც ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

---

40 ყორანაშვილი გ. ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1999, გვ. 137-138.

41 გაზ. „ახალი საქართველო", პარიზი, 1926 წ., 31 ივლისი.

კომუნისტურმა რეჟიმმა თბილისის უნივერსიტეტს „საბჭოთა სახელმწიფო აღმშენებლობის ფერხულში“ ჩაბმის მიზანი დაუსახა და 1931 წლისათვის მოახერხა ის, რომ „ოდესღაც ქართული უნივერსიტეტი – ეხლა ბოლშევიკური ალილუიის ტაძრად იქცა.“[42] სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ზემოთ უკვე ნახსენებ ქართველ ემიგრანტს სევერიან ჭირაქაძეს, რომელიც გულისტკივილით წერდა: „ის სულიერი განწყობილება, მეცნიერული კეთილსინდისიერი კვლევა-ძიების თავისუფლება, ერის სამსახური, რომელიც ბ. პრ. ივანე ჯავახიშვილმა და მისმა პირველმა თანამშრომლებმა და მათ მიერ აღზრდილმა შემდგომმა თაობებმა დაამკვიდრეს, თანდათან მოისპო და დიდ ხანს ჩვენ პროფესორებს ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებოდათ ლექციების კითხვა.“[43]

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში თბილისის უნივერსიტეტის მოღვაწეობის, მისი სულისჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილისა და სტუდენთა საპროტესტო მოძრაობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის გიორგი ნაკაშიძის მოგონება. ამ მოგონების თანახმად, 1921 წლის სექტემბერში, როდესაც საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციიდან შვიდი თვის შემდეგ უნივერსიტეტში სწავლა განახლდა, სოციალისტ-ფედერალისტმა სტუდენტობამ ანტისაბჭოთა დემონსტრაციის გამართვა გადაწყვიტა. მათ სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წევრი სტუდენტებიც შეუერთდნენ. ფედერალისტთა პარტიის ხელმძღვანელობამ სტუდენტებს თავშეკავება და გამოსვლაზე უარის თქმა ურჩია, – „შეიძლება დიდი მსხვერპლი მოჰყვეს. მოვუცადოთ უნდა შესაფერის დროს“-ო. სტუდენტთა უმრავლესობამ მხარი გამოსვლას დაუჭირა, მაგრამ გამოითქვა შიშიც, ვაითუ ამის გამო ხელისუფლებამ უნივერსიტეტი არა თუ დახუროს, შეიძლება კიდევაც გაანადგუროს. „რას ვეტყვით ჩვენ მაშინ ქართველ ერს, ჩვენ საყვარელ პროფესორებს და მეტადრე უნივერსიტეტის ფუძემდებელს, ჩვენს ძვირფას ივანე ჯავახიშვილს?!“ შეთანხმდნენ, რომ აზრი ივანე ჯავახიშვილსათვის ეკითხათ. ახალგაზრდების ოთხკაციანი დელეგაცია რექტორს სახლში ესტუმრა და მას სტუდენტთა გულისნადები გააცნო. ივანე ჯავახიშვილმა წარგზავნილებს ყურადღებით მოუსმინა და უკან შემდეგი პასუხით გამოისტუმრა: „დიდი მადლობელი ვარ, რომ სტუდენტობამ ასეთი ნდობა გამოიჩინეთ ჩემდამი და მეტადრე, რომ ასე სათუთად ექცევით უნივერსიტეტის ბედს. მაგრამ უნივერსიტეტი ხომ მხოლოდ ცარიელი კედლები და სახურავი არ არის? უნივერსიტეტი ხართ თქვენ, სტუდენტობა – მოძრავი, მოქმედი ძალა, უსულო შენობას რომ სიცოცხლეს ანიჭებს. სტუდენტობა ყოველგან და ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის მებრძოლთა რიგებში. ამიტომ როგორ შემიძლია მე, ქართველს და თქვენს მასწავლებელს, ხელი შეგიშალოთ თქვენი მამულიშვილური მოვალეობის შესრულებაში, თქვენი შეურაცხყოფილი ეროვნული და აკადემიური ღირსების, თავისუფლების დაცვაში! იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სამშობლოს სიყვარული გიკარნახებთ და ნუ

42 გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931 წ., იანვარი, № 61.
43 ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1968, # XIII, გვ. 17.

დაერიდებით თვით უნივერსიტეტისა შენობის გამოყენებას."[44]

დიდი მამულიშვილის ეს შეუვალი ეროვნული პოზიცია გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ გიორგი ნაკაშიძე ივანე ჯავახიშვილს „სიცოცხლეშივე ნათელი შარავანდედით მოსილ, ღვთაებრივ ადამიანს" – „სტუდენტთა ანტიკომუნისტური მოძრაობის სულისჩამდმელად და ნამდვილ ხელმძღვანელად" წარმოაჩენდა.[45]

ივანე ჯავახიშვილის მიერ 1907 წელს თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა გრიგოლ რობაქიძემ. 1944 წელს დაწერილი ეს მოგონება ბერლინურ ემიგრანტულ ჟურნალში „ქართველი ერი" უნდა გამოქვეყნებულიყო. როგორც ვიქტორ ნოზაძე შენიშნავს, მასალა მას დასაბეჭდად გაუმზადებია, მაგრამ ბერლინის დაბომბვისას ის სტამბაც განადგურებულა, სადაც ქართული გამოცემა იბეჭდებოდა. საბედნიეროდ, მწერლის ხელნაწერი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის შესახებ არაერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, ვიქტორ ნოზაძეს დარჩენია და იგი მან მოგვიანებით ჟურნალ „კავკასიონში" გამოაქვეყნა.

გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, ილია ჭავჭავაძე „იღწვოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით." ილიას გზა მისგან „კურთხევამიღებულმა" სწავლულმა ივანე ჯავახიშვილმა განაგრძო. მაგრამ როგორ? კითხვას სვამს გრიგოლ რობაქიძე და თვითონვე პასუხობს: „ჯავახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე. გამოიკვლევს საქართველოს თავგადასავალს – იგი ამით დაეხმარება მის ხელმწიფების აღდგენას. ...ისტორია არის არა მარტო ხსოვნა წარსულისა – იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა. ამ რწმენით იწყებს ჯავახიშვილი თავის მოწოდების ასრულებას." როცა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაარღვია და „ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი" გამოუჩნდა, „ქართველ თავდადებულთა ერთი მცირე ჯგუფი ცდილობს დააარსოს ქართული უნივერსიტეტი. ...ამ ჯგუფის თაოსანი და სულისჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილია. ...და აი, როცა 1918 წლიოს მაისის 26 საქართველო თავის თავს განთავისუფლებულად აცხადებს, მის ხელმწიფებას უკვე ამართული აქვს შინაგანი სიმაგრე: უნივერსიტეტი, ქართული კულტურის ჩაუქრობი კერა. ...ქართული უნივერსიტეტის იქცევა ლაბორატორიად ქართული შეგნებისა. შუა გულში აქც ივანე ჯავახიშვილია. ...დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი. ...ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალ მიღებული: და ამით უკვდავჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში."[46]

ივანე ჯავახიშვილის ხსენებული ლექცია ოდნავ განსხვავებულად შემორჩა გერმანიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ელჩის ვლადიმერ (ლადო) ახმეტელის მეხსიერებას. 1937 წელს, ჟურნალ „ქართლოსში" გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სტატიაში ლ. ახმეტელი იგონებდა: „წელიწადი არ მახსოვს, – ვგონებ 1903 წელს იყო.[47] ჩვენმა სახელოვან-

---

44 ჟურნ. „კავკასიონი", პარიზი, 1968, № XIII, გვ. 23.

45 ჟურნ. „კავკასიონი", პარიზი, 1968, № XIII, გვ. 24.

46 რობაქიძე გ. ივანე ჯავახიშვილი, ჟურნ „კავკასიონი", პარიზი, 1967, # XII, გვ. 126-127; ასევე, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1986, N 2-3, გვ. 188.

47 სინამდვილეში, ეს ლექცია ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა 1907 წელს.

მა მეცნიერმა, კეთილსინდისიერმა მკვლევარმა, პროფესორ ივ. ჯავახიშვილმა ჩვენს დედაქალაქ ტფილისში, ყოფილ არტისტულ თეატრის დიდი დარბაზში საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრების შესახებ. ლექციას მრავალი ხალხი დაესწრო. დაესწრო აგრეთვე ჩვენი დიდი ილიაც. ...ილია დარბაზის პირველ რიგში იჯდა და ლექტორს დიდის გულმოდგინებით უგდებდა ყურს. პატივცემულმა მეცნიერმა ურიცხვი მასალების ცოდნით მსმენელთ ფართოდ გადაუშალა ჩვენი წარსულის ეკონომიკური ცხოვრება. ...ლექციის გათავებისას დარბაზში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ილიას გარშემო. ყველა ერთხმად ღაღადებდა ლექციის ღრმა შინაარსიანობაზე."[48] აშკარაა, მოგონება არა მარტო ილია ჭავჭავაძის, არამედ ივანე ჯავახიშვილის მიმართაც უდიდესი პატივისცემითაა გამსჭვალული.

ივანე ჯავახიშვილთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი საინტერესო მოგონება, რომლის ავტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე და შემდომში ემიგრანტი ვალიკო ჩუბინიძე. ამ მოგონების თანახმად, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ემიგრაციაში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილს, ლევილში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ნაწილისათვის უამბია 1921 წელს საქართველოდან ეროვნული განძის უცხოეთში გატანის შესახებ. ხანდაზმულ მეცნიერს თითქოს უთქვამს, რომ ამის თაობაზე არც მე და არც ნოე ჟორდანიას მთავრობას არ გვიფიქრია და განძის საზღვარგარეთ წაღების თაობაზე „ჩვენ შთაგვაგონა ჩემმა მეგობარმა დიდმა ივანემ (ჯავახიშვილმა)."[49] ვ. ჩუბინიძე ასე გადმოგვცემს ექვთიმე თაყაიშვილის ნაამბობს: „...წითელი არმია თბილისს უახლოვდება. მიბარებს ჩემი მეგობარი დიდი ივანე და მეუბნება: ხომ ხედავ, ექვთიმე, მოდის რუსის ჯარი, მონათლული დამოუკიდებელ საქართველოს და სამღვდელოების მტრობითა და სიძულვილით, ისინი დაარბევენ და გაძარცვავენ ჩვენს ეკლესიებს, მუზეუმებს და ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებს. ამიტომ ეხლავე შენ უნდა ნახო მთავრობის თავმჯდომარე, გააცნო ჩვენი ეროვნული განძეულობის გაძარცვა-დაღუპვის საშიშროება, ის ეხლავე უნდა შეგროვდეს და საქართველოდან დროებით უნდა გაიტანოთ გადასარჩენად. მე მაშინვე თანხმობა განვუცხადე ივანეს და საჩქაროდ წავედი სასახლეშიდ. იმ დროს ბ-ნ ნოეს ნახვა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მე მან დაუყოვნებლივ მიმიღო, მომისმინა და მაშინვე გამოაძახებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი – თანაშემწე ფინანსთა მინისტრის, კაცი განათლებული, ენერგიული და საქმიანი. ბატონ ნოემ მას უთხრა: იოსებ, შენ თანამშრომლობ ექვთიმესთან, გეძლევათ სრული უფლება იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისდა მიხედვით განძეულობის შესაკრებად, გაძლევთ უფლებას ყოველგვარი ტრანსპორტის რეკვიზიციისას და საჭირო თანხებს. იქვე უკარნახა ეს ბრძანება მის მდივანს, ხელი მოაწერა და გადმოგვცა. მხოლოდო, – დააყოლა, – ექვთიმე, შენ ინიშნები ამ განძეულობის გამგედ და უცხოეთშიდაც უნდა გამოჰყვე ამ განძეულობას ამ უფლების გამოყენების შენახვით. ასლს განძეულობის აღწერილობისას სათანადო თქვენი და თქვენ მიერ შედგენილ კომისიის ხელის მოწერით დასტოვებთ, სადაც თქვენ

---

48 ჟურნ. „ქართლოსი", პარიზი, 1937, № 4-5; # 6-7; ასევე, შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII , თბ., 2005, გვ. 194-195.

49 ჩუბინიძე ვ. კიდევ ერთი ცნობის დღიური განძეულობაზე, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1986, #108, გვ. 78-80, 82.

საჭიროდ დაინახავთ. ...იქვე უკარნახა მდივანს ბრძანებულობა ჩემი დანიშვნისა და იოსების ჩემს თანაშემწედ დანიშვნისა. ხელი მოგვაწერინა, ასლი მდივანს გადასცა, გვისურვა წარმატება და გვითხრა: მე ყოველთვის თქვენს განკარგულებაში ვარ, ამ მომერიდოთ! მაგრად ხელი ჩამოგვართვა და დაგვემშვიდობა. რასაკვირველია, მე დიდი მადლობა მოვახსენე ჩემი და ივანეს სახელით. ჩვენ მაშინვე შევუდექით მუშაობას, ყველანი დიდი მონდომებით გვერდში ამოგვიდგა; რასაკვირველია, დიდი ივანეს დახმარებით და იოსებ ელიგულაშვილის განსაკუთრებული ორგანიზატორის ნიჭიერებით ჩვენი დავალება ბრწყინვალედ შევასრულეთ." მომავალმა დაგვანახა, დასძენს ვ. ჩუბინიძე, „თუ რამდენად სწორი იყო დიდი ივანეს გააზრება, რომელიც ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დავალებით სისრულეშიდ მოიყვანეს პროფესორმა ექ. თაყაიშვილმა და ბატონმა იოსებ ელიგულა-შვილმა." [50]

ვ. ჩუბინიძის ეს მოგონება საქართველოში პირველმა ქართული ემიგრაციის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა გურამ შარაძემ გამოაქვეყნა.[51] მკვლევართა ნაწილმა გაიზიარა თვალსაზრისი, რომ ეროვნული განძის უცხოეთში წაღების იდეა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნოდა, რაც მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს.

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ საფუძვლიანი მონოგრაფიის ავტორის, პროფესორ სერგო ჯობენაძის მიხედვით, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი და იმხანად (1921 წ.) მისი რექტორი, სულაც წინააღმდეგი ყოფილა განძის გატანისა, „მაგრამ მისი აზრი დამაჯერებელი არ აღმოჩნდა მთავრობის გადაწყვეტილების შესაცვლელად."[52]

ვნახოთ, რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ექვთიმე თაყაიშვილი. მისი სიტყვით: „დამფუძნებელი კრების მიერ მეთვალყურედ (უცხოეთში გატანილი განძის, – ო. ჯ.) დავინიშნე მე, ხოლო მთავრობის მიერ – ფინანსთა მინისტრის თანაშემწე იოსებ ელიგულაშვილი."[53] მეცნიერის ემიგრანტული ჩანაწერების მეორე ვარიანტის თანახმადაც: „დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მაშინ იკრიბებოდა ბათუმში, მე დამნიშნა განძეულის მეთვალყურედ და მთავრობამ კი თავის მხრით გამაყოლა მათი ფინანსთა მინისტრის ამხანაგი იოსებ ელიგულაშვილი."[54] უფრო სარწმუნო ექვთიმე თაყაიშვილის ეს ჩანაწერებია, რომლებშიც ივანე ჯავახიშვილზე ერთი სიტყვითაც არ არის მინიშნება და არცთუ უსაფუძვლოდ. საქართველოს მთავრობამ ეროვნული გაძის ჯერ დასავლეთ საქართველოში გადატანის, ხოლო შემდეგ უცხოეთში თან წაღების შესახებ გადაწყვეტილება წითელი არმიის თბილისთან მოახლოებისას, ფორსმაჟორულ ვითარებაში მიიღო და აზრი მის შესახებ ქართული მეცნიერებისა თუ კულტურის მოღვაწეებისათვის არ უკითხავს.

---

50 ჩუბინიძე ვ. კიდევ ერთი ცნობის დღიური განძეულობაზე, ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1986, #108, გვ. 78-80, 82.

51 შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მეორე, თბ., 1993, გვ. 114-115; მისივე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მესამე, თბ., 1993, გვ. 189-190.

52 ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 277.

53 თაყაიშვილი ე. ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის, წიგნში: რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 401.

54 თაყაიშვილი ე. ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის, წიგნში: რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 406.

ქართულ ემიგრაციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი პატივისცემით გაიხსენეს 1988 წელსაც – უნივერსიტეტის გახსნიდან 70-ე წლისთავზე. ამ თარიღისადმი მიძღვნილი ილია კუჭუხიძის პუბლიკაცია ასე იწყება: „ილია ჭავჭავაძის თაობა ოცნებობდა აღედგინა საქართველოში უმაღლესი სწავლების ტრადიცია, რაც მოიშალა მტრების შემოსევებისა და შემდეგ რუსეთის ხელისუფალთა გამარუსებელი პოლიტიკის შედეგად. ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას სათავეში ჩაუდგა სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც მის ირგვლივ შემოიკრიბა მასავით გულმხურვალე პატრიოტ-მეცნიერთა ბირთვი, რომელიც მზად იყო ყოველგვარ მსხვერპლისათვის, ოღონდ ქართველ ხალხს ჰქონებოდა მისი უნივერსიტეტი.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავდა უნივერსიტეტის პირველ ნაბიჯებს და წერდა: „ღარიბულად, უბრალოდ, მაგრამ დიდი ეროვნული აღტკინებით შეუდგა მოღვაწეობას ეს ჩვენი პირველი მეცნიერების კერა. ...სულ მცირე დროის განმავლობაში, თბილისის უნივერსიტეტი მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერების ინსტიტუტად და პატრიოტიზმის სანერგედ იქცა. ეს უკანასკნელი „ცოდვა" არ აპატიეს საბჭოთა ხელისუფლებმა ჩვენი უნივერსიტეტის ფუძემდებელ პროფესორებს. ...რექტორობიდან გადააყენეს უნივერსიტეტის დამაარსებელი და სტუდენტთა სათაყვანებელი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. ...ერთხანად შეიქმნა კიდევაც საშიშროება, რომ ამდენი რუდუნებით დაარსებული უნივერსიტეტის კარები შეიძლებოდა სრულებითაც დახურულიყო. საბოლოოდ უნივერსიტეტის ეროვნულმა სულმა გაიმარჯვა. ...ჩვენ გვწამს, რომ უნივერსიტეტი გადაიგდებს კრემლიდან მართულ კომპარტიის მძიმე უღელს და ამ რწმენით ჩვენც, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ვზეიმობთ ბატონი ივანე ჯავახიშვილის თაობის უანგარო სიყვარულით დაარსებული ქართული ეროვნული მეცნიერების კერის სამოცდაათ წლისთავს. დაე, მარადჟამს ჰყვაოდეს ჩვენი ეროვნული მეცნიერების „ალმა მატერი."[55]

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ქართულ ემიგრანტულ ჟურნალში „თავისუფლების ტრიბუნა" გამოქვეყნდა პუბლიცისტისა და ერთ-ერთი უკანასკნელი ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწის მიხეილ ქავთარაძის წერილი. მასში ხაზგასმულია: „ივანე ჯავახიშვილი ასე დიდი არ იქნებოდა, რომ ყველაფერზე უწინარეს დიდი პატრიოტი არ ყოფილიყო. ...ივანე ჯავახიშვილმა თავისი თავი საქართველოსთვის გაზარდა და განათლება მიიღო იმისთვის რომ, რაც უმაგალითო შრომით შეიძინა, მისი მამულისთვის მიეძღვნა, ...მისი ქვეყნის კულტურისათვის აუცილებელი და უძვირფასესი შენაძენი მოეტანა. ეს საქმე მან ბრწყინვლაედ აასრულა. ...ქართველებისათვის ივანე ჯავახიშვილი იყო მოძღვართ-მოძღვარი და ვინაიდან ძალით გამეფებულ ხელისუფლებას ქართველი არ ცნობდა, მოძღვართ მოძღვარი მიაჩნდა მას ქვეყნის პირველ კაცად და ქვეყნის სინდისისა და გონების განსახიერებად და მართლაც ასეთია დიდი ივანე ჯავახიშვილი."[56] მშვენიერი ნათქვამია, რომელსაც შეუძლებელია არ დაეთანხმო და წერილსაც ამ ფრაზით დავასრულებ.

---

55 ჟურნალი „გუშაგი", პარიზი, 1988, მარტი, # 15, გვ. 53-57.

56 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა", პარიზი, 1976, # 14-15, გვ. 3-4.

OTAR JANELIDZE

Ivane Javakhishvili and Georgian emigration

Summary

The article describes the attitude of Georgian immigrants to their The famous compatriot Ivane Javakhishvili since 1921, including from the XX 80s. It is noted that many Georgian politicians, researchers and publicists who worked in the immigration greatly appreciated the knowledge and professionalism of Ivane Javakhishvili. In order to justify their point of view, they often referred to this great authority of Historical Sciences, his books or individual research work.

Georgian emigration systematically celebrated anniversary dates of Tbilisi University, recalled and honored Ivane Javakhishvili as a founder of the university.

In January 1941, Ivane Javakhishvili's ecclesiastical funeral was held in Paris, and in Berlin there was organized a memorial evening dedicated to the death of a great historian. The work deals with the speeches of Mikhako Tsereteli and Shalva Amirejibi given in this evening, which assessed Ivane Javakhishvili's contribution to the development of both historical sciences and the Georgian nation as well.

გიორგი ასტამაძე

კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში 1912-1919 წწ.

მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას გერმანული ოდისეა 1912 წლის ოქტომბრიდან იწყება. 21 წლის სტუდენტის პირველი გაჩერება გერმანიაში აღმოსავლეთ პრუსიის დედაქალაქი კიონიგსბერგი იყო. კონსტანტინე მანამდე ორი თვის განმავლობაში პეტერბურგის უნივერსიტეტში ირიცხებოდა,[1] მაგრამ თავად არ მოისურვა რუსეთში გაჩერება და გერმანიაში წასვლის უფლება მიიღო. კიონიგსბერგში ჩასვლის მთავარი მიზანი გერმანულის კარგად შესწავლა ყოფილა: „ვაპირებ ერთი 4-5 თვე დავრჩე რამეფრათ და ენა შევისწავლო", – წერდა ქუთაისის თვითმმართველობას.[2] კიონიგსბერგში ენის შესასწავლად ცხოვრობდა, თუმცა, სავარაუდოდ, ალბერტუსის სამეფო უნივერსიტეტშიც დადიოდა ლექციებზე.

1913 წლის იანვრიდან გამსახურდია უკვე ლაიპციგშია და იქაურ უნივერსიტეტში ესწრება ლექციებს, როგორც თავისუფალი მსმენელი. ლაიპციგში ყოფნა კონსტანტინესთვის სწავლის და სიახლეების შეცნობის ხანა იყო. კითხულობდა ვუნდტის ფსიქოლოგიას, ერდმანის ლოგიკას, გოეთეს შემოქმედებას, შტაინერის თეოსოფიას.[3] ლაიპციგის პერიოდი მთარგმნელობითი საქმიანობის თვალსაზრისითაც ძალზედ ნაყოფიერი იყო. მოგვიანებით, ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკში ყოფნის დროს დაწერილ წერილში, აღნიშნული აქვს, რომ ლაიპციგში გერმანულიდან ქართულად თარგმნა გოეთეს „ფაუსტის" პირველი ნაწილი.[4] ამ ინფორმაციის სიზუსტეს ცხადყოფს, 1913 წლის მაისში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული გოეთეს, შილერის, ჰესეს და სხვათა ლექსების მისეული თარგმანები.[5]

კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში, ამჯერად მიუნხენში, კვლავ მიემგზავრება 1914 წლის ივნისში, ახლადშერთულ მეუღლე რებეკა ვაშაძესთან ერთად საქორწინო მოგზაურობაში[6]. მანამდე ერთი წელი კონსტანტინე საქართველოსა და რუსეთში იმყოფებოდა, სცადა სწავლის გაგრძელება, ამჯერად მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ ისევ შეწყვიტა. მიუნხენში ჩასვლისას გაიცნო აღმოსავლეთმცოდნე ფრიც ჰომელი და კავკასიოლოგი ადოლფ დირი, ლიტერატორი ფრიდრიხ ფონ

---

1 კ. გამსახურდიას რუსეთში სწავლის შესახებ იხ. სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი, ტ. 1, თბ., 2003, გვ. 54-55.

2 სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი, ტ. 1, თბ., 2003, გვ. 56. ციტატა: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 108, საქმე 4259. აქ უნდა იგულისხმებოდეს ენის ცოდნის განვითარება, თორემ კონსტანტინე საქართველოშიც სწავლობდა გერმანულს.


3 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი, ჟურნ. „მნათობი", 1963, N9, გვ. 94-95.

4 BayHStA, 2000, Bl. 1.

5 იხ. გაზ. „იმერეთი", 1913, N 50, 108, 119. აღსანიშნავია, რომ გერმანიიდან კონსტანტინე გამსახურდია საქართველოში წერდა წერილებს საცოლეს, რებეკა ვაშაძეს, ისინი გამოქვეყნებულია ქართულ პრესაში: „გრაალი", 1996, N 2, 3, 6, 7, 8, 9 „მწერლის გაზეთი", 2001, N 6, „21-ე საუკუნე", 2001, 15-21 აპრილი.

6 BayHStA, 2000, Bl. 1

დერ ლაიენი და მწერალი თომას მანი.[7] თომას მანთან გამსახურდიას ნაცნობობა ხშირად გადაჭარბებად მიიჩნეოდა, თუმცა ბავარიის სამხედრო არქივში დაცული საბუთების მიხედვით, პატიმრობაში მყოფი გამსახურდია ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკის უფროსობისადმი 1914 წელს გაგზავნილ წერილშიც თომას მანს ახსენებს: „აქ (მიუნხენში) მე მქონდა მიმოწერა მწერალ თომას მანთან, რადგან წინა გაზაფხულზე მისი რომანი „სიკვდილი ვენეციაში" ვთარგმნე და ამასთანავე, მისგან საავტორო უფლება ავიღე".[8]



საბუთები ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკში ყოფნის დროიდან
(დაცულია ბავარიის სამხედრო არქივში)

კონსტანტინესა და მისი მეუღლის მოგზაურობა მიუნხენში ცუდ დროს დაემთხვა – დაიწყო მსოფლიო ომი, რომელიც უამრავ უდანაშაულო ადამიანს შეეხო, არამხოლოდ ფრონტებზე, არამედ სახლებშიც. კონსტანტინემ გერმანიაში რუსეთის ელჩისგან წერილიც კი მიიღო თხოვნით სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ გამსახურდიამ ამაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ უნივერსიტეტის სამუშაოებით იყო დაკავებული. [9] ბავარიელი მეგობრების თხოვნით, კონსტანტინემ მიუნხენში დარჩენა გადაწყვიტა იმ იმედით, რომ რუსი არ იყო და არ შეეხებოდნენ. მაგრამ, სტატუსკვო დიდხანს არ გაგრძელდა და ბედის ირონიით სტუდენტი,

7 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი, ჟურნ. „მნათობი", 1963, N9, გვ. 99-100.

8 BayHStA, 2000, Bl. 1.

9 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი, ჟურნ. „მნათობი", 1963, N9, გვ. 101. რუსეთის წარმომადგენლად, ვინც მას წერილი გაუგზავნა, გამსახურდია ასახელებს ელჩ იზვოლსკის. 1914 წელს ამ გვარის მქონე ელჩი, კერძოდ ალექსანდრ იზვოლსკი (1856-1919) რუსეთის იმპერიას ჰყავდა პარიზში. თუ ეს ცნობა სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, რომ პარიზიდან გაუგზავნიათ შეტყობინება კონსტანტინესთვის.

რომელიც გერმანიის სიყვარულით რუსეთიდან გერმანიაში წავიდა სასწავლებლად, რუსეთის მოქალაქეობის გამო ციხეში აღმოჩნდა. ბავარიის სამხედრო არქივში ინახება კ. გამსახურდიას წერილი, დათარიღებული 1914 წლის 21 ნოემბრით, რომელშიც დაკავებული ასე აღწერს მომხდარს: „3 აგვისტოს მივდიოდი ერთ მხატვართან შვაბინგში, რომელიც უკანასკნელ ხანებში გავიცანი. რადგან მიუნხენში იოლად ორიენტირებას ვერ ვახერხებდი, სახლის ნომერი ვიკითხე, ამის გამო ერთმა უცნობმა პოლიციაში წამიყვანა. მას შემდეგ, რაც პოლიციამ ჩემი წიგნები და ხელნაწერები გაჩხრიკა, გამათავისუფლეს, მაგრამ ზუსტად გასასვლელში ხალხის ჯგუფმა სერბად მიმიჩნია და მეორედ დამაპატიმრეს. ამ დროიდან მოყოლებული ტყვეობაში ვარ."[10] ამავე წერილიდან ირკვევა, რომ კონსტანტინეს მეუღლე უკან გაგზავნეს კავკასიაში. გამსახურდია მემუარებში წერს, რომ თავდაპირველად ისმანინგის სასახლეში სხვა ხელოვნებთან ერთად ყოფილა დაპატიმრებული, თუმცა ამ პერიოდს პოზიტიურადაც კი უყურებს, იმდენად ბევრ საინტერესო ადამიანთან ჰქონდა შეხება.[11] შემდეგ ტყვეები გადაიყვანეს ტრაუნშტაინის სამხედრო ტყვეთა ბანაკში, რომელიც ისმანინგის ანტიპოდი იყო. გამსახურდია მიმართავს ტყვეთა ბანაკის ხელმძღვანელობას, რომ გაითვალისწინონ მისი პროგერმანული განწყობა: „მე ვარ გერმანული კულტურის და ლიტერატურის პირმშო, გერმანიისკენ მე მივდიოდი, როგორც პილიგრიმი წმინდა მიწისკენ, რადგან აქ არის სამშობლო გოეთესი, ნიცშესი, შილერის და დემელის."[12] კონსტანტინე სთხოვს ტრაუნშტაინის ბანაკის უფროსობას, მისცენ მას ტრაუნშტაინში თავისუფლად ცხოვრების უფლება, რათა შეძლოს თავისი საქმიანობის გაგრძელება და წიგნსაცავები და ბიბლიოთეკები იქნება ერთადერთი ადგილი, სადაც ის იმოძრავებს. საკუთარი შემოსავლის წყაროდ, გამსახურდია ასახელებს კავკასიის ლიტერატურული საზოგადოების სტიპენდიას, თვიურად 150-200 მარკის ოდენობით.[13] ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკი ადასტურებს გამსახურდიას დადებით თვისებებს, მის განათლებას, ზომიერებას და სათანადო ფინანსური გარემოებების შემთხვევაში, მხარს უჭერს მის გათავისუფლებას გარკვეული ზედამხედველობის დაწესების ქვეშ.[14]

1915 წლის 22 იანვარს კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი თხოვნით მიმართა ტყვეთა ბანაკის ხელმძღვანელობას. ის ატყობინებს მათ, რომ გელზერკირხენის სააქციო საზოგადოების დახმარებით მიიღო ლიტერატურული საზოგადოების სტიპენდია 400 მარკის ოდენობით და აქვს ცხოვრების საშუალება: „ტრაუნშტაინში ცხოვრების დროს ვიღებ ვალდებულებას, რომ არ მივყვე პოლიტიკას, რადგან მე პოლიტიკასთან არაფერი მესაქმება. მიუნხენიდან, ჩემს ნაცნობ ბატონ თ. მანისგან მივიღებ წიგნებს და მთელი დრო ფილოსოფიით და ლიტერატურით ვიქნები დაკავებული."[15] ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკის ხელმძღვანელობამ გამსახურდიას თხოვნა, გარკვეული პირობების სანაცვლოდ, დააკმაყოფილა 1915 წლის 28

---

10 BayHStA, 2000, Bl. 1. კონსტანტინე გამსახურდიას ტყვეობის პერიოდის შესახებ იხ. Chotiwari-Jünger Steffi, Abschied vom „Heiligenland" – Ein georgischer Schriftsteller als Kriegsgefangener und Gefangenenbetreuer in deutschen Lagern während des Ersten Weltkrieges. In: Höpp, G.; Reinwald, B. Fremdeinsätze. Afrikaner und Asiaten in europäischen Kriegen 1914-1945. Berlin 2000. S. 119-128.

11 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი, ჟურნ. „მნათობი", 1963, N9, გვ. 104.

12 BayHStA, 2000, Bl. 2.

13 BayHStA, 2000, Bl. 2.

14 BayHStA, 2000, Bl. 3.

15 BayHStA, 2000, Bl. 6.

იანვარს, მაგრამ ბანაკიდან ბევრად გვიან, 18 აგვისტოს გაათავისუფლეს.[16] კონსტანტინემ მთლიანობაში სრული ერთი წელი გაატარა ტყვეობაში 1914 წლის 3 აგვისტოდან 1915 წლის 18 აგვისტომდე. რატომ გადაიდო იანვრიდან აგვისტომდე გათავისუფლება, ამის შესახებ ინფორმაცია არქივებიდან არ გვაქვს. თუმცა, 1919 წელს ბერლინში სადოქტორო გამოცდისთვის შედგენილ ავტობიოგრაფიაში კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს: „ჩემმა მიუნხენელმა მეგობარმა, რომანისტმა თომას მანმა თხოვნით მიმართა მეთაურობას ჩემი, როგორც ქართველის ტყვეობიდან გათავისუფლებისთვის, რაც მას გამოუვიდა კიდეც, ისე რომ, მე შევძელი ჩემი სწავლის გაგრძელება მიუნხენში."[17] სიბერეში დაწერილ მემუარებშიც, გამსახურდია მისი გათავისუფლების საკითხში თომას მანის როლს ახსენებს[18] და, როგორც ჩანს, ეს ამბავი სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

გათავისუფლების შემდეგ, გამსახურდია მიუნხენში ბრუნდება და წლის ბოლომდე იქვე რჩება. 2 ოქტომბერს მან თხოვნით მიმართა ბავარიის პოლიციას, რომ მისი მეუღლისთვისაც მიეცათ გერმანიაში დაბრუნების უფლება, მაგრამ 25 ნოემბერს თხოვნაზე უარი ეთქვა განმარტების გარეშე.[19] როგორც ირკვევა, ამავე პერიოდში ამყარებს ის კავშირს ბერლინში მოქმედ ქართულ კომიტეტთან. 1915 წლის 12 დეკემბრის ტელეგრამით მიუნხენის პოლიცია ბერლინის კომენდანტურას სთხოვს თანხმობას, რომ გამსახურდიას მიეცეს ნახრიხტენშტელეში, ანუ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროში გამგზავრების და მუშაობის უფლება.[20] 14 დეკემბერს მოდის თანხმობა[21], ხოლო 18 დეკემბერს ნახრიხტენშტელეს თანამშრომელი ჰარალდ კოზაკი წერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს, რომ პროფესორ ფონ დერ ლაიენის მიერ შერჩეული ქართველი – გამსახურდია უკვე ბერლინში იმყოფება და მის მუდმივ თანამშრომლად აყვანას აპირებენ. ხელფასის სახით მისთვის გათვალისწინებული ჰქონიათ 150 მარკა თვეში, რომელიც მიხეილ წერეთელის ლეგაციის სალაროზე გადაყვანით და მისი ხელფასის გამოთავისუფლების გზით უნდა გადაეხადათ.[22] ანუ, ირკვევა, რომ კონსტანტინე გამსახურდია ბერლინში 1915 წლის 14-18 დეკემბრის შუალედში გადავიდა საცხოვრებლად მისი მიუნხენელი პროფესორის ფრიდრიხ ფონ დერ ლაიენის რეკომენდაციით.

ნახრიხტენშტელეში გამსახურდიას მთავარი მოვალეობა იყო მთარგმნელობითი საქმე: „უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკებში, სემინარებში მუშაობას იგიც ზედ ერთვოდა, რომ მე ღამღამობით სამსახურისთვის საჭირო თარგმანებში ვხარჯავდი ენერგიას. ყოველივე ამას ერთი გარემოებაც დაემატა. ბერლინელმა

16 BayHStA, 2000, Bl. 8.

17 HU, UA, Phil. Fak. 01, Nr. 588, Bl. 126.

18 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი, ჟურნ. „მნათობი", 1963, N9, გვ. 106-107.

19 BayHStA, 2118/13-15. ხსენებული წერილი იმითაცაა საინტერესოა, რომ გამსახურდია თავისი პროგერმანული ორიენტაციის დასამტკიცებლად ასახელებს მის მიერ დაბეჭდილ ან გამზადებულ სტატიებს: 1. „პოლიტიკური მდგომარეობა კავკასიაში", „Süddeutsche Monatshefte", 1915 წლის ბოლო ნომერი. 2. „კავკასიური მითების სამყარო და მათი მსგავსება გერმანულ საგმირო მითებთან", რომელიც პროფესორმა ფონ დერ ლაიენმა ბერლინის ერთერთ სამეცნიერო ჟურნალს მიაწოდა და 3. „კავკასიური სოციალ-დემოკრატია" გამოქვეყნდება მალე „Münchener Post"-ში."

20 BayHStA, 2118, Bl. 12.

21 BayHStA, 2118, Bl. 17.

22 PA AA, R21016, Bl. 149.

ქართველმა ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ამ ორგანიზაციამ გაიჩინა საკუთარი ორგანო „ქართული გაზეთი“ ახლა ამ გაზეთშიაც დავიწყე თანამშრომლობა.“[23] კონსტანტინეს კიდევ ერთ მოვალეობას ქართული ეროვნული კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად, გერმანიაში მყოფ ქართველ ტყვეებთან მუშაობა, მათი კომიტეტისთვის გადაბირება წარმოადგენდა. მაგალითად, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის 1916 წლის 8 მაისის დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ზაგანისა და ოდერის ფრანკფურტის ბანაკებში ქართველი ტყვეების მნიშვნელოვანი ნაწილი იმხანად მეგრელები ყოფილან და მათთან კავშირის იოლად დასამყარებლად ქართული კომიტეტი იყენებდა კონსტანტინე გამსახურდიას.[24] 1916 წლის 26 მაისს გამსახურდია მიხეილ წერეთელთან ერთად იმყოფებოდა ოდერის ფრანკფურტში, სადაც 38 ქართველ სამხედრო ტყვესთან გაიმართა შეხვედრა და მოისმინეს მათი საჩივარი ტყვეთა ბანაკში ცუდ მოპყრობასთან დაკავშირებით.[25]



კ. გამსახურდიას წიგნის „კავკასია მსოფლიო ომში“ ყდა

1916 ნელი საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ კონსტანტინემ კავკასიელის ფსევდონიმით გერმანიაში, ქალაქ ვაიმარში, გამოსცა ბროშურა „კავკასია მსოფლიო ომში“, რომელშიც კავკასიელი ხალხების, განსაკუთრებით კი ქართველების დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებაზე ამახვილებს ყურადღებას. 1919 წელს შედგენილ ავტობიოგრაფიაში კონსტანტინე აღნიშნავდა, რომ 1916 წელს მეორე ბროშურაც გამოსცა, სახელად „პენელოპეს მთხოვნელები აღმოსავლეთში“ (Penelopes Freier im Morgenland), რომელიც დღეს არ იძებნება.[26] კონსტანტინე აღნიშნავს, რომ მასში საუბარი იყო ინგლისისა და რუსეთის ძალმომრეობით საქმიანობაზე ინდოეთში, ირანსა და კავკასიაში. შესაბამისად, პირველი ბროშურის მსგავსად, ესეც უდავოდ პროპაგანდისტული, პროგერმანული ნაშრომი იქნებოდა.

1916 წელს გამსახურდია ქართული კომიტეტის სახელით იმყოფებოდა შვეიცარიაში. 27-29 ივნისს მან მონაწილეობა მიიღო ლოზანაში გამართულ ერთა

23 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი (1917-1927), „ლიტერატურული საქართველო“, 1991, N 27, გვ. 8.

24 PA AA, R21256, Bl. 31

25 PA AA, R21258, Bl. 32-33. დამოწმებულ წერილს ხელს აწერს მიხაკო წერეთელი. ის აღნიშნავს, რომ ტყვეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართეს შესაბამის პირებს, კაპიტნებს ფონ პიულსენსა და ნადოლნის. ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ განწყობა თითქმის ყველა მათგანში ძალიან ცუდი იყო. მათ არ ჰქონდათ თურქების მიმართ ნდობა, ეშინოდათ მათი კავკასიაში წინსვლის და დარწმუნებულნი იყვნენ რუსეთის დაუმარცხებლობაში.

26 HU, UA, Bl. 127.

კავშირის მესამე კონფერენციაზე, სადაც რუსეთის იმპერიის უმცირესობები მრავლად იყვნენ წარმოდგენილი. სიტყვით და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდა ქართული კომიტეტის ლიდერი მიხაკო წერეთელი. კონგრესს. მიხაკოს და კონსტანტინეს გარდა ესწრებოდნენ მუსლიმი ქართველები: რიზა ბეი, ქიამილ ბეი თავდგირიძე, ჰასან ფეჰმი ირემაძე, ქიამილ ბეი დარბაიძე.[27] 1916 წლის აგვისტოში გამსახურდია უკვე მეორედ აღმოჩნდა შვეიცარიაში, ამჯერად მიზეზი სულ სხვა იყო: ზედმეტი შრომისგან გამოწვეული დაღლილობისგან მკურნალობა. მის ჟენევაში გამგზავრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ქართველების კარგ მეგობარს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელ ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს, დამხმარედ კი წაჰყოლია გერმანელი მეგობარი ქალი ადელჰაიდე ლენცი.[28] ჟენევაში მყოფმა კონსტანტინემ 4 ოქტომბერს წერილი მისწერა ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკის კომენდანტს, კაპიტან ულმერს, რომელთანაც შინაარსიდან ირკვევა, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონია. კაპიტან ულმერს მემუარებში მაიორად იხსენიებს ავტორი[29], როგორც ჩანს, წლების შემდეგ ჩინი დაავიწყდა. გამსახურდია სთხოვს ულმერს, რომ გაუწიოს კიდევ ერთი სიკეთე და უპოვოს უცხოეთის პასპორტი, რომელიც ტრაუნშტაინის კანცელარიაში დაპატიმრებისას ჩამოართვეს და რომლის გარეშეც შვეიცარიაში ყოფნისას პრობლემები ექმნებოდა.[30] წერილის ავტორი სთხოვს ადრესატს, რომ შინაარსის შესახებ არ უთხრას არავის, მათ შორის ავტორის ნაცნობებსაც კი, ხოლო თუ პასპორტს იპოვიან, გაუგზავნოს ჟენევაში გერმანიის საკონსულოს მისამართზე.[31] ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკში გამსახურდიას პასპორტი ვერ იპოვეს, რის შემდეგ მისი თხოვნა მიუნხენის პოლიციაში გადაიგზავნა. 28 ოქტომბრით დათარიღებულ საბუთში ჩანს, მიუნხენის პოლიციამ დაადგინა, რომ გამსახურდიას პასპორტი მისი მეუღლისთვის, რებეკასთვის გაუტანებიათ 1914 წელს საქართველოში,[32] რის შესახებაც კონსტანტინემ მხოლოდ 1916 წლის 9 ნოემბერს შეიტყო ჟენევაში გერმანიის საკონსულოში.[33] საფიქრებელია, რომ კონსტანტინეს პასპორტი სჭირდებოდა არა შვეიცარიისთვის, არამედ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში დაბრუნება. თავად მოგონებებში წერს, რომ ჟენევაში ვინმე ალოიზ სიმსონის ქვრივისგან შეუძენია პასპორტი და ასეთი გზით მოახერხა ქვეყნიდან გასვლა.[34] საქართველოში ის დაბრუნდა 1916 წლის ბოლოს ჟენევიდან პარიზის, ლონდონის, ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთის, პეტროგრადის და მოსკოვის გავლით.[35]

---

27 ბაქრაძე ლ. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ, თბ., 2010, გვ. 131; Bihl Wolfdieter, Die Kaukasuspolitik der Mittelmächte, Teil I, Wien 1975, გვ. 46.

28 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი (1917-1927), „ლიტერატურული საქართველო", 1991, N 27, გვ. 8.

29 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი, ჟურნ. „მნათობი", 1963, N9, 1963, N 9, გვ. 107.

30 BayHStA, 2118, Bl. 6.

31 BayHStA, 2118, Bl. 7.

32 BayHStA, 2118, Bl. 11.

33 BayHStA, 2118, Bl. 4.

34 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი (1917-1927), „ლიტერატურული საქართველო", 1991, N 27, გვ. 8.

35 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი (1917-1927), „ლიტერატურული საქართველო", 1991, N 27, გვ. 8-9

1917 წლიდან წელიწადნახევრის განმავლობაში გამსახურდია საქართველოში რჩებოდა, აქვეყნებდა პუბლიკაციებს მის გერმანიაში ყოფნის პერიოდზე,[36] თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასთან, წერდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის წერილებს მათი პრესის ფურცლებზე. მდგომარეობა შეიცვალა გერმანელების მხარდაჭერით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1918 წელს. თავის მემუარებში გამსახურდია წერს: „1918 წლის მიწურულში საქართველოს მთავრობამ მე წარმგზავნა ბერლინს იქაურ ქართულ საელჩოს ატაშედ. ჩემთან ერთად მოდიოდა ცნობილი პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. ჩვენ ფოთიდან გავყევით გერმანულ სამხედრო გემს."[37] თუმცა, 1919 წლის საბუთში კონსტანტინე აღნიშნავს: „1918 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს[38] დავალებით გავემგზავრე გერმანიაში გერმანიის სასკოლო სისტემის შესასწავლად, რათა შემდგომში ქართული სკოლები გერმანულ მოდელზე აგვეწყო. ამჟამად მე ვარ ქართველი რედაქტორი ქართულად ენაზე გამომავალი ორკვირეული გაზეთისა „ევროპის მოამბე."[39] კიდევ ერთი ცნობა აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერილიდან: „1918 წლის ივნისს ქართული გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს შუამდგომლობის თანახმად განათლების სამინისტრომ ნება დამრთო ერთი წლით წამოვსულიყავ ბერლინის უნივერსიტეტში ფილ. დოქტორის ეგზამენის ჩასაბარებლად, გარდა ამისა, სამინისტრომ მომანდო გერმანიის საშუალო ტიპის სკოლაზე მოხსენება დამეწერა, რისთვისაც შესაფერ დახმარებას მპირდებოდა."[40] აშკარად, ბოლო ცნობები უფრო სწორია კონსტანტინეს გერმანიაში გამგზავრების მიზეზის დასადგენად. პირველი იმიტომ, რომ სულ რამდენიმე თვის მერეა მომხდარიდან დაწერილი და მეორე, გამსახურდიას სახელი ბერლინში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში არ ჩანს.

რაც შეეხება ჟურნალ „ევროპის მოამბეს", მისი გამოცემა დაიგეგმა 1918 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც არსებობა შეწყვიტა ქართული ეროვნული კომიტეტის მიერ წლების მანძილზე გამოცემულმა „ქართულმა გაზეთმა" ეს უნდა ყოფილიყო ქართული ორკვირეული და გერმანული ყოველკვირეული გამოცემა, რომლებისთვისაც ეძებდნენ კადრებს. სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდნენ შემადგენლობაზე, უკვე ოქტომბრის თვეში იგეგმებოდა ნომრის გამოცემა, რომლის რედაქტორებად უნდა წასულიყვნენ რიხარდ მეკელაინი და გიორგი კერესელიძე, ხოლო რედაქტორის თანაშემწედ, კონსტანტინე გამსახურდია.[41] გამსახურდიას ჟურნალთან კავშირს ადასტურებს საარქივო მასალა, სადაც ჩანს, რომ ის „ევროპის მოამბის" ბლანკებზე წერდა წერილებს

---

36 მოგონებები გერმანიაში ტყვეობის შესახებ იხ. გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917, N 813, 815, 820

37 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი (1917-1927), „ლიტერატურული საქართველო", 1991, N 28, გვ. 9.

38 კულტურის სამინისტრო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ არსებულა, ალბათ, უნდა იყოს განათლების სამინისტრო.

39 HU, UA, Bl. 128.

40 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 52, ფურც. 36.

41 „ევროპის მოამბის" შესახებ ვრცლად იხ. ბაქრაძე, ლ. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ, თბ., 2010, გვ.106-108.


იმ დროს. თუმცა, ამ ჟურნალის გამოცემა საბოლოოდ მაინც ვერ მოხერხდა, რადგან ნოემბერში გერმანიაში რევოლუცია მოხდა და აღარავის ეცალა მისთვის.

ბერლინში დაბრუნების შემდეგ, 1918 წლის ივლისიდან, გამსახურდია სამეცნიერო საქმიანობას მისდევს ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში. ის უნივერსიტეტში ირიცხებოდა ჯერ კიდევ 1916 წლის 7 იანვრიდან.[42] 1918 წლის 14 ოქტომბერს გამსახურდია წერილს უგზავნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს, ქართველების მეგობარ ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს. წერილში აღნიშნულია, რომ ის უკვე 6 წლის მანძილზე სწავლობს გერმანულ უნივერსიტეტებში, 1915 წლიდან (წელი შეცდომით აქვს მითითებული) კი ირიცხება ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც უნდა რომ 1919 წლის ზამთრის სემესტრში დოქტორის ხარისხი დაიცვას, ფაკულტეტის დეკანმა ერდმანმა კი მას შეატყობინა, რომ ახალი წესების მიხედვით მხოლოდ იმ უცხოელებს შეუძლიათ ამის გაკეთება, ვისთვისაც გერმანული დედაენაა.[43] გამსახურდია სწერს ვეზენდონკს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ქართველია, საკმაოდ კარგად ფლობს გერმანულს და მაგალითად მოჰყავს მის მიერ გერმანიაში გამოქვეყნებული სტატიები და ბროშურა პირველი მსოფლიო ომის შესახებ. გამსახურდია თხოვნით მიმართავს ვეზენდონკს, დაეხმაროს მას კულტურის სამინისტროსგან ნებართვის მოპოვებაში, რომელიც ფაკულტეტის დეკანს უნდა გადაეგზავნოს ბერლინის უნივერსიტეტში.[44]

17 ოქტომბერს, ნახრიხტენშტელედან გაიგზავნა კ. გამსახურდიას დახასიათება კულტურის და მეცნიერების სამინისტროში. წერილში აღნიშნულია გამსახურდიას განვლილი აკადემიური გზის შესახებ და ხაზი აქვს გასმული შემდეგ გარემოებას: „გერმანიისადმი მისი დამოკიდებულებით ის არის ერთადერთი ქართველი, რომელიც მიხეილ ფ. წერეთელს შეიძლება შეედაროს, რომელიც ღიად, სულით და ხორცით გერმანიის ერთგულია.“[45] მაგალითად დასახელებულია გამსახურდიას ნაწერები, თარგმანები, ასევე მისი დაპირისპირება პროანტანტურად განწყობილ ქართულ ინტელიგენციასთან ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას. გამსახურდიას თვისებების შესახებ აღნიშნულია: „პიროვნულად გამსახურდია არის ტიპური წარმომადგენელი სამხრეთული სიამაყის და ქედმაღლობის, ისევე როგორც ორიენტალური მგრძნობიარობის, აქედან გამომდინარე ურთიერთობაში დიდი სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილი და ყოველგვარი სიმწვავე ბრალდებისა და კრიტიკის დროს თავიდან აცილებული.“[46] ბოლოს, რჩევის სახით, დამატებულია, რომ გამსახურდია, როგორც მომავალი დოცენტი თბილისის უნივერსიტეტში, შეუფასებელი ძალა იქნება გერმანიის პროპაგანდისთვის, ამიტომ არავითარ შემთხვევაში ხელი არ შეუშალონ და პირიქით, უნდა დაეხმარონ მას სურვილის განხორციელებაში. წერილს ხელს აწერს გერჰარდ მიულერი.[47]

---

42 HU, UA, Bl. 147.
43 PA AA, R63014, Gamsachurdia an Wesendonk 14.10.1918.
44 PA AA, R63014, Gamsachurdia an Wesendonk 14.10.1918.
45 PA AA, R63014, Müller an Nachrichtenstelle für den Orient 17.10.1918.
46 PA AA, R63014, Müller an Nachrichtenstelle für den Orient 17.10.1918.
47 PA AA, R63014, Müller an Nachrichtenstelle für den Orient 17.10.1918.



უნივერსიტეტის საბუთების ასლები
(დაცულია ჰუმბოლტის უნივერსიტეტის არქივში)

ინფორმაცია დოქტორობის მსურველ კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანს 21 ოქტომბერს გადაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროდან, რასაც მოჰყვა განათლების სამინისტროს წერილი 29 ოქტომბერს. 5 ნოემბერს ფაკულტეტის დეკან ერდმანის მიერ განათლების სამინისტროსთვის უკან გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ჰქონდა შეხვედრები ბერლინის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და რომ მას დამაიმედებელ ინფორმაციას აძლევენ. საბოლოო გადაწყვეტილება კი მიღებული იქნებოდა მას შემდეგ, რაც გამსახურდია წერის პროცესში მყოფ ნაშრომს წარმოადგენდა. გამსახურდიასთან მუშაობაზე თანხმობა განუცხადებიათ პროფესორებს ტანგლს, შიმანსა და ბრიუკნერს.[48] გამსახურდიას ბერლინური დოქტორანტურის ბედი საბოლოოდ ირკვევა 1918 წლის 22 ნოემბრის წერილით, რომელიც რევოლუციის შემდგომი გერმანიის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს: „ფილოსოფიის სტუდენტ კონსტანტინე გამსახურდიას განაცხადი დოქტორანტურაზე მიღებულია იმ წინაპირობით, რომ ის გარკვეულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, განსაკუთრებით კი, წარმოადგენს ცნობას წინასწარი სასკოლო განათლების შესახებ."[49]

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის არქივში დაცულია კონსტანტინე გამსახურდიას სადისერტაციო განაცხადში შესული დოკუმენტები, გარდა თავად სადისერტაციო ნაშრომისა. ამ დოკუმენტებიდან ვიგებთ ზუსტ ინფორმაციას

48 PA AA, R63014, Erdmann an den Minister für Geistlichen und Unterrichtsangelegenheiten 5.11.1918.

49 PA AA, R63014, Ministerium für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 22.11.1918.

კონსტანტინეს ბერლინში სწავლის შესახებ. მაგალითად, მას 2 სემესტრი გაუტარებია უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვამდე და, როგორც ჩანს, ჩაუთვალეს მოსკოვის უნივერსიტეტის სემესტრები. სადისერტაციო განაცხადში შედის გამსახურდიას სამგვერდიანი ავტობიოგრაფია, მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობა, გერმანიაში საქართველოს წარმომადგენლის იაზონ ბაქრაძის დასტური დაკარგული სერტიფიკატის ნაცვლად, რომ გამსახურდიას ქუთაისის გიმნაზია ნამდვილად აქვს დამთავრებული. ვგებულობთ, რომ საგამოცდოდ კონსტანტინეს აურჩევია შემდეგი საგნები: მთავარ დარგად „შუა საუკუნეებისა და რუსეთის ისტორია“, მეორად დარგად „ფილოსოფია“ და „სლავური ენები და ლიტერატურები“ გამსახურდიას ნაშრომს თავდაპირველად ერქვა „შესავალი საქართველოს ისტორიაში უძველესი დროიდან პირველ ქრისტიანულ საუკუნეებამდე“ 1918 წლის დეკემბერში დისერტაციის დაცვა გადაიდო 1919 წლისთვის, რადგან პროფესორებმა ასე ისურვეს: შიმანმა იმიტომ, რომ ის არ იყო ძველი პერიოდის სპეციალისტი, მაიერმა კი დაიწუნა გამოყენებული წყაროები მათი სიძველის გამო.[50]

ორიოდე სიტყვა ვთქვათ გამსახურდიას მასწავლებლების შესახებაც ბერლინის უნივერსიტეტში. ესენი იყვნენ ძველი ისტორიის სპეციალისტი ედუარდ მაიერი, ფილოსოფოსი ბენო ერდმანი, სემიტური ენების სპეციალისტი ედუარდ ზახაუ, ფილოსოფოსი ალოიზ რილი. განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობა კონსტანტინეს ჰქონდა სამ პროფესორთან: აღმოსავლეთ ისტორიის სპეციალისტ თეოდორ შიმანთან, ირანული და სომხური ფილოლოგიის სპეციალისტ იოზეფ მარკუარტთან და ქართული ენის სპეციალისტ რიხარდ მეკელაინთან.[51]

კონსტანტინეს ეჩქარებოდა დისერტაციის დაცვა, რადგან საქართველოს ბერლინის წარმომადგენლობისგან მიიღო ინფორმაცია მაისში ტყვეებით და საქონლით დატვირთული გემის საქართველოში გაგზავნის შესახებ. 1919 წლის 25 აპრილს მან წერილი მიწერა ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკან ბენო ერდმანს და აუხსნა არსებული ვითარება. გამსახურდია განმარტავს, რომ მას მაისის ბოლომდე შეუძლია გერმანიაში დარჩენა. პირველი იმიტომ, რომ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიიდან ის ზაფხულის სემესტრის ბოლომდეა გათავისუფლებული და მეორე, გერმანიიდან გემით იგეგმება ტყვეების და საქონლის გაგზავნა საქართველოში მთავრობის ხარჯით, ხოლო თუ ის ვერ მოასწრებს 20 მაისამდე დისერტაციის დაცვას, შემდეგ თავისი ხარჯით მოუწევს გამგზავრება, რაც რამდენიმე ათასი მარკა ჯდება დამატებით.[52] წერილს თან ახლავს ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა გერმანიაში საქართველოს წარმომადგენლის იაზონ ბაქრაძის ხელმოწერით.[53] გამსახურდიას თხოვნას დეკანი და ფაკულტეტის პროფესორები გაგებით შეხვდნენ და აპრილშივე დაიწყეს მისი ახალი სადისერტაციო ნაშრომის „საქართველოს მეფე ერეკლე მეორის“ განხილვა. განხილვაში მონაწილეობას ღებულობდნენ პროფესორები შიმანი, ტანგლი და ბრიუკნერი. შეფასება „კარგი“ ანუ laudabile მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალისტმა თეოდორ შიმანმა მისცა გამსახურდიას ნაშრომს, ტანგლმა და ბრიუკნერმა კი „საშუალო“ ანუ idoneum

---

50 ინფორმაცია სხვადასხვა საბუთებიდან HU, UA, Bl. 127-153.

51 გამსახურდიას ბერლინელი პროფესორების შესახებ იხ. Chotiwari-Jünger, Konstantine Gamsachurdia. Ein bekannter georgischer Schriftsteller – einst Student der Berliner Universität. in: Beiträge zur Geschichte der Humboldt-Universität zu Berlin, Nr. 6, Berlin 1982, S. 64-65.

52 HU, UA, Bl. 139-140.

53 HU, UA, Bl. 141.

დაუწერეს. საბოლოო ჯამში, კ. გამსახურდიამ დისერტაცია 1919 წლის 15 მაისს დაიცვა, სადისერტაციო სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ნაშრომი ბოლოს idoneum-ით შეფასდა.[54] გამსახურდიამ დისერტაციის დაცვასთან და დოქტორის ხარისხის მიღებასთან ერთად აიღო ვალდებულება, რომ თავის ნაშრომს ორი წლის მანძილზე 180 ეგზემპლარის რაოდენობით გამოსცემდა.[55] დღეისთვის არ არსებობს ნაშრომის არც დედანი და არც გამოცემა. უცნობია თუ რა დაემართა უნივერსიტეტში დატოვებულ დედანს, რადგან სხვა დოკუმენტები ხელუხლებლადაა შემორჩენილი. რაც შეეხება გამოცემას, ის საერთოდ არ შედგა. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული კონსტანტინეს მიერ აკაკი ჩხენკელისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ გერმანიაში საქართველოს საელჩომ და მისმა ხელმძღვანელმა იაზონ ბაქრაძემ უარი უთხრეს კონსტანტინეს დისერტაციის დასაბეჭდად თანხის მიცემაზე. გამსახურდია აპირებდა 200 ეგზემპლარის დაბეჭდვას და მათ დარიგებას ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის, გერმანიისა და შვეიცარიის ბიბლიოთეკებისთვის.[56] საელჩოში გამსახურდიასთვის უთხოვიათ დეკანატიდან ცნობის წარმოდგენა, რომ დისერტაციის დაბეჭდვა საჭირო იყო, რაზეც კონსტანტინე აღშფოთებას ვერ მალავს ჩხენკელისადმი წერილში: „რაკი ერთხელ გავილანძღე თავი, მოგმართეთ და საელჩომ ასეთი პასუხი გამცა, ჩემ დეკანსაც რომელსაც მე დიდად პატივს ვცემ თავს არ გავალანძღინებდი".[57] თავის მხრივ, იაზონ ბაქრაძესაც მიუწერია წერილი ჩხენკელისთვის, სადაც გერმანიაში მყოფი სტუდენტების დასახმარებლად განეული ხარჯების შესახებ საუბრობს. კონსტანტინე გამსახურდიას თხოვნით მიუმართავს, რომ მიეცათ მისთვის სადოქტორო გამოცდების ჩაბარების და ნაშრომის დაბეჭდვის ფული, სულ 2500 მარკა. საელჩოს განუხილავს და დაუდგენია, უარი ეთქვას გამსახურდიას დისერტაციის გამოსაცემ თანხაზე, მაგრამ მიუცია „350 მ. ეგზამენებისათვის და 50 მ. დისსერტაციის მაშინაზე გადასაწერათ, სულ 400 მარკა." გარდა ამისა, 1919 წელს უნივერსიტეტში პალტო მოუპარავთ კონსტანტინესთვის და სესხის სახით საელჩოს დამატებით 600 მარკა მიუცია.[58]

თავის წერილში გამსახურდია მხარდაჭერას სთხოვს ა. ჩხენკელს მოზრდილი, მაღალი ხარისხის 200 გვერდიანი კრებულის გამოცემაში საქართველოს შესახებ, რომელშიც მისი ნაცნობი გერმანელი მეცნიერებიც მიიღებდნენ მონაწილეობას.[59] თუმცა, როგორც ჩანს, არც ეს წიგნი გამოსულა. ამ პერიოდში, ე.ი. 1918-1919

---

54 HU, UA, Bl. 147-150.

55 HU, UA, Bl. 142.

56 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 52, ფურც. 34.

57 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 52, ფურც. 35.

58 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 52, ფურც. 41.

59 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 52, ფურც. 34. კ. გამსახურდია მიუთითებს, რომ ბერლინის უნივერსიტეტის ცნობილი ორიენტალისტი ედუარდ მაიერი მზად იყო თანამშრომლობისთვის, უკვე უსაუბრია მასთან. დახმარების მსურველებს შორის ასევე ასახელებს მიუნხენელ ორიენტალისტს და ქართულის მცოდნე ფრიც ჰომელს, ლაიპციგელ ქართული სახელმწიფო სამართლის სპეციალისტ ალექს პოლდაკს, რომელსაც დაუწერია „Zwei Grundsteine aus der georgischen Staats- und Rechtsgeschichte", კიონიგსბერგელ პროფესორ ბორკს, რომელსაც 1914 წელს ლაიპციგში გამოუცია „Das georgische Volk", ასევე მიუნხენის ეთნოგრაფიული მუზეუმის გამგეს ადოლფ დირს და ბერლინელ მკვლევრებს, ჰუსინცსა და რიხარდ მეკელაინს.

ნლების კორესპონდენციაში, კონსტანტინეს მისამართად ბერლინში ყველა საბუთში მითითებულია Dorothenstraße 64 III.

კონსტანტინე გამსახურდიამ, თავისი გერმანული ოდისეის დასასრულს, მონაწილეობა მიიღო გერმანიაში მყოფი მსოფლიო ომის ქართველი ტყვეების საქართველოში დაბრუნებაში. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა გერმანიაში ორგანიზებას უკეთებდა ამ პროცესს. 1919 წლის 28 აპრილს საქართველოს წარმომადგენელი იაზონ ბაქრაძე აკაკი ჩხენკელს ატყობინებდა, რომ გერმანიის სამხედრო სამინისტროს მათი თხოვნით, 45 ტყვეთა ბანაკიდან მოსული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე დაუდგენია, რომ გერმანიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა 2 ათასამდე საქართველოს მოქალაქე ტყვე, მათ შორის ასამდე სომეხი და რუსი.[60] როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს წარმომადგენლობის სურვილი იყო, რომ მაისის ბოლოს გაეშვა გემი საქართველოსკენ, მაგრამ ეს ფერხდებოდა გემის არქონის გამო – ომის შემდგომ გერმანიაში შეუძლებელი იყო გემის შოვნა, ქართველები კი ცდილობდნენ ჰოლანდიური, დანიური ან შვედური გემის შეღავათიან ფასში პოვნას. 14 ივნისს კონსტანტინე გამსახურდია აკაკი ჩხენკელს წერდა: „ახლა გადავწყვიტე ამა წლის აგვისტოში ქართულ უნივერსიტეტს წარუდგინო საჰაბილიტაციო შრომა, პრივატ დოცენტის კათედრის მისაღებად: ამავე დროს, აგვისტოშივე უნდა განუცხადო განათლების სამინისტროს რომ გიმნაზიის მასწავლებლობის თანამდებობაზე ხელს ვიღებ: როგორც მოგეხსენებათ ასეთ შემთხვევაში, როცა მასწავლებელს სამსახურისათვის თავის დანებება უნდა მან სათანადო დირექციას ეს უნდა აცნობოს სასწავლო წლის დასაწყისამდის. საქ. მთავრობის ბერლინელ წარმომადგენლისაგან გავიგე, რომ თქვენი ბრძანების თანახმად, მას ნება არა აქვს გერმანიაში დარჩენილი მოქალაქენი გააგზავნოს, ვიდრე მთავრობის მიერ დაქირავებული გემი წავა. რადგანაც გემი ჯერ ნაშოვნიც არ არის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ ამ საშუალებით ჯერ კიდევ მინიმუმი სამი თვე უნდა ვიცადო აქ – ამიტომ ვთხოვ უმორჩილესად საქ. მთავრობის დელეგაციას, მომცეს საშუალება სამშობლოში დაბრუნებისა, რასაც ჩემი სამსახური და ჩემი ოჯახური მდგომარეობა დაუყოვნებლივ მოითხოვს ჩემგან. იმედი მაქვს, ამ თხოვნის პასუხს გადასცემთ ჩვენი მთავრობის ბერლინელ წარმომადგენელს ბატონ იაზონ ბაქრაძეს.“[61]

გამსახურდიამ საქართველოში მალე დაბრუნება მაინც ვერ მოახერხა. საბოლოოდ, საქართველოს მთავრობამ დაიქირავა შვედური გემი „ქრისტიან ნებე“ და მისი საშუალებით გადაწყდა ტყვეების სამშობლოში გაგზავნა. გემის გამგზავრებაზე დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის გერმანიაში საქართველოს წარმომადგენლის ვლადიმერ ახმეტელის 13 აგვისტოს წერილი აკაკი ჩხენკელისადმი. „ქრისტიან ნებე“ 2 აგვისტოს დილის ათის ნახევარზე დაძრულა ჰამბურგიდან. გემზე იმყოფებოდა ზუსტად 1716 ტყვე, აქედან 32 სომხეთის მოქალაქე. ტყვეების უფრო დიდ ციფრზე საუბარი, ახმეტელის თქმით, გადაჭარბებული ყოფილა, თუმცა რამდენიმე ათეული ტყვე სხვადასხვა მიზეზების გამო მაინც რჩებოდა გერმანიასა და ავსტრიაში.[62] ვ. ახმეტელი

60 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 52, ფურც. 26.

61 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 52, ფურც. 36.

62 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 399, ფურც. 4-7.

აღნიშნავს: „გემზე ტყვეების უფროსად ოფიციალურად ბ. ერ. ბერნშტეინი დაინიშნა... ოფიციალურ პირის გარდა სამხედრო ტყვეებმა აირჩიეს 150 კაცზე ერთი წარმომადგენელი, რიცხვით შვიდი კაცი. ტყვეთა შვიდ წარმომადგენლებს დაემატა ჩვენ მიერ დასახელებული, ცივილ პერსონებიდან დასახელებული ექვსი კაცი. ცივილებიდან და ტყვეებიდან არჩეულმა წარმომადგენლებმა შეადგინეს ერთი კომისია – ანუ საბჭო, როგორც თითონ უწოდებენ და ეს საბჭო განაგებს გემზე საოჯახო, ჰიგიენურ და ადმინისტრაციულ საქმეებს. საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ბ. კონსტანტინე გამსახურდია".[63]

გამსახურდიას მოგონებების მიხედვით, გემის მარშრუტი იყო: ჰამბურგი, საუთჰემპტონი, გიბრალტარი, მალტა, სტამბული, ფოთი. მოგზაურობისას თავს გადახდენილი არაერთი ამბავი, მათ შორის ბუნტის მცდელობები ტყვეების მხრიდან, ბერნშტაინთან დაპირისპირება, ფსიქიკურად შეშლილებთან დაკავშირებული სირთულეები და პირადი განცდები, კ. გამსახურდიას დეტალურად და მომეტებული ემოციებით აღწერილი აქვს „ლანდებთან ლაციცში".[64] საბოლოოდ, გემი აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩამოვიდა ფოთში მშვიდობით და კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, გერმანული ეტაპი, დასრულდა.

P.S. გამოჩენილი ყურადღებისა და ცნობებისთვის დიდი მადლობა კონსტანტინე გამსახურდიას მკვლევრებს, ქალბატონ შტეფი ხოტივარ-იუნგერს ბერლინში და ბატონ სოსო სიგუას თბილისში.

GIORGI ASTAMADZE

Konstantine Gamsakhurdia in Germany 1912-1919

Summary

Article reviews the life of one of the most influential Georgian writers of the 20th c. Konstantine Gamsakhurdia during his early years when he was a young student of various German universities. Paper is based on various materials from German and Georgian archives together with some existing articles by different authors.

Gamsakhurdia visited Germany in 1912 and studied initially in Königsberg (1912) and Leipzig (1913). For the second time Gamsakhurdia visited Germany in 1914 together with his future wife Rebeka shortly before the outbreak of the World War. He had ties with members of literary circles in Munich and hoped to stay in Bavaria without having problems with local police due to his reknown pro-German orientation. Unfortunately for him, he was assumed by the mob as a Serb in the

63 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 399, ფურც. 8-9.

64 გამსახურდია კ. ლანდებთან ლაციცი (1917-1927), „ლიტერატურული საქართველო", 1991, N 28, გვ. 9-10.

streets of Munich and was arrested and sent to the Traunstein camp where he spent a year from August 1914 till August 1915.

Gamsakhurdia was released with the support of his German colleague Thomas Mann and moved shortly after that to Berlin where he worked for the „Nachrichtenstelle für den Orient", a bureau under German Foreign Office, elaborating the eastern policy of the Reich. Gamsakhurdia was an interpreter there but he also got acquainted with fellow Georgians – members of the „Georgian Committee of Independence" who were recruiting Georgian POWs for the Georgian Legion – a military unit fighting on German and Turkish sides against Russians on the Caucasian front. Gamsakhurdia was involved in these activities.

In 1918 Gamsakhurdia visited Germany again, this time with two goals: 1. To thoroughly learn the secondary school system of Germany and write a report about it for the Ministry of Education and Culture of the newly-born Republic of Georgia. 2. To write a PhD thesis and pass final exams at the University of Berlin. Gamsakhurdia finally got his PhD title on May 15, 1919. His thesis referred to the reign of the last independent Georgian King Erekle II at the end of the 18th c. Later that year Gamsakhurdia co-organized the Georgian naval mission from the harbour of Hamburg to Poti to bring home some 1716 Georgian POWs with Swedish ship „Christian Nebe" hired by the government of Georgia.

მაია ცერცვაძე

ქართველი ემიგრანტებისადმი მიძღვნილი გიორგი გამყრელიძის ლექსები



გიორგი (გუგული) გამყრელიძე

მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს ცხოვრება და შემოქმედება საბჭოთა რეჟიმს გარიდებული ცნობილი ემიგრანტის, ქართული კულტურული ემიგრაციის ბრწყინვალე წარმომადგენლის, პოეტ **გიორგი (გუგული) გამყრელიძისა** (ლიტ. ფსევდონიმი „გრიგოლ ზოდელი") (1904-1974), რომელმაც საქართველო 1923 წელს დატოვა. იგი სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრა და შემდეგ სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა – ცხოვრობდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, გარდაიცვალა და დაკრძალულია მიუნხენში თავის ერთგულ გერმანელ მეუღლესთან ერთად.

ქართველმა ისტორიკოსებმა და ლიტერატორებმა გარკვეული ყურადღება უკვე დაუთმეს გიორგი გამყრელიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის, მისი ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას. მისი პოეზია, რომელშიც მხატვრულად ტრანსფორმირდა უმთავრესად იძულებით მიტოვებული, რუს ოკუპანტთაგან დაპყრობილი სამშობლოსა და თანამემამულეთა ტრაგიკული ხვედრი და სავალალო ყოფა, საინტერესოა მრავალი კუთხით – თემატიკისა და მოტივების, ლექსთწყობისა და პოეტიკის, აგრეთვე სხვა პოეტთა შემოქმედებასთან ავტორის მიმართების თვალსაზრისით.

1960 წელს სანტიაგო დე ჩილეში გამოიცა გიორგი გამყრელიძის ლექსთა კრებული სახელწოდებით „გვიანი რთველი" კრებულს ყურადღება დაუთმო გრიგოლ რობაქიძემ. 1962 წელს პარიზში გამომავალ ჟურნალში „ბედი

ქართლისა" (#39-40) მან გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი სათაურით „გვიანი რთველი" გიორგი გამყრელიძისა", რომელშიც მაღალი შეფასება მისცა ავტორის პოეზიას და თავისი შენიშვნებიც დაურთო. *„გიორგი გამყრელიძე ცნობილია ქართულ ემიგრაციაში... მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა"* [1] – ასე დაახასიათა რეცენზენტმა პოეტი.

დასახელებულ კრებულში გაერთიანებულია ძირითადად ერთი თემატური რკალის პოეტური ნიმუშები და მას მსჭვალავს შემდეგი მოტივები: პატრიოტიზმი, სამშობლოს წარსული და აწმყო, მისი გმირული ისტორია და სახელოვანი შვილები, 1921 წლის საბჭოთა ოკუპაცია და რუსების მიერ საქართველოს თავს დატეხილი ბოროტება, ძლიერი ნოსტალგია. ამ უკანასკნელის გამო აქ წარმოდგენილ პოეზიას პირობითად ნოსტალგიური ლირიკაც შეიძლება ეწოდოს.

ემიგრანტული პოეზია ზოგადად ხასიათდება ნოსტალგიური განწყობითა და მოიცავს სამშობლოს მონატრებით გამოწვეული სევდა-ნაღველით გამსჭვალულ ლექსებს. ქართველ ემიგრანტ პოეტებსაც (შალვა ამირეჯიბი, გიორგი ყიფიანი, გიორგი ლოლუა, სიმონიკა ბერეჟიანი, გივი კობახიძე...) ამ სულისკვეთების მრავალი პოეტური სტრიქონი შეუთხზავთ, რომელთაც მათ პოეტურ კრებულებსა და ეპიტაფიებში ვეცნობით.

გიორგი გამყრელიძის პოეზიის ლიტერატურათმცოდნეობითი შესწავლის ცდებმა მოგვცა მტკიცე საფუძველი იმის თქმისა, რომ იგი სრულიად განცალკევებით დგას და გამორჩეული ავტორია ნოსტალგიურ მოტივებზე შექმნილი პოეტური ტექსტების მხრივ. ძნელია მოიძებნოს მეორე პოეტი, რომელსაც ასეთი მოცულობითა და სიმძაფრით, ასეთი ექსპრესიითა და მხატვრულობით გადმოეცეს ნოსტალგიური ნარატივი.

ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტია გიორგი გამყრელიძის კრებულში „გვიანი რთველი" შესული მიძღვნითი ლექსები, რომელთა ადრესატები არიან ცნობილი ქართველი ემიგრანტები. ეს ლექსებია:

1. **„დამშვიდობება" (ეძღვნება შალვა ამირეჯიბის ხსოვნას);**
2. **„გლეხი ჩეროში" (ეძღვნება ვიქტორ ნოზაძეს) (1956);**
3. **„თამარის დროშა" (ეძღვნება კალე სალიას და „ბედი ქართლისას" თანამშრომლებს) (1947);**
4. **„მწუხრის ზარის დროს" (ეძღვნება ნინო სალიას) (1956);**
5. **გრიგოლ რობაქიძეს („ორი ფოთოლის გამო").**
6. **„დაბრუნება დილით" (ეძღვნება გივი კობახიძეს);**
7. **„სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას" (1957);**
8. **„კოლიბრის გული" (ეძღვნება მიხეილ დადიანს) (1957);**
9. **„დარდი" (ეძღვნება მიტო ანანიაშვილს) (1940).**

---

1 რობაქიძე გ. დღიურითგან. ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2012 გვ. 211.

დასახელებულ ლექსთა სათაურები და ადრესატთა ჩამონათვალი თავისთავად უკვე მრავლისმთქმელია. მიძღვნის ობიექტები პოეტის მსგავსად ქართული პოლიტიკური და კულტურული ემიგრაციის საინტერესო და დამსახურებული წარმომადგენლები არიან. გამოკვლევაში მათ ემიგრანტულ ცხოვრებასა და ღვაწლს მოკლედ შევეხებით, რადგან მათზე უკვე ბევრი დაიწერა, მეტწილ ყურადღებას კი დავუთმობთ ამ პირთა გიორგი გამყრელიძესთან ურთიერთობის საკითხებს. შევეცდებით აგრეთვე ამ პოეტური ტექსტების სალექსო პარამეტრები და გამომსახველობითი საშუალებებიც გავაანალიზოთ. ამით ვფიქრობთ, გარკვეულწილად გავამდიდრებთ ქართული ემიგრაციის ისტორიასა და ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას.

„ემიგრანტობა თავისთავად მეტად ცუდი ავათმყოფობაა და ქართულ ემიგრაციას რომ განსაკუთრებული ტკივილი მართებს – ცხადია"[2], – სწერდა ნიკოლო მიწიშვილი 1922 წელს კონსტანტინეპოლიდან ცისფერყანწელებს.

ემიგრანტობა თავისი თანამდევი სირთულეებით, სულიერი, ფიზიკური თუ მატერიალური შეჭირვებით რომ მართლაც უსაშველო და გაბმული ტანჯვაა ადამიანისთვის, ეს ამბავი არახალია და ყველასთვის ცნობილი. ცნობილია ისიც, რომ კაცთა მოდგმისთვის სახასიათო, ზოგადადამიანური მანკიერებანი მეტად იჩენენ თავს ემიგრანტობაში – ხშირია მტრობა, ერთმანეთის დადანაშაულება, ურთიერთბრალდებები, შუღლი და გაუტანლობა, პოლიტიკური მკვლელობებიც კი, რასაც ობიექტურთან ერთად თავისი სუბიექტური მიზეზებიც აქვს. გამონაკლისი არც ქართული ემიგრაცია გახლავთ.

„საერთოდ ჩვენთანაც, როგორც ყველა ემიგრაციაში, მთავარია ურთიერთჩხუბი, ლანძღვა-მხილება და შეტაკებები. მე არანაირათ არ ვმონაწილეობ მათში და შორს ვარ თანამემამულეთაგან, სავსებით მარ-ტოსულად ვცხოვრობ. რაც არ უნდა მოსაწყენი და აუტანელი იყოს, მაინც უკეთესია იმ ხოცვა ჟლეტაზე, რაც იმ ლტოლვოლთა შორის ხდება, სხვა საქმე რომ ვერ უშოვიათ."[3]- ნიკო ნიკოლაძის ეს სიტყვები ქალიშვილისა და სიძისთვის 1923 წლის 20 დეკემბერს პარიზიდან კონსტანტინეპოლში გაგზავნილი წერილიდან ჩვენი ნათქვამის ერთი დასტურთაგანია.

ემიგრანტობის ისტორიამ ამავდროულად ადამიანთა სამაგალითო ურთიერთობის, სიყვარულისა და თანალმობის, სიკეთისა და გამტანობის, გამხნევებისა და კეთილშობილების მრავალი გამოხატულებაც იცის. გიორგი გამყრელიძის ის მიძღვნითი პოეტური ქმნილებები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, ვფიქრობთ ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა.

---

2 „ცისფერყანწელები". მიმოწერა. ნიგნი I. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2018, გვ.111.

3 ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან. დიდი ცხოვრების დაღმართი – გარდასული ჟამი (1921-1926 წწ.). წერილები თარგმნა და კომენტარები დაურთო დალი ჩაკვილაძემ. „უნივერსალი", თბილისი, 2015, გვ. 170

1. ცნობილი ქართველი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის **შალვა ამირეჯიბის** (1887-1943) ხსოვნას ეძღვნება ლექსი **„დამშვიდობება“**



შალვა ამირეჯიბი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისა და ეროვნული საბჭოს წევრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი შალვა გიორგის ძე ამირეჯიბი უცხოეთში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ გაიხიზნა.

შალვა ამირეჯიბი იყო გემოვნებიანი, დახვეწილი ხელწერის პოეტი, რომელსაც მაღალი პოეტურა კულტურა გამოარჩევდა. საქართველოში ყოფნისას მას, ისევე როგორც გიორგი გამყრელიძეს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ სიმბოლისტებთან, მეგობრობდა „ცისფერყანწელებთან“ – გიორგი ლეონიძესთან, პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან და სხვებთან. ემიგრაციაში გამგზავრებამდე, 1920 წელს შალვა ამირეჯიბმა გამოსცა ლირიკული ლექსების პატარა კრებული „მინანქრები“, რომელშიც მისი 40-ზე მეტი პოეტური ქმნილება გაერთიანდა. იგი იყო ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდისა“, ასევე გაზეთ „სამშობლოსი“ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანოს, გაზეთ „საქართველოსი“

ემიგრაციაში შალვა ამირეჯიბი განაგრძობდა პოლიტიკურ, ლიტერატურულ და ჟურნალისტურ საქმიანობას, წერდა ლექსებს, პროზაულ ტექსტებსა და პუბლიცისტურ წერილებს, რომელთაც აქვეყნებდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში „სამშობლო“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“ 1940 წელს მან ბერლინში დააარსა საკუთარი ჟურნალი „ახალი დროება“ ამირეჯიბის ემიგრანტული პერიოდის ლექსებიდან აღსანიშნავია „მამულს“, „კოტე აბხაზის სიკვდილზე“, „კოტე ანდრონიკაშვილს“, „ელენე აბხაზს“, „რუბაიები“, „სოფელი“, „ვერა ფაღავას“ და სხვა. მასვე ეკუთვნის მოგონება „ქაქუცა ხევ-გრძელზედ“, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის თავდადებული ბრძოლის ერთ ეპიზოდს გვიხატავს. შალვა ამირეჯიბი გარდაიცვალა და დაკრძალულია პარიზში, სენტ-უანის სასაფლაოზე.

ლექსის „დამშვიდობება“ ლირიკული გმირია მიძღვნის ადრესატი, რომელიც სევდით იხსენებს ცხოვრების იმ ეპიზოდს, როცა საკუთარი მხარე და სოფელი დატოვა. იხსენებს, როგორ შრიალებდნენ მაშინ ცაცხვის რტოები და როგორ აგონებდა ეს შრიალი შოპენის მშვენიერი ვალსის მუსიკას.

„როცა დავ**ტოვე** მყუდრო მხარე, ჩვენი **სოფელი**,
რაღაც სხვა გვარად შრიალებდნენ ცაცხვის რტოები,
თითქოს მესმოდა მშვ**ენიერი** ვალს**ი შოპენის**:
დამშვი**დობების**, სამუდ**ამო** განმ**არტო**ების“

მშობლიური ბუნება დარჩენას შესთხოვდა მას და აფრთხილებდა იმაზე, რომ სხვა სამშობლოსა და თავშესაფარს ვერსად ნახავდა.

„ჩვენ შენ გ**იამბობთ** ამ მ**იდამოს** დიდებულ ზღაპარს
და სიყვარულის შეგ**ასწავლით** მ**არად** ხვაშიადს.
სხვა საქართველოს, სხვა სამშობლოს, სხვა თავშესაფარს
ვერსად იპოვნი ამა**ზე კარგს**, ამაზე დიადს“

ლექსი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში პატრიოტულ გრძნობებთან ერთად ლირიკული გმირის იმდროინდელი პოლიტიკური მრწამსიც იკითხება. ანტიეროვნული, რევოლუციურ-კომუნისტური იდეალიებისადმი მისი ნეგატიური დამოკიდებულება შეფარვით, როგორც იტყვიან, სტრიქონებს შორის ცნაურდება. შოპენის მშვენიერ მუსიკას, რაც სამშობლოსა და ბუნებასთან მისი ჰარმონიული თანაარსებობის მეტაფორად და სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ, მოულოდნელად ცვლის და გაისმის ამ ჰარმონიის დამრღვევი რევოლუციური ჰიმნის ჰანგები, ახალ დროების შესატყვისი და ამაოების გამომხატველი.


„უცბათ მომესმა გრამაფონის ხმა ჩახლეჩილი,-
ვილაც სულელი ამღერებდა „მარსელიეზას.“
და ეს მოტივი ახალ ყოფნის აზრით მღვრეული,
შესტრფოდა ახალ აღტაცებას, ახალ დროებას...
შორს, ერთ გორაკზე სჩანდა ციხე ჩამონგრეული
და მყუდრო ჭალას შესჩიოდა ამაოებას.“

ლექსის დამამთავრებელი ორი ტაეპი საუკეთესო „აკიდოდ“ მიიჩნია გრიგოლ რობაქიძემ.

ლექსი თოთხმეტმარცვლოვანი საზომითაა დაწერილი და ხუთი კატრენისგან შედგება. სტროფების გარითმვა ჯვარედინია, გარდა პირველი სტროფისა, რომელშიც ოთხჯერადი მოსაზღვრე რითმაა გამოყენებული. პოეტური ტექსტი მეტად კეთილხმოვანია, რასაც ბგერათკომპლექსების გამეორება განაპირობებს (აღნიშნულია მუქი შრიფტით). სათქმელის გასამძაფრებლად პოეტი მიმართავს ტავტოლოგიას, რაც ასევე ამდიდრებს ლექსის ევფონიას: *„მეუბნებოდნენ: „სად მიდიხარ, რისთვის არ გინდა / **ჩვენთან** დარჩენა, **ჩვენთან** ყოფნა, **ჩვენთან** სიკვდილი?“; **სხვა** საქართველოს, **სხვა** სამშობლოს, **სხვა** თავშესაფარს / ვერსად იპოვნი **ამაზე** კარგს, **ამაზე** დიადს“; **სწუხდნენ** მინდვრები, **სწუხდნენ** მთები, **სწუხდა** ჯეჯილი“.*

ლექსის პირველი ტაეპში საცნაურია პაოლო იაშვილის სტრიქონის გამოძახილი *(შდრ. „დავტოვე სოფელი, წმინდა სამყოფელი“; პ. იაშვილი „წერილი დედას“).*

2. 1956 წელს დაწერილი ლექსი **„გლეხი ჩეროში“** ეძღვნება ცნობილ ქართველ ემიგრანტს, პოლიტიკურ მოღვაწეს, ჟურნალისტსა და მეცნიერ-რუსთველოლოგს **ვიქტორ ნოზაძეს** (1893-1975).



დიმიტრი (მიტო) ანანიაშვილი (მარცხნივ) და ვიქტორ ნოზაძე,
მადრიდი, 25 სექტემბერი, 1961

ვიქტორ ივანეს ძე ნოზაძე 1919 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 70 ახალგაზრდასთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთში გაგზავნა. ლონდონში ცხოვრებისა და ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1928 წლიდან იგი პარიზში დასახლდა. პარიზში მან ჟურნალისტური საქმიანობა წამოიწყო და დააარსა პოლიტიკურ-ლიტერატურული სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიონი“, რომლის რედაქტორიც გარდაცვალებამდე თავად იყო. ვიქტორ ნოზაძე სხვადასხვა დროს ცხოვრობდა სამხრეთ ამერიკასა და ესპანეთში. ბოლოს კვლავ საფრანგეთში დაბრუნდა და ლევილში ძმის, ასევე ემიგრანტ გიორგი ნოზაძის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ვიქტორ ნოზაძეს სახელი გაუთქვა მისი რუსთველოლოგიური ნაშრომების სერიამ, რომლებიც მან ემიგრაციაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნა. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე.

გიორგი გამყრელიძე მეგობრობდა ნოზაძეების ოჯახთან. მას ჰქონდა მიმოწერა ვიქტორ ნოზაძესთან, ვისთანაც თანამშრომლობაც აკავშირებდა – ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე ის ხშირად ბეჭდავდა თავის ლექსებს, თარგმანებსა და წერილებს. ამავე ჟურნალის 1976 წლის XVIII ნომერში პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გიორგი ნოზაძემ ნეკროლოგის სახით გამოაქვეყნა თბილი წერილი, რომელშიც ამომწურავად გადმოსცა პოეტის ცხოვრების გზა, შემოქმედებითი ბიოგრაფია და ღვაწლი.

ლექსში დახატულია პოეტის და მიძღვნის ადრესატისთვის მშობლიური იმერეთის ამწვანებული ეზოს სურათი. იქ ჩეროში ზის და ყალიონს ეწევა ჩაბალახიანი გლეხი, ვის ბედსაც შენატრის და ვის ფიქრებსაც ახმიანებს ემიგრანტი პოეტი. მართალია, გლეხს მის სამშობლოში მონობის ჭაპანი წელს სწყვეტს, – საქართველოში „ავი

ტაროსი" ჩამომდგარა", ავი სეტყვაა", – მაგრამ მაინც ღრმად სწამს, რომ ვერას დააკლებს „ყვავების გუნდის ჩხავილი", რადგან იქ მას წმინდა გიორგი და ავგაროზი იფარავს, წინაპართა სალოცავები იცავს და ზეციდან მამაპაპანი ამხნევებენ:

„მიქრიან ცაზე განუწყვეტლად გუნდები ღრუბლის,
როგორც ნაცარა წინწილების მსუბუქი ბუმბლი
და ჯგუფდებიან, ჩერდებიან, სწყვეტენ ხეტიალს
სადაც გელათი, მოწამეთა და მესხეთია.

გლეხი ჩეროში, ყალიონით და ჩაბალახით
ზის და ყურს უგდებს ვით იზრდება მინდვრად ბალახი.
მას რას დააკლებს ავი სეტყვა, ავი ტაროსი,
როცა ჰფარველობს წმიდა გიორგი და ავგაროზი.

როცა მას იცავს წინაპართა სალოცავები,
რას დააკლებენ მას ჩხავილით გუნდი ყვავების?
თუმცა წელს წყვიტავს მას მონობის მძიმე ჭაპანი,
მაგრამ ზეციდან ამხნევებენ მამაპაპანი.

ეუბნებიან, ვერ გაგტეხავს აფთარის ტორი,
ქართველი ერი ჩათვლილია უკვდავთა შორის.
შენს სულს ვერ მოჰკლავს აკი ხელი მურტალი მტრისა,
კვლავ მოვა ხანა რუსთაველის და თამარისა"

და გლეხიც ჩუმად შორეულ მთებს გასცქერის ერთხანს,
შემდეგ დაღლილი, ხელის გულზე ყალიონს ფერთხავს
და მხნედ ბუტბუტებს: ვერ დამაკლებს დუშმანი ვერას,
კვლავ მოვესწრები თავისუფალ მზის ამოწვერას".

ლექსი დაწრილია თოთხმეტმარცვლიანი საზომით, კატრენული სტროფებით, რომლებიც მოსაზღვრე რითმებით არის გარითმული. აღსანიშნავია ლექსის კეთილხმოვანება და მხატვრული ქსოვილი. მასში ვხვდებით ბგერაკომპლექსების გამეორებას, ევფონიურ წყვილებს და პოეტურ შესიტყვებებს (მონიშნულია მუქი შრიფტით). ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე სტროფის ბოლო ტაეპი ერთით მეტი მარცვლით გამოირჩევა, რაც შეიძლება ბეჭდვითი შეცდომაც იყოს.

3-4. გიორგი გამყრელიძის ორი ლექსის ადრესატები არიან ცნობილი ქართველი ემიგრანტები, ღვაწლმოსილი მეცნიერები **კალისტრატე და ნინო სალიები.** 1947 წელს დაწერილ ლექსს **„თამარის დროშა"** წინ უძღვის მინაწერი – *„ვუძღვნი კალე სალიას და „ბედი ქართლისას" თანამშრომლებს"*, 1956 წლით დათარიღებული ლექსი **„მწუხრის ზარის დროს"** კი ნინო სალიასადმია მიძღვნილი.





კალისტრატე სალია **ნინო სალია**

მეცნიერი, ქართველოლოგი, ისტორიკოსი კალისტრატე (კალე) ზოსიმეს ძე სალია (1900-1986) საქართველოში თავდაპირველი განათლების მიღების შემდეგ ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობდა. 1924 წელს ის გადავიდა პარიზში, სადაც სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და წარმატებით დაიცვა ბაკალავრის დიპლომი.

კალისტრატე სალია პარიზში დაქორწინდა. მისი მეუღლე გახდა პროფესიით ექიმი, ასევე ვარშავის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ისტორიის განხრით ნინო ქურციკაშვილი (1898-1992). ნინო კახეთში დაიბადა, სწავლობდა თბილისსა და პეტერბურგში. პირველი მსოფლიო ომის დროს მოწყალების დად მუშაობდა, 1926 წლიდან კი საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის საკითხებს იკვლევდა.

ნინოს თანადგომითა და ხელშეწყობით კალისტრატე სალია წარმატებით მოღვაწეობდა მეცნიერებაში. 1948 წლიდან სალიების ინიციატივითა და სახსრებით, ასევე, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის დახმარებით, პარიზში დაარსდა ქართველოლოგიური ჟურნალი – „ბედი ქართლისა" (1958 წლიდან – „ბედი ქართლისა – რევიუ დე ქართველოლოჟი"), რომელშიც სტატიები ქართულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდებოდა. „ბედი ქართლისამ" თავის გარშემო შემოიკრიბა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგები და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

რედაქცია თანამშრომლობისათვის იწვევდა ასევე ყველას, ვისაც საქართველოს აწმყო და მომავალი აღელვებდა. 1980 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს სალიებმა უძვირ-ფასესი პირადი ბიბლიოთეკა შესწირეს.

კალისტრატე სალია პარიზში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად მისი ნეშტი გადმოასვენეს და ქართულ მიწას მიაბარეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მის გვერდით განისვენებს მისი მეუღლეც.

გიორგი გამყრელიძე მეგობრობდა და მიმოწერა ჰქონდა კალისტრატე და ნინო სალიებთან. მის ზოგიერთ ლექსს გაკვრით შეეხო გრიგოლ რობაქიძე 1953 წელს ჟურნალში „ბედი ქართლისა" (#14, მარტი, პარიზი, 1953), ხოლო მოგვიანებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე ჟურნალში მან გამოაქვეყნა პოეტის ლექსთა კრებულის „გვიანი რთველი"-სადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილი.

ლექსი „თამარის დროშა" თამარ მეფის ეპოქის ერთ სამხედრო ლაშქრობას ასახავს. მასში ქართული ჯარის მტერზე ბრწყინველე გამარჯვებისა და ზეიმის, მეფისადმი დაბრუნებული ჯარის თაყვანისცემის სურათია დახატული:

„განგაში და **ზათქი** იყო
მინდვრებზე და მთებზე
და დროშები ფრიალებდნენ
მედგარ ქარის ფრთებზე.

მზესა, ცხენთა ნატერფალით
წართმეოდა შუქი,
ყურთა სმენა დახშულიყო
დაბდაფით და ბუკით.

ერთობ ლაშქრით ავსილიყო
მინდორი და ჭალა,
თურქებსა და სარკინოზებს
სხეპდნენ, როგორც ჩალას.

მაგრამ **ახლა** აღარ ჰკვეთდა
ზეცას **ელვა** ხრმლების,
გორი იდგა დახოცილი
საქართველოს მტრების.

დაელეწათ, შეემუსრათ
შუბებით და ხრმლებით,
გაქცეოდათ ნუქარდინი
ორიოდე მხლებლით.

ვინ დასთვლიდა ნაალაფარს
წითელსა და ფლურსა?
გახრილ თურქთა იატაგანს,
ტაიჭს არაბულსა?

არვის სურდა საჭურველი
სპილენძის და რვალის,
რიყე ეწყო მარგალიტის
და გათვლილი თვალის.

ჯარი იდგა სააღლუმოთ,
რიცხვით ჰგავდა ბზესა,
თვითონ თამარს მოელოდნენ
ამომავალ მზესა.

გამობრძანდა თამარ **მეფე**,
ირგვლივ შ**უქთა მფენი**,
აფხაზ**ურა**დ მოკაზმული,
ქართულ ლ**ურჯა** ცხენით.

თან მოსდევდა სიამაყე
ჩ**ვენი** ძ**ველი**ს ძ**ველი**
ჭ**ყონდიდელი**, მხარგრძელ**ები**
და თვით რუსთაველი.

ვ**აშა**თი და **აღტა**ცებით
იგრი**ალა ჯარმა**,
გ**ამარჯ**ვება მიულოცა
ამირსპ**ასალარმა.**

და ნადავლი უდიდ**ესი**
რომ **ეჭი**რა ხელში:
ხალიფ**ების** მწვანე დროშა
მის წინ დასცა მტ**ვერ**ში.

მეფემ ლაშქარს გადახედა,
გადასახა ჯ**ვარი**.
თამა**რის მზეს** იფი**ცებდა**
საქართველოს ჯარი.

და ამაყად ფრიალებდა
იმ ჟამს და იმ დროსა
ტრაპიზვნიდან ყაზვინამდე
თამარ მეფის დროშა“

ლექსი რვამარცვლოვანი საზომითაა დაწერილი, რის გამოც რიტმი ესადაგება მის საზეიმო, მაჟორულ განწყობას. იგი შედგება ინტერვალიანი რითმით გაწყობილი 14 კატრენისგან – გარითმულია II და IV ტრიქონები.

ბგერათკომპლექსების გამეორებისა და შიდარითმების სიხშირე (აღნიშნულია მუქი შრიფტით) ლექსს კეთილხმოვანებას ანიჭებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ორიგინალური ევფონიური წყვილი „ტრაპიზვნიდან ყაზვინამდე“.

ლექსის სტრიქონებში გამოყენებულია არქაული ლექსიკა, ისტორიზმები (წითელი, ფლური, ამირსპასალარი...), რასაც სემანტიკური დატვირთვა აქვს – მიანიშნებს ეპოქაზე და მის თავისებურ ექოდ აღიქმება. საცნაურია ასევე რუსთველური ლექსიკა და შესიტყვებანი *(შდრ. 1. „რიყე ეწყო მარგალიტის / და გათვლილი თვალის" (გამყრ.) – „მუნ იდვა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად განათალისა, // ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა საბურთალისა" (რუსთ.); 2. „ვინ დასთვლიდა ნაალაფარს / წითელსა და ფლურსა? / გახრილ თურქთა იატაგანს, ტაიჭს არაბულსა?" (გამყრ.) – „ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა, / მას ტაიჭსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა" (რუსთ.))*.

„თამარის დროშა" გიორგი გამყრელიძის ერთი იმ ლექსთაგანია, რომლებიც გრიგოლ რობაქიძემ თავის რეცენზიაში პოეტის „საუკეთესო „შაირებში" დაასახელა. *„აქ თამარს ისტორია თავს ემოსება შარავანდედად"* [4] – წერდა იგი.

ნინო სალიასადმი მიძღვნილი ლექსი „მწუხრის ზარის დროს" 14 მარცვლიანი საზომით დაწერილი 4 ჯვარედინად გარითმული კატრენისგან შედგება. საზომის ამ სახეობის გამო მისი თხრობა მდორედ, დუნედ მიედინება, რაც შესაბამისობაშია ლექსის შინაარსსა და განწყობასთან, რომლის ლირიკული გმირი მწუხრის ჟამს თავის ფიქრებს გვანდობს. ის სევდიანი, ოცნებადაქცეული, სამყაროს რაობასა და ღვთის საიდუმლო განზრახვაზე ჩაფიქრებული ადამიანია.

ისევე, როგორც გიორგი გამყრელიძის სხვა ლექსები, განსახილავი ლექსიც მეტად კეთილხმოვანია (იხ. მონიშნული ადგილები) და ტროპიკით (შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები) დატვირთული.

„**სალა**მოვდება... და გალობა ანგელოსთ დასთა
თითქოს მოისმის დამთრგუნველი ქვე**ყნი**ურ ვნე**ბი**ს.
როგორც ხავსიან **ძველი** ციხის ნანგრე**ვი** ზღვასთან,
ისე დაიქცა სიამაყე **ჩემი** ოცნე**ბი**ს.

მაგრამ ვიგრძენი ნეტარება უფრო დიადი:
თითქოს აინთო უცნობ **ხელი**თ სულში სანთე**ლი**.
გაჰქრა ზრახვათა და ნდომე**ბი**ს მუქი წყვდიადი
და განვიცადე სხვა სინ**ათლე** და ჟრუა**ნტელი**".

„საღამოვდება და სხივებთან თანდათან ჰქრება
მწუხრის ზა**რე**ბი, შემოქმე**დი**ს მაღალ ქებაში
ვის ძალუძს გა**ხსნა**ს უფლის **ზრახვა** და მისი ნება
და რკა**ლი ჯაჭვი**ს მარადიულ მის განგებაში?

ნელინელ შე**დი**ს არემა**რე** მდუმა**რე** ჩრდილში
ველ**ზე** ეცემა ბუმბერაზი აჩრდილი მთისა,
დაბადებაში, სიცოცხლეში და თვით სიკვდილში
მე ვგრძნობ გარდუვალ, საიდუმლო განზრახვას ღვთისას."

---

4 რობაქიძე გ. „გვიანი რთველი" გიორგი გამყრელიძისა". ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 201, გვ. 302.

5. სამსტროფიანი კატრენებით დაწერილი ლექსი **„გრიგოლ რობაქიძეს („ორი ფოთოლის გამო“)** ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მწერალს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს **გრიგოლ რობაქიძეს** (1882-1962).



გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ ტიტეს ძე რობაქიძე 1931 წელს გაემგზავრა გერმანიაში და ამ დროიდან გარდაცვალებამდე დარჩა ემიგრაციაში: 1946 წლამდე ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში, ხოლო შემდეგ – შვეიცარიაში. მას, როგორც მწერალს, საერთაშორისო აღიარება მოუპოვა მისმა თხზულებებმა „გველის პერანგი“, „დემონი და მითოსი“, „ჩაკლული სული“, „მცველნი გრალისა “, „მეგი – ქართველი გოგონა“ და სხვა. ასევე დიდი პოპულარობა მოიპოვა გერმანულ და სხვა ენებზე რამდენიმეგზის გამოცემულმა მისმა კრებულმა „კავკასიური ნოველები“ გრ. რობაქიძე არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად. 1932 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.[5] იგი გარდაიცვალა ჟენევაში და იქვე დაკრძალეს, 1976 წელს კი ნინო და კალისტრატე სალიების თაოსნობით ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადაასვენეს.

გიორგი გამყრელიძესა და გრიგოლ რობაქიძეს გულითადი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდათ, ჰქონდათ მიმოწერა. გრ. რობაქიძის ოცზე მეტი წერილი, რომლის ადრესატია გიორგი გამყრელიძე, გამოქვეყნდა გრ. რობაქიძის ნაწერების ექვსტომეულში.[6]

მწერლისა და მეგობრისადმი მიძღვნილი ლექსი, როგორც ამას თავად ავტორი აღნიშნავს, დაწერილია „ორი ფოთოლის“ გამო“ როგორც ჩანს, მისი ინსპირაციის წყარო გახდა ფრაგმენტი მწერლის ქართულენოვანი რომანიდან „დალი“, რომელიც

---

5 ნაცვლიშვილი პ. გრიგოლ რობაქიძე – ნობელის პრემიის პირველი ქართველი ნომინანტი, „ლიტერატურული გაზეთი“, 2010 წ., № 27, 28 მაისი-10 ივნისი.

6 რობაქიძე გ. ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 609-636.

სათაურით „ორი ფოთოლი" დაიბეჭდა პარიზში გამომავალ კრებულ „ბედი ქართლისას" 1952 წლის ნოემბრის მე-13 ნომერში.

გიორგი გამყრელიძე ხოტბას ასხამს გრიგოლ რობაქიძის მდიდარ და მეტად ორიგინალურ პოეტურ ენას და მის სიტყვებს ძვირფას ქვებს ადარებს:

„შენ გამოჰკვეთე სიტყვებიდან ძვირფასი ქვები,
ფერები; ლ**უშ**ი, მეწამ**ული** და ყარამფილი,
ალმ**ასი**, ლ**ალი** უმტკიცესი, ხან ტყვია რბილი,
ზეკაცთა აზრი და მითოსი ბრძ**ენი** მოგვ**ების**"

პოეტი მწერლის ფიქრებსა და გრძნობებს ხანძარს ადარებს და მისი პერსონაჟი ქალების – ივლიტეს, მეგის, ლამარას მწუხარე ჩრდილებს, მათ ბედისწერასაც ხატოვნად და ლაკონურად გადმოგვცემს:

„საკუთარ ფიქრთა და გრძნობ**ების** ხანძარით თბ**ები**,
როცა იწვ**ები** ბნ**ელი ღამით**, ვით თ**აფლის** ცვილი,
ივლიტეს, მ**ეგის** და ლამარას მწუხარ**ე ჩრდი**ლი,
მარმარილოზე დანთხეული სისხლის წვეთები"

ლექსის ბოლო სტროფი, ისევე როგორც ნოსტალგიურ მოტივზე შექმნილი გიორგი გამყრელიძის ბევრი პოეტური სტრიქონი, ოცნებით სამშობლოს მოხილვას წარმოადგენს:

„ყველა ოცნება, სიხარული და იმედები
ფრთების ტკაცუნით ცას გაჰკვ**ეთ**ენ, როგორც მტრ**ედ**ები,
რომ კვლავ იხილონ მშ**ობლი**ური **ოდი**ს კარები,
სადაც დაზრდილან ლონდა, მეგი და ლამარები"

ლექსის სტროფები რკალური რითმებითაა გაწყობილი და ევფონიით გამოირჩევა. მას ხატოვანებას სძენს შედარებები *(„როცა იწვები ბნელი ღამით, **ვით თაფლის ცვილი**", „ფრთების ტკაცუნით ცას გაჰკვეთენ, **როგორც მტრედები**")* , ეპითეტები და მეტაფორები.


განხილულ ლექსს დიდად აუღელვებია გრიგოლ რობაქიძე. თავის კრიტიკულ წერილში მან იგი არ განიხილა: *„შაირს ჩემზე საერთოდ განზე ვტოვებ – გასაგებია თუ რად,"* [7] – აღნიშნა რეცენზიაში, ხოლო როცა ის მას პირველად, კრებულის „გვიანი რთველი" გამოსვლამდე წაუკითხავს, პირად წერილში პოეტისთვის მიუწერია: *„შენმა სონეტმა (ლექსი კანონიკური სონეტის ფორმით არაა დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, ის ვარიანტი, რაც კრებულში არის შეტანილი. – მ. ც.) „გრიგოლ რობაქიძე" შემარხია შინაგან. ღრმა ლირიზმით ქრის ამეტყველებული მეორე ნახევარი. წავიკითხე – ავცრემლდი"* [8].

---

7 რობაქიძე გ. „გვიანი რთველი" გიორგი გამყრელიძისა". ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 201, გვ. 301.

8 რობაქიძე გ. გრ. რობაქიძის 1953 წლის 3 მარტის წერილი გიორგი გამყრელიძისადმი" ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 610.

6. ლექსი **„დაბრუნება დილით“** ცნობილ ქართველ ემიგრანტს, ექიმს, მწერალსა და ჟურნალისტს, მრავალი ამერიკული საზოგადოების, ინსტიტუტისა თუ ასოციაციის წევრს, ქართული ემიგრაციის მემატიანეს, **გივი კობახიძეს** (1919-1991) ეძღვნება.



გივი კობახიძე

გივი კობახიძე ემიგრაციაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა. ომის დაწყებიდან მალევე, 1941 წლის სექტემბერში იგი დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. გამოჯანმრთელებული ტყვეებს მკურნალობდა და ექიმად მუშაობდა გერმანიის ქალაქებში. ომის დამთავრების შემდეგ მიუნხენში დასახლდა და დაოჯახდა.

ემიგრაციაში გივი კობახიძე აქტიურ საზოგადოებრივ და ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. 1943 წელს ბერლინში მან ჟურნალი „ქართველი ერი“ დააარსა.

1949 წელს იგი მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში, სადაც მრავალმხრივ მოღვაწეობას შეუდგა. 1952 წელს იქაურ სხვა ქართველებთან ერთად მან დააარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“, რომლის მიერ გამოცემულ „ცნობის ფურცელსა“ და „ჩვენ გზას“ თავადვე რედაქტორობდა. წლების მანძილზე „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რედაქტორად მუშაობდა. 60-იანი წლებიდან გივი კობახიძე თანამშრომლობდა ასევე ევროპაში გამომავალ ქართულ ემიგრანტულ პრესასთან.

1955-1956 წლების ზამთარში ნიუ-იორკში გივი კობახიძემ გამოსცა პირველი ქართული გაზეთის „ქართველი ერის“ ერთადერთი ნომერი, რომელშიც თავისი ლიტერატურული და პოლიტიკური სამეცნიერო თხზულებებიც გამოაქვეყნა. ამავე ნომერში დაიბეჭდა გიორგი გამყრელიძის რეცენზია თბილისში 1953 წელს გამოცემულ გრიგოლ აბაშიძის წიგნზე „ლექსები და პოემები“, რომელშიც რეცენზენტმა მაღალი შეფასება მისცა გრიგოლ აბაშიძის პოეზიას.

ორი წლის შემდეგ გივი კობახიძემ გაზეთი „ქართველი ერი“ მრავალფეროვანი თემატიკის ჟურნალ „კრებულად“ გადააკეთა, რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა. მასში დაიბეჭდა გიორგი გამყრელიძის ლექსები, მათ შორის მისი „ილიას დალუპვის 50 წლისთავზე“ და ლიტერატურული ნარკვევი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის მკვლევრებზე. გამყრელიძისავე რეკომენდაციით აქვე დაბეჭდილა მისი სიძის, მწერალ აკაკი ბელი-

აშვილის საფრანგეთში ემიგრირებული ძმის, რუსთველოლოგ ლადო ბელიაშვილის თეთრი ლექსი „მერცხლის სიკვდილი", რის შესახებაც გიორგი გამყრელიძე 1961 წლის 16 მაისს ვაშინგტონიდან გამოგზავნილ პირად წერილში სწერდა თავის დას მერის[9].

გივი კობახიძე დაკრძალულია ამერიკაში.

გივი კობახიძისადმი მიძღვნილი ლირიკულ ლექსი ათმარცვლოვანი საზომით არის დაწერილი. იგი ჯვარედინი რითმებით გაწყობილი 5 კატრენისაგან შედგება.

ლექსი მისი ადრესატის სამშობლოში, მშობლიურ რაჭაში დაბრუნების ოცნებასა და სურათს წარმოადგენს. ეს დაბრუნება პოეტს ესახება განთიადისას, როცა „ფოთლებზე ციმციმებს ცვარი" და შორეული მთების ცივ ნიავს შქერის და კვარის სურნელი მოაქვს. აღწერილია ის დიდებული დახვედრა, ის სიხარული, რომლითაც რაჭის ტყე-ველი შეეგებება უცხოეთში გადაკარგულ თავის შვილს. ისიც შეჰყურებს მშობლიურ სანახებს, შაორს, ნიკორწმინდის ტაძარს, როსტომ ერისთავის სასახლეს, უკვე ნასახლკალარს და სოფლის ამაოებაზე ფიქრობს:

„ჯერ სილამაზე **ბუ**ნების არ სჩანს,
არც **თეთრი ჩალმა** შორეულ მთების,
მაგრამ ძლიერი **ფეთქს მი**წის **მაჯა**
გადმოვარდნილი ხევე**ბში** წყლები.

შენ დაბრუნდები განთიადისას,
როცა ფოთლებზე ციმციმებს ცვარი,
როცა ცივ ნიავს შორეულ მთი**სას**
მოაქვს სურნე**ლი** შქერი**ს** და კვარის.

„ვაშა შენს მოსვლას! მოყვარევ კარგო!
მოგეგებება რაჭის ტყეველი
განა ღირს სხვაგან **გადაიკარგო**,
როცა აქ არის სასუფეველი?"

„ჰო, ეს სოფელი მსგავსია ბინდის"
სად არ გატარებს ბედის ტრიალი!
შეჰყურებ ტაძარს **ძველ ნიკორწმი**ნდის,
გესმის შაორის ჩქეფა, ჩქრიალი.

თენდება... ყეფა გაუწყდათ ძაღლებს...
გაფრინდა მთვარე, ოქროს ალალი,
შორს, ერთ **გორაკზე მოსჩანს სასახლე**
როსტომ ერისთვის ნასახლკარალი"

ლექსი გამორჩეულია ევფონიით, რასაც ბგერათკომპლექსების გამეორება განაპირობებს (მითითებულია მონიშვნით) და მეტაფორებით: „მთების თეთრი ჩალმა"; „მთვარე, ოქროს ალალი". მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოა კონტამინაცია მეოთხე სტროფში „ჰო, ეს სოფელი მსგავსია ბინდის" *(შდრ. „ბინდის გვარია სოფელი" (რუსთ.); „ბინდისფერია სოფელი" (მიხა ხელაშვილი)*, რისთვისაც, ვფიქრობთ, ბრჭყალების გამოყენება არამართებულია.

---

9 ცერცვაძე მ. ემიგრანტი პოეტი გიორგი გამყრელიძე და მისი ერთი პირადი წერილი, ჟურნ. „ცისკარი", №№1-2, 2014, გვ. 140.

გივი კობახიძის მშობლიური რაჭისადმი უსაზღვრო სიყვარული მრავალგვარად გამოვლინდა. მისი ფსევდონიმების ნაწილი სათავეს რაჭის ტოპონომიკიდან იღებენ („გ. შაორისპირელი", „გ. შაორელი" („გივი შაორელი") „თედო რაჭველიშვილი"), რაჭისადმი მიძღვნილ მის ლექსებს შორისაა აკროსტიხიც „რაჭა":

„რ ოგორც ნაბდებით ფლოქვ-აკრული ლურჯა ცხენები,
ა სე მიფრინავს უხმაუროდ ჩემი ცხოვრება!
ჭ ირიმე შენი, ხშირად ძილში მომეჩვენები,
ა ვახელ თვალსა, და ცრემლები ჩამეტბორება..." [10]

გიორგი გამყრელიძე თავისი მიძღვნითი ლექსით გივი კობახიძის ამ მონატრებასა და ოცნებას ემოციურად და ხატოვნად შეეხმიანა.

7. ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტს, პოეტს, პუბლიცისტსა და მხატვარ-კარიკატურისტს **სიმონ ბერეჟიანს** (1897-1942) ეძღვნება გიორგი გამყრელიძის 1957 წელს დაწერილი ლექსი **„სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას"**;



სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანი

სიმონ (სიმონიკა) ერმილეს ძე ბერეჟიანი (ნამდვილი გვარი – თაყაიშვილი) თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურით დაკავდა – 1918-1920 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ოფიცერი. 1920 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ის გაგზავნეს გერმანიაში, სადაც სწავლობდა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იძულებული გახდა დარჩენილიყო ემიგრაციაში. ცხოვრობდა პარიზში, სადაც ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება – აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგი"-ს

10 შარაძე გ. გივი კობახიძე, წიგნში „ამერიკელი ქართველები". თბილისი, „სამშობლო", 1992, გვ. 169.

დაარსებაში და სიცოცხლის ბოლომდე იყო მისი თვალსაჩინო წევრი. მანვე დააარსდა ამ ორგანიზაციის გაზეთი „თეთრი გიორგი", სადაც „სიმონ ბერი"-ს ფსევდონიმით სისტემატურად აქვეყნდებდა ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებს. მისი წერილები იბეჭდებოდა სხვა ემიგრანტულ გამოცემებშიც (ჟურნ. „ქართლოსი", „კავკასიონი"). სიმონიკა ბერეჟიანმა სახელი გაითქვა აგრეთვე პოლიტიკურ თემებზე შექმნილი კარიკატურებით, რომლებსაც „თეთრი გიორგი"-სა და „ქართლოსი"-ს ფურცლებზე ხშირად აქვეყნდებდა. იგი ითვლება ქართული პოლიტიკური კარიკატურის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატად.

1941 წელს სიმონ ბერეჟიანი „სიმონ ბერგერ"-ის სახელით გერმანიაში ჩაირიცხა ვერმახტის ქართულ ლეგიონში, რომელსაც გენერალი შალვა მაღლაკელიძე მეთაურობდა და რომელიც საბჭოთა იმპერიის მარწუხებისგან საქართველოს დახსნას იმედოვნებდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა გერმანიაში მოქმედი ქართული სამოკავშირეო შტაბის მუშაობაშიც.

სიმონ ბერეჟიანი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა 1942 წლის დამლევს. მისი საფლავი დაკარგულად ითვლება.

1943 წელს ვიქტორ ნოზაძის რედაქციით და მარკოზ ტუღუშის წინასიტყვაობით ბერლინში გამოიცა სიმონ ბერეჟიანის ლექსთა კრებული. სიმონ ბერეჟიანს ეკუთვნის ცნობილი სტრიქონები: *„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, / ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო. / თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, / დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!"* [11] ამ სიტყვებს ხშირად შეცდომით ნოე ჟორდანიას საფლავზე წარწერილ ეპიტაფიად მიიჩნევენ.

ლექსი **„სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას"** „საუკეთესო შაირად" მიიჩნია გრიგოლ რობაქიძემ. *„გულის-თქმა აქ სიყვარულია თვითონ,* [12]- წერდა ის თავის რეცენზიაში.

ლექსის ავტორი წუხს იმაზე, რომ ნიჭიერი პოეტი ადრე გარდაიცვალა, უკვალოდ გაქრა და მისი გედის სიმღერა ვერ გაიგონეს:

„თუმც არ გიჟღერა ხანგრძლივად **ჩანგმა**,
გადანერგულო **ალვა**, ობოლო,
მაინც გა**შალე** ვით **ფარშე**ვანგმა,
შენ შაირების მარაო, ბოლო.

და გაჰქრი უკვლოდ, არც კი მოგვესმა
უკანასკნელი სიმღერა გედის
და ვფიქრობ, იქნებ **წაგიღო** ზევსმა
ცოცხლად **ოლიმპზე**, ვით განიმედი"

ის გულშეძრულია იმით, რომ პოეტს არათუ სამშობლოში არ ეღირსა სამარე, არამედ საფლავიც დაეკარგა და მეგობრებს არ შეუძლიათ მას გულზე ნაკიდი მცირეოდენი მიწა მაინც დააყარონ:

---

11 შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. III. თბილისი, 2003, გვ.61.

12 რობაქიძე გ. „გვიანი რთველი" გიორგი გამყრელიძისა". ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა ეპისტოლარული მემკვიდრეობა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 302.

„ძმაო! სად ჩაშრა მაგ თვალთა ნამი,
ვეძებთ შენ საფლავს, შენს კუბოს ფიცარს,
რომ დავაყაროთ სულ ათი გრამი
მკერდზე ნაკიდი ქართული მიწა.

მაგრამ რას მისცემს **საფლავი** პოეტს
თუ ის მშობლიურ მიწის **არ არის**?
განა სიმშვიდეს იგი იქ ჰოვებს,
როცა ხსოვნა სწვავს ფირუზ კამარის“

პოეტს იმედად ისღა რჩება, რომ მისი სული ერთხელაც ღამით დატოვებს თავის საფლავს, უცხო მხარეს, ღრუბლად ქცეული საქართველოსკენ მიმავალ ქარებს გაჰყვება და იქ მშობლიური ბახმაროს თავზე გაჩერდება:

„და ერთხელ ღამით **ამოხ**ვალ უბრად,
დასტოვებ სამარხს და უცხო მხარეს
და თან გაჰყვები, ქცეული ღრუბლად,
სა**ქარ**თველოსკენ მიმავალ **ქარ**ებს.

გადიქრ**ოლე**ბენ ქარები ზღვაზე
და რომ დაგტ**ოვე**ბს ქ**არი**შხლის **ზვავი**,
შენ გაჩერდები ბახმაროს მთაზე,-
ფარას მომწყდარი ობოლი კრავი.

პოეტო, ძმაო, ჩაგვიქრი ისე,
როგორც გრიგალში წმინდა სანთელი,
მაგრამ ლექსებში ჩვენ გულს სწვავ ისევ
გრძნობით, სურნელით და ჟრუანტელით“

ლექსი დაწერილია ათმარცვლიანი საზომით და ჯვარედინად გარითმული 7 კატრენისაგან შედგება. მისი მხატვრული ქსოვილი ალიტერაციებით და ასონანსებით გამოირჩევა (შ და ხ ბგერების ალიტერაცია: *„მაინც გაშალე ვით ფარშევანგმა, / შენ შაირების მარაო, ბოლო“; „და ერთხელ ღამით ამოხვალ უბრად, / დასტოვებ სამარხს და უცხო მხარეს“*; ა ბგერის ასონანსი: *„ძმაო! სად ჩაშრა მაგ თვალთა ნამი“*), რაც კეთილხმოვანებას ანიჭებს პოეტურ ტექსტს. საინტერესოა მისი პოეტიკაც: (*1. შედარებები: „მაინც გაშალე ვით ფარშევანგმა, / შენ შაირების მარაო, ბოლო“; „და ვფიქრობ, იქნებ წაგილო ზევსმა / ცოცხლად ოლიმპზე, ვით განიმედი“; „პოეტო, ძმაო, ჩაგვიქრი ისე, / როგორც გრიგალში წმინდა სანთელი“; 2. მეტაფორები: „როცა ხსოვნა სწვავს ფირუზ კამარის“; „და რომ დაგტოვებს ქარიშხლის ზვავი“; „ფარას მომწყდარი ობოლი კრავი“*).

8. გიორგი გამყრელიძის 1957 წლით დათარიღებული ლექსი **„კოლიბრის გული“** ეძღვნება ცნობილ ემიგრანტს **მიხეილ დადიანს** (1899-1970).



მიხეილ დადიანი

პოლიტიკური ემიგრანტი მიხეილ (ბუჭუ) ნიკოლოზის ძე დადიანი ცნობილი თავადის, საფრანგეთში ემიგრირებული ნიკოლოზ (კოკი) დადიანის (1978-1939) ვაჟიშვილი და ლეგენდარული ბაბო დადიანის ძმაა. იგი იყო იუნკერი, რომელიც 1921 წელს თბილისის მისადგომებთან, კოჯრისა და ტაბახმელას მონაკვეთზე ებრძოდა რუს დამპყრობლებს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო – სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად იგი პოლონეთში მოხვდა და პოლონეთის არმიაში მსახურობდა. 1933 წელს პარიზში ლეიტენანტი მიხეილ დადიანი „ქართველ მხედართა“ საზოგადოების გამგეობის წევრად აირჩიეს. მეორე მსოფლიო ომის დროს ირიცხებდა უფროს ლეიტენანტად გერმანული ვერმახტის ძალებში, ქართველი ემიგრანტებისა და სამხედრო ტყვეებისაგან დაკომპლექტებული ქართული ბატალიონის „ბერგმანის“ რიგებში, რომელიც გერმანელთა დახმარებით საქართველოს გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ცხოვრობდა გერმანიასა და იტალიაში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. მუშაობდა რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რედაქტორად. დატოვა მემუარები. მისი მეუღლე იყო ცნობილი ექიმისა და პუბლიცისტის ივანე გომართელის ქალიშვილი თინა გომართელი. მიხეილ დადიანი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია არლინგტონის სასაფლაოზე.

მეგობრები და სანაცნობო წრე, თანამებრძოლები და თანამშრომლები მას ახასიათებენ, როგორც დიდ პატრიოტს, ღირსეულ და კეთილშობილ პიროვნებას.

ლექსის სტრიქონებს საოცარი სითბო და სიყვარული მსჭვალავს. პოეტი მიძღვნის ადრესატის ზემგრძნობელობას, მის ემოციურობას ხატოვნად გადმოგვცემს – მას ბევრი რამ იტაცებს და აღელვებს ამქვეყნად – სამყარო, ბუნების სურათები („მზის ელვარება“, „ხავერდი მთვარის“, „ზღვის ბობოქრობა“, „ჭექა-ქუხილი“...), ხელოვნება („ფერები მხატვრის“, „პოეტის მღერა“):

„დიდია ქვეყნად მზის ელვარება,
მომხიბვლელია ხავერდი მთვარის,
ზღვის ბობოქრობა და მღელვარება,
ჭექა-ქუხილი, გრიალი ქარის.

დიდია სიმთა მარადი ჟღერა,
სხივი – ნატეხი კრისტალის პრიზმით,
ფერები მხატვრის, პოეტის მღერა
გრძნობით, გონებით და აფორიზმით“.

ის „სამუდამო უსამშობლობით“ იტანჯება:

„დიდია ფეთქვა და ცემა გულის,
გულის, რომელსაც ზარავს ობლობა.
ღამით ვარდებზე კვნესა ბულბულის
და სამუდამო უსამშობლობა“

გიორგი გამყრელიძე მიხეილ დადიანის მგრძნობიარე გულს პაწაწკინტელა ჩიტის, უფაქიზესი კოლიბრის გულს ადარებს, სხეულთან შედარებით დიდი რომაა და წუთში ათასამდე რომ იკუმშება. პოეტს უკვირს, როგორ იტანს ის ამდენ სულიერ ტკივილს, ამდენ წამებას:

„მაგრამ მე ვფიქრობ: დიდება გამჩენს
და საქმეთ მისთა, საცნობართ ძნელად, -
მიკვირს: ვით იტანს წამებას ამდენს
კოლიბრის გული პაწაწკინტელა“

ლექსი ათმარცვლედის საზომით შესრულებული ოთხი ჯვარედინად გარითმული კატრენისაგან შედგება. მის კეთილხმოვანებას ქმნის გამეორებული შიდარითმები, ბგერათკომპლექსები, ანაფორა („დიდია“) პირველ სამ სტროფში, ტავტოლოგიური კიბური რითმა – „გულის“ მესამე სტროფში, ევფონიური წყვილი – („მიკვირს“ – „კოლიბრის“).

9. გიორგი გამყრელიძის 1940 წლით დათარიღებული ლექსი **„დარდი“** ეძღვნება სამხედრო პირს, ემიგრანტ **მიტო ანანიაშვილს** (1892-1968).

მაიორმა დიმიტრი (მიტო) სვიმონის ძე ანანიაშვილმა 1921 წელს დატოვა სამშობლო და ემიგრაციაში გაემგზავრა. მცირე ხანს თურქეთში (სტამბოლში) ცხოვრობდა, შემდეგ ევროპაში გადავიდა. 1933 წელს პარიზში ის „ქართველ მხედართა“ საზოგადოების გამგეობის წევრად აირჩიეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადასახლდა სამხრეთ ამერიკაში. იყო არგენტინის ქართველთა სათვისტომოს წევრი. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

მიტო ანანიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი სატრფიალო ლირიკის ნიმუშს წარმოადგენს. მისი ინსპირაციის წყარო, სავარაუდოდ, ლექსის ადრესატის სევდიანი სამიჯნურო ისტორია გახდა. პოეტურ სტრიქონებში ხატოვნადაა აღწერილი ვარდის, მწყემსის და შველის სასიყვარული განცდები და სატრფოსგან მიტოვებით გამოწვეული მათი მწარე ნაღველი.

„ბაღში ბულბული გალობდა ღამით,
ვარდის კოკრებზე ცვიოდა ნამი
და მოხიბლ**ულნი ბულბულ**ის მღერით
იმოსებოდნენ ატლასის ფერით.

მაგრამ ერთ შტოზე კოკობი დარდობს,
თავჩაქინდრული, ჩაფიქრებული...
მიველ და ვკითხე; „რათ სწუხარ, ვარდო,
რატომ ხარ ასე გაფითრებული?"

მან მიპასუხა: თუმცა ის გალობს,
მაგრამ ბულბული მე აღარ მწყალობს,
მას შეუყვარდა მეორე ვარდი,
მე კი ამ ღამით დამაჭკნობს დარდი"

სალამურს გრძნობით უკრავდა მწყ**ემსი**,
გულს სიყვარ**ულის** ჩხვლ**ეტა**ვდა ნ**ემსი**,
და სალამ**ური**ს ტირილი მწ**არე**
სევდით **ავსე**ბდა ამ **არემარეს**.

მომინდა დ**ამწვა**რ დამკვრელის ნ**ახვა**,
ვკითხე; „რამ მოგდო ცეცხლის ალმური?"
მითხრა: „ის გოგო სხვა ვინმეს გაჰყვა,
მე დამრჩა დარდი და სალამური"

ტრიალ მინდორზე ტიროდა შველი,
ცრემლით მოერწყო ზურმუხტი ველი,
მ**ივე**ლ და ვკ**ითხე**: „რათ სტირი, შველო,
მითხარი, **იქნე**ბა რამე გი**შვე**ლო?"

მომიგო: „ჩემი არ ძალგიძს შველა,
მე იმედები დავკარგე ყველა,
ვინაც მიყვარდა, მომიკლეს გუშინ,
გლოვა და დარდი ჩამოდგა გულში"

ლექსის დამამთავრებელი სტროფის ბოლოს რუსთველური ტაეპის კონტამინაციას ვხვდებით (ვფიქრობთ, „ბრჭყალები" აქაც ზედმეტია), რაც ლექსის პოეტიკას ამდიდრებს:

„ბულბული, მწყ**ემსი**, ვარდი და **შველი**
უსიყვარულოდ **შვე**ბას არ ელის;
ყველას გულს უნგრევს დარდი ფარულად,
„დარი არ დარობს მათთვის დარულად".

ლექსი ათმარცვლედის საზომით შესრულებული რვა კატრენისგან შედგება. მისი სტროფები გაწყობილია მოსაზღვრე და ჯვარედინი რითმებით.

1957 წლით დათარიღებულ გიორგი გამყრელიძის ლექსის „ცოლის წერილი გამგზავრების წინ“ ბოლოს მისი ლირიკული გმირი, პოეტის მეუღლე ასე მიმართავს გიორგის:

„ძვირფასო! გირჩევ პოეზიის დაუშვა ფარდა;
სჯობია, იყვე სასარგებლო საქმით გართული.
ვინ დაგიფასებს, რას მიიღებ გინების გარდა?
შურია მხოლოდ ჰონორარი ემიგრანტული.
და მაინც ვფიქრობ: რომ უფალი არ დაგიკარგავს
ნაჭირნახულევს – და ამ ქვეყნად დაგრჩება კვალი.
ნახვამდის... მჯერა ყველაფერი დამხვდება კარგად
და სიყვარულით გკოცნის შენი მეუღლე ვალი“.

ჩანს, გიორგი გამყრელიძეც ერთი იმათგანია, ვისაც „სამუდამოდ უსამშობლობის“ სევდასთან ერთად უხვად ერგო „ჰონორარიც ემიგრანტული“. ცხოვრებამ მასაც შეასვა შურისა და უმადურობის მწარე ფიალა, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ მეუღლის წინასწარმეტყველებაც აუხდინა – პოეტის „ნაჭირნახულევი“ უკვალოდ არ გაქრა და ის დღესაც აღელვებს მკითხველს.

გამოკვლევაში განხილული ცნობილი ქართველი ემიგრანტებისადმი მიძღვნილი გიორგი გამყრელიძის ლექსები ადრესატებისადმი დიდი სითბოთი და სიყვარულით არის გამსჭვალული. ერთ ბედქვეშ მყოფ თანამემამულეებს, მასავით ნოსტალგიით სნეულთ, რომელნიც უცხოეთში თავიანთი მოღვაწეობით ცდილობდნენ ქართული საქმის კეთებას, პოეტი დიდი თანაგრძნობით ეხმიანება და ამხნევებს. ეს პოეტური ტექსტები, გარდა იმისა, რომ საუკეთესო მასალაა თავად ავტორის პოეზიის შესასწავლად, ასევე საინტერესო წყაროა ქართული ემიგრაციის ისტორიის და ქართველი ემიგრანტების ურთიერთდამოკიდებულების საკვლევად. ლექსის ადრესატების პორტრეტებს ისინი ახალი შტრიხებით ამდიდრებს.

სტატიაში გამოყენებულია ფოტოები
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებიდან.

MAIA TSERTSVADZE

Poems by Giorgi Gamkrelidze Dedicated to the Georgian Emigrants

Summary

Exploration of the life and creative works written by the emigrants fleeing the Soviet regime always arises high interest and never loses its actuality. One such a distinguished Georgian émigré poet, translator, and researcher is Giorgi Gamkrelidze (known by the pseudonym Grigol Zodeli) (1904 – 1974). When living in Georgia, the poet had close relationships with the order of 'Tsisperkantselebi'

Giorgi Gamkrelidze left Georgia in 1923 to study in Germany and never returned to his motherland.

During the emigration, the poet lived in Europe and the USA and led many-sided cultural works, wrote poems and translated the poetry of prominent foreign poets from originals. The tragic fate of the motherland, the deplorable state it is in and deep emotions provoked by this situation were transformed figuratively in his literary heritage.

Amongst the books by Giorgi Gamkrelidze published abroad is the collection of poems 'Late Vintage' published in Santiago de Chile in 1960. This book attracted Grigol Robakidze's attention. Robakidze's critique entitled 'Late Vintage' by Giorgi Gamkrelidze' was published in Paris in 1962, in the journal 'Bedi Kartlisa' (N39 – 40). The collection of poems unites referring to largely similar topics permeated by the following motifs: patriotism, love of motherland and its present-day, its heroic past and glorious children, the Soviet occupation of Georgia of 1921 and the misfortune to it brought by the Russians, overwhelming nostalgia.

Several ones amongst the poems of the collection are dedicated to the famous Georgian emigrants and distinguished representatives of the Georgian political and cultural emigration: G. Robakidze, V. Nozadze, K. Salia, N. Salia, Sh. Amirejibi, M. Dadiani, G. Kobakhidze, S. Berezhiani, D. Ananiashvili.

This paper is an attempt to analyze the above-mentioned devoted poems by Giorgi Gamkrelidze from the point of view of literary studies. It pays attention to the addressees, topics, versification, and poetics as well as the issues of the poet's attitude towards the works by other poets. This research enriches and broadens our knowledge of Georgian emigration and literary history and in this way is important for the Georgian literary studies and for the history of emigration itself.

მარიამ მარჯანიშვილი

უცხო მიწაში გადაკარგულნი
(მათე კერესელიძის ეპისტოლეების მიხედვით)

დუშეთის ამბის გამო ევროპაში გადახვეწილი ლეო და გიორგი კერესელიძეები, მათი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი, რუსეთის მოთხოვნით შვეიცარიაში დააკავეს. ჟენევის სასამართლომ ისინი უდანაშაულოდ სცნო. საერთაშორისო სამართლის კანონის თანახმად ბელგიელმა მეცნიერმა და ადვოკატმა ერნესტ ნისსმა ისინი სისხლის სამართლის დამნაშავეთ იმ მოტივით არ აღიარა, რომ 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით საქართველოში რუსეთის ბატონობა უკანონო იყო საერთაშორისო სამართლით. აქედან გამომდინარე, ბრალდებულები მხოლოდ პატრიოტულ-რევოლუციონური აქტის ჩამდენნი იყვნენ.

განთავისუფლებულები შემდეგ ჟენევაში დამკვიდრდნენ. მათგან მხოლოდ გიორგი კერესელიძე იყო უკვე ცოლ-შვილიანი.

„ორმოცდახუთმეტი წლის განუყრელი მეგობრობა და თანამშრომლობა მაკავშირებდა მე გიორგისთან. პირველად ვნახე იგი თბილისში 1905 წელს. შვეიცარიაში, ჟენევაში ვიცნობდი და ვმეგობრობდი მის უფროსს ძმას, ლეო კერესელიძეს, რომელიც ჩემზედ უფრო ადრე დაბრუნდა საქართველოში, და მეც რომ დავბრუნდი 1905 წელს, მის სანახავად მივედი გიორგის ბინაზედ...

ვიხილე მშვენიერი ახალგაზრდა ვაჟკაცი, უკვე დაქორწინებული. მისი მეუღლეც, თამარ ციციშვილის ასული, იქ იყო, და ორივე შეპხაროდნენ პირველ შვილს მათეს, რომელიც გიორგის ეჭირა და ათამაშებდა...

დუშეთი საქმის გამო ლეო კერესელიძე, უმთავრესად მონაწილე ამ საქმისა, უცხოეთში გადმოიხვეწა 1906 წელს და დამკვიდრდა ჟენევაში. მალე გიორგიც იძულებული იყო ცოლ-შვილით გადმოსახლებულიყო აგრეთვე ჟენევაში“.[1]

ბაბუის სეხნიამ მათე კერესელიძემ, მართალია, თვალები სამშობლოში აახილა, მაგრამ ემიგრაციის გზას ისეთი ჩვილი გაუყენეს, რომ თავისი ქვეყნის ბუნების მშვენიერების, ცისა და მიწის საიდუმლოების აღქმაც ვერ შეძლო. მის ბავშვურ გონებას იგი მხოლოდ დედის მონათხრობით მიეწოდებოდა.

მეოცნებე ბიჭს დედა ისე ნელა და ისე ტკბილად უყვებოდა სამშობლოზე, თითქოს ნაკადული ჩურჩულებდა მის ბაგეთაგან. თამარის ხმაში იმდენი გრძნობა და თილისმა იყო, რომ ბავშვი მთელი ღამე ვერ იძინებდა და ბორგავდა.

დედის ნაამბობის შემდეგ ყოველ საღამოს სიტყვას აძლევდა თავს, რომ ოდესმე უთუოდ წავიდოდა იმ საარაკო ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ერქვა.

მთელი ბავშვობა მათე კერესელიძე ხან ჟენევაში, ხან გერმანიაში ცხოვრობდა და სწავლობდა. ბოლოს მთელი ოჯახი საფრანგეთში დამკვიდრდა. მან მშობლიურ ენასავით შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები: „მათეს ცოდნა დიდი აქვს, ფართო, ნიჭი და გონება მდიდარი. ბევრი გერმანელი მის გერმანული ენის ცოდნას შენატრის და ბევრი ფრანგი, მის ფრანგულს. ქართულიც კარგად იცის, – იცის იტალიური (შედარებით კარგად) – ისპანური და ინგლისურიც ეხერხება. უსწავლია

---

1 წერეთელი მ. ნეკროლოგი -გიორგი კერესელიძე, ჟურნ. „ბედი ქართლისა,“ N39-40, პარიზი, 1962, გვ.11-13.

რუსულიც, იცის ლათინური და ბერძნული და სხვა. ერთი სიტყვით, სწორედ ინტელექტუალური აქტივობაა მისი დარგი".[2]

პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი კერესელიძე მათეზე წერდა: „მათეს აუარებელი სამუშაო აქვს, ინტელექტუალური ხასიათისა, რაც სავსებით შეეფერება მის ბუნებას. მართალია, ჯერ სარფიელი მაინც და მაინც არ არის, ხოლო რადგან მისი ნაწერები, მისი კრიტიკა, მისი აზრები დიდად მოსწონთ, იმედი დიდია რომ მალე ჩამოყალიბდება მისი მდგომარეობა. არ უნდა უწყინო, თუ ვერა გწერს. დრო სულ არა აქვს და მეც ძალიან იშვიათად მწერს. ისიც იმიტომ რომ აუცილებელია მისთვის, ზოგ რამეში ჩემი აზრი მოისმინოს".[3]

მათეს მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ერთი ამონარიდიც: „საყურადღებოა, რომ ლეო კერესელიძეს ჟენევაში 1918 წელს გამოუცია 45-გვერდიანი წიგნაკი „Fantasies Orientales" რომელიც შეიცავს რამდენიმე ფანტაზიას. ამათგან ერთი – „თამარ მეფე და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი" ავტორისეული თარგმანია, ხოლო მეორე – „ბაზალეთის ტბა", რომელიც ფრანგულიდან უთარგმნია ფსევდონიმს ამოფარებულ ვინმე „მათე-ლულუს", დაბეჭდილია „ქართულ გაზეთ"-ში.[4]

„მათე-ლულუ" – ლეო კერესელიძის ძმისშვილები არიან. ისინი ყმაწვილობიდან ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. სავარაუდოა, რომ ბიძამისის ფრანგულ ენაზე დაწერილი „ბაზალეთის ტბა" მათ მიერ იყოს თარგმნილი.

დიდი ქართული საქმისათვის უცხოეთში გახიზნული მამულიშვილები, მათ შორის ლეგენდარული ძმები კერესელიძეები, ჯერ საქართველოს თავისუფლებისათვის, ხოლო შემდეგ კი ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ჩირაღდნებივით ენთნენ. ამ დიდ ნათებაში სანთლებივით იწვოდნენ მათი შვილებიც.

„ვენაში ჯარისკაცთა სახლში" ვნახე უაღრესად სასიამოვნო, განათლებული ქართველი, ბატონი მათე კერესელიძე, პარიზელი ემიგრანტი.

მათე კერესელიძეს ისევ შევხვდი 50-60-იან წლებში – ამჟამად დიუსელდორფში... ის, რაც მან და მისმა თანამებრძოლებმა ნამდვილი მეორე მსოფლიო ომის დროს მოიმოქმედეს, ქართველთა ეროვნული ინტერესების დასაცავად იყო გამიზნული, ისინი თავსაც წირავდნენ ამისათვის, თუმცა მათი ეს ღვაწლი შეუფასებელი დარჩა."[5]

თავისი პირუთვნელობითა და ანალიტიკური სიღრმით დაწერილმა გივი გაბლიანის მოგონებამ ზემოთ აღნიშნული დეტალით იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ცნობილი ბიძისა და მამის ჩრდილქვეშ დიდხანს მდგომი მათე კერესელიძე უკვე პოლიტიკურად და ინტელექტუალურადაც გამორჩეული პიროვნება გამხდარიყო.

ცნობილია, რომ პარიზში, 1925 წლის 15 ივნისს, საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგის" ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად დამფუძნებელი კრება გაიმართა.

პარიზშივე, 1926 წლის 25 აგვისტოს, გამოვიდა ამ ორგანიზაციის ბეჭდვითი ორგანო „თეთრი გიორგი".

---

2 კერესელიძე გ. პირადი წერილები, ვეზინე 23 მარიამობის თვე, შაბათი, 1959.
3 კერესელიძე გ. პირადი წერილი, ვეზინე, 4 ენკენისთვე 1959.
4 შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001, გვ.157.
5 გაბლიანი გ. ჩემი მოგონებანი, ტ. I, ქუთაისი, 1998, გვ.129-131.





მათე კერესელიძე

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე მათე კერესელიძე მისი თანამშრომელი გახდა. იგი გაზეთის ფურცლებზე მამისა და ბიძის გვერდით სისტემატიურად აქვეყნებდა საკუთარ თარგმანებს.

1930 წლის თებერვალში კი მათე კერესელიძე ძმასთან ლულუსთან (ლეო) ერთად ბერლინის „თეთრი გიორგი"-ის ორგანიზაციის წევრად მიიღეს. აქვე მოღვაწეობდა მიხაკო წერეთლის ერთადერთი ვაჟი ოთარ წერეთელიც. ახალგაზრდები უშვებდნენ გაზეთს „თეთრი გიორგის" რომელშიც ძმები კერესელიძეები ინტენსიურად აქვეყნებდნენ წერილებს. მათ სწამდათ, რომ ეს ორგანიზაცია ქართველ ერს „ერთ მებრძოლ არსად გააერთიანებდა... ქართველი ერი, მძლავრი თავისუფლების სურვილით, შეიარაღებული გაერთიანებით გაჰგმირავდა მონობას".[6]

მათე კერესელიძეს ბავშვობიდანვე სულს უფორიაქებდა ემიგრაციაში ცხოვრება. იგი მოზღვავებულ კითხვებზე პასუხს მოითხოვდა: „რატომ არ ჰქონდა სამშობლო? ვინა ვართ?... რატომ დაგვემართა ასე?... საქართველოს ბედი რისთვის ქანაობდა რაღაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე?"

ცხოვრება დუღდა, ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მეორეს ცვლიდა, ერები იბრძოდნენ, იკაფავდნენ გზას... ამ ორომტრიალში, თამაშების სამყაროში უცხოეთში გადახვეწილი ქართველობაც ამხედრებულიყვნენ.

მათე კერესელიძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოში 20-იანი წლების დრამატული სპექტაკლები საბედისწეროდ იყო გათამაშებული და არ სურდა მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად დარჩენილიყო.

გადალახა თუ არა გერმანიის ჯარებმა რუსეთის იმპერიის საზღვრები, უკვე აშკარად გამოიკვეთა გერმანია-საქართველოს ინტერესები. ემიგრანტების დიდ-

6 გაზ. „თეთრი გიორგი", ბერლინი, N1, 1930, თებერვალი.

მა ნაწილმა თავისი დაუოკებელი ჟინით საქართველოს გასამთლიანებლად და საკაცობრიო ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოებრიობის ბელახლა დასამკვიდრებლად დიდ სახელმწიფოთა შორის რუსეთის იმპერიის დამშლელად გერმანია მიიჩნია და ამიტომაც მეორე მსოფლიო ომში მაშინვე გერმანიის მხარე დაიჭირა.

გერმანელებსაც თავის მხრივ კავკასიაში გადასასროლად ემიგრანტებისა და ტყვედჩავარდნილთა ჯგუფი სჭირდებოდათ.



მათესა და მაიას ქორწილი

ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში მყოფი ქართველი ემიგრანტები გერმანელთა მხარეს ფორმალურად – სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში, ყველა საქართველოს აღდგენისათვის ფიქრით იბრძოდა.

საერთოდ, ქართველ ემიგრანტთა ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს უმთავრესად „იმ შეგნებით იკვებებოდა, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ რუსეთის დამარცხებას, ანუ გერმანიის გამარჯვებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ხოლო გერმანელებს გერმანიის გამარჯვებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ ჰიტლერის რეჟიმის შეცვლა და ისინი გულში იმედს ატარებდნენ, რომ ამ შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ევროპა-ამერიკასთან შეთანხმება, რაც გერმანიას გამოუვალ მდგომარეობიდან გამოიყვანდა. [7]

გამოდის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა ორად გათიშული გერმანია: ერთი, რომელიც ტევტონების მანიით – გერმანელი რასის უპირატესობით იყო შეპყრობილი – ანუ ნაცისტური გერმანია, და „მეორე – ევროპის გაერთიანების იდეით შეპყრობილი გერმანია, რომელსაც უნდოდა ევროპის გაერთიანება, რათა მისი ცალკეული სახელმწიფოები ამერიკის, რუსეთის და ჩინეთის სათამაშოდ არ გადაქცეულიყვნენ, ამიტომ არსებობდა ძლიერი წინააღმდეგობა გერმანიის მხედრობაში ჰიტლერის რეჟიმისადმი.“ [8]

ამის დასტური გახლდათ ჰიტლერზე თავდასხმა, რასაც 5000 გერმანელი ოფიცრის ჩამოხრჩობა მოჰყვა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერმანიაში უკვე დაარსებული და ორგანიზებული იყო ე.წ. დამაკავშირებელი შტაბი. ამ შტაბის დანიშნულება იყო ქართველთა და გერმანელთა შორის დასმული პრობლემების საერთო შეთანხმებით გადაწყვეტა. იმ ხანად გერმანულ მუნდირს 30 000-ზე მეტი ქართველი ატარებდა. ნახევარი ამათგან საბრძოლო ბატალიონებისა და სხვადასხვა გერმანულ შენაერთში მყოფი ქართველებისაგან შედგებოდა. მეორე ნახევარი კი სამუშაო ბატალიონი იყო.

---

7 ქავთარაძე მ. ცხოვრების 100 წელი, თბ., 2007, გვ.154.

8 ქავთარაძე მ. ცხოვრების 100 წელი, თბ., 2007, გვ.154.

ანტიფაშისტურ დაჯგუფებაში პარიზელ ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ჩაეწერა, მათ შორის „თეთრი გიორგის" წევრებიც, რომლის საფუძველზეც შეიქმნა „თამარ I" და „თამარ II"

„თამარ I"-ის შემადგენლობაში იყვნენ: ბახტაძე მიხეილ, ბეგიაშვილი იროდიონ, ბერძენიშვილი გიორგი, ბურძგლა მიხეილ, გოგორიშვილი მიხეილ, გრიგოლია მიხეილ, გაბუნია გიორგი, აბაშიძე ზურაბი, კაკულია ლეო, კანკავა ალექსანდრე, კერესელიძე მათე (თარჯიმანი), ივანიძე გიორგი, მაღლაკელიძე შალვა, მიროტაძე გრიშა, მონიავა ვიქტორი, ხარისჭირაშვილი დათიკო, რომელსაც ემატებოდა ათი კავკასიელიც.

გერმანელებთან წარსულის ნდობის ფაქტორმა განსაზღვრა ისიც, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში ჩაერთნენ არა მარტო მათე კერესელიძე, არამედ მისი ძმა ლულუ კერესელიძე: „1944 წლის ახალ წელს ბერლინში ლანჩზე დამპატიჟა ციციშვილების ოჯახმა. ისინი გამაცნო ლულუ კერესელიძემ, რომელიც ქართულ სამეკავშირეო შტაბში მუშაობდა. მათთან ყოფნით დიდათ ვისიამოვნე", – წერს გივი გაბლიანი.[9]

ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში აქტიურად თანამშრომლობდა „თეთრი გიორგის" ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე და მისი ქალიშვილი მარიამ კერესელიძეც, რომელიც მამის დახმარებით სხვადასხვა პოლიტიკურ დავალებას ასრულებდა.

„თამარ I" შენაერთში ქართველ ჯარისკაცებთან ერთად საქართველოში პარაშუტებით გადასხმისათვის ემზადებოდა მათე კერესელიძეც, რომელ ოპერაციასაც ჰერმანი ამზადებდა.

„მათე კერესელიძის ჯგუფი თამარ I-ის შენაერთიდან მართლაც გადასხდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1942 წლის გაზაფხულის დამლევს თუ ზაფხულის დასაწყისში. ზოგი დაიღუპა, ზოგიც დაიჭრა საბჭოთა ძალებთან შეტაკებისას, დანარჩენები ტყვედ ჩაიგდეს. მათე იმ უმცირესობაში მოჰყვა, რომლებიც, ყველას გასაოცრად, საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა 14-15 წლიანი პატიმრობის შემდეგ და დასავლეთში დაბრუნების ნება დართო. მათე კერესელიძე, ჯერ ერთი, არასდროს ყოფილა საბჭოთა მოქალაქე, თანაც მას ან ხრუშჩოვის კანონმა უშველა, სტალინის გარდაცვალების შემდეგ რომ გამოვიდა, ან კანცლერ ადენაუერის მცდელობამ, რომელიც მოსკოვში ჩასვლისას გერმანელი ტყვეების თაობაზე მართავდა მოლაპარაკებას."[10]

მეორე ვერსიის თანახმად: „1942 წლის ზაფხულში, მთელი კავკასიის მასშტაბით დაიწყო „დივერსანტ პარაშუტისტთა" გადაგზავნა ამ რეგიონში. პატარა ჯგუფები თვითმფრინავებით გადასროლილი იქნენ საქართველოშიც. ძირითადი ასაფრენი ბაზა ყირიმში მდებარეობდა. ჯგუფის წევრები კარგად ეკიპირებული იყვნენ. ზოგიერთ ჯგუფში ჩართეს გერმანელი ინსტრუქტორებიც. „ერთ უკუნეთ ღამეში ყველანი პლანერებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, – იგონებს მათე კერესელიძე. არადა, არც ერთი ქართველი ადრე პარაშუტით არ გადაფრენილა. მათ ამისათვის მხოლოდ თეორიული მომზადება ჰქონდათ გავლილი" [11]

---

9 გაბლიანი გ. ჩემი მოგონებანი, ტ. II, ქუთაისი, 1998, გვ. 102.

10 გაბლიანი გ. ჩემი მოგონებანი, ტ I, ქუთაისი, 1998, გვ. 130.

11 სულაძე გ. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2012, გვ. 350.



მარცხნიდან მარჯვნივ
გიორგი, ლულუ და მათე



მარცხნიდან მარჯვნივ
ნინო, გ. დადიანის მეულლე,
პატარა გიორგი, თამარ ამილახვარისა, მაია.
ქ. ვეზინე

ცნობილია, რომ საქართველოში გადასროლილ „დივერსანტ პარაშუტისტებს" საქართველოს შინსახკომი სასტიკად უსწორდებოდა, რომელიც მაშინვე გახდა ცნობილი, როგორც გერმანიის სარდლობის, ისე ქართველი ემიგრანტებისთვისაც.

არსებული ჩავარდნების მიუხედავად, გერმანელები შეუფერხებლად აგზავნიდნენ კავკასიაში თავიანთ მომზადებულ დივერსანტებს. მათ ფხიზლად უდარაჯებდნენ და ულმობლად უსწორდებოდნენ საბჭოთა უშიშროების ორგანოები. მათ, ვინც ნებაყოფლობით ბარდებოდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, ასეთივე სისასტიკით პასუხობდნენ. მცირე გამონაკლის უშვებდნენ დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფში მონაწილე ემიგრანტების მიმართ.

მათე კერესელიძის ნაამბობის თანახმად ირკვევა, რომ საქართველოში მასთან ერთად გადასროლილი ყოფილან: დათიკო ხარისჭილაშვილი (ტყვედ ბარდებოდა, მაგრამ გამანადგურებელი ბატალიონის წევრებს მაინც დაუხვრეტიათ ადგილზე), ბურძგლა, შალიკო მაღლაკელიძე, კუკური ქოჩაკიძე და ალექსანდრე კანკავა.

მათთან ერთად ყოფილან გერმანელი ინსტრუქტორები: უნტეროფიცერი ბოლცი და გერმან მიულერი (ეს უკანასკნელნი დახვრეტილები ხეებზე უპოვიათ).

მათე კერესელიძის ინფორმაციით, ალექსანდრე კანკავას თურქეთის საზღვრებისაკენ მოუხერხებია გაქცევა (ალბათ, საამისოდ ვინმემ შეუწყო ხელი), შ. მაღლაკელიძე კი თითქოს ჩაუქვავებიათ და ისე მოუკლავთ. დანარჩენები სხვადასხვა კუთხეში დაუხოციათ..." კ. ქოჩაკიძისა და ბურძგლას ბედი, კერესელიძის გადმოცემით, საქართველოში მათი შეპყრობის შემდეგ უცნობია.[12]

1942 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული წლის ბოლომდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართველ „დივერსანტ პარაშუტისტთა" რამდენიმე ჯგუფი გადმოისროლეს. ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი კონტაქტის გამო ქართველ ჩეკისტებს განსაკუთრებული დადგენილება მიუღიათ, რომლის ძალით, დივერსანტები და მათი ხელშემწყობი ადამიანები დახვრეტით ისჯებოდნენ.

12 სულაძე გ. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2012, გვ. 351.

1942 წლიდან ტყვედ ჩავარდნილი მათე კერესელიძის ბედი ოჯახისათვის უცნობი იყო. 1956 წლის 16 თიბათვეს, ვეზინეში ბარათი მოვიდა: გიორგი კერესელიძის სიტყვით: „ეს მათეს პირველი წერილი იყო, რომელმაც დიდი სიხარული გამოიწვია; ვინაიდგან, – 13 წლის საშინელი განცდების შემდეგ – გავიგე და დავრწმუნდი მათეს კარგად ყოფნაში... მათე მწერს თუ მამიდა ელენე და ლიზა თუ არა ამდენს სიცოცხლესაც ვერ შევინარჩუნებდიო.“ [13]

საბჭოთა ჯურღმულიდან გამოგზავნილი წერილი ძლივს იკითხება. მათე კერესელიძეს ერთადერთი მამიდის, თბილისში მცხოვრებ ელენე გლურჯიძისა და ბიცოლა ლიზა კერესელიძის გაგზავნილი ამანათები, როგორც მათე ამბობდა, სიცოცხლეს უნარჩუნებდა.

თბილისელ ნათესავებს მათე კერესელიძემ უფრო ადრე მიაწვდინა ხმა, რასაც 1946 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული პირველი წერილი ცხადყოფს:

Жена – Акра 2.XII.46

Дорогая тетя, дорогой дядя.

Не знаю получили ли все мои письма и мой телеграммы, где я вам сообщил что уезжаю из Актюбинска. Теперь я приехал на новое место. От дороги немного устал и вообще чуствую слабость. Главным образом меня мучает зима и холод и потому обращаюсь к вам с просбой. Пришлите мне если вам не трудно тёплое нижнее белье, чулки, руковицы, кашне, побрянки, старые брюки, вообще все что старое, новых не надо. Можно это все послать богажом где больше чем 8 кг. принимают. Продукты тоже желательны, но конечно при условии, что это вас не стесняет.

От вас уже больше года писем не получил. Пишите чаще. Посылку от Вахтанга в Актюбинске получал, в Августе, но никаких писем.

Так же письмо пишу дяде Вахтангу, может быть оно дойдет.

Мой новый адрес: М.Е. Кереселидзе.

Карагандинская обм. н/от жена – Арка п/я 246-2

Всех много, много раз целую

Ваш Мате

Дорогая Елена

От Вахтанга получил письмо. Писал вам и ему по два письма.

Он мне пишет, что дядя Сандро скончался. Я не нахожу слов вам свое горе высказать. Сам я на себе испытал как страшно потеря дорогого человека. Страшно думать, как окружающий мир постепенно опустошается. Я как то хранил надежду всеми с вами увидется и вот еще одним меньше. Папа мне часто о вас и о дяде Сандро расказывал и я вас полюбил, хотя не знал вас. Лео тоже часто вспоминал вас, Гиви и его сестру (я пишу Гиви и вижу его даже точно его имя и имя его сестры не помню. Лео тоже (не знаю писал я вам или нет) погиб во времена бомбировки Берлина.

---

13 კერესელიძე გ., პირადი წერილი, ვეზინე, 16 თიბათვე, 1956.

Я вас очень прошу пишите мне часто как поживаете, что мои племянники делают. Мне ваши письма очень дороги, ведь вы единственные родственники и ваши письма единственная связь с внешним миром.

Тваладзе мне пишет что он у вас был, я надеюсь он вам понравился.

О себе что писать не знаю. Жизнь скучно протекает и зима опять приближается страшная, суровая казахстанская зима. Но как нибудь....

Я вас крепко, крепко целую

Ваш Мате"[14]

რუსულად დაწერილ წერილში ადრესატი მიანიშნებდა, რომ რამოდენიმე წელიწადი ცდილობდა მათთან დაკავშირებას. შემდეგი წერილი 1948 წლის 30 აგვისტოთი თარიღდება, სადაც აღნიშნულია, რომ მათი წერილი მიიღო. ეს წერილიც რუსულ ენაზეა დაწერილი და ზოგადად ეხება მისი ავადმყოფობის ამბავს.

გადასახლებიდან გამოგზავნილი მათეს წერილები სტალინის გარდაცვალების შემდეგ უკვე ქართულ ენაზეა დაწერილი:

„ჩემო ძვირფასო ელენე!

მივიღე შენს მიერ და ლიზას მიერ გამოგზავნილი ფული. ხომ ვიცი, როგორ გიძნელდებათ და პირდაპირ გული მეწვის. რადგანაც ჩემი აქ ყოფნა გაგრძელდა და ვინ იცის კიდევ რამდენი ხანი მომიხდება ცდა, ყოველ ძალას ვადებ, როგორმე სამუშაო გამოვნახო. ფიზიკური შრომის მიღება რასაკვირველია უფრო ადვილია, არც მეშინიან. ამ 14 წელიწადში შევეჩვიე; ხოლო მოგება მეტად დაბალია და თანაც ვშიშობდი ავად არ გამხდარიყავ, ისიც მაფიქრებდა, რომ უკვე სხვა გზის გამონახვა გამიძნელდებოდა და თითქმის შეუძლებელი გახდებოდა.

ეხლა კი პერსპექტივები გაუმჯობესდა. ახალ აღმოჩენილ ნაცნობებში ჩემი თარგმნის ნიჭის ავტორიტეტი მკვიდრად დავამყარე. ბევრს მშველის ფრანგული ზრდილობა-დიპლომატიის უნარი, რომელიც, როგორც მეუბნებიან, თურმე მაღალ დონეზე მქონია შეთვისებული. ისიც დაუმატე, რომ ფრ. კონსულის ნაჩუქარი, პარიზში შეკერილი, კოხტა თუმცა ცოტა შეხუნებული კოსტიუმი მაცვია, და დროზე ვიცი ანანასით ძღვენის მოტანა (რის შემდეგ მართალია 3-4 დღის მარხვის შენახვა მჭირდება ხოლმე). ერთი სიტყვით, თუ ძალიან არ ვცდები, საქმე საიმედო გზაზეა დაყენებული.

შემიძლია ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენებიდან ვთარგმნო, აგრეთვე ფრანგულ და გერმანულ ენაზე წერა, რომელიც რასაკვირველია ბევრად უფრო ხელსაყრელია. ხელთ მაქვს ინგლისური რომანი, რომელიც ჩემის დარწმუნებით აქ მისაღებია და ერთნაირ ყურადღებას მოიმსახურებს, ამაზე მოლაპარაკება მაქვს „ვაკრუგ სვეტის" თანამშრომელთან..."[15]

ცნობილია, რომ „მიხეილ კედიას შუამავლობით ემიგრანტებისაგან შექმნილ ნაწილებში მრავალი მოხალისე ჩაეწერა. საჰაერო-სადესანტო ნაწილს „თამარ პირველს" მათე კერესელიძის მეთაურობით, რუსეთთან ომის დაწყებამდე ორლეანთან წვრთნიდნენ, როგორც პარტიზანულ რაზმს. ასწავლიდნენ აფთიაქში ნაყიდი წამლებით ბომბების დამზადებას, კავშირგაბმულობას, რუკების კითხვას, ორიენტირებას და ა. შ.

---

14 კერესელიძე მ. პირადი წერილები, ყარაგანდა, 2.12.46, 30.08.48.

15 კერესელიძე მ., პირადი წერილი,1.07.57.

ნაწილზე დაწვრილებით მოგვითხრობს ემიგრანტი, ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ ქავთარაძე. იგი შეიქმნა სსრკ-სთან ომის გამოცხადების დღეს, 22 ივნისს, ვენაში და მასში 17 კაცი გაერთიანდა: მიხეილ თარაშვილი, შოთა ბერეჟიანი, გოგი ჭაჭიაშვილი, კობა ხოჭოლავა, გოგი გაბუნია, გოგი ბერძენიშვილი და სხვები.

1942 წლის ზაფხულში საქართველოში დესანტის ჩამოსხმის შემდეგ მისი წევრების დიდი ნაწილი დაიღუპა, ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს გამანადგურებელმა ბატალიონებმა ან საბჭოთა მოქალაქეებმა ჩააბარეს ხელისუფლებას.

მათე კერესელიძე 15 წელი იყო დატყვევებული ციმბირის გერმანელთა ბანაკში, სანამ მოსკოვში საფრანგეთის საელჩოს ძალისხმევით გაანთავისუფლებდნენ," – აღნიშნავს რუსუდან დაუშვილი.[16]

„ამ ერთი კვირის წინ დიდი იმედი მომეცა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცოტად ავჩქარდი. საქმე ის არის, რომ ჩვენი ჯგუფიდან ამ მოკლე ხანში 6 კაცი უნდა ნავიდნენ, ერთი მათგანი ბელგიაში მიემართება, – ჩემ ოთახში ცხოვრობს. და მას ეჩვენა, რომ უცხოელთა განყოფილების უფროსმა სთქვა, რომ განყოფილებამ განკარგულება მიიღო ფესტივლის წინ ყველანი გავეშვით. როგორც გამოვარკვიე, ეს განკარგულება ეხებოდა ამ 6 კაცს. მართლაც უნდა წავიდნენ 23-ში. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი რიგიც მალე მოვა. იგივე დროს ჩავაბარე განცხადება გასვლის შესახებ. პარიზიდან, დიდი ხლაფორთის შემდეგ ჩემი დაბრუნების ფული საელჩოში გადმორიცხეს.

ჩემი ძმის ლულუს, წერილმა შემაფიქრიანა თურმე მამა ავად ყოფილა. ლულუ იწერება არაფერი სერიოზული არ არისო... მინდა დავიჯერო, რომ სახიფათო არაფერია, მით უმეტეს, რომ მამა ყოველთვის რკინის ჯანმრთელობის იყო".[17]

კალინინიდან სულ მალე მათეს წერილი მოვიდა, რომელშიც იტყობინებოდა: „ამ ოთხ საათში გავფრინდები. მე ვაპირებდი მატარებლით გამგზავრებას, მაგრამ კონსულმა ოფიციალურად მოითხოვა ჩემი თვითმფრინავით წასვლა. ამის გამო ფული იქიდან გამოგზავნილი და დაცემული კურსით გადმოცემული არ მეყო, მით უმეტეს, რომ ვალებში ჩავარდნილი ვიყავი, ისე, რომ მიუხედავად მთელი ჩემი გულისტკივილისა, იძულებული გავხდი, შენი და ლიზას მიერ ტელეგრაფით გამოგზავნილი ფული გამომეტანა. თუმცა ჯერ ვაპირებდი უკან გამოგზავნას. ერთი რამ მანუგეშებს, მეტს აღარ გაწვალებ, და თუ რამედ კიდევ ვივარგე და კაცობა ისევ დამრჩა, დაგიმტკიცებ, რომ შენი სიკეთე არ დამავიწყდება.

რომ გამახსენდება ვერ გნახე, ვერ შემოგეხვიე, შენ და შენს საყვარლებს და ვერ გაკოცეთ – გული მიკვდება. მაგრამ ვინ იცის, ბედი კიდევ რას მოგვიტანს?

მამა უკანასკნელ წერილში გამომიტყდა, რომ დიდხანს ავად იყო, და როგორც გავიგე მძიმედ, ეხლა ბევრად უკეთ არის. ხვალ შემოვეხვევი. და თუ ჯანმრთელი ჩავედი, ეს შენი და ლიზას მადლია." [18]

დილის 3 საათზე დაწერილი ეს ბარათი იმედებითა და რწმენითაა აღსავსე. მათე კერესელიძე 15 წლის შემდეგ უბრუნდებოდა ოჯახს.

მთელი ამ წლების განმავლობაში, უკანასკნელ წლების კავშირს თუ არ ჩავთვლით, იგი არა მხოლოდ ამანათებს, არამედ წერილებსაც ვერ ღებულობდა

---

16 დაუშვილი რ. გიორგი თუხარელი, გაზეთი „Prime Time", 2012 წ., 17 სექტემბერი, გვ.52.

17 კერესელიძე მ. პირადი წერილი, კალინინი, 20.06.57.

18 კერესელიძე მ. პირადი წერილი, კალინინი, 20.09.57.

ახლობლებისაგან. გიორგი კერესელიძესაც ეგონა, რომ მათე დახვრეტილი იყო, მაგრამ შინაგანად მშობლის გული მაინც ელოდა.

მათე კალინინიდან გაგზავნილ უკანასკნელ წერილში მამიდას – ელენე გლურჯიძეს სთხოვდა: „სვიმონ ყაუხჩიშვილი თუ ნახო გადაეცი ˙მრკ˙თხვა. გამსახურდიას თუ ხვდები გადაეცი ჩემი პატივისცემა, მგონი არ დაავიწყდა თავისი მოწაფე.“[19]

მათე კერესელიძის სურვილი იყო გადასახლებიდან განთავისუფლების შემდეგ თავის სამშობლოში ჩამოსულიყო, რათა ბავშვობის ოცნება და ნატვრა აესრულებია, მაგრამ იგი მკაცრად გააფრთხილეს: – თუ უკან შებრუნება არ უნდოდა, მაშინ ამ განზრახვაზე ხელი უნდა აეღო.

„ჩემო ძვირფასო ელენე!

დიდი ბოდიში, რომ აქამდის არ მოგწერე. თუმცა ათ დღეზე მეტია, რომ აქ ვარ. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ შეხვედრის სიხარულმა, მეგობრებთან შეხვედრამ, სტუმრების განუწყვეტელმა მისვლა-მოსვლამ, ჩემებთან მთელი ღამეებით ბაასმა არ მომცა დრო წერილის დაწერისა. არამედ ისიც ემატება, რომ აქ თურმე ჩემზე არესტის ბრძანება არსებობდა და ჩამოსვლის მეორე დღეს ციხეში ამომაყოფინეს თავი! თურმე აქაც მქონია 20 წლის კატორღის განაჩენი, რადგანაც შაბათი იყო, საქმეს გამონახვის თავი არავის ქონდა და დიდი ბოდიშით ამიხსნეს, რომ ორი-სამიოდე დღით მომიხდება სახელმწიფო ხარჯზე დასვენება.

მართლაც, მესამე დღეს გამიშვეს და გამომიცხადეს, რომ ამ მოკლე ხანში ჩემი საქმე წარედგინება სასამართლოს. ამ მთელ ამბავში ის არის სამწუხარო, რომ ადვოკატის აყვანა საჭირო გახდა. და 40 ათასი ფრანკია გადასახდელი. ისე რომ, აქაც არამარტო ოჯახის ხარჯზე ვცხოვრობ, არამედ კიდევ ამისთანა ტვირთით დავაწექი...

ზედმეტია აგიწერო ჩვენი ბედნიერება, სიხარული და მეგობრების გულთბილი შეხვედრა, შენც კარგად წარმოიდგენ. მამა ისე ღელავდა, რომ ლულუმ აეროპორტზე არ წამოიყვანა, რათა ავად არ გახდესო. შემხვდნენ ლულუ, ნინო და გიორგი. ნინო მარტო იმით ვიცანი, რომ ლულუს გვერდში იდგა და ხელებით შორიდან მესალმებოდა. პირველ წუთს ვერც მოვისაზრე, რომ მაღალი ტანმოყვანილი ახალგაზრდა მისი შვილი უკან იყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სამი დღის განმავლობაში კარგად გამოვიძინე. სტუმრების გასტუმრების შემდეგ მამას გათენებამდე ვებაასებოდი.

ნინოს ნელ-ნელა ვეცნობოდი და მგონი დავიმეგობრე. ეს შეხვედრა მართალი გითხრა, ცოტა მაფიქრებდა, მაგრამ მთელი მისი ნდობა და სიყვარული დავიპყარი.

გიორგიც დავიმეგობრე და ახლა მთლად მენდობა.“[20]

მათე კერესელიძეს 15 წელი არ ჰყავდა შვილი ნანახი და მთელი ამ წლების განმავლობაში 2 წლის გოგონას ხატებას ატარებდა, რომელიც დედასთან ერთად დატოვა. მათეს მეუღლე მაია (მარია) დრუჟინინა რუსი ემიგრანტის ქალიშვილი გახლდათ და იგი იყო მთელი ოჯახის ბურჯი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კერესელიძეები უფროსი ძმიდან – იასონიდან დაწყებული ლეო, გიორგი და მათეთი გათავებული, რუსეთს ებრძოდნენ, თუმცა ამ უკანასკნელმა მეუღლედ რუსი ეროვნების ქალი მოიყვანა, რაც იმის დასტური გახლდათ, რომ ქართველ

19 კერესელიძე მ. პირადი წერილი, კალინინი, 3.08.57.

20 კერესელიძე მ. პირადი წერილი, ვეზინე, 7.10.57.

ხალხს იმპერიალისტური რუსეთი და მისი ბოროტების მანქანას სძულდა და არა რუსი ერი.

მათე კერესელიძემ საცხოვრებლად გერმანია აირჩია. იგი მამიდას ატყობინებდა: „50 წელს გადასული, 15 წელზე მეტი უპრაქტიკო, არავითარი ნამდვილი სპეციალური ცოდნის კაცისთვის, რომლის პასპორტის საკითხიც კი, ჯერ კიდევ გარჩევაშია, საიდანღაც ჩამოსული უცხოელისთვის რასაკვირველია ძნელია მყისვე მოწყობა. მაგრამ ბოლოს მგონი ეხლა შემიძლიან დავმშვიდდე და ჩემი ჯიუტობით ბედმაც ძალიან გამიღიმა – მგონი. ფეხი მყარ ნიადაგზე დავდგი. ჰამბურგში ერთ ქვიშის და ცემენტის ქარხანაში მოვეწყე, ვიმუშავებ კონტორაში. თანაც თარგმანებზე კერძოდ ვიმუშავებ, ისე რომ ოჯახს მოვუვლი.

ის მეტად მაწუხებს, რომ ოჯახი ორად დაირღვა. მაიას კი წავიყვან ჰამბურგში, როცა ბინას მივიღებ. თან მამასაც ჩამოვიყვან, თუმცა მეშინიან, აქ მოიწყენს, რადგან ქართველობა სულ არ არის... ნინოს ამბავი კი უფრო რთულია. გერმანული არ იცის. მთელი ნაცნობობა და მეგობრები იქ ჰყავს, თანაც, სინამდვილე, რომ ვთქვათ მეტ-ნაკლებად გაფრანგებულია – თუმცა ლეკურს მშვენიერად ცეკვავს და თავი ქართველად მოჰყავს".[21]

საბჭოთა ბანაკებში გატარებულმა მძიმე ცხოვრებამ უკვალოდ როდი ჩაიარა. მათე კერესელიძე მამიდისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „მე ავად ვიყავი: გულის ინფარქტი შემემთხვა. ეხლა მთლად გამოვკეთდი თუმცა სიფრთხილეს მიკარნახებენ ექიმები: პაპიროსის მოწევა ამიკრძალეს, ტრამვაის სირბილით გამოკიდება აღარ შეიძლება, ნერვიულობას და ღელვას უნდა გავექცე და სხვა.

ორი თვე ვიწექი საავადმყოფოში, მერე ორი თვით პარიზში გამოკეთებისათვის წავედი. საქმეში, მძიმე მუშაობაში რასაკვირველია წამაფერხა და ზოგიერთ რამეში ჩამოვრჩი. ეხლა ნინო ჯვარს იწერს. ცოტა უკმაყოფილო ვიყავი ბევრის მოსაზრებით, თუმცა ვიცი ძალიან კარგი, განათლებული, ჭკვიანი და ზრდილი ბიჭია. იგი არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობს. არის 24 წლის. მამა ქალაქის მშენებლობის დირექტორია, ერთი ძმა ექიმია. მოკლედ კარგი განათლებული და სასიამოვნო ოჯახია."[22]

1960 წლის 16 ივნისს დიუსელდორფიდან თბილისში წერილი მოვიდა, რომელმაც სულის სიღრმემდე შეძრა დედ-მამიშვილებიდან ერთადერთი ძმის ამარა დარჩენილი ელენე გლურჯიძე: „ჩემს განცდაზე ვერას მოგწერ, რადგან სიტყვები ვერ გამოსთქვამენ. საყვარელი მამის დაკარგვის გამო სასოწარკვეთილებას ობლად დარჩენის გრძნობაც ემატება... ისიც გულს მიკლავს, რომ იმ უკანასკნელ წუთებში მის გვერდზე არ ვიყავი: ადმინისტრაციულ ბიუროკრატიის სიტლანქის ბრალით ვერაფრით ვერ მოვახერხე დროზე ჩასვლის ვიზა მიმელო. თუმცა ავამოძრავე მთელი ნაცნობობა, მაგრამ საკმარისად ვერ ავაჩქარე ეს საქმე და მარტო დასაფლავებაზე მოვახერხე ჩასვლა...

გულს მიკლავს, რომ უკანასკნელად ველარ მნახა, როგორც დაკარგული და ისევ მონახული შვილი. ვიცი, რომ ძალიან ვუყვარდი და ძალიან დარდობდა ჩემს ახლანდელ ბედზე. და აწუხებდა რომ ოჯახი, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა, იფანტებოდა. ის ნუგეში კი ჰქონდა, რომ 16 წლის შემდეგ მაინც მნახა ჯანზეც კარგად. დარწმუნდა, რომ ფეხის მოკიდვა მოვახერხე... ერთი დიდი ბედია,

---

21 კერესელიძე მ. პირადი წერილი, ჰამბურგი, 31.10.59.

22 კერესელიძე მ. პირადი წერილი, ვეზინე, 22.04.60.

რომ არ იწვალა და მშვიდად ძილში გარდაიცვალა.

დასაფლავებაზე ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. კიდევ მეტი დაესწრებოდა, რომ იმის თავი გვქონოდა და ყველასთვის შეგვეტყობინებია.

დედის გვერდით ჩავასვენეთ, შორეულ ქვეყანაში, უცხო მიწაში, სამშობლოდან შორს, რომელიც ასე უყვარდა და რომელსაც ყველაფერი შესწირა.

ალბად, ჩვენც უცხო მიწაში უნდა გადავიკარგოთ. ჩვენი შვილები კი და შვილიშვილები ნელ-ნელა გადაგვარდებიან და უცხოეთი მათთვის უცხოეთი აღარ იქნება."[23]

მათე კერესელიძისათვის მამის დაკარგვა ძალიან დიდი დარტყმა იყო. მას იმედად ისღა დარჩენოდა, როგორც თვითონ წერდა: „მარიამს ლეოს ქალალდები აქვს, მამასაც ბევრი ნაწერი დაუტოვებია, ძალიან მსურს ოდესმე გადავსინჯო და მოგონების ღირსი არ დაიკარგოს."[24]

გერმანიაში, მათე კერესელიძის ცხოვრება თანდათან აეწყო. მისი მეუღლე მაია საბოლოოთ გერმანიაში გადავიდა. ქალიშვილი ნინო კი სამხრეთ საფრანგეთში დაბინავდა. იგი ზრდიდა ორ ვაჟსა და პატარა ქალიშვილს ირინეს, რომელთაც საქართველოს სიყვარულს აქედანვე უნერგავდა. კერესელიძეების ვეზინეს სახლი თანდათან დაცარიელდა. ლულუ ფრანგ ქალზე დაქორწინდა და ოთხ ოთახიან ბინაში გადავიდა. პატარა გიორგიც გაიზარდა, დავაჟკაცდა და ქართველ ემიგრანტ თინა ბერეკაშვილზე ჯვარი დაიწერა. ახალგაზრდებმაც ბინა ცალკე დაიდეს.

ასე რომ, გიორგი კერესელიძის დიდი ოჯახი თანდათან დაიშალა, მაგრამ თან წაიღეს ერთმანეთის სიყვარული და ქართული სტუმართ-მასპინძლობის ტრადიცია...

გავიდა წლები... მათე კერესელიძეც უცხო მიწაში იმ რწმენით ჩაესვენა, რომ საქართველოს საბოლოოდ ღმერთი არ გასწირავდა. ნანატრ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას კვლავ აღიდგენდა, რომელშიც უცხოეთში საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა თავგანწირვამ დიდი როლი ითამაშა.

MARIAM MARJANISHVILI

Lost in a Strage Land
(According to Mate Kereselidze's epistles)

Summary

During the World War II a large number of young Parisian emigrants joined anti-soviet organisations. They hoped that Germny would defeat Russia, which will give the Georgian emigrants the opportunity to restore Georgia's independence.

Giorgi Kereselidze's eldest son, Mate was the first to join the anti-soviet organisation "Tamar I" as an interpreter.

---

23 კერესელიძე მ. პირადი წერილი, ვეზინე, 16.06.60.

24 კერესელიძე მ. პირადი წერილი, ვეზინე, 13.08.60.

The Georgians from this group were trained as saboteurs-parachutists who were to land in Caucasus.

"Indeed, in late spring or early summer of 1942, Mate Kereselidze's group from Tamar I landed in north-west part of Georgia. Some were killed and some were wounded during the fight against soviet forces, others were taken hostage. Mate was among the minority who, surprisingly, were released after 14-15 years of imprisonment and were let to returm to the West"

In 1946 Mate Kereselidze sent his first letter from the camp to his aunt who lived in Tbilisi, in which he asked his relatives and friends for help.

In a small town near Paris, Mate's father, his wife and children, his brother and nephews were looking forward to his return and this day finally came on September 20, 1957

Russian imprisonment didn't seem to be enough so the French government sentenced him to 20 more years of hard labour. The court acquitted Mate and he moved to Germany where he made his living by translating.

Mate Kereselidze's dream to returm to Georgia remained unfulfilled: "Perhaps, we will be lost in strange lands. And our children and grandchildren will gradually change and strange lands will no longer be strange for them"

მალხაზ მაცაბერიძე

მიხეილ წერეთელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივების შესახებ რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამ და ცარიზმის დამხობამ დიდი იმედები აღძრა იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ჩაგრულ ერებში. იმედიანი მოლოდინი ჰქონდათ საქართველოს პატრიოტულად განწყობილ წრეებსაც. ემიგრაციაში მყოფი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ წერეთელი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, თებერვლის რევოლუციას უკავშირებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დაწყებას.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარება დაახლოებით რვა თვე გაგრძელდა, 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ძირფესვიანად შეცვალა ვითარება და ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შექმნა. თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ეროვნულ-პოლიტიკური ძალების მიერ დასახული გეგმები უკვე აღარ შეეფერებოდა ახალ რეალობას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ძალების მიერ დასახული მთავარი ამოცანა კი საქართველოს სახელმწიფოებრივი ავტონომიის მიღწევა იყო.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიხაკო წერეთელმა რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა ბერლინში გამომავალ „ქართულ გაზეთში" ეს სტატიებია: „რუსის დროებითი მთავრობა და ჩაგრულნი ერნი", „საქართველოს ეკლესია და რუსეთის დროებითი მთავრობა" (1917 წლის აგვისტო), „ეროვნული საკითხი და სოციალიზმი თანამედროვე ომში" (1917 წლის აგვისტო-სექტემბერი), „რუსეთის რევოლუცია" (1917 წლის ოქტომბერი). განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს უკანასკნელი სტატია, სადაც მოცემულია თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში შექმნილი ვითარების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი.

გარდა ამისა აღნიშნულ პერიოდში მიხეილ წერეთელმა, ასევე ემიგრაციაში მყოფ თავის თანამოაზრეებთან – გიორგი და ლეო კერესელიძეებთან, ასევე გიორგი მაჩაბელთან ერთად, გააგზავნა რამდენიმე მიმართვა: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონს, რუსეთის დროებით მთავრობის თავმჯდომარეს ლვოვს, ეპისკოპოს ლეონიდეს, გაზეთ „საქართველოს" რედაქციას და სტოკჰოლმის სოციალისტურ საერთაშორისო კომისიას.[1]

1 დასახელებული ნაშრომები თავმოყრილია კრებულში: მიხეილ (მიხაკო) წერეთელი. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და საქართველო. თბილისი, 2017.

1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს ავტონომიის აღდგენის მოთხოვნა

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეროვნულ-პატრიოტული ძალების უმთავრეს მოთხოვნად იქცა საქართველოს სახელმწიფოებრივი ავტონომიის აღდგენა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე. ამის თაობაზე ნათქვამია მიხეილ წერეთლისა და მისი თანამოაზრეების მიერ აშშ-ის პრეზიდენტ ვილსონისადმი გაგზავნილ მიმართვაში,[2] 1917 წლის 26 მარტს, რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის ლვოვისადმი გაგზავნილ დეპეშაში კი აღნიშნული იყო, რომ საქართველოს უფლება აქვს „დაუყოვნებლივ შეუდგეს ქართულ დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს კონსტიტუციას და აღადგენს ავტონომიურ (დამოუკიდებელ) საქართველოს მთელ მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებით რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, თანახმად რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებულ ტრაქტატებისა, რომელნიც დარღვეულ იქმნენ რუსეთის მიერ საქართველოში შემოსვლისთანავე".[3]

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მაშინდელი კონცეფციის თანახმად, რეალურად მიაჩნდათ თავად რუსეთის ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი და შემდეგ დარღვეული ქართლ-კახეთის სამეფოსთან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის და 1804 წელს იმერეთის სამეფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნა, რაც რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა დაედასტურებინა. საქართველოში ეს იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული მოთხოვნა.

დროებითი მთავრობა არ აპირებდა ჩაგრულ ერთა განთავისუფლებას

1917 წლის თებერვლის რევოლუციით აღძრულ იმედებთან ერთად, მალევე ცხადი გახდა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა არ აპირებდა რუსეთის იმპერიაში მოქცეული ხალხების ეროვნული ჩაგვრისთვის ბოლოს მოღებას. მიხეილ წერეთლის თქმით, რუსეთის სოციალისტური პარტიები თავიანთ პროგრამებში აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ არ აპირებდნენ ამის პრაქტიკული განხორციელების მხარდაჭერას და იმპერიალისტურ პოზიციაზე იდგნენ.

რუსეთის მმართველი წრეების იმპერიალისტური განწყობის მკაფიო გამოვლინება იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხისადმი დროებითი მთავრობის ნეგატიური დამოკიდებულება.

მიხეილ წერეთელი აღნიშნავდა, რომ „რუსის ხალხის პრეტენზია იყო მუდამ ბატონობა დაპყრობილ და მოტყუებით შემოერთებულ ერებზე" და „გაბატონებული ერის" ცნება შეითვისეს არა მხოლოდ რუსმა ლიბერალებმა, არამედ სოციალისტებმაც. „არ კმარა ცარიზმის თავიდან მოშორება, საჭიროა რუსის ბატონობის თავიდან

---

2 მიმართვა პრეზიდენტ ვილსონს – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 10 თებერვალი, N 22, გვ. 4.

3 დეპეშა რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავად ლვოვს – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 1 აგვისტო, N 30, გვ. 5.

მოშორება არარუსთაგან. არა კმარა თავისუფლება მთელი რუსეთისა, საჭიროა თავისუფლება ყველა ერთა რუსეთში" [4]

„სოციალიზმი მოითხოვს ერთა განთავისუფლებას"

მიხეილ წერეთელი რუსეთის სოციალისტურ პარტიებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ისინი მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას და ეროვნულ საკითხში იმპერიალისტურ პოზიციაზე იდგნენ. ამავე დროს, მიხეილ წერეთელი, ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გარეშე. ამ თემას ის დაწვრილებით ეხება სტატიაში „ეროვნული საკითხი და სოციალიზმი თანამედროვე ომში".[5]

მიხეილ წერეთლის თქმით, ინტერნაციონალიზმი არ ნიშნავს უტოპიურ კოსმოპოლიტიზმს, რომელიც ერს უარყოფდა. ერების „გაქრობა" არ შეიძლება იყოს სოციალიზმის მიზანი. ეროვნული ჩაგვრის არსებობა ხელს უშლის სოციალიზმის იდეალთა განხორციელებას.

„სოციალიზმი ეროვნულია, რადგან იგი ეხება შინაგან გარდაქმნას ეროვნულ საზოგადოებათა, და საერთაშორისოც, რადგანაც ეს გარდაქმნა უნდა მოხდეს ყველა ერთა საერთო მოქმედებით და რადგანაც მომავალი კაცობრიობა თავისუფალ და ნებაყოფლობით შეკავშირებულ ერთაგან უნდა იქმნას შემდგარი", – წერდა მიხეილ წერეთელი.[6]

რუსეთის რევოლუციისა და სამომავლო პერსპექტივების ანალიზი

სტატიაში „რუსეთის რევოლუცია" მიხეილ წერეთელი დაწვრილებით შეეხო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში შექმნილ მდგომარეობას. ის პირველ რიგში გამოყოფდა ეროვნული საკითხის სიმწვავეს. არარუსი ხალხები რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 57 %-ს შეადგენდნენ, რუსეთის თებერვლის რევოლუციაც „არა მარტო რუსის ხალხის, არამედ რუსეთის ყველა ერთა მოქმედების" ნაყოფი იყო და ისინიც საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას მოელიან.

რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა რუსეთის დამფუძნებელი კრება მომავალ სახელმწიფო წყობილებასთან დაკავშირებით? როგორც მიხეილ წერეთელი მიიჩნევდა, რუსეთში კვლავ ძლიერი იყო მონარქისტული განწყობა, ამიტომ გადაჭრით იმის თქმა შეუძლებელი იყო, რესპუბლიკურ მმართველობას დაუჭერდნენ მხარს რუსეთში თუ კონსტიტუციურ მონარქიას. არ გამოირიცხებოდა ასევე კონტრრევოლუციური გადატრიალების მცდელობაც ძველი წყობილების დასაბრუნებლად.

მიხეილ წერეთელი უფრო სავარაუდოდ მიიჩნევდა, რომ რუსეთში დამყარდებოდა ცენტრალისტური რესპუბლიკა, „ცენტრალიზმისაგან განუყოფელი თვისება კი არის მილიტარიზმი, ბიუროკრატიზმი და იმპერიალიზმი" მიხეილ წერეთელი დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა რუსეთში ცენტრალისტურ რესპუბლიკასა და მონარქიას შორის. „დიდი ცენტრალისტური სახელმწიფოები, რესპუბლიკანურია იგი

---

4 წერეთელი მ. რუსეთის რევოლუცია – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 1 ოქტომბერი, N 33, გვ. 4.

5 წერეთელი მ. ეროვნული საკითხი და სოციალიზმი თანამედროვე ომში – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 1 აგვისტო, N 30, გვ.9-10; „ქართული გაზეთი", 1917 წ., 1 სექტემბერი, N 31, გვ. 7-9.

6 წერეთელი მ. ეროვნული საკითხი და სოციალიზმი თანამედროვე ომში – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 1 აგვისტო, N 30, გვ. 9.

თუ მონარქიული, ყოველთვის იმპერიალისტურია და მეტადრე რუსეთი დარჩება მუდამ იმპერიალისტურ სახელმწიფოდ" მიხეილ წერეთლის თქმით, ცენტრალისტური რესპუბლიკა არ დააკმაყოფილებს არარუსი ხალხების ინტერესებს, ამდენად „ცენტრალიზმი რუსეთისა შეუძლებელია ძალადაუტანებლად" მიხეილ წერეთლის აზრით, ცენტრალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ მოსალოდნელი იქნებოდა მთელი სერია „ხალხთა რევოლუციისა".[7]

მიხეილ წერეთლის წარმოდგენით, რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარ ტერიტორიაზე ცენტრალიზმი ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიის ინტერესებს, მაგრამ ცენტრალიზმს კიდევ უფრო არასასურველად ხდიდა „სხვადასხვაობა ერთა, კულტურათა და სარწმუნოებათა" ამიტომ, მიხეილ წერეთლის აზრით, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ფედერაციული, რაც ნიშნავდა „თავისუფალ, ნებაყოფლობით კავშირს დამოუკიდებელ ერთა", სხვაგვარად, – ეს იქნებოდა „შეერთებული შტატები რუსეთისა".[8]

გზა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ

მიხეილ წერეთლის და მისი თანამოაზრეების აზრით, რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებას უნდა ეღიარებინა საქართველოს ავტონომია, რომლის საზღვრებიც მათვე მკაფიოდ ჰქონდათ ჩამოყალიბებული: ყოფილი რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმისა და სოხუმის ოლქები, ზაქათალისა და ყარსის ოლქების ნახევარი.

საქართველოში უნდა მოეწვიათ საკუთარი დამფუძნებელი კრება და შეემუშავებინათ ქვეყნის კონსტიტუცია, პროექტი „საქართველოს რუსეთთან ახალი კავშირისა" და ასევე პროექტები „კავკასიის სხვა ერებთან ერთობისა". ამ გეგმის თანახმად, რომელსაც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია აყენებდა, საქართველო მოიაზრებოდა კავკასიის კონფედერაციის ნაწილად. სტოკჰოლმის სოციალისტურ საერთაშორისო კომისიისათვის წარდგენილ მემუარში მიხეილ წერეთელი და გიორგი მაჩაბელი აღნიშნავდნენ: „მთელი კავკასია უნდა შესდგეს ერთ კონფედერაციად, რომელშიც შევლენ სწორუფლებიან წევრებად ავტონომიური საქართველო და სხვა ავტონომიურნი ერნი კავკასიისა; კავკასიის კონფედერაცია დამოუკიდებელი უნდა იყოს შინაგან საქმეებში, ხოლო იგი ფედერატიულად იქნება შეკავშირებული რუსეთის დიდ რესპუბლიკასთან".[9]

თუკი რუსეთის ახალი ხელისუფლება უარს იტყოდა სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობაზე, მაშინ საქართველოს უნდა ეზრუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულად აღდგენაზე.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ რუსეთისაგან ჩამოშორებული საქართველო თავისუფლებისა და სუვერენული სახელმწიფოებრიობის გზას დაადგა.

---

7 წერეთელი მ. რუსეთის რევოლუცია – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 15 სექტემბერი, N 32, გვ. 3-6.

8 წერეთელი მ. რუსეთის რევოლუცია – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 1 ოქტომბერი, N 33, გვ. 5.

9 მემუარი წარდგენილი სტოკჰოლმის სოციალისტური საერთაშორისო კომისიისადმი – „ქართული გაზეთი", 1917 წ., 1 სექტემბერი, N 31, გვ. 3-6.

MALKHAZ MATSABERIDZE

Mikheil Tsereteli on the Perspectives of the Restoration of Statehood of Georgia after the February Revolution of 1917

Summary

The paper discusses those articles which were published by Mikheil Tsereteli in the "Georgian Newspaper" printed in Berlin after the February Revolution of 1917. Mikheil Tsereteli reflected on the perspectives of the restoration of statehood of Georgia and argued for autonomy of Georgia in the post-revolutionary period. The Bolshevik revolution created the new geopolitical reality and brought the idea of restoration of independent statehood back to the mainstream agenda. Mikheil Tsereteli was the first of those who caught this window of opportunity.

გიორგი მამულია

ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის (თამარ მეფის ორდენის) შექმნის ისტორიიდან

ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის შექმნის ისტორიამ უკვე არაერთხელ მიიქცია მკვლევართა ყურადღება. თუმცა, ამისდა მიუხედავად, სადღეისოდ ერთადერთ მეცნიერულ კვლევად ამ საკითხში ცნობილი გერმანელი ფალერისტი მკვლევრის – კ.-გ. კლიტმანის სტატიები შეიძლება ჩაითვალოს. მის თანახმად, სამახსოვრო ნიშნის ესკიზის ავტორი ქართული ლეგიონის ყოფილი მეთაური, გერმანული არმიის რეზერვის ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკი იყო,[1] როგორც ამას ჯერ კიდევ 1938 წელს სწერდა მას ჰ. შლიფაკის ძმა – ასევე ქართული ლეგიონის ყოფილი ვაფენმაისტერი (მეიარაღე) ოტო შლიფაკი. „ქართულ ლეგიონში გამოჩენილი დამსახურებისთვის სამხედრო და საპატიო ნიშნის დასაარსებლად, რეზერვის ლეიტენანტმა ჰორსტ შლიფაკმა შექმნა ესკიზი, რომელიც ოსმალური სამხედრო მედლის (ე. ნ. რკინის ნახევარმთვარის) ანალოგი უნდა ყოფილიყო. 1916 წლის განმავლობაში მანვე შეადგინა ესკიზი, რომელიც ჯილდოს ვარსკვლავის სახით წარმოგვიდგენდა, რადგან ლეგიონის წევრებისთვის – ვინაიდან ისინი მაჰმადიანები იყვნენ – ჯვარი მიუღებელი იყო."[2]

კლიტმანის თვალსაზრისს, რომ ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის ესკიზი ნაკლებად ცნობილმა გერმანელმა ლეიტენანტმა ჰ. შლიფაკმა შექმნა, საკონტროლო მასალის არარსებობის პირობებში, ქართველი ისტორიკოსები გასაგები სკეპტიციზმით შეხვდნენ. „ის, რომ ორდენის ესკიზის ავტორი შლიფაკი უნდა იყოს, როგორც ამას მისი ძმა ამტკიცებდა, სხვა წყაროებიდან არ დასტურდება" – წერდა ამის შესახებ თავის წიგნში ლ. ბაქრაძე.[3]

ბოლო დროს გამოვლენილი, ცნობილი გერმანელი მოღვაწის, გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის პირადი არქივის მასალები საშუალებას გვაძლევენ, კრიტიკულად შევამოწმოთ კლიტმანის ინფორმაცია და ამომწურავი პასუხიც გავცეთ დაგროვილ კითხვებს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან სწორედ შულენბურგი იყო ის პირი, რომელიც ჯერ კიდევ 1915 წლის ბოლოდან 1917 წლის ზაფხულამდე სათავეში ედგა გერმანიის „კავკასიურ ოპერაციას" (მისი ოფიციალური თანამდებობა იყო:

---

1 ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკი ჯერ კიდევ 1915 წლის დეკემბრიდან მეთაურობდა ქართული ლეგიონის სამხედრო განყოფილებას, ხოლო 1916 წლის თებერვალ-აპრილში – ფორმალურადაც ეკავა ქართული ლეგიონის მეთაურის თანამდებობა, სანამ ის ამ პოსტზე კაპიტანმა გრაფმა ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგმა არ ჩაანაცვლა. იხ.: Bihl W. Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil I: Ihre Basis in der Orientpolitik und ihre Aktionen 1914-1917. Wien-Köln-Graz 1975, S. 76.


2 იხ.: Klietmann K.-G. Das "Abzeichen" und der "Orden der Königin Thamar" in Georgien 1916 und 1918. Ordenskunde. Beiträge zur Geschichte der Auszeichnungen. Berlin, 1964, 23, S. 215.

3 იხ. ბაქრაძე ლ. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ. თბ., 2009, გვ. 161.

„კავკასიაში მეკავშირე ოფიცერი") და, ამავე დროს, 1916 წლის აპრილიდან ნოემბრამდე, იკავებდა ქართული ლეგიონის მეთაურის პოსტსაც. მის არქივში დაცულია უშუალოდ ჰორსტ შლიფაკის მიერ დახატული ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის ესკიზი. ესკიზს ქვემოთ ერთვის შულენბურგის ხელით გაკეთებული მინაწერი: „ჰორსტ შლიფაკის ქართული ლეგიონის რკინის სამახსოვრო ნიშნის ესკიზი. 30.1.1917" („Entwurf Horst Schliephack die eiserne Gedenkabzeichen von Georgischen Legion 30.1.1917.").[4] ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს, საბოლოოდ დავადგინოთ, რომ ჯილდოს ესკიზის ავტორი ნამდვილად ქართული ლეგიონის ყოფილი მეთაური ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკია, ხოლო თავად ესკიზი, როგორც ამას შულენბურგის მინაწერი მოწმობს, 1917 წლის იანვრის ბოლოს იქნა შედგენილი.



ჰორსტ შლიფაკის მიერ შესრულებული ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის ესკიზი, გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის 1917 წლის 30 იანვრის მინაწერით



გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1917 წლის 21 მარტის შეტყობინება გერმანელ სამხედრო წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში, გენერალ-მაიორ ოტო ფონ ლოსოვს

საინტერესოა ჰ. შლიფაკის ბიოგრაფიაც, რომელიც, პიროვნულ პლანში, გარკვეულწილად შეიძლება მივიჩნიოთ პოლკოვნიკ ლოურენსის, სამწუხაროდ, არასაკმარისად შესწავლილ გერმანულ ანალოგად.

ორიენტალისტი, მზვერავი და ოფიცერი, შლიფაკი კარგად ფლობდა რუსულ და აღმოსავლურ ენებს. 1905-1907 წლებში, როგორც ფოტოგრაფი და რესტავრატორი, – მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციაში ეგვიპტეში (ოსმალეთის იმპერია). 1909-1910 წლებში იყო ლივერპულის არქეოლოგიური

4 Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/105.

ინსტიტუტის თანამშრომელი. მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში სუდანსა და ჩრდილოეთ სირიაში. 1912-1914 წლებში მუშაობდა ბერლინში სამეფო ხალხთამცოდნეობის (დღევანდელი ეთნოლოგიური) მუზეუმის სამეცნიერო თანამშრომელ-რესტავრატორად. იყო ბერლინის ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და პირველყოფილი ისტორიის საზოგადოების წევრი. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მოხალისედ ჩაეწერა გერმანულ შეიარაღებულ ძალებში და, საფუძვლიანი ინფანტერიული წვრთნის შემდეგ, მივლინებულ იქნა თარჯიმნად აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედი 1-ლი საარმიო კორპუსის მეთაურთან, ინფანტერიის გენერალ ჰერმან ფონ ფრანსუასთან. სამხედრო-სადაზვერვო ოპერაციებში (რუსული ენის ცოდნის დახმარებით მოწინააღმდეგის პოზიციების არაერთგზის გადაკვეთაში) მიღწეული წარმატების გამო, დაჯილდოვებულ იქნა მეორე ხარისხის რკინის ჯვრით. მხოლოდ ერთი ოფიცრის თანადგომით შეძლო 30-კაციანი რუსული სატრანსპორტო კოლონის დატყვევება. მიენიჭა ვიცე-ფელდფებელის, ხოლო შემდეგ – ლეიტენანტის სამხედრო წოდება. მსახურობდა მე-2 გრენადერთა პოლკის მე-4 სათადარიგო ბატალიონში. 1915 წლის 5 დეკემბრის ბრძანებით, გადაყვანილ იქნა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე დისლოცირებულ გერმანულ სამხედრო ნაწილებში. 1916 წელს ლეიტენანტის ჩინით ეკავა ოსმალეთში ქართული ლეგიონის მეთაურის თანამდებობა. 1916-1917 წლებში იყო ქართული ლეგიონის ოფიცერი[5].

როგორც ვხედავთ, ლოგიკურია, რომ სწორედ სამოქალაქო პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი, ფოტოგრაფ და რესტავრატორ ჰორსტ შლიფაკს დაევალა ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის ესკიზის შედგენა, რასაც მან, სავარაუდოდ, ქართული კომიტეტის წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე, მშვენივრად გაართვა თავი. ამ საქმეში ქართველთა ჩართულობა იქიდანაც ჩანს, რომ თამარ მეფის პორტრეტის ირგვლივ გაკეთებული ესკიზის წარწერაში გერმანულად აწერია: „Kartwelische Legion 1915-1916“, რაც, საბოლოო ჯამში, შეცვლილ იქნა ქართული წარწერით: „ქართული ლეგიონი 1915.“

ყურადღებას იმსახურებს შულენბურგის მიერ ესკიზის მინაწერში გამოყენებული ტერმინოლოგიაც (რკინის სამახსოვრო ნიშანი), რაც, ერთგვარად ადასტურებს კლიტმანის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრით, ხსენებულ ნიშანს ქართველ ლეგიონერთა შორის უნდა შეესრულებინა ისეთივე სამხედრო ჯილდოს როლი, როგორიც ეკისრა რკინის ნახევარმთვარის ორდენს ოსმალ ასკერებს შორის (ეს ორდენი, თავის მხრივ, უტოლდებოდა გერმანულ რკინის ჯვარსაც).

გრაფ შულენბურგის ცნობით, თავდაპირველი ინიციატივა ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის შექმნის შესახებ ლეგიონის ქართველი ოფიცრებისგან იყო წამოსული. კ.-გ. კლიტმანისადმი 1938 წელს მიწერილ წერილში შულენბურგი ამ ამბავს ასე იხსენებდა: „1917 წლის გაზაფხულს წარმოიქმნა აუცილებლობა ლეგიონი დაგვეშალა. იმ დროს მე, ლეიტენანტ ჰორსტ შლიფაკთან ერთად, კონსტანტინოპოლში ვიმყოფებოდი, ხოლო ფრონტზე კერასუნტთან, მეკავშირე ოფიცრის ჩემს ფუნქციებს ლეიტენანტი შედე ასრულებდა. როდესაც ლეგიონის დაშლა გადაწყვეტილ იქნა, დოქტორმა შედემ შემატყობინა, რომ ლეგიონის ოფიცერთა კორპუსს სურვილი გამოუთქვამს, ლეგიონის სამახსოვროდ ნიშანი

---

5 მამულია გ. ასტამაძე გ. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (1914-1918). დოკუმენტები და მასალები. თბ., 2019, გვ. 700-701.

დაგვემზადა, რომელიც ყველა იმ პირს უნდა მიეღო, ვინც ოფიცრად, უნტერ-ოფიცრად ან რიგითად მსახურობდა ლეგიონში"[6].

კლიტმანის თანახმად, „1916-1917 წლების ზამთარში ქართული ლეგიონის მეთაურმა (ე. ი. გრაფმა შულენბურგმა, – გ.მ.) კომიტეტს შესთავაზა, ეს ნიშანი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დამსახურებისთვის ზოგად ქართულ ჯილდოდ გაეფართოვებინათ და ორდენად გადაექციათ. კომიტეტმა ხალისით მოიწონა ხსენებული ჯილდოს იდეა და დაადგინა, რომ იგი დამზადდეს და მიენიჭოს გერმანული დიდი გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციასთან შეთანხმებით".[7] ამ პასაჟის წერისას, კლიტმანი იმოწმებს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ყოფილი წევრის, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის წერილს. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შულენბურგის პირადი არქივის მასალები ადასტურებენ ამ სიტყვებს და იძლევიან დამატებით ინფორმაციას, როგორ მიიღო ეს წინადადება გენერალურმა შტაბმა.

უკვე 1917 წლის თებერვლის პირველ ნახევარში, ბერლინში მყოფმა ქართული ლეგიონის ვაფენმაისტერმა ოტო შლიფაკმა, კონსტანტინოპოლიდან მოსული შულენბურგის ბრძანების თანახმად, სამახსოვრო ნიშნის პირველი პარტია დასამზადებლად შეუკვეთა ერთ-ერთ ადგილობრივ ოქრომჭედელს, თუმცა, მაშინვე გაირკვა, რომ სახელმწიფო სახსრები ამ ნიშნის დასამზადებლად არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. 21 თებერვალს შლიფაკმა შულენბურგს შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა: „ქართული ემბლემა შეკვეთილია. მიმღები მოითხოვს წინასწარ თანხას ათასი მარკის ოდენობით. გთხოვთ გაგზავნოთ ახლავე წინასწარი თანხა. შლიფაკი. შენიშვნა: სახელმწიფო სახსრები ამ საქმისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი."[8]

პარალელურად, ნიშნის სტატუსის დასადგენად, მიდიოდა მოლაპარაკებები სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. კაპიტან ერნსტ ფონ ჰიულსენის, გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსის 15 მარტის შეტყობინების თანახმად, „როგორც ქართული კომიტეტის წევრებს, ისევე გრაფ შულენბურგს გარკვევით განემარტათ, რომ რაიმე ორდენის შექმნა სრულიად გამორიცხული იყო და რომ სამახსოვრო ნიშანიც კი, არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ნებადართული სახელმწიფოსგან ან სახელმწიფო სახსრებით დამზადებული. თუკი ლეგიონი ასეთს დაამზადებდა, ეს იქნებოდა სავსებით პრივატული ამბავი."[9]

რამდენიმე დღეში ამ ტელეგრამის გაგზავნის შემდეგ, ბერლინში ჩამოსხმულ იქნა ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის პირველი საცდელი ეგზემპლარი, რომელიც ოტო შლიფაკმა, კონსტანტინოპოლში შულენბურგისათვის გადასაგზავნად, საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიტანა, რასაც, თავის მხრივ, მოყვა გერმანიის საგარეო უწყების პოზიციის გამოხატვაც ნიშნის სტატუსთან დაკავშირებით. 21 მარტით დათარიღებული ცნობით, საგარეო საქმეთა სამინისტრო ატყობინებდა გერმანიის სამ-

---

6 Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/66.


7 Klietmann K.-G. Das "Abzeichen" und der "Orden der Königin Thamar" in Georgien 1916 und 1918, S. 215-216.

8 მამულია გ. ასტამაძე გ. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (1914-1918). დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 354.

9 მამულია გ. ასტამაძე გ. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (1914-1918). დოკუმენტები და მასალები, თბ., 2019, გვ. 354.

ხედრო წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში, გენერალ ოტო ფონ ლოსოვს, რომ „ვაფენმაისტერმა შლიფაკმა გადმოგვცა უერთგულესად აქ თანდართული ქართული ლეგიონის წევრებისთვის განკუთვნილი ჯილდოს ჩამოსხმული საცდელი ეგზემპლარი. თქვენს აღმატებულებას გთხოვთ, გრაფ შულენბურგს დანართი იმ შენიშვნით გადასცეთ, რომ, როგორც აქ მიიჩნევენ, საქმე ეხება წმინდა პრივატულ სამახსოვრო ნიშანს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს ორდენის ხასიათს. აგრეთვე ადგილობრივი ქართული კომიტეტის წევრებიც ელოდებიან, რომ ლეგიონის ოფიცრები არ შეეცდებიან ქართული ორდენის ჯილდოს დაარსებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჯილდოს შექმნისთვის საუწყებო ფული ვერ იქნება გამოყენებული, აგრეთვე არც ჩამოსხმული საცდელი ეგზემპლარის გამოგზავნის ფაქტიდან უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ საგარეო სამინისტრომ მხარი დაუჭირა სამახსოვრო ნიშნის შექმნას, რაც ქართული ლეგიონის კერძო საქმეს წარმოადგენს.“[10]



კავკასიაში გერმანიის მეკავშირე ოფიცრის, კაპიტან გრაფ ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგის 1917 წლის 3 მაისის წერილი გერმანიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის მეთაურს, კაპიტან ე. ფონ პიულსენს

როგორც ვხედავთ, გერმანულ მხარეს ამ გადაწყვეტილების მიღებისას კონსულტაცია ჰქონდა ბერლინში მყოფ ქართული ეროვნული კომიტეტის წევრებთანაც. თავად ამგვარი პოზიცია, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას რამდენიმე გარემოებით: 1) 1917 წლის მარტისთვის ქართული ლეგიონი ოსმალეთის ტერიტორიაზე ფაქტობრივად დაშლილი და, შესაბამისად, „კავკასიური ოპერაციის“ სამხედრო ფაზაც დასრულებული იყო. 2) რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ამიერიდან, ბერლინის მთავარი ამოცანა, პეტროგრადის გერმანიასთან სეპარატულ ზავზე დაყოლიება იყო. ამ წამოწყებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქართული კომიტეტის წევრებიც, გიორგი მაჩაბლის ხელმძღვანელობით, რომლებიც, რუსეთის დედაქალაქში მყოფ გავლენიან ქართველ სოციალ-დემოკრატებთან კავშირის დასამყარებლად, ნეიტრალურ სტოკჰოლმშიც კი გაემგზავრნენ. შესაბამისად, ამგვარ ვითარებაში, არც გერმანული სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექცია, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა სადაზვერვო-სადივერსიო ოპერაციების ჩატარება რუსეთის იმპერიის პერიფერიაზე და, მითუმეტეს, არც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, არ იყვნენ დაინტერესებულნი საკუთარი ურთიერთობების ამგვარი აფიშირებით ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ჩვენი აზრით, ყოველივე ამას არ შეეძლო გავლენა არ

10 Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/105.

ექონია სამახსოვრო ნიშნის სტატუსზეც, რადგან შექმნილი ახალი რეალობიდან გამომდინარე, როგორც გერმანული მხარე, ისე ქართული კომიტეტი უდავოდ უფრო იყვნენ დაინტერესებულნი შეექმნათ პოლიტიკური დატვირთვის, და არა წმინდა სამხედრო ხასიათის მატარებელი ჯილდო. ამავე დროს, ხსენებული ჯილდო უნდა ყოფილიყო მიმართული მისი მომავალი გამოყენებისთვის და არ ყოფილიყო შეზღუდული მხოლოდ ქართული ლეგიონის სამხედრო მოსამსახურეებით. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თავდაპირველად ქართული ლეგიონის ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის ჩაფიქრებულმა სამხედრო ჯილდომ, რომელსაც მისი შემქმნელები გერმანული რკინის ჯვრის ან ოსმალური ნახევარმთვარის ერთგვარ ქართულ ანალოგადაც კი განიხილავდნენ, საბოლოო ჯამში სამხედრო-პოლიტიკური ჯილდოს სტატუსი მოიპოვა, რომლითაც არა მხოლოდ ლეგიონერები, არამედ ყველა ის პირი ჯილდოვდებოდა, რომელსაც შესაბამისი დამსახურება მიუძღვოდა პროგერმანული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე.

შულენბურგის ცნობით, სამახსოვრო ნიშანი ლეგიონში მომსახურე ყველა ოფიცერს, უნტერ-ოფიცერს და რიგითს დაურიგეს („ნიშანი, ქართული კომიტეტის სიგელთან ერთად, ქართული ლეგიონის ყველა წევრს და მათ გერმანელ მეთაურებს გადაეცათ")[11], რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე 1917 წლის 17 იანვარს ისედაც საკმაოდ შეთხელებული ქართული ლეგიონი, კონსტანტინოპოლში გერმანულ მისიასა და ოსმალურ სარდლობას შორის მიღწეული შეთანხმებით დაშლილ იქნა, ხოლო ოსმალური მოქალაქეობის მქონე ლეგიონერები, ქართული კომიტეტის პროტესტის მიუხედავად, ძირითადად თურქულ სამხედრო ნაწილებში იქნენ შეყვანილი. საბოლოოდ, მარტის მეორე ნახევარში, ტირებულოს ფრონტიდან კონსტანტინოპოლში დაახლოებით 150 ლეგიონერი ჩამოვიდა, რომელიც საკუთარ გერმანელ და ქართველ ოფიცრებთან და უნტერ-ოფიცრებთან ერთად, საზღვაო გზით გერმანიაში იქნა გადაყვანილი. კერძოდ, 20 აპრილს კონსტანტინოპოლიდან გერმანიაში 108 კაცისგან შემდგარი პირველი ჯგუფი გაემგზავრა, რომელსაც 2 აპრილს 91-კაციანი შემდგომი ჯგუფი მიყვა[12]. შესაბამისად, ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანიც სწორედ ამ 199 კაცს უნდა მიეღო. არ არის გამორიცხული, - პირველ ჯგუფს უკვე გერმანიაში ან რუმინეთში, ხოლო მეორეს - ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში მათი ყოფნის დროს.


შულენბურგის პირად არქივში დაცული ცნობებით დასტურდება, რომ ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნების პირველი პარტია ბერლინიდან კონსტანტინოპოლში უკვე 1917 წლის აპრილში ჩავიდა. მაისის დასაწყისისთვის დადგენილ იქნა იმ პირთა პირველი სია, რომელთა დაჯილდოებასაც უპირველესყოვლისა აპირებდა კომიტეტი. ვინაიდან სიის სათავეში იმყოფებოდნენ გერმანიის იმპერიის უმაღლესი სამხედრო პირებიც, 3 მაისს შულენბურგმა კონსტანტინოპოლიდან ცალკე წერილით მიმართა სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის მეთაურს, კაპიტან ე. ფონ ჰიულსენს, სადაც აღნიშნავდა: „ადგილობრივი ქართული კომიტეტი სარგებლობს ჩემი შუამდგომლობით, რათა ქართული ლეგიონის თანდართულმა სამახსოვრო ნიშანმა, რომელიც დიდი გენერალური შტაბის და დიდი მთავარი სადგომის ოფიცრებისთვის არის განკუთვნილი, საკუთარ მისამართს მიაღწიოს.

---

11 Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/66.

12 Zürrer W. Zur Geschichte der Georgischen Legion im Ersten Weltkrieg. Militärgeschichte Mitteilungen, 1978, 23, S. 98.

ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი არ არის ორდენი, არამედ იმ ნიშნების მსგავსადაა შექმნილი, რომლებიც ზოგადად მიღებულია რუსეთში და კონკრეტულ ოპერაციაში მონაწილეობისათვის, სკოლისა ან განსაკუთრებული სამხედრო ნაწილისადმი კუთვნილების გამო და ა.შ. იტარებიან. ნიშანს ასევე თან ახლავს ქართული დაჯილდოვების სიგელის თარგმანი. წარწერა თავად ნიშანზე ჟღერს: „ქართული ლეგიონი 1915 წ."



ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნით დაჯილდოვებულ გერმანელ სამხედრო მოსამსახურეთა 1917 წლის 1 მაისის სია

უმორჩილესად გთხოვთ, კეთილი ინებოთ უზრუნველყოთ თანდართული ნიშნების და სიგელების შემდგომი გადაგზავნა, რათა გერმანელმა სამხედრო მოსამსახურეებმა მიიღონ ნიშნის ტარების უფლება. თან ვურთავთ გერმანელ სამხედრო მოსამსახურეთა სიას, რომლებმაც მიიღეს ნიშანი.

წარწერა: გრაფი ფონ დერ შულენბურგი."[13]

როგორც ვხედავთ, გერმანულ სტრუქტურებთან კონსულტაციების საფუძველზე, ქართულმა კომიტეტმა გამონახა ჯილდოს არაოფიციალური სტატუსის კიდევ ერთი, არც თუ უმნიშვნელო ასპექტი. ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი გაიგივებული იყო რუსეთის იმპერიაში მიღებულ იმ უამრავ სამკერდო ნიშანთან, რომლებსაც ფორმალურად არ ჰქონდათ მინიჭებული ორდენის ან მედლის სტატუსი, მაგრამ რომელთა ტარებაც სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ნებადართული იყო, როგორც ცალკე სიებში შეტანილი ჯილდო. ასეთი სისტემა საშუალებას აძლევდა უკვე გერმანელ ოფიცრებსაც, ეტარებინათ ქართული კომიტეტის მიერ გაცემული ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი.

13 Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/105.

1938 წელს კლიტმანისადმი მიწერილ წერილში, შულენბურგი კიდევ უფრო აკონკრეტებს ყოველივე ამას და ხაზს უსვამს, რომ, „ამრიგად, საქმე ეხება არა ორდენის დაარსებას, ან კონკრეტული სამსახურის გაწევის გამო მინიჭებულ ჯილდოს, არამედ სამახსოვრო ნიშანს, როგორც ეს, განსაკუთრებით, ომის წინა[14] რუსულ არმიაში იყო მიღებული, სადაც მათ „ეტონებს" უწოდებდნენ. მსგავსი სამახსოვრო ნიშანი მრავლად იყო დაარსებული მსოფლიო ომის დროს (ბალტიური ჯვარი და ა.შ.). ქართული ლეგიონის ნიშანს მხოლოდ ის პატივი ხვდა წილად, რომ მათ შორის პირველი იყო"[15]. კომიტეტის მიერ შემუშავებული წესის თანახმად, სამახსოვრო ნიშნით დაჯილდოვების სიგელს ხელს აწერდა მისი თავმჯდომარე (პეტრე სურგულაძე) და კომიტეტის სამი წევრი, თუმცა შემდგომში, ეს წესი ყოველთვის არ იყო დაცული.

შულენბურგის არქივში მოიპოვება დოკუმენტი, რომელიც გვაცნობს იმ გერმანელ ოფიცერთა გვარებს, რომლებიც ქართული ეროვნული კომიტეტის დადგენილებით, პირველნი დაჯილდოვდნენ ამ ნიშნით.

აი მათი სრული სია:

„1. მისი აღმატებულება გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბენკენდორფი უნდ ჰინდენბურგი, სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის უფროსი.
2. მისი აღმატებულება ინფანტერიის გენერალი, გენერალ-კვარტირმაისტერი ლუდენდორფი.
3. გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი, სამხედრო რწმუნებული კაიზერის საელჩოში კონსტანტინოპოლში.
4. პოლკოვნიკი და განყოფილების უფროსი სახმელეთო ძალების გენერალურ შტაბში ბარტენვერფერი.
5. ვიცე-პოლკოვნიკი და განყოფილების უფროსი სახმელეთო ძალების გენერალურ შტაბში ფონ ტიშოვიცი.
6. კორვეტენ-კაპიტანი ჰუმანი, სამხედრო-საზღვაო ატაშე კაიზერის საელჩოში კონსტანტინოპოლში.
7. კაპიტანი ვოლპმანი.
8. სამსახურიდან გადამდგარი რეზერვის კაპიტანი ნადოლნი.
9. რეზერვის კაპიტანი ფონ ჰიულსენი, გენერალური შტაბი, პოლიტიკის სექცია.
10. რეზერვის პოლკოვნიკი ბლანკენბურგი, დიდი სადგომი.
11. რეზერვის როტმისტრი ფონ ფოსი.
12. რეზერვის კაპიტანი მალენსი, გენერალური შტაბი, პოლიტიკის სექცია.
13. რეზერვის კაპიტან-ლეიტენანტი ფონ ჰაასი, კაიზერის საელჩო, კონსტანტინოპოლი.
14. ლეიტენანტი ფონ მანცი, კაიზერის საელჩო, კონსტანტინოპოლი.
15. მაიორი ნიმანი, კაიზერის საელჩო, კონსტანტინოპოლი.
16. ობერ-ლეიტენანტი კურლანდიის მე-4 პოლკში, მაქს გრაფ ფონ გალენი.
17. კაპიტანი ფონ ვიზე უნდ კაიზერვალდაუ, გერმანული საელჩო, კონსტანტინოპოლი.
18. რეზერვის კაპიტანი გრაფი ფონ დერ შულენბურგი, მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში.
19. რეზერვის ლეიტენანტი შედე, მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში.

---

14 იგულისხმება პირველი მსოფლიო ომის წინა რუსული არმია.

15 Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/66.

20. რეზერვის შტაბს-ექიმი შტოფელსი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
21. რეზერვის ლეიტენანტი ფონ შლიფაკი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
22. მოხალისე ექიმი დოქტორი ფრიკე, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
23. ვიცე-ფელდფებელი და ოფიცრის თანამდებობის შემსრულებელი ოსენკოპი, მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში.
24. ვიცე-ფელდფებელი კულცერი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
25. ვიცე-ფელდფებელი შლივინსკი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
26. ვიცე-ფელდფებელი ბაუერშმიდტი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
27. ვაფენმაისტერი უნტერ-ოფიცერი კოლოდციგი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
28. ვაფენმაისტერი სამხედრო მოხალისე შლიფაკი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში].
29. ლანდსშტურმანი[16] მოზელი, [მივლენილი საგარეო საქმეთა სამინისტროში]."[17]

სია ცხადყოფს, რომ გენერალ-ფელდმარშალ პ. ჰინდენბურგისა და გენერალ-კვარტირმაისტერ ე. ლუდენდორფის გარდა, რომელთა დაჯილდოვებაც ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნით წმინდა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და, კომიტეტის წევრთა სურვილით, ხაზი უნდა გაესვა მათ პატივისცემას და მოწიწებას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ძლევამოსილი გერმანული ჯარის სარდლობისადმი, დოკუმენტში ჩამოთვლილი პირები, როგორც წესი, წარმოადგენდნენ იმ გერმანელ სამხედროებს, რომლებსაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდან, მათი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეხება და ნაყოფიერი თანამშრომლობა ჰქონდათ ქართულ ეროვნულ კომიტეტთან.

პირობითად, ეს პირები 3 კატეგორიად შეიძლება დავყოთ. 1) გერმანიის სახმელეთო ძალების დიდ გენერალურ შტაბში და მის პოლიტიკის სექციაში მომუშავე ოფიცრები (პოლკოვნიკები პაულ ბარტენვერფერი და ჰანს ფონ ტიშოვიცი, კაპიტნები რუდოლფ ფონ ნადოლნი და ერნსტ ფონ ჰიულსენი და ა.შ.). 2) კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოსთან აკრედიტებული სამხედრო და სამხედრო-საზღვაო წარმომადგენლები (გენერალ-მაიორი ოტო ფონ ლოსოვი, კორვეტენ-კაპიტანი ჰანს ჰუმანი, კაპიტანი ვოლპმანი და ა.შ.). 3) უშუალოდ ქართული ლეგიონის გერმანელი ოფიცრები, უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები (კაპიტანი გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, ობერ-ლეიტენანტი გრაფი მაქს ფონ გალენი, ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკი და ა.შ.).

---

16 ლანდსშტურმანი (Landssturmann) – ლანდსშტურმის (Landssturm), პირველ მსოფლიო ომამდე და ომის დროს გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის იმპერიების შეიარაღებულ ძალებში არსებული საგანგებო კატეგორიის გასაწვევი არეზერვო ნაწილების სამხედრო მოსამსახურე. ლანდსშტურმანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ლუი მოზელიც.

17 Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/105.

GEORGES MAMOULIA

From the history of the creation of the memorial badge of the Georgian Legion (Order of Queen Tamara)

Summary

The article discusses the issues of the creation in 1916-1917 of a memorial badge of the Georgian Legion – a military unit created by the German command and the Committee for the Liberation of Georgia during the First World War to act against Russian troops on the Caucasian front. Based on the materials of the personal archive of the commander of the Georgian Legion, Count Friedrich-Werner von der Schulenburg, the article explains the circumstances and the general political context of the creation of this first military-political award in the history of modern Georgia, as well as the status of badge, directly related to the Georgian national liberation movement during the First World War.

ჰაატა ნაცვლიშვილი

ქუთაისელი ფრანგის ქართული წერილები ირანიდან არგენტინაში

მრავალსაუკუნოვან და მრავალმხრივ ქართულ-სპარსულ ურთიერთობებში ჯერ კიდევ ბევრია თეთრი ლაქა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსამზიურებელი და შესასწავლი. ამ ფონზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 2019 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული კოლექტიური ნაშრომი „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“ ეს არის ერთგვარი ანგარიში სამეცნიერო პროექტისა, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ილიას უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. კვლევით ჯგუფში შედიან ამ ინსტიტუტის თანამშრომლები გიორგი სანიკიძე და ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ასევე მოწვეული სპეციალისტები – ისტორიკოსი და არქივმცოდნე ანტონ ვაჭარაძე და ხელოვნებათმცოდნე დავით ჩიხლაძე. გამოცემის რედაქტორები არიან ნიკოლოზ ნახუცრიშვილი და გიორგი სანიკიძე.

ამ ჯგუფის მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი უნიკალური მასალა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ბევრი დღემდე უცნობი ინფორმაცია. მათ შორის ყურადღებას იქცევს ცნობები კომპანიონების – საქართველოდან ირანში ემიგრირებული გაქართველებული ფრანგების შესახებ. ამ საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენლის ბიოგრაფიას ავტორებმა შეძლებისდაგვარად გაადევნეს თვალი ქუთაისიდან ვიდრე თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაომდე.

ანტონ ვაჭარაძის გამოკვლევაში, რომელიც საარქივო მასალებს ეყრდნობა, კომპანიონებს მთელი თავი ეძღვნება: „თეირანის დულაბის სასაფლაოზე დაკრძალული სტეფანე კომპანიონის და საქართველოში კომპანიონების საგვარეულოს კვლევა თბილისსა და ქუთაისში დაცული სარქივო მასალების მიხედვით“ (გვ. გვ. 45-47). გარდა ამისა, წიგნში შესულია ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და გიორგი სანიკიძის ნაშრომი „დამატებითი მასალები კათოლიკე კომპანიონების საგვარეულოს შესახებ საქართველოსა და ირანში“ (გვ. გვ. 78-82). წიგნში დანართის სახით დაბეჭდილია აგრეთვე ცნობილი ამერიკელი ირანისტის დონალდ სტილოს სპეციალურად ამ პროექტისათვის დაწერილი მოგონება კომპანიონთა ერთ-ერთი წარმომადგენლის – ანტუან კომპანიონის შესახებ, რომელთანაც მას ახალგაზრდობაში ქართულის გაკვეთილებზე უვლია. „ახალგაზრდა ამერიკელი სწავლობს ქართულს განსაკუთრებული ადამიანისგან“ – ასეა დასათაურებული დოქტორ სტილოს მოგონება, რომელიც სამი თავისაგან შედგება (გვ. გვ. 118-122). დასანანია, რომ ეს მრავალმხრივ საინტერესო ტექსტი, წიგნში მხოლოდ ინგლისურად არის დაბეჭდილი და ქართულად არ არის ნათარგმნი.

კომპანიონებისადმი მიძღვნილი სტატიები (სულ სამი) ამ გამოცემაში მოცულობით ალბათ მხოლოდ მინადორა ხოშტარიას სარკოფაგის თუ ელენე ბენაშვილის ირანული ცხოვრების კვლევის მასალებს ჩამოუვარდება.

საკმაოდ ფართო და სერიოზული შესწავლის მიუხედავად, ქუთაისელი კომპანიონების ზოგიერთი წარმომადგენლის ბიოგრაფიაში ესა თუ ის ფაქტი კვლავ უცნობი და დაუზუსტებელია. ვფიქრობთ, ამ მხრივ შემდგომ კვლევას დიდად შეუწყობს ხელს გაქართველებულ კომპანიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის – ანტონ (იგივე ანტუან) კომპანიონის შვიდი წერილი თამარ და აკაკი პაპავებისადმი, რომლებიც აქამდე უცნობია საზოგადოებისათვის. ისინი ბუენოს-აირესის თანამგზავრ ქალაქ ლომას-დე-ზამორაში ინახებოდა მზია პაპავა-ჭეიშვილთან და 1997 წელს ჩვენ ჩამოვიტანეთ საქართველოში. 2014 წლიდან ეს წერილები კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თამარ და აკაკი პაპავების მემორიალურ კაბინეტშია დაცული მათ მთელ არქივთან და მდიდარ ბიბლიოთეკასთან ერთად.

ანტუან კომპანიონის წერილების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანით ერთგვარად შეივსება გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევართა მიერ მიღწეული შედეგები და კარგი მაგალითიც იქნება სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებისა და სხვადასხვა სფეროს მკვლევართა თანამშრომლობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ირანიდან არგენტინაში გაგზავნილი ეს შვიდი წერილი 20 წელიწადზე მეტია ჩვენს ხელთაა, აქამდე არ გვქონია საკმაო მასალა მათ მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად. და რომ არა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ეს ანგარიში, ალბათ არც ჩვენი ახლანდელი პუბლიკაცია იქნებოდა.

+ + +

ანტუან კომპანიონის შვიდი წერილიდან პირველი 1959 წლის 5 დეკემბერს არის გაგზავნილი თეირანიდან ლომას-დე-ზამორაში, ბოლო, მეშვიდე კი – 1964 წლის 15 სექტემბერს. მათგან ექვსი ქართულ ენაზეა დაწერილი, ერთი – ფრანგულად. შვიდიდან ექვსი წერილი წარმოადგენს ეგრეთწოდებულ აეროგრამას და დაწერილია საჰაერო ფოსტისათვის განკუთვნილ სპეციალურ ფორმის ფურცელზე, რომელიც დაკეცვის და დაწებების შემდეგ კონვერტად იქცევა. ექვსივე კონვერტს ლათინური ასოებით აწერია მიმღების ვინაობა (პირველ და მეორე წერილის შემთხვევაში – თამარ პაპავა, მეორე, მესამე, მეოთხე წერილების შემთხვევაში – აკაკი პაპავა, მე-6 წერილის შემთხვევაში – თამარ და აკაკი პაპავები) და მისამართი: ალვარეს თომასის 125 / ლომას-დე-ზამორა / ბუენოს-აირესი / არგენტინა (Alvarez Thomas 125 / Lomas de Zamora / Buenos Aires / Argentine). ქვეყნის დასახელება წერია სპარსულადაც. თითოეულ კონვერტს დაკრული აქვს ირანის ავიაფოსტის 8-რიალიანი წითელი მონოქრომული მარკა თეირანის ხედის, თვითმფრინავისა და სამხედროფორმიანი მოჰამედ რეზა-შაჰ ფეჰლევის გამოსახულებით მარკის მარჯვენა კიდეზე. გზავნილის უკანა მხარეს დატანილია შტამპი – გამგზავნის მისამართი ლათინური და არაბული ასოებით. ლათინური მთავრული ასოებით წერია:

A. COMPAGNONI
INGÉNIEUR E.S.C.M.
AVE. NADERI – RUE NOW – BAHAR
TEHERAN – IRAN

ძნელია, დაზუსტებით ითქვას, კონკრეტულად რისი სპეციალისტი იყო ინჟინერი ანტუან კომპანიონი და რას ნიშნავს აბრევიატურა E.S.C.M. როგორც გავარკვიეთ, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში შეიძლება ეს იყოს მარსელის

უმაღლესი საკომერციო სკოლა – École Supérieure de Commerce de Marseille (შემოკლებით – E.S.C.M.), რაკი მე-6 წერილიდან ირკვევა, რომ ანტუან კომპანიონს ოდესღაც მარსელში უცხოვრია და თავისი საქმეც ჰქონია.

შვიდიდან ექვსი წერილი ქართულად არის დაწერილი და კალიგრაფიის მიხედვით, მათი დამწერისთვის ქართული მშობლიური თუ არა, მშობლიურივით ახლობელი უნდა იყოს. ერთი წერილი (მე-3) ფრანგულად არის დაბეჭდილი საწერ მანქანაზე.

მე-7, ბოლო წერილი განსხვავებულია წინა ექვსისაგან. იგი დაწერილია ემბლემიან ფურცელზე. ემბლემა შედგება ჯვრის, გვირგვინისა და ორი გადანასკვული გულის გრაფიკული გამოსახულებებისგან. ეს ემბლემა თავისი სიმბოლიკით შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე ქრისტიანულ საქველმოქმედო თუ გულმოწყალების ფონდს ან ჰოსპიტალს, შეიძლება ეკლესიასაც, ვთქვათ – ესპანელთა კათოლიკურ ეკლესიას თეირანში. წერილი მოთავსებულია ავიაფოსტის საერთაშორისო სტანდარტის კონვერტში, რომლის წინა მხარეს ლათინური ასოებით აწერია მიმღების გვარი და სახელი (თამარ პაპავა) და იგივე მისამართი, რაც წინა ექვს წერილზეა, თუმცა ქვეყნის სახელი აქ სპარსულად აღარ წერია. კონვერტს დაწებებული აქვს სამი სხვადასხვა ნომინალისა და სხვადასხვა ფერის სტანდარტული მარკა ერთნაირი გამოსახულებით – პერსეპოლისის ხედი და მოჰამედ რეზა-შაჰ ფეჰლევი სამოქალაქო ფორმაში მარკის მარცხენა კიდეზე. კონვერტის უკანა მხარეს გამგზავნის მისამართია, რომელიც იდენტურია წინა ექვსი კონვერტის წარწერებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ავტორებს სწორად დაუდგენიათ ანტუან კომპანიონის მისამართი და 2018-2019 წლებში უძებნიათ კიდეც მისი კვალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერანაირი დამატებითი ინფორმაცია მათ ვერ მოიპოვეს. კოლეგები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ „ისლამური რევოლუციის შემდეგ დარჩენილმა კომპანიონებმა დატოვეს ირანი“

წიგნში ჩვენს ხელს არსებული წერილების ავტორი მოხსენიებულია, როგორც ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონი, მაგრამ რაკი შვიდიდან მხოლოდ ერთ წერილში უწოდებს იგი თავის თავს „ანტონს“, ხოლოდ დანარჩენ ექვსს „ანტუანად“ აწერს ხელს, რითაც ალბათ თავის ფრანგულ წარმომავლობას უსვამს ხაზს, ჩვენც ასე უნდა ვუწოდოთ.

რაც შეეხება კომპანიონების ფრანგობას: გამომდინარე გვარის იტალიური ჟღერადობიდან და დაწერილობიდან, შეიძლება გვევარაუდა, რომ ისინი წარმოშობით არა საფრანგეთიდან, არამედ იტალიიდან იყვნენ და ფრანგებად მათი კათოლიკობის გამო მოიხსენიებდნენ, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო საქართველოში. ამისკენ უნდა ებიძგა მათი გვარის ლათინურ დაწერილობასაც – Compagnoni. ასე წერია ეს გვარი მათ საგვარეულო საფლავის ქვაზე თეირანში. ასე წერს თავის გვარს ანტუან კომპანიონი. ამ გვარის ერთი წარმომადგენელი, სახელოვანი იტალიელი ალპინისტი აკილე კომპანიონი (Achille Compagnoni) თანამემამულე ლინო ლაჩადელისთან ერთად 1954 წელს პირველი ავიდა მსოფლიოს მეორე უმაღლესი მწვერვალ ჩოგორიზე.

ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ თუ რუსულ ინტერნეტ-რესურსებში ადვილად იძებნება ანტუან კომპანიონი, მაგრამ ეს სხვა კომპანიონია, ჩვენთვის საინტერესო პიროვნების სრული სეხნია – ბელგიელი მეცნიერი და კრიტიკოსი ანტუან კომპანიონი (დაიბ. 1950), როლან ბარტის მოწაფე, ფრანგული და კომპარატივისტული ლიტერატურის პროფესორი კოლუმბიის უნივერსიტეტში (1985 წლიდან) და

კოლეჟ დე ფრანსის ფრანგული ლიტერატურის პროფესორი (2006 წლიდან). იგი ასწავლიდა აგრეთვე პენსილვანიის უნივერსიტეტში, სორბონასა და ოქსფორდში. თუმცა მისი გვარის ლათინური დაწერილობა (Compagnon) ბოლო ასოთი განსხვავდება გაქართველებული კომპანიონების გვარის ლათინური დაწერილობისგან (Compagnoni). გარეშეთათვის ალბათ სწორედ ამით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ფრანგი და იტალიელი კომპანიონები. ამ შეუსაბამობას ნათელი ეფინება დონალდ სტილოს მოგონებაში, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ბატონ ანტუან კომპანიონის (სწორედ ასე, ბატონობით იხსენიებს იგი მას) სახელი ფრანგული ჰქონდა, გვარი კი კორსიკული. ესე იგი გაქართველებული კომპანიონები კორსიკიდან ყოფილან, სადაც იტალიურად ლაპარაკობენ, და ანტუანიც, როგორც ჩანს, ამიტომ წერდა თავის გვარს იტალიურად – Compagnoni.

+ + +

ანტონ ვაჭარაძის, ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და გიორგი სანიკიძის გამოკვლევებზე დაყრდნობით და დონალდ სტილოს მოგონებისა თუ ჩვენს ხელთ არსებული შვიდი წერილის შინაარსის გათვალისწინებით, შეგვიძლია ესკიზურად მოვხაზოთ ანტუან კომპანიონის პორტრეტი.

ანტუან (ანტონ) კომპანიონი დაბადებულა ქუთაისში 1905 წელს.

როგორც ჩანს, იგი პირველი შვილიშვილი იყო ევროპიდან (საფრანგეთიდან, კორსიკიდან) ქუთაისს გადმოსახლებული ანტუან ფრანცისკეს ძე კომპანიონისა და სახელიც პაპის პატივსაცემად მისი დაურქვემიათ.

ანტუან კომპანიონის მშობლები და უახლოესი ნათესავები იყვნენ:

მამა – სტეფანე ანტონის ძე კომპანიონი (1883-1962);

დედა – შუშანა (სუზანა) გრიგორის ასული ზუბიევა (1983-1981);

და – გენრიეტა ვენერა კომპანიონი (1906-?);

ძმა – ლუდვიგ ნაპოლეონ კომპანიონი (1910-1930);

პაპა (მამის მამა) – ანტონ (ანტუან) ფრანცისკეს ძე კომპანიონი (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია);

დიდედა (მამის დედა) – მაკა ივანეს ასული ხითაროვა (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია).

ბიძები (მამის ძმები):

იოსებ კონსტანტინ ანტონის ძე კომპანიონი (1884-1947);

კლემენტ ფრანც ევგენი ანტუანის ძე კამპანიონი (1887-1937);

ივანე (ჟან) სტანისლავ ანტუანის ძე კომპანიონი (1894-1944).

ანტონ-ანტუანისა არ იყოს, აქ ჩამოთვლილ კომპანიონთა ერთი ნაწილის სახელები შეიძლება დასაზუსტებელი იყოს იტალიურ ან ფრანგულ ყაიდაზე. საარქივო საბუთებსა და შესაბამისად აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მომზადებულ გამოცემაში სახელები გაქართულებულია, თეირანის საფლავის ქვებზე კი სახელები ფრანგული შესატყვისებით წერია. მაგალითად, ივანე კომპანიონის საფლავის ქვას „ჟან კომპანიონი“ აწერია.

თარიღებში უმნიშვნელო შეუსაბამობაა ვაჭარიძისა და ნახუცრიშვილი-სანიკიძის სტატიების მონაცემებს შორის. სადაც ეს შესაძლებელია, ჩვენ საფლავის წარწერებს ვეყრდნობით.

ყველა დანარჩენი კომპანიონი, იოსებ ანტონის (ანტუანის ძე) კომპანიონის ოჯახის გარდა, როგორც ჩანს, ირანს გადასახლებულა 20-იანი წლების დასაწყის-

ში. იოსები კი საქართველოში დარჩენილა და ქუთაისში გაუგრძელებია მუშაობა სამთამადნო საქმის სპეციალობით. მას დარჩენია ქალიშვილი – ვარვარა (ჟანა) იოსების ასული კომპანიონი (1918-1997), საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი. მას საკუთარი ოჯახი არ ჰქონია და შთამომავალი არ დარჩენია.

პირველი კომპანიონი – ანტუან ფრანცისკეს ძე საქართველოში XIX საუკუნის შუა წლებში ჩამოსულა, აქვე შეურთავს ცოლი და ოთხივე მისი ვაჟი, მათ შორის – სტეფანეც, ქუთაისში უნდა იყოს დაბადებული. ანტონ ვაჭარაძემ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში ძიების შედეგად ისიც დაადგინა, რომ „ქუთაისში კომპანიონები ცხოვრობდნენ პოლიციის ქუჩაზე, რასაც ადასტურებს სანოტარო რეესტრში დაფიქსირებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ქუთაისში პოლიციის ქუჩაზე მდებარე სახლი ძმებ კაჩუხოვებისგან [...] იყიდა, სავარაუდოდ, სტეფანეს მამამ ანტონ ფრანცისკეს ძე კომპანიონიმ“

ანტონ ვაჭარაძის მიერ მოძიებული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ანტუან სტეფანეს ძე კომპანიონი ბავშვობიდან კათოლიკედ მოუნათლავთ და 18 წლისა, უკვე სტუდენტი, იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ქუთაისში, პოლიციის ქუჩაზე. თუმცა გაუგებარია, სად, რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდა. როგორც ცნობილია, მაშინ ქუთაისში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა.

ანტუანის მამის შესახებ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევრებმა ლია და გურამ გაბუნიების პუბლიკაციის (გაზ. „ახალი განათლება“, 2011 წლის 2-8 ივნისი, № 21, გვ. 10) საფუძველზე დაადგინეს, რომ „იგი ასწავლიდა ქუთაისში 1908 წელს კონსტანტინე მკურნალის მიერ გახსნილ ვაჟთა გიმნაზიაში. ამ გიმნაზიამ 1918 წლამდე იარსება“ მაგრამ იქვე აღნიშნავენ, რომ „სტატიის მიხედვით არ ჩანს, თუ როდემდე და რას ასწავლიდა იქ სტეფანე კომპანიონი, რომლის კვალიც 1919 წლის მერე საქართველოდან ქრება“

როდემდე ასწავლიდა არა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული წერილებიდან ირკვევა, თუ რას ასწავლიდა სტეფანე კომპანიონი ქუთაისში. მე-2 წერილში ანტუან კომპანიონი წერს, რომ თეირანში 79 წლის მამამისი კერძო გაკვეთილებს აძლევს მათემატიკაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქუთაისის გიმნაზიაში იგი სწორედ მათემატიკის მასწავლებელი იყო.

რაც შეეხება ანტუან სტეფანეს ძე კომპანიონის, მის შესახებ ნ. ნახუცრიშვილისა და გ. სანიკიძის გამოკვლევაში ვკითხულობთ: „ჩვენ მიერ ამერიკელ-ჰოლანდიელი ირანისტის, ირანული ენებისა და დიალექტების ცნობილი სპეციალისტის დ-რ დონალდ სტილოსაგან მოპოვებული ინფორმაციით, ანტონ სტეფანეს ძე 1960-იანი წლების დასაწყისში ცოცხალია, ცხოვრობს თეირანში, ნადერის (ამჟამად ჯომჰურის) პროსპექტზე, ნოუბაჰარის ქუჩის ერთ-ერთი ჩიხის ბოლოში, სომხური კლუბის „არარატის“ მახლობლად. დონალდ სტილო, მაშინ ჯერ კიდევ ირანისტიკის სტუდენტი, რომელიც რამდენიმე წელი ირანში გადიოდა სპარსული ენის სტაჟირებას, დადიოდა ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონისთან ქართული ენის შესასწავლად. მისი მოგონებით, სიმპათიური, კარგი აღნაგობისა და სასიამოვნო ხმის მქონე ანტონი ჯერ კიდევ ქუთაისში დაინვალიდდა, როცა უხერხულად ჩახტა ხიდიდან რიონში და წელს ქვემოთ მოწყვეტილი იყო. ანტონს პერიოდულად სახლში აკითხავდნენ კათოლიკე მოწყალების დები და შეძლებისდაგვარად უვლიდნენ მას. დ. სტილო ვერ იხსენებს ანტონის დედას სუზანას (შუშანას). სავარაუდოდ,

მამამისი სტეფანე იმ დროისათვის ახალი გარდაცვლილია. დონალდ სტილიმ საკუთარი მოგონებები ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონის შესახებ ინგლისურ ენაზე მოგვაწოდა" (გვ. 81).

როგორც ზემოთ ითქვა, წიგნს ერთვის დოქტორ სტილოს ეს ინგლისური ტექსტი, სადაც რამდენიმე ფრაზა ქართულადაც ჩაურთავს. როგორც ჩანს, სწორედ დონალდ სტილოსაც გულისხმობდა ანტუან კომპანიონი, როცა თავის მე-2 წერილში წერდა, რომ მასაც მამამისის მსგავსად „რამოდენიმე მოწაფე" ჰყავდა, რომელთაც ლოგინში მწოლიარე ამეცადინებდა. დონალდ სტილოს მოგონებები ამ წიგნის ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილია და ვფიქრობ, კარგი იქნება თუ მომავალში, რაკიღა წიგნის ავტორების თქმით, პროექტი კვლავაც გრძელდება, ეს ინგლისური ტექსტი ქართულადაც ითარგმნება, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთავის. აქ კი ჩვენეული თარგმანით ჩავრთავთ ამ ტექსტის ერთი ფრაგმენტს, რომელიც რამდენადმე უფრო რელიეფურს გახდის ანტუან კომპანიონის ვერბალურ პორტრეტს:

„ბატონი კომპანიონი ზორბა კაცი იყო, მაღალი და ახალგაზრდობაში ათლეტური უნდა ყოფილიყო. ჰქონდა ძალიან ძლიერი ხმა, მაგრამ მისი სხეული ხის კუნძივით სრულიად უმოძრაო იყო. როცა შევხვდი, 55 წლისა იყო და აქედან 30 წელიწადი, ცხოვრების ნახევარზე მეტი, პარალიზებული იყო. მისი ხელები და ფეხები გახევებულიყო და მედდები და ექიმებიც კი ვერ ახერხებდნენ მათ ამოძრავებას. არანაირი მოძრაობა! როგორ მოხდა ეს? თუ ამბავი სწორად მახსოვს, იგი ასე მიამბეს: როცა ის ოცდახუთი წლისა იყო, მისმა მეგობრებმა ქუთაისში როგორღაც წყალში გადასახტომად შეაგულიანეს (ხიდიდან? განა ეს შესაძლებელია?) რიონის ძალიან ცივ წყალში. ამ ნახტომის შედეგად იგი რევმატოიდული ართრიტით დაავადდა და მთლიანად პარალიზებული დარჩა. ეს ამ ამბის სევდიანი ნაწილია, საამური კი ის გახლავთ, რომ ის მუდამ იღიმოდა ან იცინოდა, იუმორის კარგი გრძნობა ჰქონდა. მას უყვარდა სიმღერა, უყვარდა ადამიანები და ზრუნავდა მათზე. მისი სხეული პარალიზებული იყო, მაგრამ სული ზეიმობდა. ის ძალიან დიდ მონდომებას იჩენდა ჩემთან, რაკი ანბანი როგორღაც თავად უნდა მესწავლა, რადგანი მას ხელით წერა არ შეეძლო. ეს ამბავი კიდევ უფრო ეგზოტიკური ხდება იმით, რომ ბატონი კომპანიონი კათოლიკე იყო. (მე გავიგე, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტია კათოლიკე.) ხანდახან, ჩვენი გაკვეთილების დროს კარზე ზარი ირეკებოდა და საწოლს მიჯაჭვული ჩემი ქართულის მასწავლებლის მნახველები მოდიოდნენ. ზოგჯერ შვიდი ან რვა ესპანელი მონაზონი (თეირანის ესპანული ეკლესიიდან) მოდიოდა მისთვის სალოცავად. მათ არ იცოდნენ სპარსული და საბაზო ფრანგულით ურთიერთობდნენ, მე კი ხშირად მიხდებოდა თარჯიმნობა ესპანურიდან რუსულად. ერთხელ კათოლიკე მღვდელი მოვიდა, რათა დაელოცა და ეზიარებინა იგი. სხვა მომკითხველები მისი ქართველი მეგობრები იყვნენ, რომლებიც მის ძლიერ ხმას თავის ხმებს შეუწყობდნენ ხოლმე და მშვენიერ პოლიფონიურ ქართულ სიმღერებს მღეროდნენ. ერთხელ ირანელი მედდები მოვიდნენ, რათა დაეზილათ მისი გახევებული სხეული, რომ სისხლის მიმოქცევა გაეუმჯობესებინათ და ნაწოლები აეცილებინათ".

დონალდ სტილოს მოგონებიდან ვიგებთ, რომ ანტუან კომპანიონს სპარსულის გარდა, სცოდნია ქართული, ფრანგული და რუსული ენები, და რომ საწოლს მიჯაჭვული თავის ფრანგულის და რუსულის კერძო გაკვეთილებით ირჩენდა. თავად სტილო, იტალიური წარმოშობის ამერიკელი სკოლარი, მაშინ 22 წლის ახალგაზრდა, როგორც ჩანს, მისი ერთადერთი მოწაფე იყო, რომელსაც იგი ქართულს ასწავლიდა.

სწავლული და პოლიგლოტი დონალდ სტილო თავის ამ მოგონებაში 1963 წლის ამბებს იხსენებს და მისი მონათხრობი ანტუან კომპანიონის შესახებ ჩვენს ხელს არსებული წერილებითაც დასტურდება, კერძოდ – მისი მისამართი და ისიც, რომ მამამისი 60-იანი წლების დასაწყისში ახალი გარდაცვლილია და რომ თავად ინვალიდია და კათოლიკე მოწყალების დები აკითხავენ და ზრუნავენ მასზე.

არგენტინაში ირანიდან გაგზავნილი წერილებით დამატებით ირკვევა, რომ რაკი იგი ლოგინს არის მიჯაჭვული და დამოუკიდებლად წერა არ შეუძლია, ამ საქმეში მას, როგორც თავად ეძახის, მოხალისე მდივნები ეხმარებიან. ეს მოხალისე მდივნები დოქტორ სტილოს მიერ ნახსენები ის კათოლიკე მოწყალების დები არ არიან. უეჭველია, რომ ისინი ესპანელები კი არა, ქართველები უნდა იყვნენ, რომლებიც, როგორც წერილების კალიგრაფიიდან ჩანს, გვარიანად გაწაფულნი უნდა ყოფილიყვნენ ქართულ-წერა კითხვაში. „ჩემი მშობლები ძალზედ მოხუცდნენ, და ჩემი მეგობრები საუბედუროთ ქართულ ენაზედ ვერ მიწერავენ წერილებს. ორი ქართველი რომლებიც მოხალისე მდივნებათ მყავს იშვიათათ იმყოფებიან თეჰირანში, და მეც როგორც მოგეხსენებათ ჩემის ხელით წერვა არ შემიძლია“ ერთმა ამ მდივანთაგან, როგორც ჩანს, ფრანგულიც კარგად იცის და საწერ მანქანაზე ბეჭდვასაც არის დაუფლებული. არ არის გამორიცხული, რომ ეს ჟან კომპანიონი იყოს, რომელიც თავისი პროფესიით მედიცინასთან იყო დაკავშირებული (წიგნის მე-80 გვერდზე იგი ფარმაცევტად არის მოხსენიებული, 81-ე კი – ექიმად) და სწორედ ამის გამო სხვა ნათესავებზე უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა 11 წლით მასზე უფროს ინვალიდ ძმასთან. კალიგრაფიით თუ ვიმსჯელებთ, ეს არ არის უცხოობაში ნასწავლი ქართული წერა. ცალკე უნდა გამოიყოს მეოთხე წერილი, რომელიც თუმცა განაფული, მაგრამ სხვებისაგან რამდენადმე განსხვავებული ხელით არის ნაწერი და რომელშიც სხვაგან ანტუან კომპანიონად სახელდებული ავტორი ანტონ კამპანიონად იხსენიება.

ალბათ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ირანიდან არგენტინაში გაგზავნილ ექვს ქართულ წერილში ირანის დადაქალაქის სახელწოდება ხუთი სხვადასხვა ფორმით წერია: თეჰერანი (მე-2 წერილი), თეჰირანი (მე-4 წერილი), თეირან (მე-5 წერილი), თეირანი (მე-6 წერილი), თეგრანი (მე-7 წერილი).

კიდევ ერთი რამ ირკვევა ჩვენს ხელთ არსებული წერილებიდან: იმის მიუხედევად, რომ ლოგინს არის მიჯაჭვული და შინიდან ფაქტობრივად ვერ გადის, ანტუან კომპანიონი კარგ წრეში ტრიალებს, კარგი სამეგობრო თუ სანაცნობო წრე ჰყავს. პირველ წერილში იგი თავის დიდ მეგობრად იხსენიებს ირანელ მწერალსა და მკვლევარს ემინე პაკრავანს, მე-4 წერილიდან ვიგებთ, რომ თეირანში შვეიცარიის ელჩის მეუღლე მისი კარგი მეგობარია, რომელმაც საქართველოსადმი მიძღვნილი ჟურნალი ჩამოუტანა შვეიცარიიდან. გარდა ამისა, მე-5 წერილიდან ჩანს, რომ ანტუან კომპანიონის მეგობრები ჰყავს პარიზსა და მადრიდში, იცნობს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ალექსანდრე მანველიშვილს, ვიკტორ ნოზაძესა და მიხეილ ჯაყელს. პარიზელ მეგობართაგან იგი ახსენებს ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ლევან ზურაბიშვილს. მართალია, მადრიდელთაგან იგი არავის ასახელებს, მაგრამ რაკი ვიცით, ვინ ცხოვრობდა მაშინ ქართველთაგან მადრიდში, მისი იქაური მეგობრები ირაკლი ბაგრატიონს, რაფიელ ინგილო ივანიცკისა და მადრიდელ ბერიძეთა შორის უნდა ვიგულოთ. სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებთან ანტუან კომპანიონის კავშირზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თეირანში იგი ნიუ-იორკში გამომავალ

ქართულ გაზეთს ღებულობს. პაპავებთან მიმოწერა უშუალო დასტურია ანტუან კომპანიონის ფართო სანაცნობო და სამეგობრო წრის არსებობისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რადგან მიმოწერა მისთვის ერთადერთი საშუალება იყო ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობისა. ამიტომ ვფიქრობთ, მისი წერილები სხვა ემიგრანტულ არქივებშიც არის საგულვებული, საქართველოსა თუ უცხოეთში.

+ + +

ჩვენს ხელთ არსებული მიმონერა ნაკლულია. გარდა იმისა, რომ დაკარგული ან ჯერჯერობით მიუკვლეველია აგრენტინიდან ირანში გაგზავნილი წერილები, ირანიდან არგენტინაში გაგზავნილებიც არ არის შემორჩენილი სრული სახით. როგორც ჩანს, თამარ პაპავას ყველა წერილის შენახვა საჭიროდ არ ჩაუთვლია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ, სულ მცირე, კიდევ უნდა იყოს ერთი გერმანული წერილიც (1962 წლის ახალწლის მილოცვით), რომელიც მე-4 წერილშია ნახსენები. ამავე წერილიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტუან კომპანიონიმ ქართულთან, ფრანგულთან და რუსულთან ერთად გერმანულიც იცოდა.

პაპავები კომპანიონის კამპანიონად იხსენიებენ. ასეა აკაკი პაპავას მინაწერში მეორე წერილზე და ასევე წერს თამარ პაპავა იმ კონვერტზე, რომელშიც შვიდივე ეს წერილი იყო მოთავსებული. ეს გახლავთ კავკასიის სამთო ასოციაციის კონვერტი, რომელზეც გერმანულადაა დაბეჭდილი წარწერა KAUKASISCHER GRUBENVEREIN GmbH (შპს კავკასიის სამთო ასოციაცია) და მისი მისამართი ჰამბურგში: HAMBURG 13, HARTUNGSTRASSE 3. არ ვიცი, თამარ პაპავამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მათი კორესპონდენციის დახარისხებისას შემთხვევით ჩადო ანტუან კომპანიონის წერილები ამ კონვერტში, თუ საგანგებოდ, რისი დაშვების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ თამარ პაპავა კორესპონდენციის დასახარისხებლად სხვადასხვაგვარ კონვერტებს იყენებდა. ასეა თუ ისე, მეტ-ნაკლები ალბათობით შეგვიძლია ვივარუადოთ, რომ ანტუან კომპანიონი თუ არა, მამამისი მაინც უშუალო შეხებაში უნდა ყოფილიყო ჭიათურის მარგანეცის წარმოებასთან თუ მის ტრანსპორტირებასთან. ამ ვარაუდი ირიბ საფუძველს გვაძლევს კომპანიონების ოჯახის გადასახლებაც ირანში, რაც, ვფიქრობთ, იმ პერიოდში მარგანეცის მრეწველობაში შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების შედეგი უნდა იყოს. ამის გარკვევა შესაძლებელი გახდება საქართველოსა თუ უცხოეთში დაცული არქივების („ჩემოს", „კარუტოს", კავკასიის სამთო ასოციაციისა თუ სხვ.) გამომზეურებისა და შესწავლის შემდეგ.

+ + +

ჩვენს ხელთ არსებული პირველი წერილიდან ჩანს, რომ ეს წერილი მანამდე დაწყებული მიმოწერის გაგრძელებაა. ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის დაიწყო მიმოწერა ანტუან კომპანიონსა და პაპავებს შორის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ევროპაში ცხოვრებისას უკვე იცნობდნენ ერთმანეთს და, როგორც ჩანს, მიმოწერაც ჰქონდათ – პირადიც და ალბათ საქმიანიც. პაპავების ოჯახის წევრებს კომპანიონი თავის ფრანგულად ენაზე დაწერილ წერილში (მე-3 წერილი) საუკეთესო მეგობრებად იხსენიებს.

ამ შვიდი წერილიდან კარგად ჩანს, რომ ანტუან კომპანიონი პირადად იცნობდა თამარ და აკაკი პაპავებს. მისი წერილების ადრესატი ხან თამარია და ხან – აკაკი.

მივყვეთ წერილებს ქრონოლოგიურად:

წერილი 1-ლი (5. XII. 1959)

მართალია, ჩვენ ხელთ არ გვაქვს არგენტინიდან თეირანს გაგზავნილი წერილები, მაგრამ თეირანიდან ლომას-დე-სამორაში მისული და დღემდე მოღწეული პირველივე წერილიდან ირკვევა, რომ თამარ პაპავას მანამდე ირანს გაუგზავნია 1937 წელს პარიზში გამოცემული თავისი წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში", რომელიც ნახსენებია ირანელი მწერლისა და მეცნიერის ემინე პაკრავანის წიგნი აბას მირზას შესახებ. ეს წიგნი ფრანგულად გამოუცია სპარსულ-ფრანგულ ინსტიტუტს. თამარ პაპავას ანტუან კომპანიონისთვის პაკრავანის წიგნი უთხოვია. როგორც ცნობილია, აბას მირზა – ირანის ჯარების სარდალი რუსეთ-სპარსეთის ომების დროს, ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა თამარ პაპავას მიერ აღწერილი მოვლენებისა და არაერთხელ არის ნახსენები მის წიგნში. გარდა ამისა, იმ პერიოდში თამარ და აკაკი პაპავები მუშაობდენ თავიანთ მნიშვნელოვან ერთობლივ ნაშრომზე „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი" და ამინე პაკრავანის წიგნი ალბათ ამისთვისაც დაისაჭიროვეს.

ვფიქრობთ, ღირს ამ წიგნის მოძიება და მისი ქართულად თარგმნა.

წერილი მე-2 (27 I. 1960)

ეტყობა, აკაკი პაპავამ ირანში მყოფი ქართველების შესახებ ჰკითხა თავის წერილში და ანტუან კომპანიონიც თავის პასუხში აცნობს მათ. აქ იგი ჩამოთვლის ზურაბ მაჩაბლის, მიშა ქორქიას, ივანე ვარაზაშვილის, პროკოპი ლეჟავას, ედუარდ პაპავას სახელებს. გარდა ამისა, მოკლედ ახასიათებს თავის მშობლებს, მათ საქმიანობას.

აკაკი პაპავას, რასაკვირველია, ყველაზე მეტად თავისი ძმის, ედუარდ პაპავას და თავისი ძველი თანაპარტიელის, მიშა ქორქიას ამბავი აინტერესებდა.

მე-2 წერილის მინდორზე მას ასეთი მინაწერი გაუკეთებია:

„კამპანიონის ცნობები სპარს. ქართვ. ამბებზე

ედუარდი მოიტაცესო და ჰგავს თბილისის ციხეში გადაიცვალაო.

სხვები დაიხოცნენ ან დაბრუნდენო.

ეხლა 10-15 კაცი დარჩაო. მათში სოც. ფედ. რაზმელი მიშა ქორქიაო.

ვ. ვარაზი † 1958 წ. და სხვ.

აკაკი პაპავას დარად, ეს წერილი ალბათ განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მომზადებული წიგნის ავტორთათვისაც.

წერილი მე-3 (10. IX. 1960|

მესამე წერილი ფრანგულად არის მიწერილი. სწორედ ამ წერილში ჩანს, რომ ანტუან კომპანიონი, საწოლს არის მიჯაჭვული და მიმოწერისას დიდად არის დამოკიდებული თავის ქართველ მოხალისე მდივანზე, რომელსაც აკაკი პაპავას წიგნით აღფრთოვანებულმა აღარ დაუცადა და წერილი სხვას გადააწერინა ფრანგულად საწერ მანქანაზე. წერილი წარმოადგენს გამოხმაურებას აკაკი პაპავას ლექსების წიგნზე „1500 წლოვან თბილისს", რომელიც 1960 წელს გამოიცა სანტიაგო-დე-ჩილეში. ეს არის ლექსებისა და წერილების კრებული, რომელსაც უძღვის „მეგობრის" (თამარ პაპავას) წინასიტყვა. წიგნი ავტორს, როგორც ჩანს, გამოსვლისთანავე გაუგზავნია თეირანში.

ამ წერილის ერთი ფრაზა გვაფიქრებინებს, რომ ანტუან კომპანიონი განათლებული, კულტურული, დახვეწილი პიროვნება იყო. სხვაგვარად, ძნელი ასახსნელი იქნება მისი ეს სიტყვები: „ბოდიშს გიხდით, რომ გწერთ ენაზე, რომელიც თქვენ ალბათ კარგად არ იცით, მაგრამ ჩემი სურვილი, გამომეხატა თქვენდამი მადლიერება; უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი მოთმინება, დავლოდებოდი ჩემი ქართველი მოხალისე მდივნის დაბრუნებას"

წერილი მე-4 (14. I. 1962)

წერილში ლაპარაკია სამ გამოცემაზე:

„შესანიშნავ ქართული გრამატიკაში", რომელიც „პროფესორ ჩხენკელს გამოუცია" ანტუან კომპანიონი გულისხმობს კიტა ჩხენკელის ნაშრომს „ქართული ენის შესავალი", რომელიც მან ციურიხში, თავისივე დაარსებულ გამომცემლობა „ამირანში" გამოსცა 1962 წელს და რომელიც დღემდე კლასიკურ სახელმძღვანელოდ ითვლება გერმანულენოვან სამყაროში. ეს გამოცემა კარგად არის ცნობილი ჩვენში.

„სამაგიეროდ" დღემდე თითქმის სრულიად უცნობია შვეიცარიული ჟურნალი „ატლანტისი", რომლის 1961 წლის ერთი ნომერი (Atlantis, N 10, Oktober 1961) მთლიანად საქართველოს მიეძღვნა. ჟურნალში ქართველი თუ უცხოელი მწერლები და მეცნიერები, მათ შორის გრიგოლ რობაქიძეც, საქართველოს, მისი ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ მოუთხრობენ მკითხველს. თავის წერილში ანტუან კომპანიონი სწორედ ჟურნალის ამ ნომერს ახსენებს, რომელიც მისთვის შვეიცარიის ელჩის მეუღლეს ჩამოუტანია ციურიხიდან. ზუსტად 45 წლის შემდეგ, 2007-ში, ამ ჟურნალის ერთი ეგზემპლარი ციურიხიდან თბილისში ჩამოგვიტანა ცნობილი ავსტრიელი მუსიკისმცოდნის, პროფესორ კლაუს განტერის მეუღლემ ანა-მარია განტერ-ჰესმა. თავის დროზე ჟურნალის სწორედ ამ ეგზემპლარით ისარგებლა გრიგოლ რობაქიძის ნაწერების მონუმენტური ხუთტომეულის შემდგენელმა, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა ლალი ცომაიამ. გამოცემის მე-5 ტომში ჟურნალის გარეკანი და რამდენიმე გვერდის ფოტოებიც არის დაბეჭდილი (გვ.გვ 456-457, 764). ჟურნალ „ატლანტისის" ეს ნომერი დღეს ჩვენს ბიბლიოზეუმშია დაცული, დიდი ხანია, მზად გვაქვს მისი მიმოხილვა სტატიების თარგმანებითურთ და მალე გამოვაქვეყნებთ კიდეც.

რაც შეეხება ამ წერილში ნახსენებ მესამე გამოცემას – 1962 წლის PETIT LAROUSSE-ს, გვიჭირს დავადგინოთ, რა სტატია შეამცირა ამ ფრანგულმა ენციკლოპედიამ და რა სახის პროტესტი გაუგზავნა ანტუან კომპანიონმა გამომცემლობას ირანიდან. თუმცა დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტატია საქართველოს შეეხებოდა.

წერილი მე-5 (12. III. 1963)

ეს წერილი უწინარესად მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ზუსტად არის დაფიქსირებული ავიტორის მამის – სტეფანე კომპანიონის გარდაცვალების თარიღი – 1962 წლის 25 თებერვალი, რითაც დასტურდება, ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და გიორგი სანიკიძის მიერ თავიანთ ნაშრომში გამოთქმული ვარაუდი, რომ კომპანიონთა საგვარეული საფლავის ქვის ფრანგულ წარწერაში

მითითებული ეტიენ კამპანიონი, რომელსაც დაბადება-გარდაცვალების თარიღებად 1883-1962 წლები აწერია, იგივე სტეფანე კომპანიონია. ხოლო წიგნში დაბეჭდილ საფლავის ფოტოზე აღბეჭდილი მეორე ქვა, რომელსაც ქართულაც „სტეფანე კომპანიონი" აწერია და დაბადება-გარდაცვალების თარიღებად 1882-1962 წლებია მითითებული, არა საფლავის, არამედ მემორიალური უნდა იყოს და (ალბათ მოგვიანებით) სწორედ იმიტომ არის დადებული, რომ დაბადების თარიღებში ეს ერთწლიანი შეცდომა გაესწორებინათ. ჩვენი აზრით, სტეფანე ეტიენ კომპანიონი 1882 წელს უნდა იყოს დაბადებული, ხოლო მეტრიკული ჩანაწერი მისი დაბადების შესახებ, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ სტატიის ავტორები, 1883 წელს არის შესრულებული ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში. ის ფაქტი კი, რომ კომპანიონების საგვარეულოში ორ-ორი სახელი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ოჯახის სხვა წევრთა ორმაგი სახელებითაც დასტურდება.

ნიშანდობლივია, რომ წერილში დედამისთან ერთად ანტუან კომპანიონი სახელის გარეშე ახსენებს თავის დას (გენრიეტა ვენერა სტეფანეს ასულ კომპანიონის), რომლის გარდაცვალების თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ამ წერილით ირკვევა, რომ იგი 1963 წელს ცოცხალია. რაც შეეხება ანტუანისა და გენრიეტა ვენერას ძმას, როგორც ზემოთ ნახსენები საგვარეული საფლავის ქვა გვაუწყებს, ლუი კომპანიონი 1930 წელს გარდაცვლილა 20 წლისა. არ უნდა დაგვაბნიოს სახელმა „ლუი" – იგი „ლუდვიგის" ფრანგული ვარიანტია, ხოლო ანტონ ვაჭარაძის გამოკვლევით ვიგებთ, რომ ანტუანის ძმას სწორედ ლუდვიგი, უფრო ზუსტად – ლუდვიგ-ნაპოლეონი ერქვა.

წერილში ნახსენები „მოწამეთობა" გახლავთ – აკაკი პაპავას ლექსების მეოთხე, ბოლო წიგნი „მოწამეთობა", გამოცემული 1962 წელს ნიუ-იორკში ავტორისავე წინასიტყვაობით.

წერილი მე-6 (12. XII. 1963)

ავტორის მიერ ნახსენებ ნიუ-იორკში დაბეჭდილ გაზეთში, სადაც აკაკი პაპავაზე იყო ლაპარაკი, გაზეთი „ქართული აზრი" იგულისხმება. საუბარია, კერძოდ, ამ გაზეთის 1962 წლის ნოემბრის ნომერში (№ 51-52), მე–6 გვერდზე დაბეჭდილ მცირე კორესპონდენციაზე „მოწამეთობა", რომელსაც ხელს აწერს „დონი" (სავარაუდოდ, დიმიტრი სინჯიკაშვილი) და რომელიც აკაკი პაპავას ლექსთა ახალ კრებულის მიმოხილვას წარმოადგენს.

ლეონიდ ბრეჟნევი, რომელსაც ანტუან კომპანიონი ბერეჟნიოვს უწოდებს, თეირანში ოფიციალურ ვიზიტად ხრუშჩოვის ეპოქის მიწურულს, 1963 წლის ზაფხულში ჩავიდა. მაშინ მას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა და ირანს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით ეწვია. სწორედ იმ დღეს, როცა ბრეჟნევი ირანის მეჯლისში (პარლამენტში) სიტყვით უნდა გამოსულიყო, საბჭოთა საჰაერო დაცვის ძალებმა ირანის სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომელიც, როგორც ამბობდნენ, უნებართვოდ შეიჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში. ბრეჟნევის გამოსვლის წინ მეჯლისის დეპუტატებს შორის მყისიერად გავრცელდა ცნობა ამ ინციდენტის შესახებ, ხოლო ბრეჟნევმა თავისი გამოსვლა ვითარების გარკვევამდე გადადო. საბჭოთა წყაროებში წერია, რომ ირანის ხელისუფლებამ მალევე დაადგინა, რომ მათი თვითმფრინავი საბჭოთა ტერიტორიაზე სამოქალაქო

ხელისუფლების ნებართვის გარეშე შევიდა და შაჰის ოფიციალური ბოდიშის შემდეგ ბრეჟნევი შემრიგებლური სიტყვით გამოსულა პარლამენტში. ეს ვიზიტი მართლა გახდა ერთგვარი დათბობის დასაბამი ორ ქვეყანას შორის, იქამდე, რომ ირანელებმა ორი საფოსტო მარკაც კი მიუძღვნეს ამ მოვლენას. ხოლო საბჭოთა მხარემ ვიზიტი ორნაწილიან დოკუმენტურ ფილმში ასახა. ფილმის სცენარის ავტორი გახლავთ მაშინ ახალგაზრდა ჟურნალისტი მელორ სტურუა, რომელიც თან ახლდა დელეგაციას ირანში.

სწორედ ამ ვიზიტის ამბავს იხსენებს ანტუან კომპანიონი თავის წერილში.

წერილის პოსტსკრიპტუმში ნახსენები ცაცა ფალიაშვილი, რომლის ამბავსაც ეკითხება ანტუან კომპანიონი აკაკი და თამარ პაპავებს, თავისი ცოლის – თამარ ჭილაიას მკვლელი ქართველი ემიგრანტია, ჯერ გერმანიაში, მერე იტალიაში, უფრო მერე – ესპანეთსა და ბოლოს არგენტინაში მცხოვრები.

ბუენოს-აირესში გამომავალი ქართული ჟურნალი „მამული" თავის მეოთხე რვეულში (ნოემბერი, 1951) დაბეჭდილ კორესპონდენციაში „სავალალო და სამარცხვინო ამბავი" ასე აღწერს მომხდარს: „20 ოქტომბერს იგი იმის მიუხედავად რომ აკრძალული ჰქონდა, შევიდა მასთან ოთახში, იძრო რევოლვერი, დაადგა ქალს თავზე და... და შედეგი: ორი ტყვია მუცელში, ერთი ძუძუში, ერთი მკლავში... თვითონ კი თავისი უბედური თავი დაზოგა, არ გაიმეტა სასიკვდილოდ – წავიდა პოლიციაში და გამოცხადდა. თამარი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იცოცხლა ტანჯვით ერთი კვირის განმავლობაში – რა გადაარჩენდა! და ტანჯვითვე განუტევა სული. ამ სამარცხვინო და შემარცხვენელმა მკვლელობამ ქართველთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. მგლოვიარე ქართველებმა და უცხოელმა მეგობრებმა თამარის გვამი სათანადო პატივით, 29 ოქტომბერს, ჩიკარიტას სასაფლაოს მიაბარეს. დასაფლავების წესი შეასრულა მამა ნიკოლოზ ზამბახიძემ." (გვ. 156.)

ანტუან კომპანიონის მე-6 წერილის პოსტსკრიპტუმი სხვა მხრივაც არის საინტერესო. ამ პოსტსკრიპტუმიდან ვიგებთ, რომ მას ქარხანა ჰქონია მარსელში, რომელშიც იმ ცოლისმკვლელ ცაცა ფალიაშვილს უმუშავია თავის დროზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტუან კომპანიონს ერთხანს ევროპაშიც უცხოვრია. ჩემი ქარხანაა, რომ ამბობს, ეს შეიძლება მცირე რამ საამქრო იყო (ქართველი ემიგრანტები ყველა ასეთ პატარა საწარმოს ქარხანას ეძახდნენ), მაგრამ ფაქტია, რომ მას მარსელში თავისი საქმე ჰქონია.

წერილი მე-7 (15. IX. 1964)

ეს სამძიმრის წერილი თამარ პაპავას სახელზეა გაგზავნილი უკვე აკაკის გარდაცვალების შემდეგ, 1964 წლის 15 სექტემბერს. ნიუ-იორკში გამოცემული გაზეთიდან გავიგე ბატონ აკაკის გარდაცვალების ამბავიო, – ანტუან კომპანიონი წერს, – ძლიერ დაგვიანებითო. ნიუ-იორკში გამოცემული გაზეთი, აქაც „ქართული აზრია", რომელშიც ორჯერ დაიბეჭდა აკაკი პაპავას ნეკროლოგი – 1964 წლის ივნისში (დ. სინდიკელი, № 66) და ოქტომბერში (რ. ინგილი, „აღარა გვყავს აკაკი". № 67-68, გვ. 6). ანტუან კომპანიონს აკაკი პაპავას გარდაცვალება დ. სინდიკელის (დიმიტრი სინჯიკაშვილის) ნეკროლოგით შეუტყვია, რადგან წერილი მანამდეა გაგზავნილი არგენტინაში, სანამ რაფიელ ინგილოს ნეკროლოგი დაიბეჭდებოდა. ასე რომ, დაგვიანებით კი არა, მეგობრის გარდაცვალება მას სწორედაც დროულად გაუგია – აკაკი პაპავა 1964 წლის 27

ივნისს გარდაიცვალა და მისი ნეკროლოგის გამოქვეყნება რედაქციას ივნისის ნომერშივე მოუსწრია. ანტუან კომპანიონი სამძიმარს თეირანში („თეგრანში") მცხოვრები ქართველების დავალებითაც უგზავნის თამარ პაპავას. ჩანს, იგი ირანში მცხოვრები ქართველების ერთგვარი გამაერთიანებული ფიგურა იყო.

ანტუან კომპანიონის წერილები თამარ და აკაკი პაპავებს

1.

ანტუან კომპანიონი – თამარ პაპავას

5. 12. 59 წ.

დიდათ პატივცემულო ქ-ნო თამარ!

რამოდენიმე დღის წინათ მე მივმართე სპარსულ ფრანგულ ინსტიტუტს, რომ თქვენთვის გამოეგზავნათ „აბას მირზა" უკანასკნელი შრომა ან უკვე განსვენებულ ქ-ნ პაკრავანისა. ვიმედოვნებ, რომ თქვენ ეს წიგნი უკვე მიღებული გექნებათ.

ქ-ნ პაკრავანს მოხსენებული აქვს თქვენი შრომა, რომელიც მე თავის დროზე გადაუთარგმნე ნაწილობრივ. მეორე ტომი ამ წიგნისა მალე გამოიცემა.

პირველი ტომის უკანასკნელ ფურცლებში თქვენ ალბათ მიაქცევდით ყურადღებას ლაი ჩინ ხანის პიროვნებას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია სპარსელებს. ქ-ნი პაკრავანის აზრით ეს უნდა ყოფილიყო ერეკლე მეფის შვილის შვილი, რომელიც სხვა და სხვა მოსაზრებით თავის ნამდვილ სახელს არ ატარებდა. საინტერესოა ამაზე თქვენი აზრი. რასაკვირველია ეს არ არის არც ალექსანდრე ბატონისშვილი და არც თეიმურაზი, რომელიც ხშირად მოხსენებული აქვს ქ-ნ ამინე პაკრავანს.

ამ წიგნში მოხსენებულია ბ-ნი მანუელიშვილი, რომლის მასალები მე მას მივაწვდინე, რომელიც დღეს დღეობით იმყოფება ვაშინგტონში.

განსვენებული ქ-ნი პაკრავანი ჩემი დიდი მეგობარი იყო. ის გადაიცვალა 14 ივლის 1958 წ.

პირადად რაც მე შემეხება, მე მუდამ მწოლიარე ავად მყოფი ვარ. მხოლოდ სულიერად მაგარი და ურყევი ვარ და ოპტიმიზმით სავსე.

ვიმედოვნებ, რომ ბ-ნი აკაკი კარგად არის და ყველა თქვენ მთელი ოჯახის შემადგენლობით.

გისურვებთ მომავალ დღესასწაულებს მხიარულათ და ჯანმთელათ შეხვედროდეთ ყველა თქვენიანებით. აგრეთვე ვისურვებ გაისამდროს საქართველოში მოგველოცნოს ერთმანეთისათვის დღესასწაულები.

მუდმივ თქვენი პატივ მცემელი ანტუან კომპანიონი

2.

ანტუან კომპანიონი – აკაკი პაპავას

27. I. 1960 წ.

დიდათ პატივცემულო ბ-ნო აკაკი!

თქვენ მიერ გამოგზავნილი ბარათი მივიღე, რომელმაც მასიამოვნა და გამახარა.

ვიმედოვნებ, რომ ქ-ნი თამარი, ეხლა უკეთ იქნება და ღმერთსა ვსთხოვ, მათი მუდმივ ჯანმთელობას და დღეგრძელობას.

თეჰერანში ერთ დროს ქართველები დაახლოვებით ასამდინ იყვნენ. უმრავლესობა მათგანი რომლებიც ეკუთვნოდენ ძველ თაობას გარდაიცვალენ. რაც შეეხება ახალგაზრდობას ოც-ოცდახუთამდისინ უკან გაბრუნდენ საქართველოში ომის შემდეგ. ესენი როგორც ემჩნეოდა დავალებით იყვნენ ჩამოსულნი. ომის დროს სპარსეთიდან იქნენ გატაცებული რვა კაცამდე. ამ ჯგუფში ედუარდი პაპავაც უნდა იყოს. ედუარდი 1941 წ. აქ ჩვენთან თეჰერანში ცხოვრობდა. რუსების შემოსვლის შემდეგ ის გადაიხიზნა სამხრეთში, და მის შემდეგ მასზე არავითარი ცნობა არა გვაქვს. 1958 წ. ერთი გაქართველებული აისორი ჩამოვიდა თბილისიდან, რომელმაც გვიამბო, ედუარდი თბილისის ციხეში გადაიცვალაო. სინამდვილეა თუ არა არ ვიცი.

დღეს დღეობით 10-15 კაცამდისინ ცხოვრობენ სპარსეთში ქართველები. მათ შორის ბ-ნი ზურაბ მაჩაბელი. შეიძლება კიდევაც იცნობდეთ. აქ ცხოვრობს ერთად ერთი ფედერალისტი, ყოფილი ბათუმის პარტიზანული რაზმის არა უმნიშვნელო წევრი მიშა ქორქია, რომელიც თქვენი შეფობით ამაყობს. ის არის ჩემი კარგი და ერთგული მეგობარი. 1958 წ. გარდაიცვალა ინჟ. ივანე სოფრომის ძე ვარაზაშვილი, ყოფილი შავ ქვის მრეწველი. პირველ ხანებში მას აქ კარგად ქონდა საქმე, რკინისგზის ამღშენობაში მუშაობდა და დიდი მოიჯარადრეც იყო, ხოლო საუბედუროთ გამოურკვეველი მიზეზების გამო მან ცუდათ დაამთავრა თავისი სიცოცხლე, საშინელი სიღარიბეში გარდაიცვალა.

მამა ჩემს შეუსრულდა 77 წ. მიუხედავათ ამისა განაგრძობს მუშაობას მატემატიკის დარგში კერძო გაკვეთილების მიცემით. მეც რამოდენიმე მოწაფე მყავს რომლებსაც ლოგინში მწოლიარეთ ვამაცადინებ, დედასაც შეუსრულდა მამასავით 77 წ. მაგრამ მხნეთ არის. დედა ჩემის წყალობით ჯერჯერობით პირის გემო არ გვაკლია. ხშირათ გვიკეთებს ქართულ საჭმელებს.

მეორე ტომი „აბას მირზა" ჯერ არ გამოსულა. როგორც გამოვა თუ არა გამოგიგზავნით.

უზომო მადლობელი ვიქნები თუ შეწუხდებით და გამომიგზავნით „თამარ დედოფალს" რისთვისაც წინდაწინვე გიხდით უზომო მადლობას.

ჭიათურელ, ბ-ნ პროკოფი ლეჟავამ, როგორც იქნა თავი დაახწია კომუნისტურ ჩინეთს და გადასახ[ლ]და ავსტრალიაში თავისი ოჯახობით. ეს ამბავი არ ვიცი როგორ ვაცნობო ბ-ნ ვ. ნოზაძეს და ბ-ნ ჯაყელს ჩილეში, რომლების მისამართი არ ვიცი. ბ-ნი პროკოფი ლეჟავა არის შავი ქვის მრეწველის სესია ლეჟავას უმცროსი ვაჟი.

მუდმივ თქვენი კეთილის მდომი და პატივისმცემელი ანტუან კომპანიონი

3.

ანტუან კომპანიონი – აკაკი პაპავას

Téhéran, le 10 Septembre 1960

Cher Maitre,

Le grand écrivain italien Gabriel d' Annunzio, dans un de ses livres, dit que la poésie east l'art par excellence et que rien ne peut exprimer une pensée aussi bien qu un vers parfait.

J'ail u vos beaux poémes avec émotion et souvent à travers les larmes.

Permettez-moi de vous addresser par la présente mes vifs remerciements et de vous renouveler l assurance de mon profound respect.

L'homme d' élit et le grand chrétien que vous êtes meriteil l'admiration de tous. Et comme tels vous n'appartenez pas seulement à votre patrie, mais à tout le monde.

Je vous prie de transmettre mes respectueux hommages à Madame Tamara et à vos charmantes filles. Aux autres membres de votre famille mes meilleurs amities.

Je m'excuse de vous écrire dans une langue que vous ne connaissez peut être pas très bien, mais mon dèsir de vous exprimer ma reconnaissance a été plus fort que ma patience d'attendre le retour de mon secrétaire benevole georgien.

L' état de ma santé est satisfaisant, malheureusement il m'est impossible décrire moi-méme.

Mes parents, ages de 79 ans, ont beaucoup apprécié vos poems et me chargent de cous transmettre avec leurs meilleures salutations, leurs sinceres compliments.

Croyez toujours, cher Maitre, a mes sentiments les plus devoues.

Antoine Compagnoni

თარგმანი:

თეირანი, 10 სექტემბერი, 1960

ძვირფასო ბატონო,

დიდი იტალიელი მწერალი გაბრიელ დ'ანუნციო ერთ-ერთ თავის წიგნში ამბობს, რომ პოეზია ყველაზე აღმატებული ხელოვნებაა და არაფერს შეუძლია გამოხატოს აზრი სრულყოფილ ლექსზე უკეთ.

მე ვკითხულობ თქვენს მშვენიერ ლექსებს ემოციით და ხშირად ცრემლით.

ნება მიბოძეთ, გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლიერება თქვენდამი და დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა.

კეთილშობილი პიროვნება და დიდი ქრისტიანი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებს. და ამიტომ თქვენ ეკუთვნით არა მარტო თქვენს სამშობლოს, არამედ ყველას.

გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულითადი მოკითხვა ქალბატონ თამარს და თქვენს საყვარელ გოგონებს, აგრეთვე თქვენი ოჯახის სხვა წევრებს, ჩემს საუკეთესო მეგობრებს.

ბოდიშს გიხდით, რომ გწერთ ენაზე, რომელიც თქვენ ალბათ კარგად არ იცით, მაგრამ ჩემი სურვილი, გამომეხატა თქვენდამი მადლიერება, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი მოთმინება, დავლოდებოდი ჩემი ქართველი მოხალისე მდივნის დაბრუნებას.

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, წერა არ შემიძლია.

79 წლის ჩემს მშობლებს დიდად მოეწონათ თქვენი ლექსები და მთხოვეს გადმომეცა თქვენთვის მათი საუკეთესო სურვილები და გულწრფელი კომპლიმენტები.

მუდამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძვირფასო ბატონო, ჩემს უაღრეს ერთგულებაში.

ანტუან კომპანიონი

4.

ანტუან კომპანიონი – აკაკი პაპავას

14 იანვარი 1962 წელი
ქალაქი თეჰირანი

ღრმათ პატივცემულო ბ-ნო აკაკი!

უპირველეს ყოვლისა ბოდიშს ვითხოვ თქვენს წინაშე თუ ხანდისხან უცხო ენებზედ მიხდება თქვენთან საუბარი.

ჩემი მშობლები ძალზედ მოხუცდნენ, და ჩემი მეგობრები საუბედუროთ ქართულ ენაზედ ვერ მიწერავენ წერილებს. ორი ქართველი რომლებიც მოხალისე მდივნებათ მყავს იშვიათათ იმყოფებიან თეჰირანში, და მეც როგორც მოგეხსენებათ ჩემის ხელით წერვა არ შემიძლია.

მაშასადამე მე იძულებული ვიყავი დღესასწაულები მომელოცა თქვენთვის გერმანულათ და უკანასკნელათ გამოგიგზავნეთ ფრანგულ ენაზედ დაწერილი წერილის ასლი.

მე პროტესტი გამოუცხადე წერილობითი ლარუსის გამომცემლობას იმ შემცირებისთვის რომელიც იმათმა მოახდინეს 1962 წლის გამოშვებულ PETIT LAROUSSE.

ამ წერილის ასლი პარიზში ორ მეგობარ ქართველებს გაუგზავნე მხედველობის მისაღებათ.

ერთმა ჩემმა დიდმა მეგობარმა, შვეიცარიელ ელჩის მეუღლემ მომიტანა ერთი სპეციალური ნომერი ჟურნალის Atlantis-ის №10, ოქტომბერი 1961 წლის, გერმანულ ენაზედ გამოცემული ქალაქ ციურიხში, შვეიცარიაში.

მშვენიერი ფოტოგრაფიული სურათები არის მოყვანილი და ტექსტიც ცნობილი მწერლების, უცხოელების და ქართველების მიერ არის დაწერილი.

თუ თქვენ ეს ჟურნალი არ გაქვთ ნახული და თუ მანდ ვერ იშოვნით, გთხოვთ მაცნობოთ და მე დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით. ამ ქალბატონმა აგრეთვე სასიხარულო ამბავი ჩამომიტანა ციურიხიდან, რომ პროფესორ ჩხენკელს გამოუცია შესანიშნავი ქართული გრამატიკა.

ვიმედოვნებ რომ თქვენ და თქვენი ოჯახის შემადგენლობა ყველა კარგად იმყოფებით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ წასულ დღესასწაულებს, თქვენ და თქვენი ოჯახის შემადგენლობას და გისურვებთ რომ მომავალს საქართველოში შეხვედროდეთ. დიდი მოკითხვა ჩემი მშობლებისგან.

მუდმივ თქვენი კეთილის მდომი და პატივის მცემელი ანტონ კამპანიონი.

5.

ანტუან კომპანიონი – აკაკი პაპავას

ქალაქ თეირან
12 მარტი 1963 წ.

ღრმათ პატივცემულო ბ-ნო აკაკი!

თქვენ მიერ გამოგზავნილი პოემები (მოწამეთობა) მივიღე რამაც ძლიერ გამახარა. უდიდეს მადლობას გიძღვნით. დიდი ხანია თქვენდან ამბავი არ მქონდა. ჩემი უკანასკნელი სამი წერილი უპასუხოთ დარჩა, რაც ძლიერ მაწუხებდა. პარიჟში და მადრიდში შევეკითხე ჩემ მეგობრებს თქვენი ამბავი. პასუხი მივიღე

რომ თქვენ ყველანი კარგად ბრძანდებით. მიღებულმა (მოწამეთობამ) სავსებით დამარწმუნა რომ თქვენ თქვენი ოჯახობით კარგად ბრძანდებით. მე საუბედუროთ შარშან 25 თებერვალს 1962 წ. ჩემი საყვარელი მამა დავკარგე. ეს ამბავი მე თავისი დროზედ თქვენ გაცნობეთ. პარიჟის მეგობრებმა დიდი მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ ჩემ მწუხარებაში, განსაკუთრებით ბ-ნ ზურაბიშვილმა, კოლონიის თავმჯდომარემ. (მოწამეთობამ) გამახსენა ჩემი ბავშვობა, დედაჩემმა ჩემმა დამ და მე ცრემლებით წავიკითხეთ თქვენი მშვენიერი ლექსები. მე ჯანზედ კარგად ვარ, მხოლოთ ჩემი ხელით წერვა კიდევ არ შემიძლია.

გულითადი სალამი ქ-ნ თამარას და ყველა თქვენ ოჯახის წევრებს, მოგილოცავთ მომავალ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას და გისურვებთ ყველას ჯანმრთელობას.

თქვენი ღრმათ პატივმცემელი ანტუან კომპანიონი.

6.

ანტუან კომპანიონი – თამარ და აკაკი პაპავებს

ქალაქ თეირანი
12 ქრისტეშობისთვე 1963 წ.

ღრმათ პატივცემულო ქ-ნ თამარა და ბ-ნო აკაკი!

ზაფხულში ერთ ნიუორკში დაბეჭდილ გაზეთში თქვენზედ იყო ლაპარაკი. ფიქრებმა გამიტაცეს და მე ვეკითხებოდი ჩემს თავს თუ თქვენ 12 ათასი კლომეტრით მოცილებული სამშობლოდან უფრო მეტათ არ განიცდით ჩვენზედ სურვილს საქართველოს ნახვისა. ჩვენ თეირანში უფრო ახლოს ვართ რასაკვირველია მაგრამ საზღვარი კავკასიასთან გადაულახავ უფსკრულს წარმოადგენს!..

ბერეჟნიოვი კიდევ თეირანში იყო და ბულბულის ხმით სიყვარულს უხსნიდა სპარსელებს, როდესაც საზღვართან ახლოს რუსეთის სამხედრო თვითმფრინვალებმა სპარსელების პაწაწინა სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდო!..

ღმერთო ძლიერო, მოგვეცი მოთმინება და რწმენა, რომ ოდესმე სიმართლე და სამართალი გაიმარჯვებენ ჩვენს ქვეყანაზედ.

ვიმედოვნებ რომ თქვენ ჯამრთელათ ბრძანდებით და ყველა თქვენი ოჯახის წევრებით სიმხიარულით შეეგებებით მომავალ ბრწყინვალე ქრისტეშობას და ახალწელს.

მოგილოცავთ დედაჩემი და მე თქვენ და ყველა თანამემამულეებს და გისურვებთ ბედნიერებას ცხოვრებაში.

თქვენი ღრმათ პატივცემული ანტუან კომპანიონი!

P. S. ცაცა ფალიაშვილი რომელიც ცოლის მოკვლისთვის ციხეში იყო, თუ განთავისუფლეს. ის 1933 წელში ჩემს ქარხანაში მარსელში მუშაობდა.

7.

ანტუან კომპანიონი – თამარ პაპავას

ქ. თეგრანი
15 ენკენისთვე 1964 წელი

დიდათ პატივცემულო ქალბატონო თამარა!

ნიუორკში გამოცემულ გაზეთიდან გავიგე, მხოლოთ ძლიერ დაგვიანებით, ბატონ აკაკის გარდაცვალების ამბავი. დედაჩემი და მე გთხოვ მიიღოთ ჩვენი თანაგძნობა თქვენ ღრმა მწუხარებაში. თქვენთან ერთად მგლოვიარობთ ამ დიდ ქართველის დაკარგვას, რომლის სახელი მუდამ დარჩება ჩვენ გულში...

თეგრანში მცხოვრებ ქართველების დავალებით მწუხარე სამძიმარს გითვლით თქვენ და ყველა თქვენი ოჯახის წევრებს...

თქვენი ერთგული ანტუან კომპანიონი

შენიშვნები

წერილების ორთოგრაფია და პუნქტუაცია დაცულია ყველგან, სადაც იგი გავლენას არ ახდენს შინაარსზე.

ფრანგული წერილი თარგმნილია ჩვენ მიერ გუგლტრანსლეიტორის დახმარებით.

წერილებში ნახსენები საკუთარი სახელები ქვემოთ გაწყობილია ქართული ანბანის რიგზე. თითოეული ცნობის ბოლოს ფრჩხილებში მითითებული ციფრი აღნიშნავს, თუ კერძოდ რომელ წერილშია პიროვნება ნახსენები.

აბას მირზა (1789–1833) – ყაჯართა დინასტიის მემკვიდრე უფლისწული, შაჰის ნაცვალი აზერბაიჯანში, სპარსეთის ჯარების სარდალი რუსეთთან და თურქეთთან ომებში, ხელი მოაწერა თურქმენჩაის ხელშეკრულებას, 1829 წელს ჩავიდა პეტერბურგში ალექსანდრე გრიბოედოვისა და თეირანის რუსეთის საელჩოს თანამშრომელთა მკვლელობის გამო გართულებული ურთიერთობის დასარეგულირებლად. (1)

ბატონიშვილი (ტექსტში – ბატონისშვილი) **ალექსანდრე** (1770–1844) – ერეკლე მეფის ძე, აღა მაჰმად ხანის მიერ დანგრეული თბილისის აღდგენის ხელმძღვანელი, 1812 წლის კახეთის აჯანყების მეთაური, რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომის მონაწილე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს იგი საქართველოს მეფედ ჰყავდათ შეგულებული, დიდხანს ცხოვრობდა სპარსეთში, იქ გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. (1)

ბატონიშვილი თეიმურაზ (1782–1846) – ერეკლე მეფის შვილიშვილი, გიორგი XII-ის ძე, 1803 წელს ჩავიდა სპარსეთში ბიძამისთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან და მასთან ერთად იბრძოდა საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. (1)

ბერეჟნიოვი (უნდა იყოს ბრეჟნევი) [ლეონიდ ილიას ძე] (1907-1982) – საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პირველი (1964 წლიდან) და გენერალური მდივანი (1966-1982), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1960-1964, 1977-1982). (6)

დ'ანუნციო გაბრიელე (1863-1938) – იტალიელი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი, სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იტალიური კინემატოგრაფის ერთ-ერთი მესაძირკვლე, იტალიის მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ავიატორი, მაიორი, ფიუმეს რესპუბლიკის ფაქტობრივი დიქტატორი, იტალიის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მუსოლინის მხარდამჭერი. (3)

ერეკლე მეფე – ერეკლე II (1720-1798) – კახეთის (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე; კახეთის გამგებლისა (1733-1744) და ქართლის მეფის (1744-1762) თეიმურაზ II-ის ძე; ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორი შტოს დამაკავშირებელი. (1)

ვარაზაშვილი ივანე სოფრომის ძე (-1958) – ინჟინერი, ჭიათურის მანგანუმის მრეწველი, შემდეგში სპარსეთში მცხოვრები; მონაწილეობდა ირანის რკინიგზის მშენებლობაში (2)

ზურაბიშვილი ლევან (1906–1975) – ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე მრავალი წლის განმავლობაში, ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი, საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მამა. (5)

ლაი ჩინ ხანი – მის შესახებ ვერ მოვიპოვეთ ვერავითარი ინფორმაცია, გარდა იმისა, რომ ანტუან კომპანიონის ცნობით, ირანელ მწერალს ემინე ფაქრავანს იგი ერეკლე მეორის შვილიშვილად მიაჩნია, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო სახელი ჰქონდა შეცვლილი. ჩვენ ამ პიროვნებით, ისევე როგორც ემინე ფაქრავანის შემოქმედებით დავაინტერესეთ სპარსული და ფრანგული ენების შესანიშნავი მცოდნე, პროფესორი გიორგი ლობჟანიძე და იმედი გვაქვს, იგი ბევრ საინტერესო მასალაც მოიპოვებს. (1)

ლეჟავა პროკოფი (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – ჩინეთიდან ავსტრალიაში გადასახლებული ქართველი ემიგრანტი, წარმოშობით ჭიათურელი, ჭიათურის მარგანუმის მრეწველის სესია ლეჟავას უმცროსი ვაჟი. (2)

ლეჟავა სესია (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – ჭიათურის მანგანუმის მრეწველი. (2)

მანუელიშვილი (უნდა იყოს მანველიშვილი) **ალექსანდრე** (1904-1997) – ვალეში დაბადებული ქართველი კათოლიკე, თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა ვალესა და ახალციხეში, 1929 წლიდან ემიგრაციაშია, ცხოვრობდა თურქეთში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იყო ქართული პატრიოტული ორგანიზაციის „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი იდეოლოგი და ხელმძღვანელი, ავტორია ისტორიული თემატიკის წიგნებისა. (1)

მაჩაბელი ზურაბ (1891-1960) – თეირანში მცხოვრები და იქვე გარდაცვლილი ქართველი. (2)

ნოზაძე ვიკტორ (1893-1975) – უცხოეთში (საფრანგეთი, არგენტინა, ჩილე, ესპანეთი) მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი რუსთველოლოგი, გამომცემელი, ჟურნალისტი, მესტამბე. (2)

პაკრავანი, ემინე (1890–1958) – ფრანგულენოვანი ირანელი მწერალი, ავტორი წიგნებისა „აბას მირზა", „უწარსულო უფლისწული" და სხვა, რომლებიც შეიძლება საინტერესო იყოს ქართველი მკითხველისთვისაც. პროფ. გიორგი ლობჟანიძის შენიშვნით, მისი გვარის სწორი დაწერილობაა ფაქრავანი. (1)

პაპავა აკაკი (1890–1964) – მწერალი, ჟურნალისტი, პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი), საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; თამარ პაპავას მეუღლე. (1-6)

პაპავა ედუარდ (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – აკაკი პაპავას ბიძაშვილი; ცხოვრობდა ევროპასა და სპარსეთში; მას ასე იხსენებს თამარ პაპავა თავის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მემუარებში: „ერთხელ მოულოდნელად ახალგაზრდა სტუმარი გვეწვია. საქართველოდან გადმოხვეწილი, სამშობლოს სიყვარულისთვის დევნილი, როგორც ქარიშხალი, ისე მოვარდა ჩვენთან კაკიჩის (აკაკი პაპავას – **პ.ნ.**) ბიძის შვილი ედუარდ პაპავა – მალხაზი, ნიჭიერი ახალგაზრდა; ჩამოვიდა აქ რომ ემცნო ყველასათვის და საფრანგეთში გადმოხვეწილი ჩვენს ყოფილ მთავრობისთვის, თუ რა ხდებოდა ჩვენს სამშობლოში. ქართული ემიგრაციის ყველა დაჯგუფებას ის მკერდით ასკდებოდა და ევედრებოდა: მიმიხმარეთ და მომეხმარეთ, გავაკეთოთ რამე, ვუშველოთ სამშობლოში მათ, ვინც იქ ჩვენგან იმედს ელიანო... მაგრამ ეს იყო ნორჩის, ანთებულის მკერდით ცივ კედლების დაჯახება... ვინ და როგორ უნდა მოხმარებოდა? დაბოლოს ისიც წავიდა სხვაგან, შორს აქედან სპარსეთისკენ – სამშობლოსთან ახლოს მაინც ვიქნებიო, იქნება იქ მაინც გავაწყო რამეო და ასე ჩვენთვის სულ დაიკარგა ეს დიდი ენერგიით და სიყვარულით ანთებული ახალგაზრდა პატრიოტი. ისიც იმ თავგანწირულთა გზას გაჰყვა, იმ გზას, რომელსაც ამდენი ქართველი შეეწირა. ეხლა ირკვევა და გვწერენ (აქ თამარ პაპავა სწორედ ანტუან კომპანიონის წერილს უნდა გულისხმობდეს – **პ.ნ.**), რომ ის სპარსეთში ბოლშევიკებმა მოიტაცეს და გააქრეს.“ (2).

პაპავა თამარ (1888–1976) – მწერალი, ჟურნალისტი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიასა და არგენტინაში; აკაკი პაპავას მეუღლე. (1, 2, 5-7)

ფალიაშვილი ცაცა (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ემიგრანტი; გერმანიაში ცოლად მოიყვანა თამარ ჭილაია, რომელთან ერთადაც იტალიასა და ესპანეთში ცხოვრების შემდეგ ბუენოს-აირესში დასახლდა, სადაც 1951 წლის 20 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მეუღლე; ცაცა ფალიაშვილი გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. (6)

ქორქია მიხეილ (1900-1964) – ირანში მცხოვრები სოციალისტ-ფედერალისტი, ბათუმის პარტიზანული რაზმის ყოფილი წევრი. (2)

ჩხენკელი [კიტა] (1895-1963) – შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის დოქტორი, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი, შვეიცარიის ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელი და მეთაური, გამომცემელი, გერმანელთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს და ქართულ-გერმანული ლექსიკონის ავტორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ძმა. (4)

ჯაყელი [მიხეილ] (დაბადებული უნდა იყოს 1913 ან 1914 წელს, გარდაცვალების წელი უცნობია) – ჯერ ესპანეთში, შემდეგ ბელგიაში და ბოლოს, 1949 წლიდან ჩილეში მცხოვრები ქართველი ემირგანტი, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრისა და ჭიათურის მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოების („ჩემო“) თავმჯდომარის ალექსანდრე (საშა) ჯაყელის შვილი, საფრანგეთში სახელმოხვეჭილი არქიტექტორის ოთარ ჯაყელის ძმა; სანტიაგოში ჰქონია ფარმაცევტული ლაბორატორია „Prince Michael“;

1960 წელს სტუმრად ყოფილა პარიზში თავის ბიძაშვილთან ალექსი ჯაყელთან. მას მერე არავის უნახავს; ცოლ-შვილი არ ჰყოლია. (2)

კომპანიონი სტეფანე ანტონის ძე (1883–1962) – 1918 წლამდე ასწავლიდა მათემატიკას ქუთაისში, კონსტანტინე მკურნალის ვაჟთა კერძო გიმნაზიაში; სავარაუდოდ, სპარსეთშიც მათემატიკას ასწავლიდა, ჰყავდა კერძო მოსწავლეები; სუზანა (შუშანა) კომპანიონის მეუღლე, ანტუან კომპანიონის მამა; (2-5)

კომპანიონი (ზუბიევა) სუზანა (შუშანა) (1882-1981) – სტეფანე კომპანიონის მეუღლე, ანტუან კომპანიონის დედა. (2-7)

კომპანიონი გენრიეტა-ვენერა სტეფანეს ასული (1906-?) – ანტუან კომპანიონის და (5, სახელის გარეშე).

შოთა ბერეჟიანის მოგონებები

წინასიტყვაობა

ქართველი ემიგრანტის შოთა ბერეჟიანის საინტერესო მოგონებებს მცირე წინასიტყვაობას წარვუმძღვარებ.

1997 წლის 22 თებერვალს მიპატიჟებული ვიყავი ერთ საოცარ დაბადების დღეზე; საოცარზე არა მარტო იმიტომ, რომ იუბილარი 88 წლის იყო; არც იმიტომ, რომ დიდებული სუფრა იყო იმ გაჭირვების ჟამს გაშლილი არც თუ შეძლებულ ოჯახში და არც იმიტომ, რომ სტუმრებს შორის ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან, ქართველი ემიგრანტებიც ისხდნენ. საოცარი იყო იმიტომ, რომ შოთა ბერეჟიანს 68 წლის მერე პირველად უხდიდნენ სამშობლოში დაბადების დღეს. იყო ბევრი სადღეგრძელო, მილოცვა, კეთილი სურვილები, სიხარული და ბედნიერების ცრემლი...

რაზე ოცნებობდნენ ქართველი ემიგრანტები? რა თქმა უნდა, სამშობლოში დაბრუნებაზე – თავისუფალ, მშვიდობიან, ბედნიერ სამშობლოში. ეს ოცნება ბევრისთვის დარჩა ოცნებად, ბევრისთვის მწარე რეალობად იქცა და გადასახლებულმა ტანჯული სიცოცხლე სადღაც ციმბირის ტაიგასა თუ ყაზახეთის ველებში დაასრულა. მხოლოდ ერთეულებს გაუმართლათ და დიდი ხნის ნალოლიავები ოცნება აისრულეს. ასეთი იყო შოთა ბერეჟიანი. ის 1929 წელს წავიდა ემიგრაციაში და მხოლოდ 1996 წელს დაბრუნდა. ქართველ ემიგრანტთაგან ერთ-ერთმა პირველმა უპირობოდ დატოვა საფრანგეთში სახლ-კარი, საყვარელი მეუღლის საფლავი, მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და ჩამოვიდა. ცხოვრობდა დისშვილთან, მედეა თავბერიძე-კვერნაძესთან, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 9 წლის იყო, კარგად ახსოვს შოთას გამო მთელი მისი ოჯახის და ახლობლების გასახლება შუა აზიაში და ის საშინელი სამი წელი, რომელიც იქ აუტანელ პირობებში გაატარეს. შოთა ბერეჟიანმა ცხოვრების ბოლო 7 წელი თავისი საყვარელი სამშობლოს ჭირითა და ლხინით, მისი რთული ცხოვრებით იცხოვრა და ჩვენზე მეტად განიცადა იმ წლების კოლიზიები.

თავდაპირველად შოთა ბერეჟიანთან ემიგრაციის მუზეუმს ესტუმრა, სადაც მაშინ ვმუშაობდი, გამოფენა დაათვალიერა და ემიგრაციაზე ბევრი საგულისხმო ცნობა მოგვაწოდა. მერე მასთან ჩვენი ნათესავის, ემიგრანტ ვანო ბაქრაძის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მივედი. აღმოჩნდა, რომ შესანიშნავი მეხსიერების წყალობით შეეძლო დეტალებში აღედგინა რომელიმე ეპიზოდი არა მარტო თავისი ხანგრძლივი

ბიოგრაფიიდან, არამედ ემიგრაციის ცხოვრებიდან. იცოდა ლამის ყველაფერი ქართული ემიგრაციის შესახებ, რადგან ბევრს პირადად იცნობდა და თვითონაც აქტიურად იყო ჩაბმული ემიგრანტულ ცხოვრებაში. ასევე კარგად ახსოვდა აქაური ამბებიც, თუმცა 30-იანი წლების ბოლოდან 60-იან წლებამდე მიმოწერაც კი არ ჰქონია ახლობლებთან. ჩემი სამსახურისა და პროფესიის წყალობით, ხშირად მიხდებოდა ბ-ნი შოთას შეწუხება: მიმქონდა ფოტოები უცნობი ემიგრანტების ამისაცნობად, ვიწერდი ემიგრანტულ ისტორიებს, ვაზუსტებდი ფაქტებს, ვისმენდი შენიშვნებს ემიგრაციაზე დაწერილ ჩემ თუ სხვათა ნაშრომებში დაშვებულ შეცდომებზე, მიმყავდა ემიგრანტთა ან ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ნათესავები რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო ცნობის მისაღებად. ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებას. მისგან გაიგო ექიმმა ლევან ჭაჭიაშვილმა თავისი მამის გიორგი ჭაჭიაშვილის ცხოვრებისა და გმირული დაღუპვის ისტორია, საფრანგეთიდან ჩამოსულმა ჟან ბერაძემ მისთვის უცნობი მამის ალექსანდრე ბერაძის ბიოგრაფია, დიტო ქემოკლიძემ სინამდვილე ბიძის, გიორგი თუხარელის ემიგრანტული მოღვაწეობისა და დაღუპვის შესახებ და ა.შ. ამის გამო ბ-ნ შოთას უამრავი ხალხი ჰყავდა ჩემსავით მადლიერი.

პირველად ჟურნალი „ომეგა“ დაინტერესდა შოთა ბერეჟიანის ბიოგრაფიით, 2000 წლის მარტის №3 დაიბეჭდა ერთი ეპიზოდი მისი მოგონებებიდან – „თეთრი გიორგი“ მეორე მსოფლიო ომში“. წერილები დაიბეჭდა გაზეთებში: „ახალი ეპოქა“, „თბილისი“, „არგო“, „კრიმანჭული“. იგი გადაიღო ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდიამ, გადაიცა სიუჟეტი I არხზე ციკლში „მარცვალ-მარცვალ“, დაიბეჭდა სტატია შოთა ბერეჟიანის მეუღლე თამარ რევიაზე და ა.შ.

1998 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს მოუთმენლად ელოდა 22 თებერვალს – თავის დაბადების დღეს, როცა გრძელ სუფრას მიუჯდებოდა ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად. ამ დღეს ხშირად იგი არა მარტო იუბილარი, არამედ თამადაც გახლდათ. როგორც წესი, საერთო სიხარულისა და მხიარულების ფონზე, ყველაზე სევდიანი საქართველოს სადღეგრძელო იყო, რომელსაც თამადა ლექსითა და ცრემლებით წარმოთქვამდა, რადგან შოთა ბერეჟიანი საქართველოშიც კი უცრემლოდ ვერ ამბობდა სიტყვას „სამშობლო“.

2004 წლის 22 თებერვალს ალბათ განსაკუთრებით აღნიშნებოდა შოთა ბერეჟიანის 95 წლის იუბილე. სულ სამიოდე თვე იყო დარჩენილი. 2003 წლის ნოემბერში უკანასკნელად ვნახე. საწოლიდან ველარ დგებოდა. ლაპარაკიც უჭირდა. გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა და თავისი უკანასკნელი სურვილი გამანდო „ამდენი ხანი ვიყავი დაკარგული და მუხათგვერდში ნუ გადამკარგავთ, გურამ შარაძემ ჩამოსვლისას მიშუამდგომლა მთავრობასთან და იქნებ ახლაც მიპატრონოს, ჩემიანებთან ახლოს მომიხერხოს საფლავიო“. გურამ შარაძემ ეს სურვილი აუსრულა – შოთა ბერეჟიანი ახლა საბურთალოს სასაფლაოზე განისვენებს და გულზე თავისი სათაყვანებელი საქართველოს მიწა აყრია. ჩვენ კი კვლავ და კვლავ გვახსენდება ბ-ნი შოთას წუხილი სამშობლოდან შორს მცხოვრებ ქართველებზე, რომ „რაც არ უნდა კარგად ცხოვრობდეს ადამიანი უცხო ქვეყანაში, ემიგრანტობა მაინც ძალიან მძიმეა“. იქნებ ძველი თუ ახალი ემიგრანტების ოცნებაც მალე ახდეს – ყველა დაბრუნდეს სამშობლოში – თავისუფალ, მშვიდობიან, ბედნიერ საქართველოში.

შოთა ბერეჟიანის ეს მოგონებები მცირე ნაწილია იმისა, რაც მან გაიხსენა და რისი ჩაწერაც მოვასწარით 2000 წელს.

რუსუდან დაუშვილი

* * *

„ბერეჟ“ სვანურად რკინას ნიშნავს – წარმოშობით ბერეჟიანები სვანები ვყოფილვართ. ჩვენი წინაპარი გურიელის ელჩი ყოფილა მეჰმედ II კარზე და თავიც გამოუჩენია – რამაზანის დროს დეკეულისთვის თავი ხმლის ერთი დაკვრით გაუგდებინებია. მერე მიწები გურიის სოფელ ზენობანში და მისი შემოგარენში შეუძენია და იმ მიწებში ოქრო გადაუხდია.

მამაჩემი ბესარიონ ბერეჟიანი ფერშლად მუშაობდა რკინიგზის საავადმყოფოში. ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ამავე საავადმყოფოში განაგრძო მუშაობა ქირურგად. პირველი ცოლი კობალაძის ქალი მუცელს გადაჰყვა და მამა დიდხანს იყო ქვრივი. მერე გურიაში მოეწონა კეკელიძის ქალი – 17 წლია კესარია და ცოლად შეირთო. პირველი ბავშვი დაეღუპათ. მერე დავიბადე მე – 1909 წლის 22 თებერვალს თბილისში. მომნათლა დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა ნიკიტა თალაკვაძემ, ნათლია იყო თვალის ექიმი ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილი. როგორც უფროსი შვილი გამოვცხადდი მემკვიდრედ. სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით – გოგოლევის №52, ეკუთვნოდა მამაჩემის ბიძას გოჯასპ ბერეჟიანს – თავადაზნაურთა საკრებულოს წევრს. მას ორსართულიანი სახლი ჰქონდა და კარგად ცხოვრობდა. მეორე ბიძა გიორგი სოფელ ზენობანში მამულებს უვლიდა (სადაც ამჟამად ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმია). მე მისი მემკვიდრეც გავხდი. 1914 წელს დაიბადა ჩემი და ნინო. ჟურნალი იყო მაშინ „პრაბუჟდენიე“, რეპროდუქციებს ბეჭდავდა და იქ იყო ჯოკონდას სურათიც. ჩემი და მართლა გავდა მას და ჯოკონდა დაარქვეს, მაგრამ მღვდელმა არ ქნა და სახელად ნინო ჩაუწერა. მეორე დას იოლანტა ერქვა, მაგრამ თამარი ჩაუწერეს. მომდევნო ძმა იყო ივანე (კაკულია), უმცროსი გოგი მაშინ დაიბადა, როცა 1922-23 წლებში ამიერკავკასიის მიწათმოქმედების კომისარიატმა, რომელსაც „მიწკომს“ უწოდებდნენ, მიწები ჩამოგვართვა. ამიტომაც მეტსახელად „მიწიკო“ დაარქვეს.

7 წლისამ ქართული კითხვა უკვე ვიცოდი, გამოწერილი მქონდა „ნაკადული“ ამ დროს პარიზიდან ჩამოვიდა თამარა მიხეილის ასული თაქთაქიშვილი. მან შეადგინა მასწავლებელთა ამხანაგობა და გახსნა გიმნაზია. 1917 წელს შემიყვანეს ამ გიმნაზიაში. ვინაიდან იქ ყველაფერს რუსულად გვასწავლიდნენ, დამიქირავეს რეპეტიტორი ივან ტროფიმიჩ პუშკარიოვი. უნივერსიტეტის დამთავრების დიდი ოქროს მედალი ჰქონდა, მაგრამ ლოთი იყო. ფრანგულსაც მასწავლიდა. მომცემდა დავალებას 30 პარაგრაფამდე, მერე უკანა ჯიბიდან ამოიღებდა არაყს დალევდა და დაიძინებდა. მე კიდევ ეზოში გავიქცეოდი ბავშვებთან სათამაშოდ.

ხშირად დავდიოდი მამასთან საავადმყოფოში, ამიტომ ყველას ვიცნობდი. ადგილკომში ილიკო იყო კვანტალიანი, რევოლუციის შემდეგ, მამაჩემს შესთავაზა 25 წლის იუბილეს გადახდა. მამამ უარი თქვა, მაგრამ მაინც გადაუხადეს. დაესწრო ყველა ცნობილი ექიმი – თვალის ექიმი შატილოვი, დიასამიძე, ზანდუკელი, სრულიად ახალგაზრდა ეგნატე ფიფია.

რევოლუციის შემდეგ, ჩვენები წავიდნენ ზენობანში. მამაჩემი დარჩა და განაგრძო მუშაობა. მე და ჩემი და დავრჩით მამასთან. საინტერესო ამბებს

გვიამბობდა ხოლმე. მამა სოციალ-დემოკრატი იყო და მეც გაქანებული სოციალ-დემოკრატი გავხდი. რევოლუცია რომ მოხდა გადამიყვანეს რეალურ გიმნაზიაში. დირექტორი იყო ალექსანდრე მდივანი. დამოუკიდებლობის დროს იგი განათლების მინისტრის ლასხიშვილის თანაშემწე იყო.

1919 წელს, მახსოვს, ერთხელ მამა სამსახურიდან დაბრუნდა. დედა ბავშვებით სოფელში იყო. მამამ მითხრა: დაპატიჟებული ვარ გერმანე პაიჭაძესთან და შენ მარტო ვერ დაგტოვებო. გერმანე დაჭრილი მიუყვანიათ მამაჩემთან ქირურგიულ განყოფილებაში, რომელიც გაქართველებულ სომეხ მაკაშოვს ეკუთვნოდა. ოპერაცია გაუკეთეს და რომ მორჩა, ქეიფი გადაიხადა. მამაჩემთან ერთად დაპატიჟებული ჰყავდა თავისი ასეულის უფროსი გრიგოლ ცინცაძე. გრიგოლი ქერა კაცი იყო, კაპიტნს ჩინი ჰქონდა და ჩოხა ეცვა. მას მოჰყვნენ ამხანაგები – ბატალიონის უფროსები აკაკი კვიტაიშვილი და კოტე უნგიაძე. რაკი გერმანეს ცოლი არ ჰყავდა, დიასახლისობდა ჟღენტის ქალი, რომელსაც მშვენიერი საჭმელები გაეკეთებინა. მე აღტაცებული ვიყავი, რომ 10 წლის ბიჭი ამ დიდ ხალხში ვიყავი გარეული და ყველაფერი კარგად დამამახსოვრდა. მერე ცინცაძეს გამარჯვების აღსანიშნავად მოუწყვეს წვეულება და რადგან ჯერ ეროვნული ორდენები არ ჰქონდათ, მეფისდროინდელი მედალი გადასცეს. 1924 წლის აჯანყებისას თავისი რაზმები ყავდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში – გრიგოლ ცინცაძეს, იმნაძეს და მათითაიშვილს.

რეალურ სასწავლებელში I კლასში დამსვეს, რადგან უფროსი კლასები დამთავრებული მქონდა. ვლადიკავკავიდან ჩამოვიდნენ შოთა გედევანიშვილი, ქარუმიძეები, მგალობლიშვილი და სხვები. II კლასში რომ გადავედი, მაშინ შემოვიდნენ წითლები. მახსოვს ერთი მათი მეთაური ბარანოვი. ბაბუაჩემის ეზოში იდგნენ ცხენები და იქ იჯდა ხშირად. ცხენები უყვარდა. რაღაც განსაკუთრებული, საიდუმლო განყოფილების უფროსი იყო, პოლიტიკური ხელმძღვანელი კი – ჰეკერი. დავტოვეთ თბილისი. მამამ ბათუმამდე გააცილა მთავრობა, უკან დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო. ჩვენ ჩავედით ზენობანში. სწავლის გასაგრძელებლად შემიყვანეს ხიდისთავის 4 კლასიან სასწავლებელში. კარგი მოწაფე ვიყავი. განსაკუთრებით კარგად ვიცოდი რუსული. რუსულს გვასწავლიდა სანდრო გუბელაძე, ქართულს – ლავროსი კალანდაძე, რომელიც მერე მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი იყო.

ამ დროს რობაქიძე დაბრუნდა გერმანიიდან და ლექციებს ატარებდა ხელოვანთა სახლში. მე სულ რაღაც მეწეოდა მწერლობისაკენ, ამიტომ ვესწრებოდი ხოლმე შეკრებებს. ერთხელ, მახსოვს, რობაქიძემ მეტისმეტად ნაციონალისტური მოხსენება გააკეთა. იქ იყო ვიქტორ ნოზაძის უმცროსი ძმა პალიკო ნოზაძე, წაიფუტურისტებდა, „რას მიედ-მოედებიო“, გაჰკრა ხელი და გრიგოლს პარიკი გადააგდებინა. დიდი ამბავი ატყდა, ერთი გაწევ-გამოწევა.

1924 წელს გავათავე 4-კლასიანი სასწავლებელი და მოწმობა რომ ავიღე, 9 აგვისტოს, 29-ში დაიწყო აჯანყება. მაშინ 15 წლის ვიყავი. ვიფიქრე, შურს ვიძიებ კომუნისტებზე მამულები რომ ჩამოგვართვეს-თქო და გადავიკიდე თოფი. 9 დღე ვიყავით გამარჯვებული. ხიდისთავში აჯანყების მეთაურები იყვნენ ანდრია თავბერიძე, ვანო ლომთათიძე, კოტე გოგიბერიძე, ძმები ცხომელიძეები, იყვნენ სამხედრო პირებიც: ელიზბარ ჭანიშვილი და ემილიანე ლომთათიძე, რომელიც მერე საზღვარგარეთ იყო და შინაგან საქმეთა

განყოფილებაში თანამდებობა ჰქონდა, გაკიშვილი ერმალო, კიღურაძე. კაცი არ მომკვდარა. როცა რუსები მოგვაწვნენ, მოკვდა 8-9 კაცი. დაგეიჭირეს და ჩაგვყარეს დაპატიმრებულები დუქნების ქვეშ სარდაფში. ვიყავი 10 დღე. მოვიდა დრო, როცა სწავლის გასაგრძელებლად თბილისში უნდა წამოვსულიყავი. ჩამოვიდა ფილიპე მახარაძე, გააკეთა მოხსენება, ბრძანა საღამოს ყველა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ მაინც არ გამოგვიშვეს.

კალანდაძე ქსენია იყო ერთი ლამაზი ქალი, მახარაძე ეპრანჭებოდა. ის კი ცდილობდა ძმის გათავისუფლებას, რომელიც ჩვენთან იჯდა. ამასობაში მამაჩემმა სამსონ ჭანიშვილს, რომელიც ჩოხატაურში სამეულის უფროსი იყო, ჩემი გათავისუფლების ქაღალდი სთხოვა. მოკლედ, კალანდაძემაც გამიკეთა და მახარაძემაც და 2 საბუთი დამირჩა. ოზურგეთიდან ჩოხატაურამდე მაშინ პირდაპირი გზა არ იყო. უნდა ჩამომხტარიყავი საჯავახოში და აქედან ფაეტონებით – ჩოხატაურამდე. იქ შემხვდა ბაბუაჩემის ხალხი და ამიყვანეს სოფელში. იქ იყო შალია კალანდაძეც, ლავროსის ცოლის ძმა (კალანდაძეს კალანდაძე ყავდა). რომ ჩავედით ჩოხატაურში, მითხრა: მეც მინდოდა თბილისში წამოსვლა, მაგრამ მოწმობა არა მაქვს და არ გამიშვებენო. მე ორი მქონდა და ერთი მივეცი. წამოვედით. ისე ჩამოვედით თბილისში, არავის შევუმოწმებივართ. სხვათა შორის, მერე სიმონიკა გოგიბერიძემ დაწერა წიგნი გურიის აჯანყებაზე.

მამა რკინიგზის საავადმყოფოს გარდა ინდუსტრიულ ტექნიკუმშიც მუშაობდა საღამოობით, თუ მოსწავლეებისგან ვინმეს დასჭირდებოდა ექიმი. ჩემი მოწმობით მივედი ტექნიკუმში. იქ მინდოდა სწავლა, მაგრამ მათემატიკაში არ ვვარგოდი. 2 მივიღე და ქულები ვერ შევაგროვე. უნდა დავრჩენილიყავი იმავე კლასში, ეს არ მინდოდა. პაატა ბურჭულაძის ბაბუა სეფე სამებაში სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის გამგე იყო. მის უმცროს ვაჟთან ალექსანდრესთან ვმეგობრობდი. იქ იყო ორი განყოფილება – აგრონომიული და ჰიდროტექნიკური. მიმიღეს, მაგრამ არც იქ მომინდა, რადგან სწავლა 8 წლიანი იყო, ე.ი. კიდევ ორი წელი უნდა დამეკარგა. ასეთ დღეში იყვნენ ჩემი მეგობრები – კანდელაკი, ქაშუეთის ეკლესიის მღვდლის შვილი და ძოძუაშვილი. იყო ნუცუბიძის კურსები, გრიგალაშვილმა გადაიტანა თავის სახელზე და გახდა გიმნაზია. იქ შევედი და დავამთავრე 1927 წელს, ავიღე დიპლომი და საბუთები შევიტანე უნივერსიტეტში. ყველა საგანი ჩავაბარე, მაგრამ რაც ყველაზე მეტად მიყვარდა – ქართული („ვეფხისტყაოსანიც“ კი ვიცოდი ზეპირად), სწორედ იმაში მივიღე ორიანი, რაღაც არ გამომივიდა. აღარ მიმიღეს. ამ დროს ახალგაზრდა მარქსისტები მუშაობდნენ არალეგალურად მთავრობის წინააღმდეგ. 1926-27 წლებში კოწია სულაქველიძე, ალფესა ხელაძე და ჭეიშვილი ჩამოვიდნენ საქართველოში, მოაწერეს ხელი და საბჭოთა ხელისუფლებასთან დაიწყეს თანამშრომლობა. მერე სულაქველიძე დეკანი იყო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. კარგი სახელი ჰქონდა, როგორც ლიკვიდატორს. ალფესა ხელაძე მოეწყო ცეკავშირში. როგორც სულაქველიძემ უქნა ლიკვიდაცია სოციალ-დემოკრატთა უფროსების ორგანიზაციას, ისე გრიშა კეკელიამ და ანტონ შავგულიძემ – ახალგაზრდობის ორგანიზაციას. მოაწყვეს სალიკვიდაციო კომისია და მიეკედლენ კომუნისტებს. განათლების სამინისტროს ერთერთი განყოფილების გამგემ ვიქტორ კუპრაძემ მოგვაკითხა – მოაწერეთ ხელიო. მოვაწერეთ. კ. სულაქველიძეც მომეხმარა და

მოვეწყვე უნივერსიტეტში. გვიკითხავდა ნიკო კეცხოველი, მერე რექტორი გახდა.

19 წლის რომ გავხდი, დედაჩემს განვუცხადე, ცოლი უნდა მოვიყვანო-თქო, ერთი გოგო მომწონდა. არაო, მაგ ოჯახს ვერ დავუმოყვრდებითო. რა უნდა მექნა – დავუჯერე.

1929 წელს საფრანგეთში წასვლა გადავწყვიტე. სისულელით მომივიდა, ყველაფერი რომ ჩამოგვართვეს, ამის გამო სულ შურისძიება მიტრიალებდა თავში. ძველი ამხანაგები ვინც მყავდა, ძოძუაშვილი და კანდელაკი, იმათთვის არ მითქვამს, ახლები მყავდა – საყვარელიძე, მელიავა, შარაბიძე, ჟღენტი და ბურძგლა, რომლებიც გავიჩინე იმ ხანებში, როცა მომაწყვეს მუშათა კოოპერატივში, რძის ქარხანასავით იყო. სალაროში 80 მანეთი მქონდა. იმ დღეს, როცა უნდა წავსულიყავით საზღვარგარეთ, მუშებისათვის ჯამაგირი უნდა დამერიგებინა. დავარიგე, ანგარიში შევადგინე, რაც უნდა ჩამებარებინა. აქ ჩავიდინე საშინელი ამბავი. რაკი ფული არცერთს არ ჰქონდა, სალაროს შემოსავლიდან ავიღე 1600 მანეთი. დანარჩენი ფული და ქაღალდები ჟღენტის ოთახში დავტოვეთ.

***

ბილეთები ბათუმის სადგურამდე ავიღეთ. ჩავედით ჩაქვში. პლატფორმა იყო თამარისი. გზა მაღლა მიდიოდა, აჭარისკენ. ვლადიმერ ბურძგლას მამამ გვიშოვა გამყოლი – ქათამაძე, მთავრობის მოწინააღმდეგე, კონტრაბანდისტი – თურქეთში ხშირად დადიოდა. მიგვიყვანა სახლში. იმ ღამეს იქ გვეძინა. დილით ადრე, ჯერ კიდევ ბნელოდა აჭარისწყალთან რომ მივედით. ადიდებული იყო. გავიხადეთ, გადავედით და კარგახანს ვიარეთ აღმართში. მოგვშივდა. აქ მწყემსები არიანო – გვითხრა. ღმერთმა დაგვიფარა და მესაზღვრეები არ შეგვხვდნენ. მივაღწიეთ მეცხვარეებს. შეგვიწვეს ერბოკვერცხი. ვჭამეთ, მარა სპილენძი თუ კარგად არ გარეცხე, წყენს კაცს. მოგვწამლა სუყველა. გამყოლიც. ერთი დღე დავკარგეთ. როცა მოვიკეთეთ, გზა განვაგრძეთ. მივედით საზღვარზე. გამყოლმა – აწი 20-30 ნაბიჯია და აღარ გამოგყვებითო. ამ დროს შეგვხვდნენ თურქი მესაზღვრეები, სამი ასკერი. ერთი უფროსი იყო. გაგვიწყრენ, უკან უნდა გაგაბრუნოთო, შეთანხმება გვაქვს საბჭოთა ხელისუფლებასთანო. რა უნდა გვექნა? 2-ლირიანი მქონდა ჯიბეში. ამოვიღე და ჩავუდე ასკერს. აიღო და გაგვიშვა, თან ერთი ასკერიც გამოგვაყოლა. ჩავედით სოფელ მამადიდში. იქ იყო თადუმაძე, რომელსაც კაფე ჰქონდა – ახალი დიდი შენობა. კონტრაბანდისტები იყრიდნენ თავს. გვითხრა – აქ ხშირად მოდიან საბჭოთა მესაზღვრეები და გამოქცეულები უკან მიყავთო. ამიტომ დიდი ჯოხი გაუყარა კარებს – ახლა მშვიდად დაიძინეთო. დავრჩით იქ 3 დღე, მოვიდა ბრძანება და ჩავედით ჯერ ბორჩხაში, მერე ართვინში. ართვინის უფროსი აღმოჩნდა ლაზი, ესმოდა ქართული, უფრო მეგრული. ფული გამოგვართვა და სანაცვლოდ ოტელში შეგვასახლა, ამ ფულიდან გადაგიხდით დანახარჯსო. იქ უკვე დაგვხვდნენ შ. კალანდაძე, ბოკუჩავა, ბახტაძე, ჩიჩუა, მოკლედ, ჩვენზე წინ წამოსული ქართველები და იმათ ჩვენზე ადრე მიიღეს სტამბოლში წასვლის ნებართვა. ჩვენ ერთი თვე კიდევ დავრჩით. ლევილში ცხოვრობდა მამაჩემის მამიდაშვილი ერმალო ებრალიძე და იმას მივწერე წერილი, მაგრამ შემოგვითვალა აქ უმუშევრობაა და საფრანგეთს მუშები არ ჭირდებაო. ჩეხოსლოვაკიამ განაცხადა თანხმობა – მაქსიმუმ 10 კაცი შეგვიძლია

მივიღოთო. ჩვენ კი 30 კაცი ვიყავით. ამასობაში ახალციხიდან ჩამოვიდა 150 კაცი კოლექტივიზაციას გამოქცეულები, მათ შორის ზედგინიძეები, ჯაყელები. გამოჩნდა გორელი ფედერალისტი სანდრო დემეტრაშვილიც, აჯანყების შემდეგ გაქცეული საზღვარგარეთ. საფრანგეთში დაამთავრა რაღაც სკოლა, შეირთო ფრანგი ქალი, შვილებიც ყავდათ. ჩვენ 6 კაცს გაგვიკეთა ხელშეკრულება და გამოგვიგზავნა. 1929 წლის ივლისში წავედით რუსებისგან ფრანგების მიერ წართმეული გემით „ნიკოლაი I", საბარგო გემი იყო და საქონელთან ერთად ჩაგვყარეს IV კლასში.

პირველი გაჩერება იყო პირეუსი. ათენამდე ტრამვაი მიდიოდა. რაკი 2 დღე ვჩერდებოდით, კაპიტანს ვთხოვეთ და წავედით ათენში, დავათვალიერეთ პართენონი, აკროპოლისი. იქ შეგვხვდნენ საქართველოში ნაცხოვრები ბერძნები, რომლებმაც ქართული იცოდნენ და გამოგველაპარაკნენ. ორჯერ ვიყავით ქალაქში. მეორე გაჩერება იყო ნეაპოლი. წავედით ვეზუვის სანახავად. მასზე ასვლა გვინდოდა, მაგრამ საყვარელიძემ შეგვაშინა „ფეხი არ დაგვიცდეს და არ ჩავცვივდეთ ვულკანშიო", ჩვენც გადავიფიქრეთ. მესამე გაჩერება იყო მარსელი. იქ ჟორდანიას რწმუნებული იყო ბერძენი, მუსიე ჟორჟი. ის ხვდებოდა ქართველებს. დახედა ჩვენს ქაღალდებს და გვითხრა, წახვალთ ეპერლეშიო. ეს იყო შამპანურის სამშობლო რეიმსთან და ლილიმონტანთან ერთად. საღამოს ჩავედით, დაგვხვდა დემეტრაშვილი, უკვე ეცნობებინათ და მოგვათავსა ოტელში. მე პატარა ფუთა დამრჩა სადგურში სკამზე. მეორე დილით გამახსენდა. შევჩივლე, ასეა საქმე ბ.-ნო სანდრო მეთქი, მითხრა: „ნუ გეშინია, საფრანგეთში ქურდობა არ არისო", წამიყვანა მანქანით და მართლაც სადგურში ფუთა ისევ იქ იდო, სადაც დამრჩა. მეორე დღეს დემეტრაშვილმა წაგვიყვანა ტყეში, სადაც შეშა უნდა დაგვემზადებინა. თავის დღეში ხერხი არ მჭერია ხელში. სანდროს ამხანაგი ყავდა – უდე. გვაჩვენა როგორ უნდა დაგვემზადებინა. მაშინ ელექტრონი არ იყო – შეშით ან გაზით თბებოდნენ. 1 კუბომეტრი უნდა დაგვემზადებინა, მე გავაკეთე 2 – თორმეტი ფრანკის, ჩემმა ამხანაგებმაც გააკეთეს. კალანდაძე და სხვები სხვა ტყეში იყვნენ. ორი დღის მერე მოვიდნენ უდე და დემეტრაშვილი. უდემ კრა წიხლი და გადაყარა. არც ერთის გაკეთებული არ მოეწონა, იბურდღუნა რაღაც ფრანგულად და წავიდა. სანდრო შეწუხდა. „რა გიყოთ ბიჭებო, მე თქვენ 6 თვე ვერ შეგინახავთო. თქვენ აქ არ გამოდგებით, რამე სხვა საქმე უნდა იშოვნოთო". ერთი თვე კიდევ დავრჩით. ვჭამდით სანდროსთან. დამედო ვალი 200 ფრანკი. ეს კარგა დიდი ფული იყო. სანდროს ვუთხარი: „მამაჩემს მივწერ წერილს, ის კი იქ თქვენიანებს გადასცემს ფულს-თქო". მივწერე მამაჩემს. თურმე ოჯახი მეძებდა, ცოცხალი აღარც ვეგონე. ბედად რკინიგზის საავადმყოფოში მამაჩემთან მუშაობდა დემეტრაშვილი და მას მისცა ფული. მივიღე წერილი მამაჩემისგან, რომ ვალი გასტუმრებულია. სანდროს ძალიან გაუხარდა. სხვებს არაფერი გადაუხდიათ. ერთხანს კი მქონდა მამასთან მიმოწერა, მერე მხოლოდ დედასთან და დასთან, სანამ აიკრძალებოდა.

იმ პერიოდში ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება და შეკვეთები მანქანებზე, განსაკუთრებით პეჟოზე, რომელსაც ქარხნები ჰქონდა ოდენკურში, შალინკურში, ბოლიოსა და პერბლანში. ოდენკურში ქართველთა პატარა სათვისტომოც იყო, ძირითადად 1924 წლის აჯანყების შემდეგ ჩამოსულები. იქ შეტაკებაც მოხდა – შეფიცულები სოციალ-დემოკრატებს დაერიენ. 2 კაცი მოუკლეს ინწკირველი

და დოლიძე, ბარამიძეს თავი გაუჩეხეს. საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა შეფიცულები პარიზში გადაეყვანა: ალექსანდრე სულხანიშვილი, ჯონჯი დადიანი, ბადურაშვილი.

წავედით ოდენკურში პატარა მატარებლით. რომ ჩავედით, უკვე შეღამებული იყო. ქართულად ვლაპარაკობდით. ყველას ველურები ვეგონეთ, ისე გვიყურებდნენ. ჩაცმულებიც ცუდად ვიყავით. მოგვიახლოვდა ერთი კაცი ჩემოდნით ხელში. „ქართველები ხართო?", – გვკითხა – ათამდე კაცი ვიყავით. „დიახო",– უპასუხა კალანდაძემ. „ნუ იტყვით, რომ მეც ჩამოვედიო",– გვთხოვა. ჭანუყვაძე ყოფილა. მასაც ჰყავდა თავისი მომხრეები საფრანგეთში და ისიც მოეწყო სამუშაოდ და ჩვენც. ის არ მოსწონდათ, როგორც ყოფილი სოციალ-დემოკრატი და მერე ოპოზიციონერი. ვიღაცას ეჩხუბა და გააგდეს ქარხნიდან. გაიგეს მისმა მომხრეებმა და შეიქმნა ერთი ამბავი. ამ დროს ჩამოვიდა ნოე რამიშვილი ოდენკურში. მოხსენება გაგვიკეთა. ნახა ჭანუყვაძე და შეპირდა, საქართველოში გაგაგზავნიო, ახლა მე ვამზადებ ერთ ჯგუფსო და იმ ჯგუფში შეგიყვანო. თავისი დის შვილი, შალვა ბერიშვილი აირჩია მეთაურად. როცა წასვლის საკითხი დადგა, ჭანუყვაძის ნაცვლად დათიკო ერქომაიშვილი წაიყვანა. ეროვნულ-დემოკრატი იყო – გეგელია, პარმენ ჭანუყვაძეს უთხრა: „ხომ ხედავ, ხალხი წავიდა, შენ კი არ გაგგზავნაო" ერთი სიტყვით, ჭანუყვაძე ისე მოიშალა, სმა დაიწყო, დაუმეგობრდა გეგელიას. ერთ დღეს გობლენის გამზირზე ლექცია უნდა წაეკითხა ნ. რამიშვილს. იქ ამოდიოდა მეტრო, რომლითაც ის უნდა მოსულიყო. ვიღაცამ შეატყობინა ჭანუყვაძეს, რა გზით უნდა მისულიყო რამიშვილი, დახვდა და ესროლა, რამიშვილი მოკლა, მისი მხლებელი სანდრო მენაღარიშვილი, რომელიც რამიშვილის მერე ახლო კაცად გაიხადა ჟორდანიამ, ყურში დაჭრა. დაიჭირეს ახლა ეს ჭანუყვაძე. გაასამართლეს. სოციალ-დემოკრატებს მეგობრები ბლომად ყავდათ საფრანგეთში, სოციალისტები – პოლ ბონკური, რენოდელი, მარკე. ბონკური ბრალმდებლად გამოვიდა. მიუსაჯეს კატორღა. ამასობაში ჩამოვიდა შალვა ბერიშვილი და თან 8 კაცი ჩამოიყვანა, მაგრამ ბიძა ცოცხალი აღარ დახვდა. საოცარია, როგორ გადმოლახეს საზღვარი. გვარებიც მახსოვს: სპირიდონა ჟღენტი, ტიტე ბერიშვილი (მამიას ძმა, ჭიათურაში იყო მასწავლებლად), ტარიელ ჟღენტი, ვლადიმერ ღლონტი და სხვები. რეზო გაბაშვილს ძალიან მწარე ენა ჰქონდა, გათახსირებული ყავდა სოციალ-დემოკრატები, ჰკითხა: „შალვა, როგორ გადმოიყვანე ეს ხალხი, ვინ გამოგიშვათო". შალვამ უთხრა: „ბერიას ვუთხარი, ვიცი, რომ შენ იყავი ნოე რამიშვილის ჯაშუში ბაქოში-თქო და მომეხმარა, რომ წამოვსულიყავიო" მართალია თუ არა ეს ამბავი, არ ვიცი, ასე კი უპასუხა.

ოდენკურში იყვნენ მათითაიშვილი, სიმონიკა გოგიბერიძე, რომელიც გამოგზავნილი იყო საქართველოში ამბების გასაგებად. დაიჭირეს, მაგრამ არ დახვრიტეს, მერე წიგნიც გამოსცა ბაგრატიონებზე. ჩემს სანახავად მოვიდა ჩემი ბიძაშვილი სიმონიკა ბერეჟიანი. ვიქტორ ნოზაძის „კავკასიონიდან" გავიგე მაგის პარიზში ყოფნა. სტამბოლში ჟურნალი გადავშალე და რას ვხედავ – სიმონიკას ლექსი „ნაპირი" ჩვენი სახლის წინ მდგარ ალვებზე. ახლაც ზეპირად მახსოვს და სულ მეტირება ამ ლექსს რომ ვამბობ. სიმონიკას ნამდვილი გვარი თაყაიშვილი იყო. დეიდის ქმარმა იშვილა და ბერეჟიანად დაწერა. მერე კი გაიგო რომ თაყაიშვილი იყო, მაგრამ ბერეჟიანობაზე უარი

აღარ თქვა. ბრაზდებოდა, როცა ეუბნებოდნენ ნამდვილ გვარზე დაეწერეო. თავიდანვე დაებედა საწყალს გვარის გამოცვლა. თაყაიშვილი იყო, ბერეჟიანი გახდა და მოკვდა როგორც ბერგერი. ისე უყვარდა სამშობლო, რომ სულიერად დაავადდა ომის დროს და რუმინეთში ლაზარეთში გარდაიცვალა, საფლავიც კი არ ვიცით. ბავშვობაში ერთად ვიზრდებოდით. დიდად უცნაური ბავშვი იყო, ფანტაზიორი, მეთაურობა უყვარდა. გამოგვითლიდა ყავრისგან ხმლებს და გზისპირა ჯინჭრებზე მიგვიშვებდა, როგორც მტერზე და ვკაფავდით და ვკაფავდით. ჯინჭარი ქე იყო ბლომად ხიდისთავში. ერთხელ იმპერატორთან დაახლოებული პირი ივანე ნაკაშიძე ჩამოვიდა სტუმრად პეტერბურგიდან. დიდი ამბავი იყო ხიდისთავისათვის ხელმწიფის ტოლი სტუმარი. თან ახლდა რუსი მხლებელი, რომელსაც დიდი ქოლგა ჰქონდა და შესასვლელ კართან მიაყუდა. დააფრინდა ამ ქოლგას სიმონიკა, ავიდა სახლის წინ ალვის ხეზე, აი ლექსში რომ ახსენებს, გაშალა ქოლგა და გადმოეშვა. ღობეს დაეცა, გვერდი გაიფუჭა და ოპერაციაც დასჭირდა. დიდად ნიჭიერი კაცი იყო. პოეტი, დრამატურგი, მსახიობი, მხატვარი. პატარა დრამწრე გვქონდა. პარიზის გარეუბან ვანვში რეპეტიციებისათვის ბინა გვქონდა დაქირავებული. ვდგამდით მაგის რეჟისორო-ბით ტრიფონ რამიშვილის „შეშლილებს“ ტრამვაითი მივდიოდით ხოლმე. ვერსალის მინდორზე ერთხელ ცირკი იყო გამართული და ხალხი პარაშუტით ხტებოდა. „ო, პარაშუტი ჩემი მოგონილიაო“ და მაშინ მომიყვა ქოლგის ისტორია. კარგი მხატვარიც იყო, სულ მაგის დასურათებულია ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები, განსაკუთრებით ეხერხებოდა კარიკატურები. ერთხელ ქრისტე დახატა. ისეთი ათლეტური, ქობულაძეს რომ ყავს დახატული რუსთაველის გმირები. ვუთხარი: „ბიჭო, რავა შეიძლება, აგერ ორიათასი წელია ქრისტეს ხატავენ და რამ მოგაფიქრა ასეთ დევგმირად რომ გამოსახე-თქო“. „ყველას დამხმარე და ყველაფრის შემძლე სუსტი და უღონო როგორ იქნებოდაო“,– მიპასუხა. მერე დაიკარგა ის სურათი. გული მწყდება, რომ ვერ მოვუფრთხილდი.

სხვათა შორის, ოდენკურში ვნახე გრიგოლ ცინცაძე, სიტროენის ქარხანაში მუშაობდა. იმას საიდან ვემახსოვრებოდი 10 წლის ბიჭი. რომ ვუთხარი, საიდან ვიცნობდი, ძალიან გაუხარდა და გადამკოცნა. სოციალ-დემოკრატი კი იყო, მაგრამ გაუტყდა მერე გული ჟორდანიაზე, რადგან ყველას იღებდნენ და გავიდა პარტიიდან. შარშანწინ გურიაში რომ ვიყავი, გრიგოლის შვილიშვილი ვნახე, ისიც გრიგოლ ცინცაძე. გამგებელია იქ, დიდი ტერიტორია აბარია. რომ ვუთხარი, ბაბუაშენს ვიცნობდი-თქო, გაუხარდა და წვრილად გამომკითხა მასზე ყველაფერი.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ამბავს: 1931-33 წლებში უმუშევრობა იყო. ლოტარინგიაში წავედი და მუშაობა დავიწყე კნუტარში მეტეროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხანაში. მარსელ ლაფარგი იყო უფროსი. რუსები ბევრი იყვნენ, ქართველებს უფრო კარგად გვეპყრობოდნენ, განსაკუთრებით ექიმი. ანალიზებს ვიღებდი და გამოკვლევებს ვატარებდი. ერთხელ მანქანა ამიფეთქდა და შუა თითი წამაცალა. გამიკეთეს ოპერაცია. სამი თვე ვიწვალე და დავბრუნდი უკან საფრანგეთში.

1935 წელს პარიზში სამსახური ვერ ვიშოვე. ბევრმა ჩემმა მეგობარმა საფრანგეთის ქვეშევრდომობა მიიღო, ფრანგებიც მეხვეწებოდნენ, მაგრამ უარი ვთქვი – „ქართველი ვარ და ქართველად დავრჩები. თუ ვერ დავბრუნდი

– სასაფლაო გვაქვს ლევილში-თქო“ მერე დავანებე თავი ოდენკურს და გადავედი იქვე ვალენტინეში. იქ იყო ქართული სტამბები „თეთრი გიორგის“ და ეროვნულ-დემოკრატთა, დიმიტრი სინჯიკაშვილის „საქართველო“... და ალექსანდრე ასათიანის „სამშობლო“ მე შევედი „თეთრ გიორგიში“ დავიწყე მუშაობა ქარხანაში. იქ იყვნენ ეროვნულ-დემოკრატებიც და ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. იქ იყო დიმიტრი სინჯიკაშვილი, სევერიან ჭირაქაძე. ლეო კერესელიძის თეთრგიორგელების ჯგუფში იყვნენ ძმები გიორგაძეები, გოგა ჯაყელი, სიმონიკა ბერეჟიანი, აჩიკო დადიანი, ალექსანდრე გელოვანი (მსახიობის ძმა), ლევან ხაჩიძე – ვეშაპელის პირადი მდივანი, რომელმაც აჩვენა გზა ავთანდილ მერაბაშვილს, ვეშაპელის მოსაკლავად. მერაბაშვილი მერე გერმანიაში ბირჟაზე გამდიდრდა, წავიდა ჩილეში, მიწები იყიდა, ქალაქი გააშენა და ქუჩებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა ქართველ მოღვაწეთა სახელები დაარქვა. თეთრგიორგელი იყო მამია ორახელაშვილის დის შვილიშვილი მერაბ კვიტაშვილი. თაყაიშვილი ყავდა ბებია. თეირანის კონფერენციაზე იგი ჩერჩილს ახლდა. მერე ყვებოდა: „ხმას არ ვიღებდი, მეგონა იქ არავინ მიცნობდა. მომადგა ბერია და წვრილად ჩამომითვალა ჩემიანების სახელები და ვინაობა. კრინტი არ დამიძრავს, ისე გამოვიპარეო“.

ახალგაზრდებმა შექმნეს „თეთრი გიორგი“ და ნოე რამიშვილს სთხოვეს მეთაურობა, რადგან ჟორდანიას ოპოზიციაში იყო. რამიშვილმა უთხრა; „დიდი წარსული მაქვს პარტიაში და ვერ დავტოვებო“ „თეთრ გიორგის“ სტამბოლში ყავდა თავისი წევრები, პასტორი შალვა ვარდიძე და მელიტონ ქარცივაძე, რომელიც ჟენევის კომიტეტში შედიოდა. სწორედ იმან ურჩია მიემართათ გენერალ ლეო კერესელიძისათვის. კალე სალიაც იყო დირექტორიაში. ის აქედან გასახლებული იყო – 1922 წელს მეტეხიდან 90 ქართველ ინტელიგენტთან ერთად. მასთან ერთად იყვნენ კოტე ცინცაძე, ემელიანე ლომთათიძე, კობა ხოჭოლავა. გერმანიამ მიიღო, მერე დაიფანტნენ ევროპაში. კალე სალიას ცოლი ნინო ექიმ შპაკინის ცოლი იყო. ჩინეთიდან გადმოსახლდნენ. დაუმეგობრდა შალვა აბდუშელის ცოლს ლუბას. ნინოს ფრანგი მძღოლი ჰყავდა. ლუბამ უთხრა არ ჯობია ქართველს ქონდეს სამსახურიო და კალემ დაიწყო მძღოლად მუშაობა. ქმრის სიკვდილის შემდეგ, კალეს გაჰყვა. ნინო მდიდარი იყო და „ბედი ქართლისა“ მისი ხარჯით გამოდიოდა. მერე ჩემი ნათლიის ვახტანგ მუსხელიშვილის შვილმა მიხეილმა ურჩია ფრანგულად გამოეცათ. გამოდიოდა გერმანული და ინგლისური ვარიანტიც. კალემ მიუძღვნა ჩემს ცოლს ნეკროლოგი.

ოდენკურში ჩხუბიც მოხდა. თეთრგიორგელებმა გალახეს ეროვნულ-დემოკრტიული პარტიის წევრი ჯავახიშვილი. დიმიტრი სინჯიკაშვილმა თავის დასაცავად იშოვა რევოლვერი. როცა თეთრგიორგელებს გადაეყარა, რევოლვერი ამოიღო, გლახა ამბავი მოხდა, ამის გამო გაასახლეს პარიზში. მივიდა სპირიდონ კედიას ჯგუფში. იქ იყო ცომაია, გვეტაძე, ასათიანი.

საქართველოდან რომ წავედი სოციალ-დემოკრატი ვიყავი. ფედერალისტებიც იმათთან იყვნენ, ეროვნულ-დემოკრატები სამად იყვნენ გაყოფილი, ამიტომ მეც „თეთრგიორგელი“ გავხდი. იქ იყვნენ ოფიცერი დავით შალიკაშვილი, დიმიტრის ძმა, მიხაკო წერეთელი, შალვა ვარდიძე, გიორგი მაჩაბელი, ჭიაბრიშვილი და სხვა. ვარდიძემ პარაკლისი გადაიხადა კათოლიკურ ეკლესიაში. მერე დიდი ნადიმი გადაიხადეს. ჩვენც ვესწრებოდით, რა თქმა უნდა ცალკე მაგიდაზე

ვიჯექით, მთავარზე კი არა. თამადა იყო მიხაკო წერეთელი. იქ იყვნენ გიორგი კერესელიძე, რომელიც პეტრე სურგულაძის მიერ ჟენევაში შექმნილ ეროვნულ კომიტეტში შედიოდა I მსოფლიო ომის დროს და გიორგი მაჩაბელი. საუბრისას მაჩაბელი მოგვიყვა, როგორ შემოიტანეს მან და მიხაკო წერეთელმა გერმანელებთან ერთად იარაღი, როგორ გასცეს და როგორ მოუწიათ იარაღის დიდი ნაწილის გადაყრა ზღვაში. როგორ შეხვდა კოკი დადიანი (მის შვილს მიშას ივანე გომართელის ქალიშვილი ჰყავდა თინა. კოკი შემდეგ ამერიკაში გარდაიცვალა). მოგვიყვა შულენბურგის შუამდგომლობით როგორ შეხვდა იმპერატორ ვილჰელმ II, რომელსაც, როცა უთხრეს „ქართველი გელოდებათო", უთქვამს „ქართველები ვინ არიანო" ცოტა ხნის მერე დაუყოლებია „გამახსენდაო" გაუხსენებია ბაბუამისის მოგონება – დიდი მთავრის ქორწილი პეტერბურგში, სადაც შემოსულა ულამაზესი ქალი პატარა გვირგვინით თავზე – ეს იყო სამეგრელოს მთავარი ეკატერინე ჭავჭავაძე. ამ მოგონების გამო იმპერატორს იგი მიუღია. ეკატერინეს ქალიშვილი სალომე მერე პარიზში აშილ მიურატს გაჰყვა ცოლად. სხვათა შორის, ეკეტერინე ჭავჭავაძე შემოსეულ თურქებს რომ ებრძოდა, ის ხმალი ნიკო ყურულაშვილმა იყიდა ბაზარში – ძველ ნივთებს აგროვებდა.

***

1939 წელს დანციგი რომ მოსთხოვა გერმანიამ პოლონეთს, დაიწყო ომი. ჩვენ 170 უპატრონო ქართველი წაგვიყვანეს ომში. მე მოვხვდი უცხოელების ლეგიონში, 22-ე ნაწილში. ჩემთან იყო შოთა თაქთაქიშვლი. ეს იყო ასეულის მე-4 ჯგუფი. გვასწავლეს იარაღის ხმარება. ჩვენი ყოფილი მთავრობის წყალობით, გეგეჭკორი კარგად იყო საფრანგეთის მინისტრ გი მოლესთან და ბონკურთან, მოვიდა ბრძანება, რომ შექმნილიყო ქართული ნაწილი „Unite Georgiene" (უნიტე ჟორჟიენ). გამოგვიყვანეს ბანაკიდან. უცხოური ლეგიონიდან ჩამოვიდა გიორგი ოდიშელიძე. ცალკე გამოგვყვეს და თავდათან გვემატებოდა ხალხი. ჩამოიყვანეს სხვა ქართველებიც: კოტე ამილახვარი – დიმიტრის ძმა, კავალერისტი, მეორე ოფიცერი დავით შალიკაშვილი. ეგონა იმას მისცემდნენ, მაგრამ აღარ გაუშვეს. იყო კუკური ჯაყელიც, რომელიც ცხოვრობდა ბელგიაში და იქიდან ჩამოვიდა. ქართული „უნიტესა" და საფრანგეთის სარდლობას შორის შუამავალი იყო ფრანგი ოფიცერი. როცა ბატალიონი შეადგინეს და ჩვენც შეგვიყვანეს, პოლკოვნიკი იყო პიო, რომელსაც ძალიან უყვარდა ქართველები. ჯერ ვიყავით ბარკარეში, მერე გადაგვიყვანეს სოფელ სეტფორში. მეორე ოფიცერი ტყემალაძე იყო „ვალტორნისის" ფსევდონიმით. მას ჩამოყვნენ გიორგი კერესელიძის შვილი ლეო – ლულუ (მას ცოლად ყავდა დიმიტრი ამილახვრის და დოდო – დომინიკა. მის შვილს კი ბერეკაშვილის ქალი ყავდა ცოლად). სანამ ჩვენ გაგვწვრთვნეს და შეტევაზე გადავედით, საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანელებმა თვენახევარში დაიპყრეს საფრანგეთი, რომელიც მარშალმა პეტენმა ორად გაჰყო გერმანულ და თავისუფალ ნაწილად. დემობილიზაციის გამო მონთობანში ვიდექით. იქ ქართველ კათოლიკეთა ძმობა იყო, მაგრამ ნანგრევებიღა დაგვხვდა. ვნახეთ ქართველი ბერები დვალი და ზამბახიძე. თავისუფალ ნაწილში ვინც აღმოჩნდნენ – საფრანგეთის ჯარიდან გაუშვეს, მე კი გერმანულ ნაწილში აღმოვჩნდი და

არ მიშვებდნენ. ლიონი იყო თავისუფალ ზონაში. კონიას საბახტარაშვილის ძმისშვილს ვასოს ლიონში ჰქონდა რესტორანი. გავუგზავნე წერილი და იმისი მიწვევით წავედი. როცა დემობილიზაცია დაიწყო, ერთი ხელი ტანსაცმელი. და 1000 ფრანკი მომცეს, 200 ხელზე, 800 – ლიონში. ვიყიდე სამოქალაქო და სამხედრო გადაყარე. ლიონში მოვეწყვე ხელოვნურ აბრეშუმსახვევ ქარხანაში, სადაც მასა დიდ ქვაბებში იხარშებოდა. ტემპერატურისათვის უნდა მედევნებინა თვალი. 4 საათს ვმუშაობდი, ხელფასს კი 8 საათისას მაძლევდნენ, ვცხოვრობდი ოტელში, იქ მაკითხავდნენ ქართველები.

ერთხელ დასვენების დღე მქონდა. მივდივარ და შემხვდა ირაკლი ნადირაძე, რომელიც ალზასში ცხოვრობდა, მაგრამ არ გაუშვეს და ლიონში მუშაობდა. „გერმანელებს თავისუფალი ნაწილიდან მუშები მიყავთ გერმანიაში. გარუსებული გერმანელია ერდელი, იმან შეადგინა ჯგუფიო". მეც მოვინდომე წასვლა. მიმიყვანა ერდელთან. „სიები უკვე შედგენილია, ზაიჩიკად გაგიშვებო" ანგარიში გავასწორე ოტელში და სადგურზე მივედი. ორ ზონას შორის იყო საზღვარი. საზღვარზე გადაგვცეს გერმანელებს. გაგვყვეს. უკრაინელები ცალკე, რუსები – ცალკე. მე მარტო დავრჩი (ირაკლი რუსებს შეუერთდა). მკითხა ფელდფებელმა: „შენ ვინღა ხარო". ვუთხარი – „ქართველი ვარ-მეთქი" ამ დროს მოვიდა ძალიან ლამაზი ოფიცერი ჯვრებით. ეს იყო კაპიტანი შმიდტი. გერმანელმა უპატაკა – „ეს არ ვიცი ვინ არის, ამბობს ქართველი ვარო" მოვიდა ოფიცერი ჩემთან: „ქართული დამავიწყდა და რუსულად ვილაპარაკოთო", მკითხა რას ვაპირებდი. შევჩივლე „პარიზში მინდა-თქო" წამიყვანა თავისთან. ის და მისი მეგობარი ბავარიული ბატალიონის შემადგენლობაში ყოფილან საქართველოში 1918 წელს. მის მეგობარს ჩიქოვანის ქალი ყოლია ცოლად. შმიდტმა ჩვენთვის კარგი საუზმე შეუკვეთა, დააბეჭდინა ქაღალდი, მოაწერა ხელი და გამიშვა. რუსების ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო წასული. ირაკლი მეცა – „რა ქენიო" „პარიზში მივდივარ-მეთქი", „მეო?", „შენ რუსებს მიყვები და რა გიყო-თქო" „უნდა წამიყვანო პარიზშიო" რას ვიზამდი, მივბრუნდი და ვთხოვე ნადირაძეზე. მიაწერეს ჩემს ქაღალდს ირაკლი და წამოვედით, მაგრამ იმ დღეს არ იყო მატარებელი. მეორე დღეს, კვირას – 22 ივნისს რადიოთი გამოაცხადეს, რომ გერმანიამ გადალახა საბჭოთა კავშირის საზღვრები. გაგვიხარდა. გამოვიდა ის ოფიცერი შმიტი და გვითხრა: „ახლა კი გათავისუფლდება თქვენი სამშობლოო". რის თავისუფლება, ჰიტლერს თავში ავარდნილი ჰქონდა, ყველა სხვა რასა დაბალ რასად მიაჩნდა გერმანელებთან შედარებით.

იმ დღეს ერთმა მატარებელმა გაგვასწრო, მეორეს 2 საათამდე ველოდეთ. გამყოლმა ქაღალდები რომ ნახა, გერმანელებთან უნდა შეგიშვათო. ჩვენ უარი ვუთხარით და ფრანგებთან ერთად ჩავედით პარიზში. დიდი ამბავია პარიზში, შეყრილია მთელი ემიგრაცია მიშა კედიასთან.

თავის დროზე ჰაიდარ ბამატის ჯგუფი რომ იყო, იმაში შედიოდნენ ზურაბ ავალიშვილი, შალვა ამირეჯიბი, გენერალი კვინიტაძე, რეზო გაბაშვილი. ბამატმა დაწერა, ახალციხე უნდა დავუთმოთ თურქებსო და ატყდა ერთი უბედურება ამაზე. სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ დავეთანხმეთ ბამატს. შავიშვილი შემხვდა და მითხრა: „გურული კაცი ასეთ რამეებს როგორ წერო". ამ დროს გავხდით „კავკასიელები". ბამატი უშვებდა ჟურნალ „კავკასიას". აქ იყო მიშა კედიაც. როცა შულენბურგმა გერმანელები გამოუშვა ეროვნულ-

დემოკრატ სპირიდონ კედიასთან, ამ დროს ის გიორგი მაჩაბლის სურნელოვანი წყლების პარიზულ ფილიალს ხელმძღვანელობდა და აიცილა გერმანელებთან ურთიერთობა. მაშინ გერმანელებმა მიშა კედიას მიაკითხეს, იმან კაი გერმანული. იცოდა, გერმანიაში ჰქონდა უმაღლესი განათლება მიღებული. ცოლად ყავდა პლატონ ფაჩულიას ქალი. კედიასთან ჩაეწერენ გერმანულ ჯარში ჭაჭიაშვილი – ექიმი, ცომაია და სხვები. მიბაძეს ფრანგებს. ჩვენც მივედით ფონტენის ავენიუზე, სადაც იყო შტაბი ეგვიპტელი ებრაელისთვის ჩამორთმეულ სახლში. გერმანელმა ოფიცერმა გაგვიკეთა ქაღალდი. წავედით ვალენტინეში, წამოვიღე ჩემი ბარგი და მივაბარე ივანე გომართელის მეორე ქალიშვილს ირინეს, რომელიც პაპუაშვილზე იყო გათხოვილი. ჩავეწერე ნაწილში.

1 ივლისს მოგვიყარეს თავი ქართველებს. მათ შორის იყო ორი ექიმი: ხოჭოლავა და ჭაჭიაშვილი. გოგი ჭაჭიაშვილი უროლოგი იყო, კობა ხოჭოლავა – რადიოლოგი. დასცინოდნენ, ექიმი კი არა ფოტოგრაფიაო. გამოგვაცილა ყველამ. იმათ ოჯახებს, ვინც ჯარში წავიდა – პენსია დაუნიშნეს. მე არავინ მყავდა. მეცის გზით წავედით ვენაში. ფრანც-იოსების სასახლეებთან იყო ერთი პატარა სახლი, იქ მოგვათავსეს. აქ თავისი მოადგილე ყავდა მიშა კედიას, შავგულიძე. მოგვიტანეს გერმანული ფორმა, გავიარეთ სამედიცინო შემოწმება. დამბრაკეს – მარჯვენა ხელი მქონდა გაფუჭებული ქარხანაში ავარიით. გოგი ჭაჭიაშვილი გამომესარჩლა. მან ექიმობა საფრანგეთში ისწავლა, მაგრამ მამაჩემს კარგად იცნობდა თბილისიდან. პარიზში მუშაობდა სან-ჟოზეფის ცნობილ კლინიკაში პროფესორ პაპენთან. გოგი საერთოდ მმფარველობდა. გერმანული იცოდა, მივიდა და უთხრა კომისიას ექიმი ვარ და სანიტრად ავიყვანო. კრაინი იყო ლეიტენანტი, ხელი ჩაიქნია და ჩამწერა. მეორე დღეს წაგვიყვანეს რუმინეთში. ჩაგვიყვანეს ბუქარესტში. შეგვასახლეს ყაზარმებში. საბჭოა ავიაციამ დაგვაყარა ყუმბარები. ხან სად ვიმალებოდით, ხან სად. დავრჩით ორი დღე კიდევ, მერე ჩაგვსვეს გერმანულ მანქანებში, ჩაგვიყვანეს ქალაქ ოტობეში და ჩვენს ნაწილს დაარქვეს „თამარა მეორე“ ხელმძღვანელობდა სოლომონ ზალდასტანიშვილი. ჩვენთან ერთად იყვნენ ქართველი პარაშუტისტები, რომლებიც ომამდე მოამზადეს შტუტგარტში – თაქთაქიშვილი, დარაშვილი, თუხარელი, ნაწალაშვილი, ქიტიაშვილი. იყო მეორე ქიტიაშვილი, ტყვე, რომელიც პარტიზანებს შეუერთდა. გაიცნო ბორდოს ქალაქის თავი შარვა დებასი, რომელმაც დააწინაურა და დააჯილდოვა საპატიო ლეგიონის I ხარისხის ნიშნით. მერე ფრანგი შეირთო ცოლად და რამდენჯერმე იყო საქართველოში. თათარხან ანთიძის რესტორანი იყო პარიზში. ერთხელ იქ რომ მივდიოდი, სასურსათოში 3 კგ. კარგი მანდარინი ვიყიდე და რესტორანში მივედი. მოვატყუე საქართველოდან მივიღე თქო. იქ გავიცანი ქიტიაშვილი. აიღო ხელში მანდარინი, შეატრიალა და თქვა: „ასეთი ლამაზი მარტო საქართველოში თუ მოვაო“. დიდ პატრიოტი იყო.

ოტობეში ყაზარმებში ვიყავით. რუმინელები გამოყარეს და ჩვენ შეგვიყვანეს. კრაინიც ჩვენთან იყო, მოვიდა უფროსი ლეიტენანტი კრამერიც. ამ თანამშრომელთა შორის იყო აზერბაიჯნის კოლონიიდან ვიმპელი. გვასწავლიდნენ. მერე შემოგვიერთეს პარიზიდან ჩამოსული ხალხი – „თამარა პირველი“ და გაერთიანდა ეს ორი ნაწილი. ერთ დღეს გამოაცხადდა, რომ კვირას სამხედრო სკოლის დარბაზში ზალდასტანიშვილი წაიკითხავდა მოხსენებას 1924 წლის აჯანყებაზე, მან მერე მოგონებებიც გამოაქვეყნა.

ჩვენთან იყო ვიქტორ ხომერიკი. მამამისი დახვრიტეს, დედაც დაკარგა და ადრე დაობლდა. სოციალისტები პატრონობდნენ. საბერძნეთის პირველ მინისტრთან შეხვედრა დაავალეს, რომ ეცნო საქართველო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერე თურქეთში წავიდა. იქ იყო ფედერალისტი დათა მაჭავარიანი. სამაწვნე ჰქონდა. იმასთან ცხოვრობდა. შეირთო მერე ფრანგის ქალი კოლეტი და სამი ქალიშვილი შეეძინა. მოკლედ, როცა სოლიკომ ახსენა ნოე ხომერიკი და ისინი, ვინც პირველად დაბრუნდა საქართველოში, მიშა დადიანი წამოხტა „კარგად ცხოვრობდნენ და იმის დაბრუნება უნდოდათ, პატრიოტობა რა შუაშიაო“ წამოხტა ვიქტორი დაეტაკა მიშას, იჩხუბა და გაიქცა. მერე შემხვდა სტავროპოლში.

გაერთიანების შემდეგ, ჩვენი ნაწილის უფროსი იყო კრამერი. მე სანიტარი ვიყავი. მხარზე ჩანთა მქონდა მედიკამენტებით. ჯარი ცალკე იდგა, ჩვენ მედპერსონალი – ცალკე. იქ ცხოვრობდნენ ოფიცრებიც. მოვიდა მიულერი. ერთი ჯგუფი უნდა წავიყვანოო. თურმე უნდა გადაგვყარონ პარაშუტებით, როცა საქართველოს საზღვრებს მივუახლოვდებით. „ცეპელინის“ უფროსმა კურეკმა გამოარჩია ქართველები, ლეიტენანტმა მიულერმა წაიყვანა ზურაბ აბაშიძე, ბურძგლა, გაბუნია. ჩამოუყრიათ დესანტად საქართველოში. ბურძგლა გადარჩა, აბაშიძე დაბრუნდა სახლში.

იმ ხანებში გერმანელებმა აიღეს ყირიმი – ევპატორია, ფეოდოსია. დიდი ბრძოლები იყო ქერჩში. ბრძანება მოვიდა – „კრამერის 12 კაცი უნდა გადავყაროთ და მოხალისეები ვინ ხართო“ შეადგინეს ერთი სია, დახიეს. ისევ შეადგინეს. სიაში იყვნენ გიორგი ნოზაძე, ზურაბ ციციშვილი. გოგი ჭაჭიაშვილს კისტა ჰქონდა, ოპერაცია გაუკეთეს და საავადმყოფოში იწვა. 11 კაცი რომ შეარჩიეს ხელახლა, მე-12 ჩემი გვარი ამოიკითხა. მაშინ ფსევდონიმი მქონდა – ბურჟუა. უარს ხომ აღარ ვიტყოდი. მეორე დღეს საავადმყოფოში წავედი ჭაჭიაშვილთან გამოსამშვიდობებლად. „მეც უნდა წამოვიდეო“, – მითხრა გოგიმ, „სია უკვე შევსებულიაო“, უთხრა ციციშვილმა, მაგრამ არ დაიშალა, „ხვალ გამოვეწერები და წამოვალო“ ეს ხდებოდა ბრაშოვში. მართლაც, მეორე დღეს მოვიდა გოგი და გამოაცხადა: „მე მივდივარ ნოზაძის მაგივრადო“. გიორგის კი რატომღაც რუსულად უთხრა: „Жорж, ты мой подарок твоей Жене Лидие“ მოკლედ, ჩაეწერა გიორგის მაგივრად. ჩაგვსხეს ავიონში და გადმოგვაფრინეს ოდესასთან ნიკოლაევსკში. მეორე დღეს ისევ ჩაგვსხეს ავიონში და გადმოგვაფრინეს ყირიმში, სიმფეროპოლში. მოგვათავსეს ოტელში. იქ იყო ბრანდენბურგის კომპანია მე-6, რომლის მეთაურს რკინის ჯვარი ჰქონდა მიღებული. მოვიდა და გვნახა. მე-13 კაცად ფრანგი მიულერი გვყავდა, რომელიც მერე უკან გაბრუნდა. მეორე დღეს დიდი მანქანა მოვიდა და წაგვიყვანა შავიზღვისპირა თათრულ სოფელში ხაჯიბულატში. იქ ოჯახებში მოგვათავსეს. მე გოგის არ ვშორდებოდი, კობა ცალკე იყო. ვიღაცამ ყუმბარა შემოგვიგდო. კიდევ კარგი სახლში არ ვიყავით. ბრანდენბურგის ნაწილს ქალაქი უნდა აეღო და ჩვენც შევუერთდით. ამ დროს გოგი მეუბნება „წამოდი ზღვაში ვიბანავოთო“ ზამთარია, ნოემბერი, თბილი ტანსაცმელი დაგვირიგეს „გოგი, ამ სიცივეში გამიგონია ამფერი ამბავი-თქვა“, „კაცო, წამოდი, ტანს კი ნუ დავიბანთ, ფეხები მაინც დავიბანოთ იქიდან მოტანილი წყლითო“, – საქართველოზე თქვა. ასეთი გამწარებული პატრიოტი იყო ის საწყალი.

მეორე დილით მოგვცეს მეორე ფელდფებელი რიხტერი და წაგვიყვანეს

სევასტოპოლში. იქ იყო დიდი ბუნკერები. გვირტყამენ რუსები ზარბაზნებს, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლეს. მე ზემო ნაწილში ავედი და ისეთ ისტერიკაში ჩავვარდი – ტირილი დავიწყე. უთხრეს გოგის „შოთა ტირისო“ ამოვიდა „რა გატირებსო“ და ისეთი სილა მტკიცა, უცებ გამოვერკვიე. მიხეილ თარაშვილმა, რომელსაც თავი მოსწონდა თავისი გვარით – ილიას მხლებელი იყო და მასთან ერთად მოკლესო, მერე მოგონებებში ჩაწერა ეს ისტორია – „ყველა ყოჩაღად ვიყავით, მარტო ბერეჟიანი შეშინდაო“ შევშინდებოდი აბა რა, არასოდეს არ ვყოფილვარ ომში და არც ზარბაზნების ხმა გამიგია. როცა ეს ამბავი მოვყევი – გაჩეჩილაძემ მითხრა „შენ ყოფილხარ ნორმალური, თვარა მარტო არანორმალური არ შეშინდებოდაო“

გათავდა ეს ამბავი, შევუტიეთ ჩვენც. ამ დროს ბრანდენბურგის ნაწილი შვებულებაში უნდა წასულიყო, გაანთავისუფლეს და მისი ადგილი დაიკავა ობერლეიტენანტ ბანძენის ნაწილმა. რაკი ბრანდენბურგის ნაწილზე ვიყავით მიწერილი, ჩვენც მოგვიწია შვებულებამ. სევასტოპოლში რუსებმა დესანტი გადმოსვეს, რომლის გემებიც გერმანელებმა იგდეს ხელთ, მათ შორის სანიტარული განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი ვეფხვაძე – რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმი. მასთან ერთად ბერიშვილი, გოგიშვილი და სხვები. იგი ჩემთან სწავლობდა რეალურ სასწავლებელში, მაგრამ ეს ამბავი მერე გავიგე, რადგან ჩვენ უკვე ბერლინისკენ წამოვედით, ჩავედით ბრანდენბურგში, წავიყვანეთ თან 100-მდე ტყვე, მათ შორის ილო ჭიჭინაძე, რეზო ჩერქეზიშვილი და პიტავა. სულ შიოდათ საწყლებს. ტყვეების ნაწილი წაიყვანეს, ჩვენ 6 კაცი კი დავრჩით ბრანდენბურგის ნაწილში მე, თარაშვილი, ჭაჭიაშვილი, ზედგინიძე, ნადირაძე, მექანარიშვილი და რუხაძე, რომელიც მერე საქართველოში დაბრუნდა.

აგვისტო იყო. ამ დროს გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი ელჩი ლადო ახმეტელი, რომლის დასაფლავების დღესაც ჩავედით ბერლინში. სხვათა შორის ჩემი ცოლი პირველად იქ ვნახე, მაგრამ ვერ ვიცანი. დათა კავსაძემ ლეგიონერებისგან შექმნა სიმღერის ანსამბლი და სწორედ იმ დღეებში აწყობდნენ კონცერტს. მეც წავედი. კონცერტზე ვნახე ეს ულამაზესი ქალი. ვიკითხე. მითხრეს მადამ ტიცი არისო. აბა რას მივხვდებოდი. რომ გამოველაპარაკე, თვითონ მიცნო „შოთა, შენ ხარო?“

მერე წაგვიყვანეს ისევ ყირიმში. ვცხოვრობდით შოუხ-სუში, თათრების სოფელში. ჩვენ გვასაღებენ ფრანგებად, მარა ვლაპარაკობთ ქართულად. მთავარი ბრძოლები ქერჩში იყო. ევპატორიაში მოგვიკლეს გოგი ჭაჭიაშვილი. თათრები შეეყარათ ერთ დიდ მეჩეთში და იმათ გათავისუფლებისას ერთი გერმანელი დაჭრეს, იმის გადასარჩენად რომ მივიდა, მაშინ მოკლეს. დავასაფლავეთ ფსევდონიმით, გადაკეთებული გვარით – შაცი. ჩემთვის ეს დიდი ტრაგედია იყო.

ევპატორიიდან გაგვგზავნეს ყირიმში. იქ ნახევარკუნძულივით იყო ზედ რაღაც შენობებით, რომელშიც რუმინელები იდგნენ. მოგვცეს ერთი დიდი ოთახი. ვცხოვრობდით ეს 6 ქართველი გერმანელებთან ერთად. ურტყამენ რუსები ყუმბარებს ამ ნახევარკუნძულს, მაგრამ გადავრჩით, არცერთი არ მოგვხვედრია. მოვიდა შეტევაზე გადასვლის ბრძანება. წაიყვანეს ის 5 ქართველი, მე დამტოვეს ერთ ავადმყოფთან. ასე, რომ ბრძოლაში არც მიმიღია მონაწილეობა, რაკი ხელი არ მივარგოდა. იქიდან გადავედით ქერჩში,

პირველი სოფლები დავიკავეთ. მივადექით ჩრდილო კავკასიას. იქ უკვე იყვნენ „ბერგმანელები“ და „თამარ პირველის“ და „თამარ მეორის“ ნაწილებიდან ვინც დარჩნენ. იყვნენ ემიგრანტები: მიშა დადიანი, გიორგი ჭავჭავაძე – დოდიკას ეძახდნენ, გოგი ანუ გოგლიკა ვაჩნაძე. ჩავედით პიატიგორსკში. იქ ოჯახებში დაგვარიგეს. მე მოვხვდი სომხების ოჯახში. ძალიან კარგი ხალხი იყო. ქართულიც იცოდნენ. ამასობაში ჯარი წინ მიიწევდა და მინვოდამდე მივედით ისე, რომ წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია. მივადექით თერგსაც. იქ არის ყაბარდოელთა სოფლები. შევედით ერთ-ერთში სოფელ კურბში. ჩვენ ერთმანეთში ქართულად რომ ვლაპარაკობდით, ერთი ქალი გამოგველაპარაკა – „თქვენ არა ხართ ფრანგებიო“ თბილისში დაუმთავრებია უნივერსიტეტი და იქ ასწავლიდა სკოლაში. „კარგი ხალხი ხართ ქართველები. მთელ რუსეთსაც ახლა ქართველი მართავს და რატომ გადაიკეთეთ გვარებიო“, – დიდი კომპლიმენტები გვითხრა.

იმ ღამეს დაიწყო თავდასხმა. გვეძინა. ჩემს გვერდით იწვა პალიკო რუხაძე. გაქცეულან და ყუმბარებისგან ამოთხრილ ორმოებში ჩამხტარან. გამელვიძა, მარტო ვარ. გამოვვარდი, განათებულია ღამე ყუმბარებით. ვირბინე, მივაგენი და მეც ჩავხტი ორმოში. „შეგარცხვინათ ღმერთმა, რატომ მიმატოვეთ-თქო“, „კაცო, სად გვეცალა შენთვის, ისე დავფეთდითო“. „ხომ ხედავთ შიში რასაც ნიშნავს-თქო“, – ვუთხარი. იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ მეორე დღეს მივედით ნაწილის უფროსთან და ვუთხარით: „აღარ გვინდა აქ ყოფნა, ხანშიშესული ხალხი გაგვიშვით-თქო“ გაგვიშვეს სტავროპოლში. გაგვატანეს ერთი ფელდფებელი. იქ გერმანელთა შტაბი იყო და გაგვანთავისუფლეს. ჩაგვიყვანეს ბრანდენბურგში, შექმნეს ტყეთა ერთი ასეულიც, მაგრამ აღარ გავჩერდით, ჩავაბარეთ ტანსაცმელი და წავედით პარიზში.

პარიზში გაცხარებული შეთანხმებები დაგვხვდა. შეარიგეს გიორგი მაღალაშვილი და მიხეილ კედია. შუამავლები ყვნენ ვიკტორ ნოზაძე, იოსებ გვარამაძე და სხვები. მაღალაშვილი აღმოსავლეთის სამინისტროს მომხრე „თეთრგიორგელი“ იყო და კედიას ეწინააღმდეგებოდა. წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, გადაწყვიტეს შეედგინათ „ფერბინდუნგსშტაბი“. შტაბი სამხედრო ნაწილს მეთაურობდა გივი გაბლიანი. მასთან იყო შალვა ოქროპირიძე. მათ გერმანული ოფიცერთა სკოლა გაათავეს. იყო დავა ვეფხვაძე დაენიშნათ უფროსად, თუ გაბლიანი. მაღალაშვილი ემხრობოდა ვეფხვაძეს, კედია – გაბლიანს. „ბერგმანის“ მეთაურის ობერლნდერისა და აღმოსავლეთის სამინისტროდან ფონ მენდეს მხარდაჭერით გავიდა გაბლიანის კანდიდატურა. გაბლიანს ყავდა აკიდებული ერთი ოქროპირიძე. ეს იყო ტიპიური „Советский продукт“ თავისი ეშმაკობითა და ტყუილებით. ერთხელ, ბერლინში კურფურსტერდამზე (ისეა, როგორც შანზელიზე) უნდა შევხვდე ვეფხვაძეს. იქ იყო კაფე „კარსერი“. იქ ვიყრიდით თავს. გავიხედე და შემოვიდა ოქროპირიძე კისერზე ჯვრით. „ბიჭო, ომში არ ყოფილხარ და სიდან მიიღე ეს ჯვარი-თქვა“, – ვკითხე. არ მომაქცია ყურადღება, წავიდა და აღარც მინახავს. მერე საქართველოში ჩამოვიდა და „ბერგმანის“ მეთაურ ობერლენდერზე დაწერა მოგონება. მაგრამ ის რა შუაში იყო. ოქროპირიძე არც ყოფილა „ბერგმანში“. ბევრი იყო, ვისაც უფროსობა უყვარდა. მე არ ვიყავი ასეთი მეტიჩარა, არ ვეძებდი პირველობას. რასაც მეტყოდნენ – ვაკეთებდი. თუ რამე არ მომეწონებოდა, პირდაპირ ვეუბნებოდი. გაბლიანი ოქროპირიძესთან ერთად ტრამვაიში შემხვდა ბერლინში, სანამ

მიტერზინში წავიდოდი. გამოგველაპარაკენ. მერე დავმეგობრდით. წავიკითხე გაბლიანის წიგნი. ბევრი უზუსტობაა, ცოტა აჭარბებს კიდეც. კანარისთან ასე ადვილად ვერ შედიოდა ხალხი. მიშა კედია სხვა იყო. ძალიან იყო მიღებული გერმანელებში. ენგელჰაუპტი მისი მეგობარი იყო. გაბლიანის კანდიდატურაც იმიტომ გავიდა, მიშა უჭერდა მხარს. რომ აბრალებენ მოღალატე იყოო, ტყუილია. სუფთა კაცი იყო. ყველას ეხმარებოდა, ქართველები ჟულიკობდნენ ხოლმე. გერმანელები ამის გამო იჭერდნენ, მიშა უნდა მისულიყო და გამოეხსნა.

უკანდახეულმა გერმანელებმა დაკარგეს კავკასია. მაგრამ მიხეილ კედიას ინიციატივით კავკასიელთა სამხედრო ძალების გასაერთიანებლად შექმნეს „კავკასიური შტაბი“ სპირიდონ ჭავჭავაძის მეთაურობით. იგი 1924 წლის აჯანყების მონაწილე იყო. მისი ასაკის გამო, ემიგრანტთა ერთი ნაწილი თავს იკავებდა, მაგრამ მერე მაინც აირჩიეს. შედიოდა თვითონ მიშაც. შეადგინეს კიდევ ერთი ნაწილი, რომლის უფროსი იყო ვასო ალიმბარაშვილი. ქართველებიდან იყვნენ ირაკლი ნიკოლაძე და მისი ძმა. იყვნენ ალექსანდრე ასათიანი, ალექსანდრე ცომაია, ფილიპე შარაძე, ორაგველიძე (იგი საბჭოთა ხელისუფლებამ მიერ ყირიმში გადაასახლა). სომხებიდან იყვნენ ჯამალიანი (მინისტრის ვაჟი) და გენერალი დრო, რომელიც დამოუკიდებლობის დროს სამხედრო მინისტრი იყო, სწორედ მან გასცა ბრძანება 1918 წელს საქართველოსთან ომის დაწყებისა და საზღვრის გადალახვისა. მთიულებიდან იყო ჩეჩენი კანტემირი, მოადგილე ზვერევი. აზერბაიჯნელებიდან აბას-ბეი (გვარი აღარ მახსოვს) და კიდევ ერთი. ამ დროს კედიას საფრანგეთში კაკო შავგულიძე ყავდა დატოვებული (ისიც დაბრუნდა მერე საქართველოში და ქუთაისში გარდაიცვალა). მოსწერა, ვინც ქართველებიდან საფრანგეთის ჯარში იყვნენ – გამოგზავნეო. მეც წავედი. ჩავედი ბერლინში. თან წავიყვანე ირაკლი ლორთქიფანიძე, სოხაძე, შელია და კიდევ ორი თუში. აქედან კავკასიაში უნდა ნავსულიყავით. მოვიდა კალე სალია ბერლინში, მითხრა „მიხაკოს უნდა ამ ნაწილში შენ იყო „თეთრი გიორგის“ მეთაურიო“ შემახვედრა კიდეც მიხაკო წერეთელს. პირადადაც მითხრა: „შენს ჩამოყვანილ ხალხს უნდა მოუაროო“ ქალალდები მოგვცეს, ველოდებით მატარებელს და დიტო სინჯიკაშვილს, მასთან ერთად პარიზში დარჩენილებს. მაკჰაუზი იყო „ესესი“-ს ლეიტენანტი, მე-6 განყოფილების უფროსი. კედიას მეგობარი – კურეკი, რომელიც „ცეპელინის“ მეთაური იყო, მერე კანარისმა რაღაც დააბრალა, გაანთავისუფლა და ტყვეთა ბანაკის უფროსად დანიშნა. ჩამოვიდა მიტო, ჩამოიყვანა აფრასიონ ხვედელიძე და სხვები. სოსო გვარამაძე მე-6 განყოფილებას იყო დაკავშირებული, რაღაც ქალალდებს აკეთებდა. მისცა მიტოს, როგორც თანაპარტიელს, უფროსობა. ასე, რომ ორი უფროსი დავრჩით. მიტო ჯიბრიანი კაცი იყო, მაგრამ ფრანგულში მე ვჯობნიდი, ცოტა გერმანულიც ვიცოდი, რუსული ხომ ვიცოდი და ვიცოდი. ჩავჯექით მატარებელში. შემოგვიტიეს რუსებმა. შტაბიც ჩვენთანაა. ერთგან გააჩერეს მატარებელი. გადმოგვყარეს ვინც შვებულებაში მივდიოდით ისინიც. ქართველები არ ვამბობთ ქართველობას – ვითომ ფრანგები ვართ. რუხაძემ მითხრა: „ე, ბიჭო, დატრიალდი, თორემ საბარგო მატარებლით მოგვიწევს მგზავრობა და გავიყინებითო“. მივადექი განაწილების ხელმძღვანელს. ვკითხე: „ფრანგულს თუ ლაპარაკობო“, „კიო“, „აბა, ჩვენ ფრანგი ჟურნალისტები ვართ, კავკასიაში მივდივართ-თქო“. მართლაც მოგვცა კარგი თბილი ვაგონი, ცეცხლი ინთებოდა. სოხაძე ცინიკი იყო: „მიტო, თავი რომ მოგაქვს, ხომ ხედავ

შოთამ გაჯობაო“ გადამეკიდა მერე მიტო. სინჯიკაშვილი და ცომაია ვერმახტს არ ემორჩილებოდნენ, თუმცა კედიას ჯგუფში იყვნენ.

ჩავედით, ცალკე სახლში დაგვაბინავეს. დაიწყო ისევ რუსების შემოტევა. მოვიდა ბრძანება: „ალიმბარაშვილის ნაწილი დარჩეს, დანარჩენები უკან წამოვიდნენო“ ამ დროს კედია და ჭავჭავაძე უკვე პარიზში იყვნენ და ქართველების უფროსად ალექსანდრე ასათანი იყო დატოვებული. დაზვერვიდან 2 ქართველი უნდა დარჩენილიყო. ორაგველიძე იყო, გამოაცხადა: „თუ ბერეჟიანი არ დარჩა, არ დავრჩებიო“ ცომაიამ – „სინჯიკაშვილი დარჩესო“. შეიქმნა ერთი ამბავი. შალიკო შარაბიძემ მითხრა: „ღმერთი არ გაგიწყრეს, არ დარჩეო“ ამ დროს მოვიდა ალ. ასათიანი და ხელი ჩამომართვა – „გილოცავ შოთაო“ „რას მილოცავთ-მეთქი“ „ორივე ეროვნულ-დემოკრატები ვართ, მეც და სინჯიკაშვილიც, მაგრამ მიტო არასდროს უფროსად არ მცნობდა, სულ სპირიდონ კედიასკენ იხრებოდა, ახლა კი გცნობს, შემოგითვალა – კენჭი ვყაროთო“ ვუთხარი: „არ მინდა არც კენჭი და არც უფროსობა, დარჩეს – მეთქი“

ჩვენ წამოვედით საბარგო მანქანით. პიატიგორსკიდან ორი ტყვე მყავდა – ნინო ქიქოძე და ლეო გვანცელაძე. ჩრდილო კავკასიაში ტიხორეცკაია რომ არის სადგური, იქ გზა იყოფოდა – ერთი არმავირისკენ მიდიოდა, მეორე – სევასტოპოლისკენ. იქ გაგვაჩერეს. ვერ გახვალთ, როსტოვი რუსებმა აიღესო. გადადიოდა ქალაქები ხელიდან ხელში. დავკარგეთ ერთი კვირა. მერე გერმანელებმა აიღეს ისევ როსტოვი და გაიხსანა, როგორც იქნა, გზები. წამოვედით. პოლონეთის ერთ სოფელში ისევ გაგვაჩერეს. ჯარები შემოგვხვდნენ. მოაყარეს ჯარები აღმოსავლეთისკენ გერმანელებმა, მაგრამ უკვე გლახათ იყო საქმე – 1943 წლის ბოლოა. ჩამოვედით ბერლინში. დავნაწილდით. მიშამ – „შენ ჩემთან უნდა დარჩეო“ „ფერმინდუნგსშტაბში“ ყველას თავისი ხალხი ყავდა: მაღალაშვილს თავისი, გაბლიანს თავისი, მიშას – თავისი. მიშასთან იყო კაკო ალშიბაია. ერთი ოთახი მოგვცეს, გარედან წააწერეს ჩვენი გვარები, თავში ჩემი, მერე დანარჩენების. კაკოს ეწყინა, „ბერეჟიანი რაფერ იქნება ჩემი უფროსი, ომში უკვე მიღებული მაქვს ფელდფებელის წოდებაო“. ჩემთან კი არ ამბობდა ამას, სხვებს ეუბნებოდა. გავიგე და ვუთხარი: „აიღე და დაწერე შენც შენი გვარი ჩემს ზემოთ, ხმის ამომღები არა ვარ მეთქი“.

რაკი აღმოსავლეთის ფრონტზე მარცხი მოუვიდათ, ქართული ნაწილები ევროპაში გადაისროლეს – ჰოლანდიაში, დანიაში, საფრანგეთში. ტექსელზე რომ აჯანყება მოხდა იქ ემიგრანტებიც დაიღუპნენ, მახსოვს ოფიცერი კობიაშვილი. იქაური ბატალიონის მეთაური იყო ვანო ბაქრაძე. ვანო პირველად პოლონეთში ვნახე. ყველას ვიცნობდი პოლონეთში მიშა კვალიაშვილს, ვიტალი უგრეხელიძეს, ნიკოლოზ მათიკაშვილს, სიკო კობიაშვილს – გენერალ ბაქრაძის ქალიშვილის კირას ქმარს, თევზაძეს, ხუნდაძეს, ვაშაკიძეს. კედიამ გამგზავნა, მომხრეებს ეძებდა. ცოტა მიემხრო.

როგორც ზემოთ ვთქვი, ბერლინში კონცერტზე შევხვდი ჩემი ბავშვობის მეგობარს თამარა რევია-ტიცს. თბილისში ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ჩემზე 2 წლით უფროსი იყო. მისი ქმარი ტიცი იყო სამხედრო ინჟინერი, ავიაციაში მუშაობდა. თამარას პირველი ქმარი ყავდა მანჯგალაძე, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. რაღაც დანაშაულისათვის 32 კაცი გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს. თამარა გადასახლებას რომ

გადაერჩინა, მისი ძმა ლევან რევია ენუქიძესთან შევიდა, კარგად იყო იმასთან და უთხრა თავისი დის ამბავი. აბელმა უთხრა „ნუ გაახმაურებთ ამ ამბავს, ქმარი უშოვეთ სასწრაფოდ უცხოელიო“ ჩემი ცოლი რომ გახდა, თამარა მიყვებოდა მერე: „მომიყვანეს თათარი, სპარსელი, პოლონელი, არც ერთი არ მომეწონაო. სულავა იყო გიორგი მარტვილიდან, ლევანის მეგობარი და იმას უთქვამს „მე მყავს ერთი ახალგაზრდა გერმანელი ინჟინერიო“, მომიყვანეს და რაღა მექნა დავთანხმდიო“ გაჰყვა თამარა ამ გერმანელს, პირველი ბავშვი დაელუპათ. ამ დროს ჰიტლერმა გამოსცა ბრძანება, ყველა გერმანელი უნდა დაბრუნდეს, თორემ დაკარგავს მოქალაქეობასო. კარლ ტიციც წავიდა გერმანიაში და ცოლ-შვილიც თან წაიყვანა.

ბერლინში კარგი უბანია ჰალენზეი, სადაც გადიოდა ის ქუჩა – კურფურსტერდამი, მდიდარი, კარგად მოწყობილი დუქნებით. აქ ებრაელები ცხოვრობდნენ და გერმანელებმა ჩამოართვეს მერე. იქ ცხოვრობდა თამარა. სმოლენსკის ბრძოლების დროს მისი ქმარი ავარიაში მოხვდა, ფეხი გაფუჭებული ჰქონდა, თავი – გახვრეტილი. გადმოიყვანეს მერე ბერლინში გერინგის საავადმყოფოში. იქ დადიოდა თამარა და მეც გავყევი, სულ არ მიფიქრია სხვა რამ, როგორც ბავშვობის მეგობარს, ისე ვეხმარებოდი. ორი შვილი ყავდათ – კარლი და ვივიანი. გოგო რობაქიძემ მოუნათლა – ახლოს იყვნენ. თვითონ კარლმა მითხრა: „ჩემი ცოლი მარტოა ბავშვებთან. ჩემი მშობლები მოხუცები არიან. გადადი ჩვენთან. იქ თავისუფალი ოთახი გვაქვსო“ შემრცხვა, ეს როგორ უნდა მექნა. მაგრამ თამარამაც მითხრა: „რა მოხდა მერე, გადმოდიო“. მეც გადავედი. კარლმა სიარული რომ შეძლო, ავსტრიაში გადაიყვანეს საავადმყოფოში და ბავშვებიც თან წაიყვანა და მიტერზინში მიაბარა. გაყვა თამარაც. ამ დროს გამოვიდა ბრძანება, რომ ვინც ომში იყო, იმ გერმანელების ცოლებს უნდა ემუშავათ. მივიდა მაღალაშვილთან: „შენ სოციალური განყოფილება გაქვს და მამუშავეო“ იმანაც აიყვანა.

ერთი სიტყვით, მოაწვა რუსის ჯარი. მოკავშირეები შეპირდნენ სტალინს: „ჩვენ არ შევალთ, თქვენ დაიკავეთ ბერლინიო“ პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან ლტოლვილი ქართველები მოაწყდნენ. ბინა უნდა გვეშოვა ბანაკისთვის. გადაწყდა ავსტრიაში ბავშვებისა და ავადმყოფი ტყვეებისათვის ბანაკის მოწყობა. ჩემს ცოლს ნაცნობობა ჰქონდა ავსტრიაში, სადაც სააგარაკოდ დადიოდა. მიანდეს მას ბანაკისათვის ადგილის მოძებნა. ამ დროს ქმარი გაეყარა თამარას ქართველობის ნიადაგზე – სტალინი ქართველია და ომიც მაგის დაწყებულიაო. ამიტომ მოითხოვა „შოთა წამომყვესო“ კი გამიკვირდა, მაგრამ არაფერი არ მითქვამს. მიშა კედიამ „შოთა მე მჭირდება, მაგრამ გაგიშვებ, რაკი ასეთი საქმე კეთდება. ახლა ბევრი ტყვე გამოიქცევა აღმოსავლეთ ევროპიდანო“ ჩავედით ზალცბურგში. მაზრის უფროსმა გვითხრა, ერთადერთი სოფელი, სადაც ბევრი ბავშვები არ არიან და სკოლების დაცლა შეიძლება, მიტერზინიაო. მიტერზინი ემორჩილებოდა ზალცბურგის გაულაიტერს. მივიდა იმასთან თამარა და მოსთხოვა შენობები. გაათავისუფლეს ორი სკოლა და იქ 1944 წელს შეიქმნა ახალი ქართული სათვისტომო. თამარას ყავდა მზარეულები და ჰქონდა მთელი მეურნეობა. განაგებდა „მადამ ტიცის“ სახელით. საჭმელ-სასმელს გვაძლევდა ცელამ-ზეის ადმინისტრაცია. გერმანელები ეკონომიის მიზნით ღამე შუქს თიშავდნენ. ტყვეების უფროსი იყო ლადო გაბრიჩიძე. კარტი უყვარდა და ღამ-ღამობით

სანთლის შუქზე თამაშობდნენ. გაგიჟებული იყო თამარა „გაგვყრიანო“. ამ დროს ჩამოვიდა ირაკლი ბაგრატიონი, ყაზბეგები და თარაშვილები.

1945 წლის 8 მაისს გამოცხადდა გერმანიის კაპიტულაცია. გერმანელები უკვე იმალებოდნენ, ამერიკელები კი ეძებდნენ. იყო იმის საშიშროება, რომ რუსები დაიკავებდნენ ავსტრიას. იქ იყნენ მიშა ქავთარაძისა და მიშა დადიანის ცოლები, ამიტომ ჩამოვიდა დიმიტრი შალკაშვილი და იტალიაში წაიყვანა ისინი. ამასობაში გათავდა ომი. ტყვეებისა და ლტოლვილების ნაწილი მიტერზინის ბანაკში დარჩა. რუსეთის სარდლობამ გამოგზავნა ორი ქართველი ოფიცერი. ერთ-ერთი იყო ჯინორიძე და ტყვეების ნაწილი იმათ წაიყვანეს ორი საბარგოთი – ყალიჩავა, ბახტაძე, გვანცელაძე. თამარამ კი მითხრა წავიდეთო, მაგრამ ჩვენ დავრჩით 6-7 ტყვესთან ერთად. ამასობაში, 9 მაისს შემოვიდა ამერიკული ნაწილი მიტერზინში.

***

იალტის ხელშეკრულებით ყველა იქ უნდა წასულიყო, საიდანაც იყო ჩამოსული. ე.ი. თამარა უნდა წასულიყო ბერლინში. იქ კი რუსები იყვნენ. ვდგავართ. თამარა მეუბნება: „მე იქ ვერ ნავალ და რა ვქნაო“. ამ დროს შემოგვესწრო ყოფილი მერი, ჰიტლერის მომხრე, უკვე გადაყენებული, მაგრამ მაინც დადიოდა სამსახურში. უთხრა თამარამ რაშიც იყო საქმე. „ვინ არის ეგ კაცი შენიო“, – კითხა. „ბიძაშვილიო“ „ო, ე.ი. არაფერიც არ არისო. მოდით ხვალ დილით მერიაში, დაგწერთ ჯვარს და ქმარი სადაც უნდა იქ წაიყვანს ცოლს. ეს საფრანგეთში ცხოვრობს, იქ დაბრუნდება და შენც წაგიყვანსო“. ასეც მოვიქეცით. მეორე დილით ჯვარი დავიწერეთ, პატარა ქორწილიც მოვაწყვეთ, ამერიკელებიც დავპატიჟეთ. გავხდით ცოლ-ქმარი, მარა ფორმალურად. დავრჩით მეგობრებად. წამოვედით საფრანგეთში. საზღვარზე ფრანგმა კაპიტანმა გვითხრა: „ვერ გაგიშვებთ. ცოლ-ქმარს ან ბავშვი უნდა ყავდეთ, ან მოწმობა, რომ ბავშვს ელოდებაო“ დატრიალდა თამარა. ენერგიული ქალი იყო. მონახა ექიმი, მიუტანა ამერიკული პაპიროზები და უთხრა: „ასეა საქმე და ფეხმძიმედ ვარო“ ტყუილი უთხრა, რა თქმა უნდა. დაუჯერა და მისცა იმანაც საბუთი. წამოვედით ჯერ სტრასბურგში, მერე პარიზში.

ზაფხული იყო. პაპუაშვილები სააგარაკოდ იყვნენ და არ დაგვხვდნენ პარიზში. ავიღეთ ოტელი. ფული ბევრი არ გვქონდა. 100-120 დოლარი და გერმანული მარკები. გადავიხადეთ და მივაკითხეთ ლტოლვილთა ოფისს, სადაც გერმანელების დროს საშა ქორქია იყო. მისი შვილი ომის დროს საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე გადასვეს და იქ დაიღუპა. ჭიჭიკო ასათიანი რომ გარდაიცვალა, ის დაასახელეს ოფისის უფროსად. იმასაც დიდი როლი მიუძღვის ქართველი ებრაელების გადარჩენაში. სხვათა შორის, ლადო ახმეტელი რომ გარდაიცვალა ბერლინში, მის ადგილას გიორგი კერესელიძე დანიშნეს, რადგან მისი შვილი მათე კერესელიძე საბჭოელებს ყავდათ ტყვედ.

დიდი და ძვირფასი ხალიჩა წამოვიღეთ გერმანიიდან. გაყიდვა გადავწყვიტეთ. ღირდა 400 ათასი ფრანკი. ვალოდია რუხაძემ „ძვირია ძაანო“ და მოგვცა 200 ათასი. ჩემმა ცოლმა გაყიდა, რაც ძვირფასი სამკაულები ჰქონდა და ვიყიდეთ დუქანი. ახლა ფული გვინდა, საქონელი და სურსათი რომ შევიძინოთ. ავიყვანე ემიგრანტი გრიგალაშვილი. რუხაძე იყო, მდიდრი კაცი, ტყავეულის საწყობი

ჰქონდა. იმის ქალიშვილი ყავდა ცოლად გრიგალაშვილს. დაპირდა, იმდენ ფულს მოგცემ, რამდენსაც შოთა შეიტანსო. რუხაძე ლიმოჟში ცხოვრობდა, გრიგალაშვილსაც ცოლ-შვილი იქ ყავდა. კარტის თამაში უყვარდა, წააგო და 400 ათასის ნაცვლად 40 ათასი ჩამოიტანა. თამარას გული მოუვიდა „სხვაგან ვიშოვი ფულსო" ერთი კაცი იყო დარისპან მდივანი, გერმანელების დროს გააკეთა ფული, ის შეპირდა „მე შემოვალ შენთანო", მაგრამ ქაღალდები უკვე გაკეთებული იყო და დავტოვეთ გრიგალაშვილი. ჩემს ცოლს ორი ბრილიანტის ბეჭედი ჰქონდა დედისეული და ტიცის ნაყიდი. გავყიდეთ ბეჭდებიც, ოქროს პორტსიგარიც და საქონელი ვიყიდეთ. მივეცით ის მოგროვილი ფულები და გავისტუმრეთ გრიგალაშვილი. დავრჩით მარტო. 6 წელი გვქონდა ეს დუქანი. მაშინ იყო, ილია თავაძე და გუზოვსკი რომ ჩამოვიდნენ. ერთხელ გაჩერდა მანქანა საბჭოთა ნომრებით. დააბრახუნეს. დუქანი დაკეტილი გვქონდა, საღამოს უნდა გაგვეხსნა. იქვე გვქონდა ოთახი, სადაც ვიყავით. „ქართული ყველი თუ გაქვთო" მივიწვიეთ. გადაგვიშალა თავაძემ გული – „გამარჯვებულები ვართ, კარგად ვცხოვრობთ საქართველოში და ახლა უნდა წამოხვიდეთო" „არა, ვერ წამოვალთ. მე შოთაზე გვიან ვარ წამოსული, ქმარი გერმანელი მყავდა და ვიცი როგორ ეპყრობოდნენ ხალხსო", – უთხრა თამარამ. „კი, მარა ასეთი ლამაზ ქალს სამშობლოს კარტოფილის გაყიდვა გირჩევნია საფრანგეთშიო?" „ქე მინდა ჩემი ხალხი, შოთასაც უნდა. ბავშვები დავკარგე, ჩემმა ქმარმა წაიყვანა და არ ვიცი სად. ვერ წამოვალო" „ხალხნო, მე ვიქნები იქ და ჩემთან იქნებითო", – გვითხრა. „თქვენ რომ არ იქნებით, მერე რა ვქნათო", – უთხრა თამარამ. გაჩუმდა თავაძე. მერე მაინც ქე მოაგროვეს 60-მდე კაცი და წაიყვანეს. იქ კი ზოგი გადაასახლეს, ზოგი დახვრიტეს.

ექვსი წლის მერე გავყიდეთ დუქანი და პარიზის საუკეთესო უბანში ოპერასთან, ვიყიდეთ რესტორანი, რომელსაც „ფრანკო-ჟორჟიენ" დავარქვით. სხვადასხა დროს სხვა ქართველებსაც ჰქონდათ რესტორანი – თათარხან ანთაძეს, ლევან ჯაფარიძეს, სიმონ მიქელაძეს, გიორგი შაკიაშვილს, უფრო ადრე ნიკო ნიკოლაძეს. ხუმარა კაცი იყო. ერთი ქართველი იყო კოდარა, რენოში მოეწყო. იმის გვერდზე ჰქონდა ნიკოლაძეს რესტორანი. დადიოდა იქ კოდარა, მიიტანდა ყველს, აიღებდა ცოტა ღვინოს, პური და მდოგვი უფასო იყო. იმდენ პურს ჭამდა, მიაქცია ყურადღება ნიკოლაძემ. დაუჯდა და კითხა: „რა გვარის ხარ შვილოო" „ემიგრანტი ვარ სურგულაძე, რენოში ვმუშაობ და ეკონომიას ვაკეთებო". „შენ კი აკეთებ, მარა მე მაკოტრებ, ამდენ პურს რომ ჭამო" ქართველების ამბავი ხომ იცით – ნისია-ნისიაობით მეც ვიზარალე. გადავფარე ზარალი, გავყიდე რესტორანში. დარჩენილი 1200 ფრანკიდან ბინის ფულიც გადავიხადე. ტარიელ ჟღენტმა გვათხოვა მანქანა, სერგო სეფისკვერაძემ ბინა ლევილში. კარგა ხანს ვიყავი უმუშევარი. ჩემმა ცოლმა შვილებიც მოძებნა. გავიგეთ, რომ შტუტგარდში იყვნენ. წავიდა მათ სანახავად. მე მეუბნებოდნენ: „ეს რა ჰქენი, რატომ გაუშვი, აღარ ჩამოვაო". მაგრამ ჩამოვიდა და ქალიშვილიც ჩამოიყვანა ამერიკაში ახალგათხოვილი. ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ძალიან გაგვიჭირდა. მიწაც მქონდა აღებული, ვამუშავებდი და კიტრი მომყავდა.

ამ დროს რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ" დაიწყო მუშაობა მიუნხენში. ხელმძღვანელად დანიშნეს კარლო ინასარიძე, მის მოადგილედ – გულიკო პატარიძე. ევგენი გეგეჭკორმა მითხრა: „შენ უნდა გაგგზავნოო". ჩემმა

ცოლმაც მითხრა: „დათანხმდი, წავიდეთო“ თამარამ გერმანულიც კარგად იცოდა, ფრანგულიც და ინგლისურიც. „დამანებეთ თავი, ვიცი რაც მოხდებათქო“ გეგეჭკორმა მაინც წამოაყენა ჩემი კანდიდატურა. ატეხეს მენშვიკებმა. ერთი ამბავი. ჩემს მაგივრად გაგზავნეს გრიშა ურატაძის ვაჟი დათიკო. შეირთო მერე გულიკო პატარიძე და ერთად მუშაობდნენ იქ. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ საბჭოთა კავშირიდან გამოქცეული ნუგზარ შარია და გიორგი კერესელიძის ვაჟი მათე, რომელიც 15 წელი ტყვედ იყო საბჭოთა კავშირში.

ბოლოს ვიშოვე სამსახური „ალჟირის ღვინოების“ წარმომადგენლობაში. ორი წლის შემდეგ, 1954 წელს მოვეწყვე საღებავების ქარხანაში – რიპოლი. მთავარი ინჟინერი იყო ქიმიკოსი მუსიო პელე. გამომცადა ქიმიაში, დავწერე წყლისა და მჟავეების ფორმულები და ამის მერე ამიყვანა. გადააყენა ფრანგი და მე ჩამაბარა ნედლეულის საწყობი. ერთი თვის მერე მიმიწერა საღამოს სპეციალურ კურსებზე და იქ დავდიოდი. ინჟინერი რეცეპტებს მიგზავნიდა და მუშებს ვამზადებინებდი. იყო ადგილები, სადაც ნიღბით შევდიოდი.

ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ 1960 წელს, როცა ხრუშჩოვი უნდა ჩამოსულიყო საფრანგეთში, დახვიეს ხელი და საბჭოთა კავშირის ყველა მოწინააღმდეგე ემიგრანტი – ჩეხები, პოლონელები, ბულგარელები, იუგოსლაველები, ჩვენ, ყოფილი საბჭოთა ხალხების 1200 წარმომადგენელი, მათ შორის 47 ქართველი, კუნძულ კორსიკაზე გადაგვასახლეს. ხრუშჩოვი 12 აპრილს უნდა ჩამოსულიყო საფრანგეთში, ამიტომ ჩვენ 3 აპრილს გადაგვაფრინეს კორსიკაზე აიაჩოში, საიდანაც გაგვანაწილეს. ერთი ნაწილი ილ დე ბოტეში გაუშვეს – ვანო ბაქრაძე, პავლე სარჯველაძე, ჯაბა ხაბულიანი, კაკო ალშიბაია, ნიკო შანშიაშვილი, დათიკო ქვარიანი, ნესტორ პაპუაშვილი და სხვები. ჩვენ – სამხრეთით, ბონიფაციაში, ვულკან ეტნასთან სოფელ პროპრიანოში. განაწილებისას ლევან ზურაბიშვილმა უთხრა: „ჩვენ ქართველები სამხრეთელები ვართო“ და ამიტომ გაგვიშვეს სამხრეთში, ზღვისპირეთში. დიდი ოტელი იყო პროპრიანოში და ერთი სართული ქართველებს დაგვითმეს. იქ ვიყავით მე, ლევან ზურაბიშვილი, მამია ბერიშვილი, შალვა გიორგაძე, ალექსანდრე ტატიშვილი (ყოფილი ტყვე), ალექსანდრე ჯაფარიძე, ნიკო ელიავა (შალვა ელიავას ძმისშვილი), ასევე ყოფილი ტყვე, პოლკოვნიკი ვლადიმერ შარაბიძე და სხვები. გადასახლებულები იყვნენ აგრეთვე ბაგრატ წულაძე, ელისე პატარიძე, შალვა კალანდაძე, გრიგოლ ქვარცხავა, სევერიან ქორქაძე, ვლადიმერ ხოჭოლავა, დიმიტრი კლდიაშვილი, აკაკი კვიტაიშვილი, კახაბერ შუბლაძე, გოგი კალანდარიშვილი, ავალიანი.

ხრუშჩოვი 12-ში კი არ ჩამოვიდა, არამედ 24 თუ 25 აპრილს. ჩვენც კორსიკაზე ყოფნა გაგვიგრძელეს. თუმცა სახელმწიფო ხარჯით ვიყავით „კურორტზე“, მაგრამ იქაც დიდი ამბავი გვქონდა. დე გოლის წინააღმდეგ ვაწყობდით დემონსტრაციებს – რატომ გადაგვასახლა, ჩვენთან ერთად აპროტესტებდნენ დე გოლისა და ხრუშჩოვის მოწინააღმდეგე ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი კომუნისტები კი ჩვენს წეინააღმდეგ აწყობდნენ გამოსვლებს.

2 მაისს გამოგვიშვეს, ჩაგვსვეს ავიონში და გადმოგვაფრინეს ორლიში. იქიდან ავტობუსი კი დადიოდა, მაგრამ ლევილში წამსვლელებმა მე, შარაბიძემ, ბერიშვილმა ტაქსი ვიქირავეთ და ჩავედით ლევილში. ცოლს ძალიან გაუხარდა ჩემი მოულოდნელი ჩასვლა. დირექტორიც ძალიან კარგად

მექცეოდა. კორსიკაზე დამირეკა: „შენს ჯამაგირს შენს ცოლს მივცემო“ სამსახურში რომ გამოვცხადდი, მეორე თვის ხელფასი მომცა და მესამე თვისაც დამიმატა. ფინანსური დირექტორი გვყავდა ალბერ დესანსი. მოვიდა, პაპიროსები გადმომცა და თანამშრომლებს მიმართა „ძალიან ვამაყობ ასეთი ანტბოლშევიკი რომ გვყავს თანამშრომლადო“ მალე დამანინაურეს კიდეც – საწყობიდან საზოგადოების აგენტად, „აჟენტ მეტრის“ თანამდებობაზე. ხელფასიც მომემატა. დავიწყე სახლის მშენებლობა არპაჟონთან და ლევილთან ახლოს ლინასში და სეფისკვერაძიდანაც გადავედი.

სამსახურიდან თამბაქოს გამყიდველთან გავივლიდი ხოლმე – მორისი ერქვა. სულ მახვედრებდა ლატარიის ბილეთებს. ერთ დღეს ეს ბილეთები აღარ ჰქონდა და მეორე დილისთვის კონვერტით დამახვედრა. მოხდა სასწაული – სწორედ იმ ბილეთით მოვიგე 602 ათასი ფრანკი. 1000 მორისს ვაჩუქე, დანარჩენი ბანკში შევიტანე სახლის დასამთავრებლად. ქართველები ამბობდნენ: „რა ბედი აქვს ამ ბერეჟიანს – ლამაზი ცოლი მაგას, კარგი სამსახური მაგას, სახლს აშენებს და ახლა ფულიც მოიგოო“ მაგრამ სახლის დასამთავრებლად ფული მაინც არ მყოფნიდა. მივედი ჩემს დირექტორთან და ცოტა ფული ვთხოვე, რადგან დიდი პროცენტის მეშინოდა. იმან კიდევ აიღო და ნახევარი მილიონის ჩეკი გამომიწერა უპროცენტოთ. მაშინვე გავიქეცი და ბანკში ჩემს ანგარიშზე გადავიტანე. ისიც არ მყოფნიდა. ამ დროს გაჩნდა საზოგადოება „სიმადი“, რომელიც გაჭირვებულებს ეხმარებოდა. ლტოლვილთა სასარგებლოდ დიდი ლატარია გათამაშდა ამერიკაში, მერე ფული ევროპის ქვეყნებზე გადანაწილდა. საფრანგეთს მოუწია დიდმა თანხამ. მივიდნენ ლევილში საზოგადოებს წარმომადგენლები, დახმარება შესთავაზეს. შეუკეთეს სახურავი შატოს, გაიყვანეს განათება. სოციალ-დემოკრატები იყვნენ ლევილში. ჩვენ, ვინც არ ვიყავით პარტიულები, დაგვიმალეს ამ ხალხის ჩამოსვლა. ერთი ყაველაშვილი იყო ერმალო, იმან ამოიყვანა ჩემთან საზოგადოების წარმომადგენელი შვეიცარელი პროტესტანტი ქალი სოფი ტროკმე. რომ ნახა სახლს ვაშენებდი, დახმარება გამომიწერა 200 ათასი. წყალი გამომყავდა და იმის ფულიც მომიტანა. ვისაც ჭირდებოდა ფული 2% სესხს აძლევდნენ. მომახარა: „სესხი შეგიძლია აიღო 3 მილიონამდეო“ ჩემმა ცოლმა – „ავიღოთო“, თან სოფიმ დამამშვიდა: „შეიძლება პროცენტი არც მოგთხოვენ, თუ ველარ გადაიხდი, სახლი შეგრჩებაო“. ვერ გავრისკე და მხოლოდ 1 მილიონი ავიღე. სახლიც დავამთავრე და მის გარშემო მიწებიც ავიღე. გამოვიჭიმეთ ახალ სახლში და ქეიფიც გადავიხადეთ 1962 წელს.

75 წლის ასაკში პენსიაზე რომ გავედი, დამინიშნეს 700 დოლარი პენსია და სამსახურში მაჩუქეს ფული. იმით გადავფარე ვალი და დარჩენილი 600 ათასით კიდევ ვიყიდე მიწა. სულ 1700 კვ. მეტრი. რად მინდოდა, მაგრამ ცოლმა მითხრა „მერე ფასი დაედებაო“. ჩემი გერი ბიჭი მერე ისევ დაგვეკარგა. გოგო ამერიკელ ინჟინერს გაჰყვა, ის კი მერე დიდი კაცი გახდა. ჩემი ცოლი ჩადიოდა ხოლმე შვილთან. ვივიანი მეც მეხვეწებოდა, მაგრამ სახლი და ძაღლი ვერავის დავუტოვე. სხვათა შორის ჩემი გერი რობაქიძემ მონათლა და ლამარა დაარქვა. ჩემი ცოლი თამარი გულღია, მხიარული, მოყვარული ხასიათის, საქმიანი ბუნებისა და დიდი ენერგიის გამო ყველას ძალიან უყვარდა. აქტიურად იყო ჩართული სათვისტომოს ცხოვრებაში. დღესასწაულების დროს, ცოცხალი სურათების წარმოდგენისას ხან წმინდა

ნინოს როლს ანდობდნენ, ხან – თამარ მეფის. პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ, ისეთი ლამაზი იყო, რობაქიძეს რომ უნახავს, უთქვამს: „ეს არის ნამდვილად ჩემი მეგიო“ წიგნებიც გამოუგზავნა თამარას. მერე ამბობდა თურმე „ვისაც ჩემი მეგის წარმოდგენა სურს, თამარ ბერეჟიანი ნახოსო“ ფანჩულიძე იყო, მაწვნის მრეწველი, გრიგოლს ენათესავებოდა, პოლონეთში ცხოვრობდა და პოლონელი ცოლი ჰყავდა. ძალიან მფარველობდა გრიგოლს, შვეიცარიაში ფულს უგზავნიდა. ფანჩულიძე რობაქიძის წიგნებს აგროვებდა და ჩემს ცოლსაც სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მერე ჩემი ცოლი რომ გარდაიცვალა, ავდექი და წიგნები გავუგზავნე.

რობაქიძე ძალიან მიღებული იყო გერმანიაში, „ფოლკიშე ბებახტერში“ თანამშრომლობდა. უკვირდათ უცხოელი ასე რომ წერდა გერმანულად. განსაკუთრებით აქებდა ცვაიგი. რობაქიძე გამაცნო კალე სალიამ საფრანგეთში, ქუჩაში შემხვდნენ. მაშინ ცოლი ჯერ არ მყავდა. მერე ომის დროს ვნახე. ის დიდი კაცი იყო, მე კი მერიდებოდა, ამიტომ ახლობლობა არ მქონია. მახსოვს მაშინ, როცა კრება ჩატარდა კედია-მაღალაშვილის გაერთიანებაზე, ყველა ქართველი იქ იყო – რობაქიძემ მოხსენება გააკეთა. დათა ქვარიანი გამოვიდა კამათში. თავის სიტყვაში ახსენა „თეთრი გიორგი“. ცალიკავა იყო, ყოფილი ტყვე „რის „თეთრი გიორგი“, რა „შავი გიორგიო“. ატყდა ერთი ამბავი. რობაქიძემ სუფრას სტაცა ხელი, გადაატრიალა – „რას ქვია ასე რომ იხსენიებთ „თეთრ გიორგისო“ და კრებაც დაშალა.

კალე სალია ძალიან პატრონობდა მიხაკო წერეთელს და გრიგოლ რობაქიძეს. ერთხელ როცა გრიგოლი ჩამოიყვანა საფრანგეთში, თამარამ თქვა: „ბავშვის ნათლიაა და უნდა დავპატიჟოთო“ დავპატიჟეთ. იყვნენ გიორგი და ლიდა ნოზაძეები, კალე და ნინო სალიები, გიორგი კერესელიძე. თამადა იყო პოეტი გიორგი ყიფიანი – ვის დაანებებდა! დალია გრიგოლის სადღეგრძელო, ძალიან შეაქო. მეც მოვითხოვე სიტყვა. ცოტა ნასვამი ვიყავი და იმან გამათამამა. რომ ვაქე, მერე ვუთხარი: „მორწმუნე კაცი ხართ და „მალშტრემში“ ემანუელ აფხაიძეს როგორ ათქმევინეთ „ღმერთი გაძღა მიწით, უნდა ოყნა“. ჩემმა ცოლმა ფეხი წამკრა „რას ამბობო“ შემცხვა და მეორე ოთახში გავედი. მერე პარიზში სალიებთან დიდ ნადიმზე შევხვდი. 40 კაცი იჯდა სუფრაზე. თამადა იყო „გუშაგის“ რედაქტორი გიორგი წერეთელი. ადღეგრძელა დიასახლისი, მერე კალე. რომ უნდა დაელია, უთხრა: „ძალიან პატივს გცემ, მაგრამ რომ ამბობენ საბჭოელებთან აქვს საქმეო!“ ნინო წამოხტა. აბა იქ ატყდა ამბავი. ჩაიშალა სუფრა. ჩვენ ზემოთ ავედით და ჩემს ადრინდელ სადღეგრძელოზე გრიგოლს ბოდიში მოვუხადე. არაფერი არ უთქვამს. ეს იყო ბოლო შეხვედრა გრიგოლ რობაქიძესთან. კალემ მერე შვეიცარიიდან ლევილში გადმოასვენა გრიგოლი, მიხაკო კი გერმანიიდან. სიმონიკო ბერეჟიანისთვისაც უნდოდა ძეგლის აგება, მაგრამ ვერ მოასწრო.

ბევრ ემიგანტს ვიცნობდი და გასახსენებელიც ბევრი მაქვს. ახლოს ვიყავი გენერალ გიორგი კვინიტაძესთან. ძალიან კეთილი კაცი იყო მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებისადმი ძალიან მკაცრი იყო. მაწვნით ირჩენდა თავს საქართველოს მთავარსარდალი. არავის არ აწუხებდა. თვითონვე არიგებდა. ყოველ კვირას ნადიმი იყო მის ოჯახში. ბევრი კი არ ჰქონდა, მაგრამ მიმსვლელებსაც მიჰქონდათ. განსაკუთრებით ხშირად აკითხავდნენ თავისი იუნკრები. ვმეგობრობდი მის ქალიშვილებთან. უფროსი იდა გენერალ ჩხეიძეს

გაჰყვა, თამი – გენერალ ოდიშელიძეს, უმცროსი ნანო – ფრანგ დ. აბოს. თვრებოდა ხოლმე. მალე გამოექცა და ქალიშვილიც წამოიყვანა. კვინიტაძე ნოე ჟორდანიას ვერ იტანდა. ამ დროს ჟორდანიას შვილიშვილი, ნათელას ქალიშვილი ირენ ციციშვილი მისმა შვილიშვილმა ნოდარ ოდიშელიძემ შეირთო. გაგიჟებული იყო კაცი. აივანზე გადიოდა და გამოდიოდა.

იუნკრებიდან და მხედრებიდან ბევრთან ვმეგობრობდი. საფრანგეთის გმირს დიმიტრი ამილახვარს ისე ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ კარგად მახსოვს 1939 წლის 14 ივლისის, ბასტილიის აღების აღსანიშნავად გამართული აღლუმი. ამ წელს სხვა დიპლომატებთან ერთად დაპატიჟებული იყო ინგლისის მეფე გეორგ VI ცოლით და შვილებით. აღლუმზე უცხოური ლეგიონის 2 ასეულის მეთაურები იყვნენ დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე. ორი ულამაზესი ვაჟკაცი. შანზელიზეზე დიდი ტაშისკვრის თანხლებით ჩაიარეს. აფრიკიდან გენერალი მიქელი ჩამოყვათ. „რაღა ეს უცხოელი ოფიცრები დანიშნეთ მეთაურებადო", – უსაყვედურა მიქელს პარიზის კომენდანტმა გურომ. „მაგათზე უკეთესი არ გვყავსო", – უპასუხა გურომ.

ნოე ჟორდანიას და მთავრობის სხვა წევრებს კარგად ვიცნობდი – ნოე რამიშვილს, ევგენი გეგეჭკორს, კონსტანტინე კანდელაკს, გიორგი ერაძეს, კონსტანტინე გვარჯალაძეს, კონსტანტინე საბახტარაშვილს, ნოე ცინცაძეს, რაჟდენ არსენიძეს, მიხეილ სუმბათაშვილს – ნამდვილი ინგლისელი არისტოკრატი იყო.

მიხაკო წერეთელს ვხვდებოდი შალიკო კალანდაძესთან და ფრიდონ წულუკიძესთან. დიდი მეცნიერი და დიდი პატრიოტი, მაგრამ ვიქტორ ნოზაძესავით დაბნეული კაცი იყო პოლიტიკაში, რამდენიმე პარტია გამოიცვალა: ჯერ ანარქისტი იყო გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად, მერე ნაციონალისტი, მერე – თეთრგიორგელი. ლეო კერესელიძე რომ დაიღუპა ბერლინის 1943 წელს დაბომბვისას, „თეთრ გიორგის" მარტო ხელმძღვანელობდა. მასთან იყვნენ მერაბ კვიტაშვილი, გიორგი კერესელიძე, გიორგი მაღალაშვილი – „თეთრი გიორგის" მოურავი. ორგანიზაციიდან წასვლის მერეც ვიქტორი და შალვა მაღლაკელიძე ყველგან ერთად იყვნენ სიამის ტყუპებივით. „თეთრი გიორგის" დირექტორიაში იყო კოკი (ნიკოლოზ) დადიანი, სამეგრელოს თავადაზნაურთა ყოფილი მარშალი. პირველი ცოლის, მიქელაძის ქალისაგან ორი შვილი ჰყავდა – მიშა და ბაბო დადიანები. საწყალი ბაბოშკა სულ ახლახანს გარდაიცვალა. მეორე ცოლისგან, სიმონ წერეთლის ქალიშვილი მარიამისგან (მერი) სამი შვილი ჰყავდა – გიორგი, ქეთევანი და სიმონიკა. საქართველოსთვის მასაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული. გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა წაყლქვეშა ნავით იარაღი შემოიტანეს, კოკი მფარველობდა და ხელს აფარებდა. მისი შვილი მიშა პოლონეთში იყო ოფიცერი, მერე მამას ჩააკითხა საფრანგეთში. საცოლე ყავდა იოლანტა რუბინშტეინი, მაგრამ ჯოტო შერვაშიძის ვაჟი მიშა მოეწონა და იმას გაჰყვა. მიშა დადიანი კი მერე „ბერგმანში" ჩაეწერა. კოკი ცინიკი იყო. ალექსანდრე მანველიშვილი გვიან ჩამოვიდა. ნიჭიერი კაცი იყო 20 წიგნის ავტორი. მიუყვანეს კოკის „თეთრი გიორგიში". ჰკითხა „რას აკეთებო", „სხვა გზა რომ არ მქონდა, ზაპოჟნიკობა ვისწავლეო", „შეეშვი პოლიტიკას და ურტყი ჩაქუჩიო", – დაარიგა.

განსაკუთრებით ახლოს ვიყავი მიშა ქავთარაძესთან და პოეტ გიორგი ყიფიანთან. გიორგი რომ დაქვრივდა, სასადილოდ მიშასთან დავდიოდით. მიშა

სადილს აკეთებდა, ჩვენც ჩვენი წილი მიგვქონდა. „თამარ პირველში“ ერთად ვიყავით მე და მიშა. ენამწარე იყო. თვითონ მომიყვა – „ყირიმში დაიღუპნენ მიშა გედევანიშვილი, ჟორა სამთელაძე, გვეტაძე. ჩვენ უკან ვიხევთ. საბარგო მანქანებს ვტვირთავთ. თემო თაქთაქიშვილი ხუმარა იყო – მოაგროვა ჰიტლერის სურათები და ჩვენს ლეიტენანტ შუტეს დაამადლა „აი, შეხედე, ჰიტლერის სურათები არ დავტოვეთო“ თემოს შვებულების ქაღალდი ჰქონდა. მე ავდექი და შუტეს ვუთხრი „ხომ ხედავ, დაგცინის-თქო“ თაქთაქიშვილს გული გაუსკდა, მაგრამ შუტეს ქართველები უყვარდა და არ გაამხილა. თემოც მშვიდად წავიდა შვებულებაში პარიზშიო“ თემო თაქთაქიშვილი გიორგი გვაზავას ქალიშვილის მზიას ქმარი იყო. კინტაურს ცეკვავდა ძალიან კარგად. მისი ძმა შოთა თაქთაქიშვილი, თუხარელი, ფაშალიშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ოთხი თუში და სხვები მიულერმა მოამზადა შტეტინში სანამ „თამარი“ შეიქმნებოდა. სულხანიშვილი მერე ჩამოშორდა მათ, დანარჩენები კი სმოლენსკში ჩასვეს დესანტად, მაგრამ დაიჭირეს და ყველა დახვრიტეს.

ჩემს ცოლთან მეგობრობდა და ჩვენთან ხშირად დადიოდა მერი შერვაშიძე. ულამაზესი ქალი იყო. აი, გალაკტიონმა რომ ლექსი უძღვნა. ერთ-ერთი კერძო ღონისძიების დროს პარიზში სილამაზის კონკურსში დედოფლობა მიანიჭეს. თამარას უკვირდა, მამამისისთვის შერვაშიძეებს პროკოფი რამ დაარქმევინათო.

დიმიტრი (მიტო) სინჯიკაშვილი ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ ამბიციური. ცდილობდა ყველა საქმეში მიეღო მონაწილეობა. ერთხელ სპექტაკლში „პატარა კახი“ იმდენი ქნა, რომ მთავარი როლი შეასრულა. მერე ხუმრობდნენ „პატარა კახი“ არა, მაგრამ „პატარა ტახი“ კი იყოო“.

მიშა კედიას დეიდაშვილი იყო ბაჯგუ (აკაკი) მეუნარგია. გიორგი გეგელიასთან მეგობრობდა და გაზეთში „ქართული საქმე“ აგიტაციას უწევდნენ ტყვეებს და ემიგრანტებს, სამშობლოში დაბრუნდითო. ის და მისი ნათესავი კოტე კობახიძე ომის შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში. ვლადიკავკავში შეაჩერეს, არ ჩაუშვეს თბილისში, მერე სადღაც გააქრეს. გეგელია კი ჩავიდა და ფრანგი ქალიც ჩაიყვანა. დაიჭირეს და შავი დღე აყარეს. ცოლი დაბრუნდა და ის გვიყვებოდა. დიდი კომუნისტი იყო ერთი – გეგელია და იმან გადაარჩინა. დიდი მოხერხებული კაცი იყო, „კვაჭის“ ეძახოდნენ.

ემიგრანტობა იმიტომაც არის ცუდი, რომ ადამიანის უარყოფით თვისებებს აქეზებს. როგორიც არის, მაგალითად, მდიდარ ქალებზე ნადირობა და ოჯახების ნგრევა.

ჭყონია იყო ერთი მოხდენილი ახალგაზრდა. მონმარტზე კალანდარიშვილის რესტორანში ცეკვავდა. მოეწონა ცნობილ კოსმეტოლოგ ადა რუბინშტეინს. ჭყონიამ კირილე რომანოვისაგან თავადობა მიიღო. მერე ჩვენ მთავრობას სთხოვა თავადური გვარი. მისცეს – გურიელი. მეორე შემთხვევა ალექს მდივანთანაა დაკავშირებული. იგი გენერალ შაქრო მდივნის უმცროსი შვილი იყო. შაქროს პოლონელი ქალისგან 5 შვილი ყავდა. ამერიკაში რომ გადასახლდნენ კალიფორნიაში, ჰოლივუდის ვარსკვლავებში ტრიალებდნენ. ხუთივენი ლამაზები იყვნენ და მდიდრები. ქართველებს ხელს უმართავდნენ. უფროსმა სერგომ ცნობილი კინოვარსკვლავი პოლონელი ებრაელი პოლა ნეგრი (შვარცი) შეირთო. დავითმაც, მაგრამ გვარი აღარ მახსოვს. მან კალიფორნიაში ნავთობის ჭა შეიძინა და ძალიან გამდიდრდა. ნინო ინგლისელ

მრეწველს გაჰყვა, რუსუდანი ესპანელ დიდ მხატვარს სერტს, ალექსი კი ერთ-ერთ წვეულებაზე ამერიკის ყველაზე მდიდარ ქალს ბარბარა ჰუტონს მოეწონა. ამერიკელები დახარბებული იყვნენ თავადობას, ფრანგულად. პრინცებს. ალექსიმაც ჩვენს ყოფილ მთავრობას მიაკითხა – საბუთი მომეცითო. ჟორდანიამ უარი უთხრა. გეგეჭკორმა უთხრა: „ჩვენ უკვე წარმავალი ვართ და ამ ახალგაზრდებს გზა რატომ უნდა გადავუღობოთო“ მისცა ჟორდანიამაც ქაღალდი. ცხოვრობდნენ ამერიკაში, მაგრამ აღარ გაჩერდა ალექსი მერე ამერიკაში „ჩემს ქვეყანას საფრანგეთში თავისი მთავრობა ჰყავს და მეც იქ უნდა ვიყოო“. ჩავიდნენ და მერე ლტოლვილთა ოფისის დირექტორის მოადგილე გახდა, მაგრამ ბარბარა საფრანგეთში ვერ გაჩერდა და ამერიკაში დაბრუნდა. თვითონ მიატოვა ქმარი. მერე ალექსი გერმანელ მსახიობ ქალს გადაეკიდა, სიმენსის ცოლს. არც ის ქალი გაუჩერდა და რომ გაიგო წავიდაო, ავტოთი გამოედევნა, მაგრამ ავტო რკინიგზის გადასასვლელზე გაუჩერდა და მატარებელმა გაიტანა.

მერაბ კვიტაშვილი ვახსენე – მამამისი ნესტორი რაჭიდან იყო. დედამისი მიქელაძის ქალი იყო, მარიამ ორახელაშვილის და. მისი ერთი და მარიამი მდიდარ ინგლისელს გაჰყვა. სიძეს ოქროს საბადოები ჰქონდა, მეორე და თამარი – სპარსელს. სიძემ ჩაუწყო თეირანში წასვლა. მერაბის ძმა ახლაც საფრანგეთშია. მერაბი თეთრგიორგელი იყო. გიგიშა ხუნდაძე დაელუპა ინგლისში – შახტის ჩასასვლელთან ჩამომჯდარი გადავარდა. მერაბი მერე ამერიკაში წავიდა. „ამერიკის ხმაში“ მუშაობდა.

როცა ცრუთავადებმა ამერიკელ ქალებზე დაიწყეს ნადირობა, ნამდვილმა თავადებმა გააპროტესტეს. შექმნეს თავადაზნაურთა საკრებულო და თავმჯდომარედ აირჩიეს თეთრგიორგელი ფრიდონ წულუკიძე, მაგრამ საზოგადოებამ ვერ გაამართლა და ფრიდონი ისევ ტაქსზე გადაჯდა. სხვათა შორის, ფრდონ წულუკიძე ალიკა ამილახვართან ერთად 1936 წელს მოხალისედ ჩაეწერა ფრანკოსთან. ომი რომ დაიწყო ფრიდონმა თავი პოლონეთში ამოყო. ტყვეებისგან (ტალახაძე, კანდალაკი), შეადგინა ცხენოსანი რაზმი. „ვაფენ ეს-ესის“ ნაწილიც ყავდა. ბევრი არაფერი გამოუვიდა. ომის მერე ესპანეთში წავდა და საბჭოელების წინააღმდეგ ესპანეთის „თავისუფალ რადიოში“ დაიწყო მუშაობა დიქტორად. ყიფიანის ქალისგან ყავდა შვილი კოტიკა. საერთოდ, ქალები უყვარდა – სულ ვიღაცაზე იყო შეყვარებული. ესპანეთშივე გარდაიცვალა. ამ ალიკას ფრანგი მარკიზა ყავდა ცოლად. მისი ცოლი მერე მიტროფანე ლაღიძის შვილმა შეირთო. მიტროფანე ლაღიძეს ორი ვაჟი ჰყავდა გერმანიაში. ჯერ უგზავნიდა მამა ფულს, მერე სხვის ხარჯზე იყვნენ. კბილის ექიმ გოგი ჭიჭინაძეს ფრანგი ცოლი ყავდა. ჰოლანდიელმა საყვარელმა მიწა უყიდა სამხრეთ ამერიკაში და ამ ქალმა ქართველები წაიყვანა, მათ შორის ლაღიძეებიც.

ომის მერე პარიზში დარჩნენ ტყვები – მხატვარი ვანო ენუქიძე, რომელიც ვერა ფაღავამ გააქეზა, შარაბიძე და სხვები. კარგად ვიცნობდი გივი კობახიძეს და მის მეგობარს აკაკი კვიტაიშვილს. გივი მერე „თეთრგიორგელი“ გახდა. საბჭოელებიც ჩამოდიოდნენ. პირველი, ვინც მნახა – ილია თავაძე იყო. ზემოთ რომ მოვყევი ის ისტორია. ერთი იუნკერი იყო ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი. ცოლად შეირთო შოთა ქარცივაძის (ჟორდანიას მცველის) ქვრივი მარუსია. სახლის ასაშენებლად მიწა დავუთმე. ნიკოლაიშვილი რომ მოკვდა, ორმოცის

სუფრაზე შევხვდი რეზო თაბუკაშვილს და მედეა ჯაფარიძეს. ჩემმა ცოლმა გადმოიპატიჟა თაბუკაშვილები. გადაირია მარუსია – სტუმრები წამართვესო. ამის მერე თაბუკაშვილი ისე არ ჩამოვიდოდა, ჩემთან რომ არ მოსულიყო. მერე ლაშაც ჩამოყავდა. ძალიან დავახლოვდით. ჩემი და ჩემი ცოლის გადაღებასაც აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

მესტუმრა ხელოვნების მუზეუმის დირექტორი თამაზ სანიკიძეც. მას ახლდა ირაკლი ყიფშიძე. ვასილ ყიფშიძეს ცოლად ყავდა კატო ბერეჟიანი. ვკითხე ირაკლის: „თუ იცნობ-თქო", „მათი შვილიშვილი იულონ გაგოშიძეც აქ არისო" და ისიც მომიყვანეს. იყო დიმიტრი თაყაიშვილიც. ჩემს ამხანაგს მიშა ქავთარაძეს ბიძაშვილი ჩამოუვიდა – ვახტანგ ქავთარაძე და მეც მოვიწვიე ვახშამზე. მას ახლდნენ კარდიოლოგი ცინცაძე და ერთი უცნაური კაცი, რომელიც სულ რუსებისკენ იხედებოდა. შემოვიპატიჟე ვიქტორ ნოზაძეც. იმ კაცმა რაღაც თქვა რუსულად. მიშამ უთხრა: „მაგ ძაღლურ ენაზე აქ არ ვლაპარაკობთო" იმ კაცს ეწყინა. სტუმრების წასვლის შემდეგ, მიშას ჩემი ცოლი წაეჩხუბა: „სტუმარი რატომ გამინაწყენეო" სხვა ქართველებიც ჩამოდიოდნენ, მაგრამ ძირითადად მსტუმრობდა თაბუკაშვილი და მისი ოპერატორი იურა ბარამიძე. ერთხელ 26 მაისზე ძველი ქრონიკაც კი მაჩვენეს.

საქართველოზე ყველა ამბავი ჩამოგვდიოდა, მათ შორის 9 აპრილის ამბავიც. ამ დროს ჩვენთან სტუმრად იყო მამია ბერიშვილის გერი დანიელ სიბაშვილი. იყიდა ნიჩბები. ჯერ დემონსტრაცია მოაწყვეს და მერე საელჩოში შეუყარეს რუსებს.

1983 წელს ღვიძლის სიმსივნით გარდამეცვალა ცოლი. მან ერთი წლით ადრე გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ მერე დაეცა, ერთი თვე იწვალა და დაიღუპა. 38 წელი ვიყავით ერთად. ლუბა აბდუშელმა ნეკროლოგი მოათავსა „ბედი ქართლისაში" ამ დროს მე უკვე პენსიაზე ვიყავი და ხშირად ვავადმყოფობდი.

ჩემს ოჯახთან ურთიერთობა მოცეკვავეების საშუალებით აღვადგინე. ნინო რამიშვილს ახალგაზრდობიდან ვიცნობდი. ჩემი სურათები და მისამართი გამოვატანე მშობლებთან. ემიგრანტთა გაზეთის „სამშობლოს" საშუალებით ჩემმა ძმამაც მომწერა – „საქართველო სამოთხეა და ჩამოდიო". ხომ არ მივწერდი „რეჟიმი არ მომწონს-თქო", მივწერე: „ჯერ არ შემიძლია, ავად ვარ და ვწამლობ-მეთქი" მერე ისევ მომწერა და ჩემი ცოლის სურათიც მოათავსა და პირელი ქმარი რომ დაუხვრიტეს, იმისი შვილის ელგუჯა რევიას და თამარის ძმის ლევან რევიას ფოტოები. მივიწვიე ორივე. ელგუჯა ჩამოვიდა და 10 დღე დარჩა ჩემთან. 1978 წელს პირველად ჩამოვიდა ჩემი და ნინო. გაოცდა სავსე მაღაზიები რომ ნახა. 1980 წელს თავისი ქალიშვილი მედეაც ჩამოიყვანა და ერთი თვე დარჩნენ. დამიწყეს თხოვნა: „წამოდი, წამოდიო". ბოლოს წამოსვლაც გადავწყვიტე.

1997 წელს ბატონ გურამ შარაძისა წყალობით ჩამოვედი საქართველოში. მოქალაქეობა მივიღე. მომცეს საქართველოს პასპორტიც და საზღვარგარეთისაც. ვცხოვრობ ჩემს დისშვილ მედეა თავბერიძესთან. ძალიან მივლის მედეა, თუმცა ჩემს გამო გადაასახლეს. დიდი დაბადების დღეც გადამიხადეს და ხალხიც დამიპატიჟეს. რამდენჯერმე ვიყავი გურიაში. ზენობანში პატარა სახლი ააშენა მედეას ქმარმა კოტე კვერნაძემ და რამდენჯერმე მეც ვიყავი გურიაში. იქ ნათესავების გარდა, ჩემი მეგობრების შვილები და შვილიშვილები ვნახე. მედეას უმცროს ვაჟს დათოს ბიჭი შეეძინა

და ჩემი სახელი დაარქვეს. ძალიან მიხარია. მე ხომ შვილი არ მყოლია! ნოდარ დუმბაძის იუბილეზეც მიმიწვიეს.

ნადვილად ილბლიანი ვარ. რამდენი ძვირფასი ხალხი წავიდა სამშობლოს მონატრული და მოღალატეებად შერაცხული. მე კი ჩამოვედი საქართველოში. ჩემი ამბავი ქვეყანამ გაიგო – ტელევიზორშიც გამომიყვანეს, ჟურნალშიც დამიბეჭდეს მოგონებები. ახლა ვარ აგერ და ჩემს ცხოვრებასაც გიყვებით. ბედს არ ვემდური, რაკი სამშობლოს ნახვა მეღირსა. ერთადერთი, რაზეც გული მტკივა, ასეთი გაჭირვებული რომ არის ქვეყანა და ამდენი ხალხი რომ არის წასული საქართველოდან. დამიჯერეთ, ემიგრანტობა ძალიან მძიმეა, რაც არ უნდა კარგად ცხოვრობდე უცხო ქვეყანაში...

აკაკი ჩხენკელის სიტყვა თბილისის უნივერსიტეტის გახსნისას (1918 წ. 26 იანვარი)

მოქალაქენო! საქართველოს ეროვნულ საბჭოს მონდობილობით ბედნიერება მაქვს გვხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი (ტაში). მე ვამბობ პირველითქო, აქედან ცხადია, დღევანდელი დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. დღემდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი მაღალი სასწავლებელი. მე არ შევეხები შორეულ წარსულს, იმ წარსულს, რომელიც განიყოფება რუსეთის ფარგლებში ჩვენი ცხოვრების ხანიდან. მაშინ ჩვენ გვქონდა დროს შესაფერი უმაღლესი სასწავლებლებიც.

ერს, რომელსაც არა აქვს, თავისი სამეცნიერო ტაძარი, არ შეუძლია სთქვას, რომ იგი სრულ-ასაკოვანია. როცა მე მესმოდა საზღვარ-გარეთ საქართველოს შესახებ საგმირო ამბები, თუ რა მონაწილეობას იღებდა იგი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაშინ მეკითხებოდნენ რამდენი უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი და უმაღლესი სასწავლებელია საქართველოშიო. და მე ამ შეკითხვაზე მხოლოდ გაწითლებით ვუპასუხებდი: ჩვენ არ შეგვეძლო განათლება მიგვეღო სამშობლო ენაზე. რა ერია ის ერი, რომელსაც არა აქვს საშუალება მეცნიერების ნაყოფით სამშობლო ენაზე. ჩვენ რუსეთის საზღვრებში ცხოვრებამ მოგვიტანა კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვითცნობიერება, ეს უნდა მიეწეროს როგორც რუსეთის საზღვრებში ცხოვრებას, ისე თვით ქართველ ერის უნარს, რომელმაც აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, ახალ ხანას, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე შედგა ფეხი და ცნობილ ჰყო საკუთარი თავი როგორც შინ, ისე გარეშე უფრო ფართოთ, ვინემ ეს წარსულში იყო. მაშინ იტყოდნენ: ესა და ეს მეფე; ესა და ეს სარდალიო. არ იყო ისეთი ხანა, რომ ეთქვათ – ქართველი ერი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს უცხოელებშიო. თუ რატომ არ გვქონდა მაღალი სასწავლებელი, ამის მიზეზი ყველამ იცის. ჩვენ სხვებთან ერთად ვიყავით ჩაგრული ერი, მოკლებული ყოველგვარ უფლებას. ახლა მოგვეცა საშუალება გავხსნათ ქართული უნივერსიტეტი. ეს მიეწერება დიდ მოძრაობას, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ერი მისი დემოკრატია. მაშასადამე, როცა ქართველი დემოკრატია იბრძოდა სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებისათვის, ამავე დროს

იგი იბრძოდა ერის უფლებებისათვის. დემოკრატიის ღვაწლმა მოგვიევლინა დღევანდელი დღესასწაული. თქვენ იცით ქართველი ხალხის დაუშრეტელი წყურვილი ცოდნის შეძენისადმი. ჩვენი სასწავლებლები, რომლებშიაც უფრო გამარუსებელი და ბიუროკრატიული რეჟიმი იყო გამეფებული, ვერ იტევდნენ ჩვენ მოსწავლეებს. სტატისტიკის მიხედვით ჩვენში ათჯერ მეტი სასწავლებელი იყო საჭირო, რომ მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებია. თუ რამდენად ძლიერია ჩვენში სწავლა-განათლების სურვილი, ეს სჩანს გურიის მაგალითიდან. გურიაში დღეს იმდენი სასწავლებელია, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების შემდეგაც არ იქნება საჭირო ახალი სასწავლებლის გახსნა. და თუ ეს სკოლები ეროვნული გახდა, მათი მნიშვნელობა ყველასთვის ცხადი იქნება, რატომ პირველათ იხსნება მაღალი სასწავლებელი, როცა ჯერ კიდევ არ გვაქვს დაბალი და საშუალო ეროვნული სასწავლებლები? ასეთ ხანაში სწორეთ საჭიროა ქართული უნივერსიტეტი, რომლიდანაც უნდა გამოვიდეს ის ხალხი, რომელიც გაუძღვება დაბალ და საშუალო ეროვნულ სკოლებს. საჭიროა ცოდნა, მეთოდი, რომ ახალგაზრდებს გრძნობა გაუფაქიზოთ, ხასიათი განვუმტკიცოთ. ცხადია, ჩვენ დიდი სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ ხანის დაწყებას, ქარ. უნივერსიტეტის გახსნას. ჩვენ გვეჭირვება დიდი ცოდნა-განათლება. ამ მხრით არ ვართ მაინცდამაინც დაწინაურებული. ერთა ისტორიაში არის მაგალითები, როცა ერი იჩენს უნარს ერთ რომელიმე დარგში, ვთქვათ პოლიტიკაში, პუბლიცისტიკაში. მაშინ მეცნიერებისათვის მას აღარ რჩება ძალა და ღონე. ჩვენ სწავლა-განათლების მხრით ბევრ ერს ჩამოვრჩით უკან, ისეთ ერებსაც, რომლებიც პოლიტიკურათ ჩვენზე დაბლა დგანან. ჩვენ გვესაჭიროება შესწავლა წარსულის, შეგნება აწმყოსი და გათვალისწინება მომავლის. ჩვენ შეიძლება კარგათ ვიცოდეთ რომელიმე ბრაზილიის წარსული, ხოლო ბევრი არ აღმოჩნდა ჩვენში, რომ თავის ერის წარსული იცოდეს. ეს სრულებითაც არ მოასწავებს, რომ ჩვენ უნდა ვიაროთ წარსულის გზით. არა, ჩვენ უკვე შევდექით იმ გზაზე, რომლითაც განატლებული ერები მიდიან. წარსულის შესწავლა გვესაჭიროება ჩვენ აწმყოს შესაგნებათ და მომავლის გასათვალისწინებლათ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ თანამედროვე მეცნიერების დარგები, შევისწავლოთ ახალი მეთოდები; ეს საჭიროა მომავალ მასწავლებლებისათვის.

არანაკლებ საჭიროა სხვა ერთა ცნობა, მათი წარსულის, აწმყოს და მომავლის შესწავლა-გათვალისწინება. მეცნიერება არ არის ქართული, ფრანგული, ინგლისური. იგი ერთია. მხოლოდ ფორმა, სახე შეიძლება იყოს ეროვნული. მეცნიერება ამიტომ საუკეთესო იარაღია ხალხთა დაახლოვებისა. იგი რომ ეროვნული იყოს, მაშინ გაძნელდებოდა ხალხთა შორის კავშირისა და სოლიდარობის განმტკიცება. ამიერ კავკასიაში იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც შემოვლილი ჰქონდეს ეს მხარე. საჭიროა ერთმანეთის შესწავლა, პატივისცემა. თუ არ არის „შენ“ არ იქნება არც "მე" რადგანაც არსებობს „მე“, მაშასადამე არსებობს „შენ“, არსებობს სხვა ერებიც. ქართულ უნივერსიტეტის დანიშნულება უნდა იყოს აგრეთვე ერთა შესწავლა. ეს მოგვცემს საშუალებას მტკიცე კალაპოტში ჩავაყენოთ ერთა ურთიერთობა.

მოქალაქენო! ნებას ვაძლევ ჩემს თავს მიულოცო პროფესორთა კოლეგიუმს, უნდა ვუთხრა მათ, რომ მათი გზა არა არის ყვავილებით მოფენილი, იგი ნარ-ეკლიანია. ჩვენ გვაკლია მეცნიერული ძალები, შესაფერისი მოწყობილობა, იარაღები. ამ მხრივ საქმის ადვილათ და დაჩქარებით მოწყობა შეუძლებელია.

ეს უნდა გავითვალისწინოთ და ქართველმა ერმა უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ მცირე ჯგუფს არაფრისგან ყველაფრის შექმნა არ შეუძლია. მე მწამს, რომ თქვენი (პროფესორთა) ენერგია, საქმისადმი სიყვარული და მტკიცე სურვილი შეგაძლებინებთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა. ეს უნივერსიტეტი ქართული უნივერსიტეტია, მაგრამ იგი არ არის სახელმწიფოს უნივერსიტეტი. ქართველ ერს არა აქვს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ორგანოები. ქართული უნივერსიტეტი მაშინ იხეირებს, როცა ქართველ ერს ექნება ასეთი ორგანოები (ტაში)

ჩვენ ვდგავართ ქართველ ერის პოლიტიკურ განახლების კართან. შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი ერი სხვა ერებთან ერთად მიიღებს კანონიერ კმაყოფილებას. არის ერთად ერთი თავდები, რომ ქართველი ერი გადასჭრის ნაციონალურ საკითხს ისე, რომ მას მიიღებს სხვა ერებიც, იგი გაატარებს კანტის თქმულებას, სხვასაც ის უსურვე, რაც შენთვის გინდაო. ამის თავდებია ქართველი დემოკრატია (ტაში), და თუ ეს იმედი გაგვიცრუვდა, მაშინ ვიტყოდი მე, ვაი ჩვენ... ქართველი ერი განიცდის საბედისწერო ჟამს. სულ ახლოს არის უფსკრული, სადაც იგი შეიძლება გადაიჩეხოს. ასეთ მდგომარეობაშია რუსეთის ყველა ერები. დღევანდელი ანარქია, სამოქალაქო ომი, უიმედობა მომასწავლებელია იმის, რომ დადგება განკიტხვის დღე. და ვფიქრობ, ქართული უნივერსიტეტის გახსნა სიმბოლური მოვლენაა. ჩვენ დღეს აქ ვზეიმობთ, ქართველი ერის ბედი კი განსაცდელშია. განსაცდელშია როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მიზეზების გამო. ჩვენ თითქოს გვაკლია თავის მდგომარეობის შეგნება. მე, მესმის როცა ვკითხულობთ ჩვენ ისტორიაში, ამა და ამ მეფემ თავის რაზმით შეუტია მტერს სამშობლოს დასაცავათ, მაგრამ მტერი ათჯერ მრავალრიცხოვანი და ძლიერი აღმოჩნდა და დაამარცხა იგიო. ასეთი მდგომარეობა მირჩევნია მე იმ მდგომარეობას, როცა ჩვენ არ გავქვს წარმოდგენილი განსაცდელი. დამარცხება არ არის საშიში მაშინ, როცა ერს ესმის განსაცდელი. ხოლო თუ იგი მოულოდნელათ დამარცხდა, მაშინ დაემხობა კიდეც.

ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისთვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა მთელი ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართულ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლათ შეასრულებენ წმინდა მოვალეობას (ხანგრძლივი ტაში)."

გაზ. „ერთობა", 1918 წ., 28 იანვარი.[1]

---

1 აკაკი ჩხენკელის ეს სიტყვა ოდნავ განსხვავებული სახით დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო საქმე" (1918 წ., 28 იანვარი.

ლეო კერესელიძე

საქართველო და რუსეთის ბატონობა*

ლეო კერესელიძის ნარკვევი „საქართველო და რუსეთის ბატონობა" ფრანგულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოსცა შვეიცარიულ კანტონ სოლოტურნში არსებულმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა (1907 წელს დაარსებულმა) გამომცემლობამ Vogt-Schild-მა. გამოცემის წელია 1917 ავტორი უკვე ათ წელიწადზე მეტია შვეიცარიაში ცხოვრობს, აქაური უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული სამართლის განხრით და პრივატ-დოცენტის ხარისხსაც ფლობს. ამავე დროს, მას პოლიტიკური ბრძოლის საკმაო გამოცდილებაც გააჩნია: 1913-1914 წლებში ჟენევაში გამომავალი ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს" თანარედაქტორია. 1910 წლიდან თავის ძმასთან, გიორგისთან, ერთად ერთიანდება „სეპარატისტთა ჯგუფში", რომელიც შემდგომ „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის", იმავე „დამოუკიდებლობის კომიტეტის", სახელით აგრძელებს ბრძოლას და ბერლინში მკვიდრდება. ლეო კერესელიძეს სამხედრო საქმეშიც გამოცდილება აქვს შეძენილი: ის გერმანელთა მხარდაჭერით ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული სამხედრო შენაერთის „ქათული ლეგიონის" ერთ-ერთი მეთაურიც იყო. ხსენებული კომიტეტის ეგიდით შექმნილი ეს რაზმი დაშლამდე, 1917 წლამდე, წარმატებით ებრძვის რუსულ არმიას.

1917 წელს, როცა პუბლიკაცია გამოდის, მსოფლიო ძირეულ ცვლილებათა წინაშე დგას: პირველი მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება, საბჭოთა რუსეთი პირველ ნაბიჯებს დგამს... სამყარო, როგორც გალაკტიონი ამბობს, დასერილია „გამოუცნობ წყლულებით" მრავლდება პოლიტიკური პროგნოზები და უფრო და უფრო მეტი სიმწვავით დაისმის ნაციონალური საკითხი.

ქართველებს იმედი ეძლევათ, რომ ამ ცვლილებათა წყალობით მათი პატარა სამშობლო მზისქვეშეთში კუთვნილ ადგილს დაიჭერს. 1916 წლის 27-29 ივნისს, ლოზანაში შეკრებილ ერთა კავშირის III კონფერენციაზე, მიხაკო წერეთელი წარმოთქვამს სიტყვას „ქართველი ერის უფლებები", რომელშიც საუბრობს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე ვახტანგ VI-დან მოყოლებული.

ლეო კერესელიძის ნარკვევის მთავარი სათქმელიც სწორედ ამ ურთიერთობებს ეხება, თუმცა სტრუქტურულად ისტორიის ეს პერიოდი მხოლოდ მეორე თავის დასასრულსა და მესამე თავს მოიცავს, ხოლო პირველი თავი და მეორე თავის ძირითადი ნაწილი ქართული კულტურისა და ისტორიის ზოგად მიმოხილვას ეძღვნება. ავტორი პოლიტიკურ სიფრთხილეს იჩენს და ცდილობს, რევოლუციური მოძრაობა საქართველოში ეროვნული ბრძოლის გაგრძელებად წარმოაჩინოს, ამასთან, საღებავებს არ იშურებს, რომ პატარა ქვეყნის მიმართ რუსეთის აგრესია შთამბეჭდავად დახატოს.

ნარკვევი ქრესტომათიული ხასიათისაა, დაწერილია ემოციური, ჰიპერბოლიზაციისაკენ მიდრეკილი სტილით, მეცნიერული მიუკერძოებლობისაგან შორ-

---

* Imprimerie Vogt-Schild, Soleure, 1917

საა და ბევრ უზუსტობასაც შეიცავს. მიუხედავად ამისა, პატრიოტულ განზრახვაზე რომ ალარაფერი ვთქვათ, ყურადღებას იპყრობს ავტორის შესანიშნავი სინთეზირების უნარი და ნათელი ლოგიკა. თანამედროვე ქართველი მკითხველისთვის ლეო კერესელიძის ტექსტი საინტერესო უნდა იყოს, როგორც თავისი ეპოქის სულისკვეთების ამსახველი დოკუმენტი, აგრეთვე, როგორც ნიმუში ემიგრანტული ვულგარიზაციის ლიტერატურისა, რასაც 1920-იან წლებში საბჭოეთიდან გახიზნულ ემიგრანტთა მემუარული ანტისაბჭოთა ლიტერატურაც ემატება.

მაია ვარსიმაშვილი-რაფაელი

წინასიტყვაობა

ახლანდელმა ომმა ბევრი საკითხი წამოჭრა და უეჭველია, პასუხსაც მისგან მოველით.

რატომ და ვისი სურვილით დაიწყო ეს ომი? სად ვეძიოთ მისი ფარული მიზეზები? ვინ დავადანაშაულოთ ?

დღეს, რა თქმა უნდა, ყველა ამ კითხვას ვერ ვუპასუხებთ. ეს მომავლის საქმეა.

ომის მიზეზები წარსულში უნდა ვეძებოთ. იმან, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა, ერთბაშად საშინელი ძალით ამოხეთქა. ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულმა სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და განსაკუთრებით, ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა მოვლენამ ნელ-ნელა შეამზადა საომარი ნიადაგი.

ამ ომის თვალსაჩინო მიზეზთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ეროვნული საკითხი.

დღეს ცივილიზებული კაცობრიობა უფლებას აძლევს ერთ ერს, რომ მეორეს იმონებდეს და ცივილიზებული ქვეყნებიც აკანონებენ ამას. პიროვნულ ყმობას ვაუქმებთ, ეროვნულს კი ვუშვებთ, თითქოს მეორე პირველზე არაადამიანური არ ყოფილიყოს.

ეროვნულ დამონებასთან ერთად ჩნდება ამბოხების, სისხლისღვრისა და ომის მიზეზებიც. სად ვეძებოთ გამოსავალი ? ამას მომავალი მოვლენები გვიჩვენებს.

დარწმუნებით ვიტყვით ომის დასასრულს მათზე პასუხიც გვექნება და მრავალი სხვა კითხვაც გაგვიჩნდება.

განა ეს სასტიკი ომი თვალნათლივ არ გვიჩვენებს იმას, რომ ამიერიდან ცხოვრება პოლიტიკურ და სოციალურ საფუძვლებს ვეღარ დაემყარება? დროა, ეროვნულმა საკითხმაც შეიცვალოს საფუძველი და ბუნებრივი სახე მიიღოს.

თითოეულ ერს უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ორგანიზების თავისუფლება. საერთაშორისო სამართალი მხოლოდ მაშინ იქნება "საერთაშორისოც" და "სამართალიც", რაც დღეს ლიტონ სიტყვებადაა ქცეული.

თანამედროვე ვითარებაში სათითაოდ უნდა შევისწავლოთ თითოეული დამონებული ერის საკითხი. ეს წიგნიც, რომელშიც საქართველოზე გესაუბრებით, ამ განზრახვით დაიწერა.

საქართველოს ცივილიზაციისა და კულტურის მიმოხილვის შემდეგ მკითხველი შეიტყობს, რომ ქართველ ხალხს გააჩნდა და დღემდე გააჩნია თვითმყოფადი ცივილიზაცია, კულტურა, ეროვნული ცხოვრება. თავისუფალი და ნორმალური

განვითარების პირობებში იგი უსათუოდ თავის წვლილს შეიტანდა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

საქართველოს მოკლე ისტორიის გაცნობით მკითხველი დაინახავს, რომ ამ ქვეყანას ჰქონდა საკმაოდ განვითარებული პოლიტიკური ცხოვრება, იყოფოდა კასტებად და კლასებად, წარმოადგენდა პოლიტიკური და სოციალური ბრძოლების ასპარეზს. ქართველმა ხალხმა შეძლო, დაეცვა თავისი ცივილიზაცია, მიწა-წყალი და დამოუკიდებლობა. საქართველოს ჰყავდა სახელმწიფო მოღვაწეები, სასახელო მეფეები, ნიჭიერი მწერლები.

წიგნში მიუკერძოებლად წარმოგიდგენთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, მოგითხრობთ რუსეთის ხელისუფლების მიერ დადებულ ხელშკრულებათა, საქართველოს უფლებათა დარღვევისა და საქართველოს პოლიტიკური მკვლელობის შესახებ.

I ნაწილი
ქართული ცივილიზაცია

ქართულს ორი ანბანი გააჩნია: ხუცური და მხედრული. პირველი დღესაც იხმარება ეკლესიაში, ხოლო მეორე სამოქალაქო ცხოვრებასა და ლიტერატურაში ჰპოვებს გამოყენებას. რომელი მათგანი შეიქმნა უფრო ადრე? ამ კითხვაზე პასუხი ჯერაც არა გვაქვს. ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ანბანი არსებობდა ჯერ კიდევ ძვ. წ.-აღ-ით III საუკუნეში, მეფე ფარნავაზის დროს. ფარნავაზმა განდევნა ალექსანდრე მაკედონელის ჯარი და პოლიტიკურად გააძლიერა თავისი ქვეყანა. ქართული ანბანი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ანბანია და სრულ შესაბამისობაშია ენის მდიდარ ხმოვანებასთან.

* * *

ქართული ლიტერატურის ისტორია ოთხ პერიოდად შეიძლება დავყოთ: 1. V-X საუკუნეები; 2. X-XIV საუკუნეები; 3. XVI საუკუნიდან XIX-ის დამდეგამდე; 4. XIX საუკუნიდან დღემდე.

პირველი ორი პერიოდი არაბული, ასურული, ბიზანტიური და სპარსული ლიტერატურის გავლენითაა აღბეჭდილი. ქართული აზროვნება და მწერლობა განსაკუთრებით ბიზანტიური და სპარსული ლიტერატურით საზრდოობს. ორივე მათგანი ნოყიერ ნიადაგს ჰპოვებს ქართულ მიწაზე. ქართული გონების მიერ გადახარშული, ქართულ გემოვნებასა და ნიჭთან შეგუებული უცხოური მწერლობა ნელ-ნელა ეროვნული შემოქმედების ნაწილად იქცევა.

პირველი პერიოდი, V-X საუკუნეები, უმთავრესად ბიზანტიური გავლენით ხასიათდება და სასულიერო ხასიათს ატარებს. ამ დროით დათარიღებული ლიტერატურული ძეგლების უმრავლესობა საეკლესიო შინაარსისაა.

ქართულ მიწასა თუ მის ფარგლებს გარეთ – პალესტინაში, სინას მთასა და სხვა ადგილებში – მოქმედ მონასტრებში გახცოველებული ლიტერატურული საქმიანობა წარმოებს. დღემდე შემოგვრჩა მაშინდელი ორიგინალური თუ ნათარგმნი მრავალრიცხოვანი სასულიერო ძეგლები. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: პალესტინაში შესრულებული დავითისა და სტეფანეს ნაწარმოებები; წმინდა გრიგოლის, ნეოკესარიელი ეპისკოპოსისა და წმინდა კირილეს, იერუსა-

ლიმის მთავარეპისკოპოსის, ქადაგებანი. ერთ-ერთ კრებულში შესულია ქართული ენის ქება. შემორჩენილია ვინმე სიმეონის მიერ შედგენილი კრებული და ა. შ.

აღნიშნული პერიოდი საისტორიო, სამართლის, გეოგრაფიული ნაშრომებითაც არის მდიდარი. ამ ძეგლთა სიმრავლე გვიჩვენებს, თუ განვითარების რა მაღალ საფეხურზე დგას იმდროინდელი ქართული საზოგადოება და რაოდენ ღრმაა ეროვნული ცნობიერება. თანდათანობით, სასულიერო მწერლობას საერო მწერლობა გამოეყოფა. ეს უკანასკნელი თავს აღწევს ბიზანტიურ გავლენას და ირანულ მწერლობას უახლოვდება.

სპარსულიდან ნათარგმნი მრავალი ლექსი და ნოველა ფესვს იდგამს საქართველოში და ხალხში ვრცელდება. მათი სათავგადასავლო-სამიჯნურო და ისტორიული შინაარსი შესანიშნავად ერგება ქართული ფეოდალური ცხოვრების სინამდვილეს, მის გმირულ-რაინდულ ტრადიციებსა და მებრძოლ სულისკვეთებას.

ქრისტიანული ზნეობით გაკეთილშობილებულ სპარსულ გავლენას ამაღლებულ რომანტიკულობამდე მივყავართ, რომელიც ქალის კულტსა და რაინდულ ღირსებას ქადაგებს. ქართული ლიტერატურა მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ხასიათს იღებს. XI საუკუნიდან ვითარდება ქართული ჰუმანიზმი, ჰუმანისტური მიმდინარეობის თავისებური გამოვლინება.

როგორც პროფ. ნ. მარი აღნიშნავს, "ქართული ჰუმანიზმი" არ ჩამოყალიბებულა ანტიკური ევროპული კულტურის ზემოქმედებით. ამ კულტურას ქართველები არ იცნობდნენ. ქართული ჰუმანიზმი განვითარდა სპარსული მწერლობის გავლენით. თავის მხრივ, ეს მწერლობა, ანტიკურ არიანულ კულტურასთან დაპირისპირებით, რენესანსს დაედო საფუძვლად.

XI საუკუნეში გატარებული რეფორმის შედეგად, ლიტერატურული ენა სამეტყველო ენას უახლოვდება. XII საუკუნეში, განსაკუთრებით კი თამარ მეფის დროს, ქართული ლიტერატურა მწვერვალს აღწევს. სამეფო კარის ირგვლივ იკრიბება ნიჭით გამორჩეული მრავალი პოეტი, მწერალი და სწავლული. ქართული ენა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ადის.

აი, რას წერს პროფ. ბროსე XII საუკუნის ქართული კულტურის შესახებ: "X-XII საუუკუნეებში საქართველოში ჩნდებიან გენიოსები, რომელთაც ქართული ენა სრულყოფილებამდე მიჰყავთ. ერთის მხრივ, ისინი თარგმნიან ბიბლიას, ხოლო მეორე მხრივ, ქმნიან გრანდიოზულ ეპოსებს ამირანისა და ტარიელის შესახებ. ეს ხანა საქართველოს დიდების ხანა იყო. ერის განათლებაზე მსჯელობა ლიტერატურული სტატისტიკის მიხედვით რომ შეიძლებოდეს, იმდროინდელი ქართველების გონებრივი განვითარების დონე უთუოდ შთამბეჭდავი იქნებოდა. აქვე ჩამოვთვლით რუსთაველის, მოსე ხონელის, შავთელის, ჩახრუხაძის სახელებს. მათი პოეტური ნიჭის აღმოჩენა და თვითმყოფადი თხზულებების ანალიზი ერთი სიამოვნებაა."

როგორც აღვნიშნეთ, X, XI, განსაკუთრებით კი XII საუკუნეების საქართველოში ერთმანეთს ერწყმის ბიზანტიური და სპარსული ლიტერატურული გავლენები და ორივე მონაწილეობს ერთიანი ეროვნული მწერლობის ჩამოყალიბების პროცესში.

ამ ეპოქის ლიტერატურული ძეგლები წმინდა ეროვნული ხასიათით გამოირჩევა. მწერალთა შორის დავასახელებდით მოსე ხონელს, საფალავნო-საზღაპრო კრებულის, "ამირანდარეჯანიანის" ავტორს. ეს ნაწარმოები, როგორც რაინდუ-

ლი რომანისთვისაა დამახასიათებელი, პოეტურად აღწერს რაინდთა ქცევის წესებს, მათ ჩვეულებებს, ტრადიციებს. მწერალი გვაცნობს რაინდის მიერ ქალის პატივისცემას, მის დამოკიდებულებას სუსტისა და გაჭირვებაში ჩავარდნილისადმი. იგი აღწერს ასპარეზობებს, სადაც რაინდი იბრძვის თავისი გულის რჩეულისათვის და ა. შ.

პოეტმა სარგის თმოგველმა ქართულად თარგმნა სპარსული კლასიკური პოემა "ვისრამიანი" და მას ქართული ელფერი შესძინა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე უმშვენიერესი პოემა "დილარიანი" ეს ავტორი ცნობილი ფილოსოფოსი და რიტორიც ყოფილა.

იმდროინდლი მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგნელია შავთელი, რომელსაც სამეფო კარზე მდივნის საპატიო თანამდებობა ეკავა. მას ეკუთვნის ცნობილი პოემა, "ქება დავით მეფისა" (sic.). პოემის დახვენილი სტილი და ავტორისეული ხედვის თავისთავადობა მკითხველს დღესაც აღაფრთოვანებს. მომაჯადოებლი ნიჭის გარდა, პოეტი ავლენს ანტიკური ფილოსოფიისა და სპარსული პოეზიის ღრმა ცოდნას.

ჩახრუხაძემ, თამარის კარის პოეტმა, შექმნა "თამარ მეფის ქება" პოემაში უდიდესი ოსტატობით არის აღწერილი დიდი მეფის გულუხვობა და საბრძოლო წარმატებები. ნაწარმოები, ამავე დროს, ისტორიული წყაროცაა და ცნობებს გვაწვდის იმ როლზე, რომელიც ქართველმა მეფემ ქრისტიანულ აღმოსავლეთში ითამაშა: თამარმა თავისი წონა აგრძნობინა დამასკოსა და ალეპოს სულთნებს და მათ ქრისტიანთა პატივისცემისკენ უბიძგა. პოემიდან ჩანს, რომ ჩახრუხაძე, ისევე როგორც მაშინდელი ქართველი საზოგადოება, საფუძვლიანად იცნობს პლატონს, არისტოტელეს და განსაკუთრებით, ნეოპლატონურ სკოლას.

ამავე ეპოქის შვილია უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, სახელგანთქმული პოემის, "ვეფხისტყაოსნის", ავტორი. შეუდარებლი ნიჭის პატრონი და მოაზროვნე, რუსთაველი დღესაც, შვიდი საუკუნის შემდეგ, არა მხოლოდ მეფობს ქართულ ლიტერატურაზე, არამედ ცოცხლობს ყოველი ქართველის გულსა და გონებაში, რომელ სოციალურ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. მისი გამონათქვამები ანდაზებად იქცა, პოემის ცალკეულ კუპლეტებსა და მთელ ნაწყვეტებსაც კი ხალხი ზეპირად წარმოთქვამს, ისინიც კი, ვინც წერა-კითხვის უცოდინარია.

აი, რას ამბობს არტურ ლაისტი რუსთაველის პოემის შესახებ "ვეფხისტყაოსანი ქართული ლიტერატურის ყველაზე პოპულარული პოემაა და ამასთან, უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელიც კავკასიის პოეტურ გენიას აქამდე შეუქმნია"

თავისი გენიალურობითა და მნიშვნელობით, რუსთაველის მნიშვნელობა ქართველი ერისთვის ისეთივეა, როგორიც დანტესი იტალიელებისათვის და შექსპირისა ინგლისელებისათვის.

"ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, რუსთაველს გენიოსი უნდა ვუწოდოთ, რადგან მან იმ დროს შექმნა რომანი, როცა ამ პოეტურ ჟანრს ევროპა ჯერ კიდევ არ იცნობდა", – აცხადებს ბარონი ზუტნერი.

ლიტერატურასთან ერთად, საქართველოში მეცნირება და ხელოვნებაც ვითარდება. ხუროთმოძღვრება სწრაფ აღმავლობას განიცდის VII საუკუნიდანვე. შენდება მრავალი ეკლესია-მონასტერი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე პალესტინასა და სინას მთაზე. თავიდან შეინიშნება ორმაგი გავლნის, აღმოსავლურისა

და ბიზანტიურის ჭიდილი, თუმცა თანდათანობით ყალიბდება თვითმყოფადი ქართული არქიტექტურა.

საქართველოში დღესაც შეგვიძლია დავტკბეთ მრავალრიცხოვან ტაძრებს, ციხე-სიმაგრეთა, სასახლეთა დიდებულებით. ყველაზე ცნობილი ძეგლებიდან შეგვიძლია დავასახელოთ სიონის საყდარი თბილისში, ძველი დედაქალაქის, მცხეთის, ტაძარი, გელათის დიდებული სტილის მონასტერი, თამარ მეფის რეზიდენცია ვარდის ციხე, არქიტექტურული შედევრი. სასახლე 360 დარბაზს იტევდა, თითოეული მათგანი მდიდრად იყო შემკული მოზაიკითა და მინანქრით. საქართველოს მთებზე უხვადაა შეფენილი ძველი ციხე-კოშკები და ეკლესიები.

ეს ძეგლები მოწმობს, თუ განვითარების რა მაღალ საფეხურზე იდგა ძველ საქართველოში ხუროთმოძღვრება და მხატვრული გემოვნება.

ქართული მხატვრობა, რომელიც ბიზანტიულ გავლნას თავს აღწევს და ეროვნულ ხასიათს იღებს XI საუკუნეში, აღმავლობას განიცდის. დღესავ ამშვენებს ქართულ ეკლესია-მონასტრებს სრულყოფილი ოსტატობით შესრულებული ძველი ფრესკები.

განსაკუთრებულ დახელოვნებას ქართველი ოსტატები ტიხრულ მინანქარში აღწევენ. კონდაკოვი, ბიზანტიური არქეოლოგიის სახელმოხვეჭილი სპეციალისტი, წერს: იმდროინდელ საქართველოში დიდი ოდენობით მზადდებოდა მინანქარი. ამას გელათის ტაძრის მაგალითიც მოწმობს. ამ დარგში საქართველოს მეტოქეობას მხოლოდ ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძარი თუ გაუწევდა. "

კიდევ უფრო ადრე, განსაკუთრებით XI საუკუნიდან, საქართველოში ჩნდება სამონასტრო სკოლები. დავით მეფე დიდ ყურადღებას აქცევს განათლებას, ხსნის მრავალ სკოლასა და აკადემიას. მის საქმეს თამარი აგრძელებს: სკოლების გვერდით, იგი აარსებს მეცნიერების ორ აკადემიას, სადაც საუკეთესო ფილოსოფოსები და სწავლულები მოღვაწეობენ.

ყოველწლიურად, სახელმწიფოს ან მეფის პირადი ხარჯით, მრავალი ახალგაზრდა იგზავნება უმაღლესი სწავლის მისაღებად საბერძნეთში.

იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებაში მეცნიერებას ისეთივე გამორჩეული ადგილი უკავია, როგორიც ხელოვნებას. ყოველწლიურად იწერება რამდენიმე ნაშრომი მედიცინის, ისტორიის, ასტროლოგიის, გეოგრაფიის, მათემატიკისა და სხვა დარგებში. სამონასტრო წიგნთსაცავები სავსეა ამ წიგნებით. სწავლული ბერები სამეცნიერო შრომებს არა მხოლოდ უცხო ენებიდან თარგმნიან, არამედ თავადაც ქმნიან ორიგინალურ შრომებს. აქვე დავასახელებთ დავითისა და თამარის ეპოქათა რამდენსამე სწავლულს.

დავით აღმაშენებლის მეფობის დროინდელ მეცნიერთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იოანე პეტრიწი, ცნობილი ფილოსოფოსი, გრამატიკოსი და ამავე დროს, ასტროლოგი. სამეცნიერო ნაშრომთა გარდა, მის კალამს ეკუთვნის პროკლე დიადოხოსის „კავშირი ღმრთისმეტყუელებითნის" და ნემესიოს ემესელის „ბუნებისთვის კაცისას" შესანიშნავი თარგმანები. საბა სვინგელოზს (1150), რიტორსა და ფილოსოფოსს, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორს, ბერძნულიდან უთარგმნია „ირმოლოგიონი". არსენ იყალთოელს ეკუთვნის წიგნი მონოფიზიტობის წინააღმდეგ. მასვე, ბიზანტიური სკოლის მოდელით, დაუარსებია უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. XI საუკუნის დამდეგს, იოანე გრძელისძეს დაუწერია საეკლესიო კრებათა ისტორია. XII საუკუნეში, თამარის

მეფობის დროს, ანტონ ჭყონდიდელი გვევლინება მეტად საინტერესო თხზულებების ავტორად ჯარის ორგანიზების შესახებ.

ზემოჩამოთვლილ სწავლულთა და მრავალმა სხვა ნაშრომმა დიდად გაამდიდრა სამეცნიერო ლიტერატურა.

საუბედუროდ, ქართული ცივილიზაციის ამ ძლევამოსილ აღმასვლას ზღვარი დაუდო მონღოლთა შემოსევებმა XII-XIV საუკუნეებში. გავერანებულ სახელმწიფოში კულტურაც დაცემისაკენ მიექანება. სიცოცხლის ძარღვის სუსტი ფეთქვა მხოლოდ XVI საუკუნიდან იწყება, თუმცა ეს აღორძინებული ლიტერატურა და ცივილიზაცია სრულიად არ ჰგავს X-XI საუკუნეებისას. მონღოლთა შემოსევების შედეგად დასუსტებული საქართველო ნელ-ნელა იკრებს ძალას. ლიტერატურა გადარჩენისათვის იწყებს ბრძოლას. სამონასტრო მუშაობა ნელ-ნელა ცოცხლედება, თუმცა მას წინანდელი გზნება აკლია.

საერო მწერლობა XVI საუკუნეში საქართვლოს სპარსეთთან დაახლოების შედეგად ვითარდება. კვლავაც გამობრწყინდება არაერთი დიდებული პოეტი და მწერალი.

XVI-XIX საუკუნეები ახალი ერაა საქართველოს ცხოვრებაში. თითქოს კიდევ ერთხელ მეორდება VII, VIII, XII საუკუნეთა ისტორია: ქართული მწერლობა ჯერ სპარსულით საზრდოობს, შემდეგ კი სძლევს გავლენას და ეროვნული თავისთავადობისაკენ ისწრაფვის. XVIII საუკუნისათვის საქართველოს უკვე ჰყავს სამი დიდი, თვითმყოფადი ნიჭით დაჯილდოებული ეროვნული პოეტი: არჩილი, დავით გურამიშვილი და ბესარიონ გაბაშვილი.

XIX საუკუნის ახალი ქართული მწერლობა და კულტურა ევროპაზეა ორიენტირებული და დიდ წარმატებასაც აღწევს. ქართული ლიტერატურა ევროპელი მოაზროვნეებისკენ მიაპყრობს მზერას. ეს მისწრაფება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის საქართველოში შეიიშნება: ერეკლე II-ის მეფობის დროს ითარგმნება ვოლტერი, ბომარშე, მონტესკიე და სხვა ევროპელი მწერლები.

მაღალ საზოგადოებაში არიან ვოლტერის, ლესინგისა და სხვათა მომხრეები და დამფასებლები. დავით ბატონიშვილი, ერეკლე მეფის შვილიშვილი და თავადაც მეფის ძე, ვოლტერიანი გახლდათ.

XIX საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული, ქართული ლიტერატურა გამოკვეთილად ევროპულ ხასიათს იძენს. მწერალთა, დრამატურგთა, პოეტთა და პუბლიცისტთა ახალი თაობები ამდიდრებენ ქართულ ლიტერატურას. ისინი ქმნიან ევოპულ მიმდინარეობას და მკითხველიც ამ გზით მიჰყავთ.

ივანე კერესელიძე, პატრიოტი მწერალი, საფუძველს უყრის ქართულ ჟურნალისტიკას. ეს უკანასკნელი სწრაფად ვითარება და ფართოდ ვრცელდება რამოდენიმე ათეულ წელიწადში. ქართულ პერიოდულ გამოცემებს ცარისტული მთავრობა დევნის, ცენზურა დაუნდობლად ავიწროებს, რედაქტორებს დაპატიმრება ემუქრებათ... მიუხედავად ამისა, გასული მარტის თვის რევოლუციამდე საქართველოში გამოდიოდა მრავალი ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური თუ პერიოდული ჟურნალ-გაზეთი. ქართველ მოაზროვნეთა მიერ შექმნილი საზოგადოების ძალისხმევით დაარსდა ეროვნული თეატრი და სამი სხვა ეროვნული დაწესებულება: საადგილმამულო ბანკი და მისი შემოსავლით დაფინანსებული თეატრი და თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მთელ ქვეყანაში ხსნის სკოლებს, იაფად გამოცემს ქართულ წიგნებს და მათ უფასოდ ავრცლებს მოსახლეობაში, აარსებს ბიბლიოთეკებს, ინახავს დიდ ეროვნულ მუზეუმს და ა.შ.

ქართული მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში ისწავლება. ყველა სხვა სასწავლო დაწესებულებიდან მშობლიური ენა განდევნილია და აკრძალული.

მხატვრობა, მუსიკა და ხელოვნების სხვა დარგები ევროპულ კვალს მიჰყვება და სწრაფ აღმავლობას განიცდის. თეატრი ქართველთა გონებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილს იჭერს. მისი ისტორია XVIII საუკუნეში იწყება, იმ ეპოქაში, როცა წარმოდგენები მეფის კარზე იმართებოდა. რეპერტუარში, სხვა დრამატურგთა შორის, წარმოდგენილი იყო ქართულად თარგმნილი რასინი.

ერეკლეს მეფობისას, 1790 წელს, ტფილისსა და თელავში დაიდგა სპექტაკლები ქართული თეატრის მხარდასაჭერადა და წასახალისებლად. მაგალითს თავად-აზნაურობა იძლეოდა, რომელიც სცენაზე თამაშს არ თაკილობდა. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ დავით ბატონიშვილი, ერეკლე მეფის ქალიშვილები, ავალიშვილების საგვარეულო.

ამავე პერიოდში ითარგმნება და იწერება მრავალი შესანიშავი პიესა. მათ შორის აღსანიშნავია ავალიშვილის მეტად ორიგინალური კომედია „უბნობა მკვდართა", რომელიც დასმა ერეკლე მეფის წინაშე ითამაშა. ამავე ავტორს მიეკუთვნება „მეფე თეიმურაზი" 1850 წლიდან თეატრის მოღვაწენი იწყებენ მუდმივი დასის შექმნაზე ზრუნვას. მალე თეატრისათვის ლამაზი შენობაც აიგო.

ქართველი საზოგადოება მგზნებარედ ეხმაურება თეატრის საკითხს. იბეჭდება მეტად ღირებული წერილები. ევროპის საუკეთესო თეატრებიც არ იტყოდნენ უარს ისეთ მსახიობებზე, როგორებიც არიან აბაშიძე, მესხიშვილი, კოტე მესხი, ქ-ნ ავალიშვილი, ნინო ჩხეიძე.

ფურცელაძე, ერისთავი, გუნია და სხვანი მდიდარ სასცენო ლიტერატურას ქმნიან. დღეისათვის საქართველოს ყოველ მნიშვნელოვან ქალაქს საკუთარი თეატრი გააჩნია, სადაც წარმოდგენები რეგულარულად იმართება. მარტო თბილისში რამდენიმე თეატრია. ქუთაისსა და ბათუმსაც თავ-თავიანთი თეატრები აქვთ. ქართულად ნათარგმნია თითქმის ყველა ცნობილი ევროპელი ავტორი: შექსპირი, შილერი, მოლიერი, კორნელი, ჰაუპტმანი, იბსენი, სუდერმანი და სხვ. სცენაზე შესანიშნავად განსახიერებული ამ ავტორების შეყვარება უკვე მოასწრო ქართველმა მაყურებელმა.

ცარისტული მთავრობა აქაც, ისევე როგორც ქართველთა სულიერი და გონებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ბევრს ეცადა, წინსვლა შეეფერხებინა. იგი ყველა ღონეს მიმართავდა, რომ ჩაეკლა ქართული თეატრი, მაგრამ ვერას გახდა: ქართველი საზოგადოება თავგანწირვით იბრძოდა საკუთარი თეატრის გადასარჩენად.

1905, 1906 და 1907 წლებში საქართველომ აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის რევოლუციაში. ამ რევოლუციამ, რომელიც ქართველი ხალხის ყველა კლასს მიწვდა და ეროვნული ცხოვრების საფუძვლები შეარყია, ახალი ერა ამცნო ქვეყნის ისტორიაში.

მას შემდეგ საქართველომ სწრაფი ნაბიჯით გასწია პროგრესისაკენ. გასული მარტის რევოლუციას აქ ნიადაგი სავსებით მომზადებული დახვდა. ქართველ-

მა ხალხმა არ დააყოვნა, სკოლისა და ეკლესიის ნაციონალიზაცია მოეხდინა და ამით თავისი ცხოვრება ეროვნულ საფუძვლებზე დაეყენებინა.

გამალებული მუშაობა დღესაც გრძელდება, თუმცა მისი წარმატება ბევრად. იქნება დამოკიდებული რუსეთის საშინაო და საგარეო საქმეებზე.

II ნაწილი
ისტორიული მიმოხილვა
I

საქართველოს ისტორიის მეტად მოკლე მიმოხილვას ქრისტიანობის დამკვიდრებით დავიწყებთ და საქართველო-რუსეთის ურთიერთობით დავასრულებთ. ამ უკანასკნელზე უფრო ხანგრძლივად შევჩერდებით. სანამ უშუალოდ ისტორიული ფაქტების თხრობაზე გადავალთ, რამდენიმე სიტყვით წარმოგიდგენთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მთავარ მიმართულებებს VII საუკუნიდან XIX საუკუნემდე.

ქვეყნის გარეთ მომხდარი მოვლენები, დაუსრულებელი ომები, მტრის შემოსევები, გავლენები გამუდმებით არღვევდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მდინარებასა და ხშირად ცვლიდა მის მიმართულებას. გულმოდგინე კვლევა შემდეგი განზოგადების უფლებას გვაძლევს

1. VII-VIII საუკუნებიდან მოყოლებული XIX საუკუნის შუა წლებამდე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საფუძველი ფეოდალური წყობაა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში კერძო სამართალი საზოგადოებრივი სამართლისაგან არ განიყოფა. სახელმწიფო, როგორც წესი, ფეოდალთა ძალაუფლებას ებრძვის და აბსოლუტიზმის დამკვიდრებას ლამობს. მას სურს, ერთ კვერთხქვეშ გააერთიანოს მთელი საქართველო, მაგრამ ფეოდალთა წინააღმდეგობას აწყდება. იშვიათად, სახელმწიფო გამარჯვებული გამოდის და მაშინ ქვეყანას პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანა უდგება. უმეტესწილად, სახელმწიფო უძლურია ფეოდალური წყობის წინაშე. მის წარმატებას ხელს უშლის ქვეყნის გარეთ დატრიალებული მოვლენები, განუწყვეტელი ომები. შინაური ბრძოლა იქამდე გრძელდება, სანამ ძირმომპალ ფეოდალიზმზე დამყარებული საქართველო პოლიტიკურად არ დაიღუპება. მას ორი მტრული ძალა მოუღებს ბოლოს: ფეოდალიზმი და გარეშე მტერი. ფეოდალიზმით დასუსტებული ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზმი ვერ გაუმკლავდება ცარისტული ხლისუფლების მიერ მიყენებულ მუხანათურ დარტყმებს და ეცემა. თუმცა ეს მხოლოდ პოლიტიკური სიკვდილია. ერი კვლავაც სუნთქავს, თავიდან ძლივს შესამჩნევად, შემდეგ კი უფრო და უფრო ძლიერად. იგი კვლავ იკრებს სასიცოცხლო ძალას. ეროვნულ ცხოვრებას უკვე სხვა საძირკველი ედება. პოლიტიკურად მოღონიერებული საქართველო სწორედ ამ ახალ საძირკველზე დაყრდნობით შეუდგება მომავლის შენებას.

2. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველო დაუღალავად და შეურიგებლად იბრძვის ეროვნული ტერიტორიის შესანარჩუნებლად.

3. საქართველო ქრისტიანობის სახელით ებრძვის მაჰმადიან მტერს. ეს ბრძოლა, თუმცა გარეგნულად რელიგიურ ბრძოლას მიაგავს, შინაგანად წმინდად ეროვნული ხასიათისაა. ამას ადასტურებს ერთმორწმუნე რუსეთთან დაპირისპირება, რაც რუსეთის საქართველოში უკანონო დამკვიდრებისთანავე იწყება.

4. ქართველები გამუდმებით ებრძვიან ეროვნული ცივილიზაციის მტრებს. ეს ბრძოლა მრავალი ფორმით გვევლინება, ზოგჯერ თითქოს წყდება კიდეც, მაგრამ საკმარისია, საქართველო სასოწარკვეთილების პირას მივიდეს, რომ ამ ბრძოლამ ხელახალი ძალით იფეთქოს და ერს სიცოცხლის ნიშანი მისცეს. მისი წყალობით, საქართვლო ინარჩუნებს ეროვნულ სახეს, ენას და განაგრძობს განვითარებას. რუსეთის ყოფილი მთავრობის მიერ გატარებული რუსიფიკაციის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა მთელი საუკუნე გრძელდება.

5. საქართველო თვალნათლივ ისწრაფვის, ინტელექტუალურად და მორალურად გამოირჩეს მეზობელი ქვეყებისაგან და ინტელექტუალური, მორალური და პოლიტიკური კავშირი დაამყაროს ევროპასთან. თუმცა, ამ კავშირს წინ ეღობება ერთი მხრივ, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური ვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ევროპის სრული დაუინტერესებლობა მისით. ევროპის მიმართ სწრაფვა დღეს კიდევ უფრო შესამჩნევია. ინგლისთან, გერმანიასა და საფრანგეთთან არსებობს საკმაოდ რეგულარული სავაჭრო კავშირები. საქართველო მათ მინერალებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აწვდის ზღვით, ბათუმიდან.

II

საქართველო ქართულად „საქართველოდ" და „ივერიად" იწოდება. მუსულმანები მას „გურჯისტანად" მოიხსენიებენ; ბერძნები „კოლხეთის" სახელით იცნობენ და ა. შ.

საქართველო ამიერკავკასიის ნაწილია. იგი მოიცავს მდინარეების – ჭოროხის, ენგურის, რიონის აუზებს, ასევე მტკვრის ზემო ზეგანსა და ცენტრალურ აუზს.

საქართველო რამდენიმე მხარედაა დაყოფილი. ეს მხარეები, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოსახლეობას საერთო წარმომავლობა, საერთო ენა, წეს-ჩვეულებები და ისტორიული წარსული ჰქონდა და ერთად შეადგენდა ქართველ ერს, ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. არსებობდა ქართლ-კახეთის (დედაქალაქი თბილისი, ამჟამინდელი მოსახლეობა 350 000), იმერეთის (დედაქალაქი ქუთაისი, 50 000 მცხოვრებით) სამეფოები, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები და სხვ.

საქართველოს გააჩნია პორტებიც – ბათუმი, ფოთი, სოხუმი. ყველა დასახელებული რეგიონი დღეს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. საქართვლოს მოსახლეობა სამ მილიონს შეადგენს.

* * *

აქ ვერ შევუდგებით საქართველოს გაქრისტიანების ისტორიის თხრობას. უბრალოდ, იმის თქმას დავჯერდებით, რომ ქრისტიანობა საქართველომ IV საუკუნეში მიიღო და რომ აქაც, როგორც სხვა ქვეყნებში, მის გავრცელებას ბრძოლა, ქადაგება და ადამიანთა ზნეობრივი და გონებრივი მომწიფება დასჭირდა. საქართველოში ქრისტიანობამ ორი სხვადასხვა მხრიდან შემოაღწია: აღმოსავლეთ საქართველოში იგი პირდაპირ პალესტინიდან, სირიიდან და სასომხეთიდან შემოდიოდა, დასავლეთ საქათველოში კი – ბიზანტიისა და კაპადოკიის გზით და ბერძნულ ხასიათს ატარებდა.

გადმოცემის თანახმად, ქრისტიანობა საქართველოში კაპადოკიელმა წმინდა ნინომ იქადაგა. როგორც თქმულება გადმოგვცემს, ქალწულმა ნინომ, ქართველთა მოქცევის სურვილით ანთებულმა, ვაზის ლერწებისაგან გაკეთებული ჯვარი საკუთარი თმით შეკრა. მან სასწაულის ძალით მოაქცია მეფე მირიანი და მისი ქვეშევრდომნი. ქრისტეს რჯულმა საქართველო მჭიდროდ დაუკავშირა ბიზანტიას. ამით აიხსნება ბიზანტიური ცივილიზაციის ის გავლენა, რაც განსაკუთრებით VI საუკუნიდან იჩენს თავს. ქრისტიანობის შემოსვლა და ბიზანტიასთან მეზობლობა ქართული ცივილიზაციის აღმასვლას განაპირობებს, თუმცა VI საუკუნიდან IX საუკუნის დასასრულამდე ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისს განიცდის.

აღმოსავლეთ საქართველოში იწყება უმეფობის ხანა, რომელიც მთელი ორი საუკუნე გრძელდება. მეფის ძალაუფლება გარეშე დამპყრობელმა გააუქმა: ჯერ სპარსელებმა, შემდეგ – არაბებმა. ეს ვითარება 888 წლამდე გაგრძელდა, როცა მეფობა კვლავ აღდგა.

უმეფობამ თავად-აზნაურობას საშუალება მისცა, საკუთარი ძალაუფლება გაეზარდა. ამ პერიოდში საქართველოს სპარსთა და არაბთა მიერ დანიშნული მოხელეები განაგებდნენ. ეს უცხოელი გამგებლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ თავად-აზნაურობა ერთ ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაქვემდებარებოდა და ამას ეროვნული ძალების გაერთიანება არ მოჰყოლოდა. მათ კარგად ესმოდათ, რომ ფეოდალთა ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ დარაზმვა ცენტრალიზებული, ძლიერი სახელმწიფოს, შექმნით დასრულდებოდა. ეს სახელმწიფო ძალა კი მათსავე წინააღმდეგ მობრუნდებოდა. ერთი ხელისუფლების ქვეშ მოქცეული საქართველო კი უფრო ადვილად გათავისუფლდებოდა დამპყრობთაგან, ვიდრე დაქუცმაცებული ქვეყანა, რომელსაც ურთიერთმოშუღლე ფეოდალები მართავდნენ. ფოდალებმა ისარგებლეს სამეფო ტახტის გაუქმებით. მათი ძალაუფლება თანდათან გაიზარდა და თითოეული მათგანი თავისი სამფლობელოს ნამდვილ მეფედ იქცა. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ფეოდალიზმის განვითარებას. 888 წლისთვის, როდესაც საქართველოში მეფობა აღდგა, ქვეყანა მრავალ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილი და სახლმწიფო ხელისუფლება დიდგვაროვნებს ჰქონდათ დანაწილებული. VII-VIII საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე, ანუ რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებამდე, ქართულ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას საფუძვლად ფეოდალური ურთიერთობები ედო. ამ ურთიერთობებზე იყო აგებული აგრეთვე კერძო საკუთრება და სახელმწიფო სამართალი.

სახელმწიფო ძალაუფლებას ფეოდალი იმის წყალობით იძენს, რომ მიწათმფლობლია. საქართველოში ეს ვითარება, რომლის სრული გაუქმებაც ვერასდროს მოხერხდა, თითქმის ყოველთვის იყო ქვეყნის უბედურების მთავარი წყარო. როგორც კი ქართველმა მეფეებმა ტახტი დაიბრუნეს, მაშინვე იწყეს საკუთარი უფლებების განმტკიცება და ფეოდალებთან ბრძოლა, რათა ისინი, შეძლებისდაგვარად, სამეფო ხელისუფლების ქვეშ მოექციათ.

სახელმწიფო ინტერესებსა და ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა ამგვარ ქმედებას ითხოვდა. მაგრამ ფეოდალთა ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება საკმარისი არ იყო. ეროვნული ინტერესის დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო მთელი საქართველოს გაერთიანება ერთი მეფის გარშემო, ერთ სახელმწიფოდ შეკვრა. ქართველი გვირგვინოსნები ამას მალევე მიხვდ-

ნენ. მათ შორის ყველაზე ძლიერებმა და შორსგამჭვრეტემა სცადეს, თავიანთი ძალა გამოეყენებინათ და შემოერთებინათ შედარებით სუსტი სამეფოები. ეს ბრძოლა IX საუკუნეში იწყება და XI საუკუნემდე გასტანს. დავით მეფე შეძლებს, თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანოს საქართველო. ისტორიკოსები საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ამ ეპოქას „გაერთიანების პოლიტიკის ეპოქას" უწოდებენ. ამ ეპოქის მეფეები დაუღალავად იღწვიან მთელი ქვეყნის ერთიანობისათვის და არ უშინდებიან არანაირ დაბრკოლებას. ასეთია, მაგალითად, ბაგრატ III (1008), რომელმაც ამ მიზანს თავისი ორი ძმისწული შესწირა. ამ დიდებულმა მეფემ, რომელმაც ქართლისა და კახეთის სამეფოები გააერთიანა, ნაწილობრივ შეასხა ხორცი ეროვნულ იდეალს.

III

პერიოდი, რომელის XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის დამდეგამდე გრძელდება, ერთი უბრწყინვალესთაგანია საქართველოს ისტორიაში. ამ დროს ქვეყანა აღწევს თავისი პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული განვითარების მწვერვალს. ეს პერიოდი, რომელიც დავითის მეფობით (1089-1125) იწყება, „ოქროს ხანად" მოიხსენიება. ეს მართლაც ოქროს ხანაა საქართველოს ისტორიაში. დავითი ტახტზე სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის (sic.) ადის. ამ დროისათვის სამეფოს პოლიტიკური და სოციალური ვითარება მძიმე და სავალალო სურათს წარმოადგენდა. ქვეყანა ნანგრევებით იყო მოფენილი და სრული არეულობა სუფევდა. აღმოსავლეთი არაბთა ბატონობის ქვეშ იყო, დასავლეთი – თურქების.

სამეფოს ზოგიერთ რეგიონში სპარსელები თავისუფლად თარეშობდნენ, მოსახლეობას აწამებდნენ და ქვეყანას ავერანებდნენ. ტფილისი, დედაქალაქი, არაბებს ეპყრათ. არც სოციალური თვალსაზრისით იყო საქმე უკეთესად: ფეოდალები შექმნილი ვითარებით სარგებლობდნენ და არაფერზე წუხდნენ. რაც შეეხება ეკონომიკას, იგი სრულიად იყო მოშლილი. ქვეყანას აკლდა სკოლები, გზები და ა. შ. დაფლეთილ, ქანცმილეულ საქართველოს ძალა რომ მოეკრიბა, ტახტზე ახლად ასულ მეფეს ძნელი ამოცანა უნდა შეესრულებინა: იგი უნდა გამკლავებოდა მრავალრიცხოვან მტერს და შეერყია მისი უღელი, მოეთოკა და ტახტისათვის დაემონებინა ურჩი დიდებულები, გაეტარებინა ქვეყნის საკეთილდღეოდ აუცილებელი რეფორმები და ა. შ. დავითმა, როგორც პროფ. ხახანაშვილი ამბობს, მისდა სასახელოდ, თავი გაართვა ამ ამოცანას, მიაღწია დაქუცმაცებული ქვეყნის გამთლიანებასა და სამხედრო ძლიერებას.

დაკვირვებული ისტორიკოსი შენიშნავს, რომ დავითამდე სხვა მეფეებიც იღწვოდნენ იმავე იდეებისათვის. დავითის მსგავსად, ისინიც ქვეყნის ხსნას ფეოდალთა დამორჩილებაში, ერთ სამეფოდ გაერთიანებასა და აბსოლუტური მონარქიის შეამნაში ხედავდნენ. სწორედ ამ წინამორბედებმა მოუმზადეს დავით მეფეს ის საფუძველი, რომელზეც მან გაერთიანებული და ძლევამოსილი საქართველო დააშენა. თუმცა დავითამდე ეს ბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ბრძოლის სისტემა არავის ჰქონია. დავითი ბოლომდე მიჰყვა არჩეულ გზას. გამჭრიახმა მფემ წინასწარ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. მან კარგად უწყოდა, რომ სანამ ქვეყანა მტერს ეპყრა, ვერანაირ რეფორმას ვერ გაატარებდა, ამიტომაც მთელი ძალა დამპყრობლის განდევნისაკენ მიმართა. მან შეძლო, ჯვაროსანთა წარმატებები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და საქართველო დამპყრობლისაგან გაეთავისუფლებინა. მან სპარსელებს

საკუთარი ძალა უჩვენა და ისიც კი მოახერხა, რომ ჯვაროსნების დასახმარებლად მოზრდილი რაზმი გაეგზავნა. მას შემდეგ, რაც გარეშე მტერს გაუსწორდა, დავითმა ერის კეთილდღეობაზე ზრუნვასა და ადმინისტრაციული და პოლიტიკური რეფორმების გატარებას მიჰყო ხელი.

«საქართველოს ერთიანობა", – აი რა იყო ერის მთავარი საზრუნავი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ქვეყნის ძალა მხოლოდ ერთიანობაში იყო. მხოლოდ მას შეეძლო დაეცვა საქართველო გარსმოხვეული უამრავი მტრისაგან. დავითმა შეძლო ამ ერთიანობის მიღწევა. მან თავისი კვერთხის ქვეშ გააერთიანა სრულიად საქართველო და მისგან სახელმწიფო შექმნა. ამის შემდგომ მას ფეოდალები ცენტრალური ხელისუფლებისადმი უნდა დაემორჩილებინა და ბოლო მოეღო ქვეყნის დანაწევრებისადმი სწრაფვისათვის. აქაც, დიდებულებთან ბრძოლაში, ამ გენიალურმა პიროვნებამ უტყუარ გზასა და საუკეთესო ტაქტიკას მიაგნო. მან ნათლად დაინახა, რომ სანამ ფეოდალებს თავ-თავიანთი ჯარი ჰყავდათ, საჭიროების ჟამს მეფე იძულებული იქნებოდა საშველად მათთვის მიემართა და მათზე ყოფილიყო დამოკიდებული. ამ პირობებში შეუძლებელი ხდებოდა წარმატებული ბრძოლა ფეოდალთა თვითნებობის წინააღმდეგ. მეფე მხოლოდ მაშინ შეძლებდა ფეოდალებზე გავლენის მოხდენასა და მათ დამორჩილებას სამეფო ხელისუფლებისადმი, თუ სახელმწიფოს საკუთარი, მხოლოდ მეფეზე დამოკიდებული სამხედრო ძალა ეყოლებოდა.

ამიტომაც დავითმა მუდმივი ჯარი შექმნა. მან 50 ათას კაციანი ჯარი დაიქირავა და უშუალოდ საკუთარ ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ამით ზურგგამაგრებულმა დაუნდობლად შეუტია ურჩ ფეოდალებს. საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს წინააღმდეგობის გაწევა ეცადა, რომ დავითი ჯარით მაშინვე თავს დასტყდომოდა და გაენადგურებინა. ორგული დაუნდობლად ისჯებოდა. მოწყალე მეფეები უმოწყალენი ხდებოდნენ, როცა ამას სახელმწიფო ინტერესები ითხოვდა. დიდი მეფის ღირსებები ყოველთვის მისი ეპოქის მოთხოვნებით განიზომება. დავითი თავისი ეპოქის შვილი იყო. ეპოქა რკინის ხელს საჭიროებდა. დავითს სიცოცხლეც ბევრისთვის წაურთმევია, მაგრამ ერისათვის იგი მკვლელი როდი იყო, არამედ დიდი მეფე, უფლისაგან ცხებული.

სამეფო რეფორმათა შემდგომი საფეხური იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე დემოკრატიული რეფორმის განხორციელება. მანამდე სახელმწიფო თანამდებობები თავად-აზნაურობის ხელში იყო. დავითმა თანამდებობიდან გაათავისუფლა მრავალი ორგული ფეოდალი. მაგრამ ბევრი მეფისაგან განსხვავებით, რომლებიც მის ადგილას უბრალოდ ორგულებს ერთგულებით შეცვლიდნენ, დავითმა გათავისუფლებულ ადგილებზე ხალხიდან გამოსული ადამიანები დანიშნა. ამგვარად, სახელმწიფო თანამდებობები ნელ-ნელა დიდგვაროვნებიდან უბრალო, ხალხის წრიდან გამოსული, როგორც უკმაყოფილონი ამბობდნენ, „უსახელო" ადამიანების, ხელში გადავიდა.

დავითის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა იყო ქვეყნის დაყოფა რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად. მათი მართვა მეფემ დიდებულებს კი არ მიანდო, არამედ სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამგვარად, სახელმწიფო ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ქართულ ნიადაგზე, იზიდავს, თავს უყრის და ზრდის ეროვნულ ძალებს.

აღსანიშნავია დავითის საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი ღვაწლიც. მან დააარსა მრავალი სკოლა, გაიყვანა საკომუნიკაციო გზები, ხელი შეუწყო

ვაჭრობის განვითარებას, გარდაქმნა ეკლესიის ორგანიზაცია და სხვ. დიდმა მეფემ არა მხოლოდ ერთ კვერთხქვეშ გააერთიანა საქართველო, არამედ მას მიუერთა ოსეთი, დაღესტანი და კავკასიის სხვა ქვეყნები. ამგვარად, შეიქმნა ვრცელი იმპერია, რომელიც კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, კავკასიონიდან ყარსამდე იყო გადაჭიმული. დავითმა ნანგრევებიდან ააღორძინა და ააყვავა საქართველო, დამონებული ქვეყნიდან თავისუფალი და ძლიერი სახელმწიფო შექმნა. მადლიერმა საქართველომ მას „აღმაშენებელი" უწოდა და ისტორიაშიც სწორედ ამ სახლით იხსენიება.

ქართლში, ქალაქ გორის ერთ მაღლობზე, დღესაც შენიშნავთ დიდებულ ციხე-სიმაგრეს, რომელიც, ქვეყნის თავზე დარაჯად ამართული, ამაყად დასცქერის მას. მართლაც, იყო დრო, როცა დავით აღმაშენებლის აგებული ეს ციხე მხარში ედგა და შეუპოვრად იცავდა საქართველოს. მან საუკუნეებს გაუძლო და დღესაც შეგვახსენებს წარსულის სახელოვან დღეებსა და დიდი მეფის სახელს.

დავით მეფე 1125 წელს გარდაიცვალა. დაკრძალეს მისსავე აშენებულ გელათის ტაძარში. ტაძრის შესასვლელში, გრანიტის ფილაზე, წარწერილია: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. რამეთუ მთნავს ესე. ამასა დავემკვიდრო მე."

ბრწყინვალე ეპოქა, რომელიც დავითის მეფობით იწყება, მასთან ერთად არ თავდება. იგი XIII საუკუნემდე გრძელდება. ამ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი თამარ მეფეა. მასზე რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით და ამით დავასრულებთ მიმოხილვას ეპოქისა, რომელიც ყველაზე ლამაზ ფურცლად ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. იგი ღრმად ჩაიბეჭდა ქართველთა გულებში, გაჭირვებისას დღესაც ნუგეშს სცემს ერს და ამხნევებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ისტორიის ცისკარი დავით აღმაშენებლით იწყება, თამარი კი მისი ყველაზე სხივოსანი და მანათობელი მზეა. ოქროს ხანაზე საუბრისას ერნესტ შანტრი აღნიშნავს: „საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში, რომელიც X საუკუნიდან XIII საუკუნემდე გრძელდება, ბრწყინავს ერთი სახელი – თამარ მეფე, რომელიც აჯამებს ყოველგვარ დიდებასა და წარმატებას."

თამარის მეფობა საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ზეობის ხანაა. ამ დროს მწვერვალს აღწევს მეცნიერება, ხელოვნება და განსაკუთრებით, ლიტერატურა.

გენიალური თამარი დავითის პოლიტიკას აგრძელებს. იგი, მოსალოდნელი საფრთხე რომ აიცილოს, პირველ რიგში გარეშე მტერს ასუსტებს და თავისი ძალაუფლების ქვეშ აქცევს. იგი დიდი წარმატებით ილაშქრებს სპარსელთა წინააღმდეგ, ხელთ იგდებს განჯის პროვინციასა და მის სიმდიდრეებს. თამარის გამარჯვებებით შეშფოთებული ალეპოს სახელგანთქმული სულთანი საქართველოში 800 ათასიან ჯარს[2] აგზავნის. ქართველები მტერს უტევენ, უკუაქცევენ და მდიდარ ალაფსაც იგდებენ ხელთ.

თამარმა ომი გამოუცხადა ბიზანტიის იმპერატორ ალექსი ანგელოსს, რადგან მიიჩნია, რომ იგი საქართველოს ინტერესებს ლახავდა. ქართველებმა დაიკა-

2 ბასიანის ბრძოლაში მტრის რიცხვი 400 ათასამდე იყო (მთარგმნ.).

ვეს ტრაპიზონი და შავი ზღვის მიმდებარე რამდენიმე პროვინცია. თამარმა სწორედ ამ მიწებიდან შექმნა ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც სათავეში საკუთარი ნათესავი, ალექსი კომნენოსი ჩაუყენა. „ამრიგად, გამჭრიახმა, მამაცმა დიდმა თამარმა თავისი ქვეყანა დასავლეთ აზიის ხალხთა სათავეში მოაქცია. დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშით, მან აღმოფხვრა შემოსევათა საფრთხე და თავის ერს ოცდაათწლიანი ბედნიერება და უსაფრთხოება მოუტანა“ (ე. შანტრი).

ქართული ცივილიზაცია თამარის მეფობისას თავის უმაღლეს საფხურზე ავიდა. სწორედ ამ დროს აიგო არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები – საქართველოს ულამაზესი ეკლესიები, ციხეები და სასახლები. ვარძიის სასახლე, ხელოვნების ეს შედევრი, 360 ოთახისაგან შედგებოდა. მისი დიდებული ნაშთი დღესაც იწვევს საყოველთაო აღფრთოვანებას. დღევანდელი ქართველი, ამ ვრცელ დარბაზებს რომ ათვალიერებს, ფიქრით იმ სახელოვან წარსულში გადადის და თვალწინ უდგება მეფე, ერთგულ დიდებულებთან დიად გეგმებზე მოთათბირე. თამარმა მრავალი სკოლა და აკადემია დააარსა. იგი საკუთარი ხარჯით უმაღლესი სწავლის მისაღებად საბერძნეთში აგზავნიდა ყმაწვილებს. დავითის მსგავსად, მანაც გაჭრა არხები, გზები, ხელი შეუწყო ვაჭრობას. სწორედ ამგვარი საქმიანობით დაიმსახურა მან „დიდი მეფის“ სახელი, რაც ერმა სიბრძნის გამო უწოდა. თამარის მეფობის დროს ქართულმა ლიტერატურამ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია.

ხალხმა, რომელიც გმირთა საუკეთესო დამფასებელია, ჯეროვანი პატივი მიაგო თამარს. როგორც ე. შანტრი წერს, „ერთ მეფეს წილად არ რგებია ამგვარი ჯილდო და არც ერთ ერს ამაზე მეტად არ გაუღმერთებია დიდი სახელი.“

თამარი ერის ჭეშმარიტი სიწმინდეა. ხალხი ქედს იდრეკს მის წინაშე, მასზე ლოცულობს. მის შესახებ შექმნილია ათასობით პოეტური ლეგენდა. მთელი მისი პიროვნება და ცხოვრებაც ხომ სილამაზითა და პოეტურობით იყო აღსავსე. ენით აღუწერელი სილამაზითა და ზნეობრივი სიკეთით შემკულ მეფეს გარს ეხვივნენ მისი მადიდებელი პოეტები. ჩახრუხაძემ მას მიუძღვნა საუკეთესო ლექსები, რუსთაველმა მისთვის დაწერა პოემა, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა (sic.): ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.“ ვახუშტი თამარს ღვთაებრივ მეფეს უწოდებს. თამარის დროს მოჭრილ მონეტებზე ვკითხულობთ: „დედოფალი დიდებული მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა. განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.“

მთის მოსახლეობის წარმოსახვაში სათაყვანო მეფეს თავს ოქროს გვირგვინი ადგას და ტანთ სხივოსანი ძვირფასი თვლებით შემკული სამოსი აცვია. ხალხმა თამარის სახელოვან საქმეებს ბევრი სიმღერა მიუძღვნა. ტყის პირას ჩამომჯდარი სევდიანი ხმით მოღიღინე მწყემსი დღესაც მიმართავს თამარს და ქვეყნის საშველად უხმობს: „აღსდექ თამარ დედოფალო, შენთვის ტირის საქართველო; აღსდექი და დაიხსენი შენი ბედკრული სამშობლო!“

ეს კაეშნიანი სიმღერები სიყვარულითაა გამთბარი, რადგან მათში ერთმანეთს ერწყმის სევდიანი აწმყო და სანუკვარი წარსული.

IV.

თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ბედი უკუღმა დატრიალდა. თამარმა მნათობივით გაიბრწყინა და მასთან ერთად ქვყნის დიდების მზეც ჩაესვენა. ქვეყანას წინ ახალი უბედურება ელოდა: მონღოლთაგან აოხრებული, იგი

ხელახლა უნდა დაქუცმაცებულიყო და დაეკარგა ის გზა, რომელზეც დიდმა მეფეებმა – ბაგრატ III-მ, დავით აღმაშენებელმა და თამარმა – დააყენეს.

განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია. ამ პერიოდიდან მოყოლებული, პოლიტიკურად დაკნინებულ საქართველოს წამოდგომა XVIII საუკუნემდე, ერეკლეს მეფობამდე, არ ეწერა. თუმცა მისი ეს გაბრძოლება სასიკვდილოდ დაჭრილი ლომისას ჰგავდა, რომელიც, სანამ სისხლისგან დაიცლება, უკანასკნელად ეკვეთება მტერს.

მონღოლებმა სპარსეთის დაპყრობა 1219 წლიდან დაიწყეს. მალე ეს ველური ტომები საქართველოსაც შემოესივნენ და ააოხრეს. მონღოლთა ლაშქრობებმა საქართველოს პოლიტიკური კარიერა დაასამარა და ქვეყნის ერთიანობა მოშალა.

საქართველოს დაცემა მხოლოდ ამ ფაქტით არ აიხსნება. მეორე მიზეზი, რომელიც არა ნაკლებ ვნებდა ქვეყნის მთლიანობას, მისსავე შიგნით იყო საძიებელი. როგორც ყოველ შუა საუკუნეობრივ საზოგადოებაში, საქართველოშიც განუწყვეტლივ მოქმედებდნენ ცენტრიდან განმზიდავი, მთლიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული ძალები. დავითმა და მისმა ღირსეულმა მემკვიდრეებმა შეძლეს, ქვეყანა ერთ კვერთხქვეშ გაეერთიანებინათ, თუმცა ეს მთლიანობა ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი. მის განსამტკიცებლად, ალბათ, საჭირო იყო რომ დავითს მისი სწორი მემკვიდრეები ჰყოლოდა და საგარეო ვითარებაც ხელსაყრელი ყოფილიყო. სამწუხაროდ, მონღოლთა შემოსევებმა ალექსანდრე მფეს საშუალება არ მისცა, წინამორბედ მეფეთა პოლიტიკა განეგრძო და მან სამეფო თავის ვაჟებს დაუნაწილა.

ამიერიდან საქართველომ, როგორც ერთიანმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა და ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მთლიანი საქართველოს ნაცვლად ახლა არსებობდა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები და ა. შ. დაქუცმაცებულ ქვეყანას მრისხანე მეზობლები თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ და ისიც იძულებული შეიქნა, თავდაცვაზე ეფიქრა, ძლიერი მტრის გასამკლავებლად მოკავშირე ქვეყანა ეძებნა. გასაკვირი არაა, რომ საქართველომ ერთმორწმუნე რუსეთში დაინახა ყველაზე სანდო მოკავშირე.

საქართველოს დაცემის მიზეზების ამ მიმოხილვის შემდეგ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობას გადავხედოთ. ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს ურთიერთობა საქართველოს რუსეთის იმპერიასთან სრულ შეერთებამდე და პოლიტიკურ სიკვდილამდე მიიყვანს. ნუ დავივიწყებთ, რომ აქ დროებითი სიკვდილი გვაქვს მხედველობაში. როგორც ქართველი პოეტი წერეთელი ამბობს, „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს.“ დიახ, გაიღვიძებს, რადგან ის კვლავაც ესწრაფვის პოლიტიკურ სიცოცხლეს!

V.

XV საუკუნეში ხდება საქართველოსთვის საბედისწერო მოვლენები. ქვეყნის არსებობას ორი ისტორიული ფაქტი ემუქრება. პირველ ყოვლისა, ეცემა კონსტანტინოპოლი, რაც საქართველოს ევროპის გზას უხერგავს და აზიაში ამწყვდევს. ამ ტყვეობიდან ქვყანა დღემდე ვერ გამოსულა. მეორეც, საქართველოს მეზობლად ყალიბდება ორი უძლიერესი სახელმწიფო: სპარსეთი და ოსმალეთი.

ამ დროისათვის დასავლეთ საქართველო (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი) ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშაა მოქცეული, მაშინ როცა მისი აღმოსავლეთი (ქართლი და კახეთი) სპარსეთის გავლენის სფეროში შედის.. ამიერიდან საქართველო ნამდვილ სულთმობრძავს ემსგავსება, რადგან მას განუწყვეტლივ ანგრევს და იპყრობს ხან ერთი და ხან მეორე მეზობლი. გასაოცარია, რომ ამ პატარა ქვეყანამ, ურთულესი პირობების მიუხედავად, საუკუნეებს გაუძლო და შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი ენა და კულტურა. ტყუილად კი არ უწოდებიათ მისთვის „გმირთა მხარე"

საქართველოს ჰყავდა გმირი მეფეები, რომლებიც ბრძოლის ველზე ეცემოდნენ და დიდი მამულიშვილები, თავიანთი სიცოცხლე საყვარელი მამულის სამსხვერპლოზე რომ მიჰქონდათ. მთელი ქვეყანა ბრძოლის ველად იყო გადაქცეული, მინდვრები მის შვილთა სისხლით ირწყვებოდა და მათი ძვლებით იფინებოდა ...აი, როგორ შეინარჩუნა საქართველომ თავისი მიწა-წყალი!

ერთიანობის დაკარგვის შემდეგ ქვეყანა თითქმის განუწყვეტლივ სხვას ჰყავდა დამონებული. აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის ვასალი იყო, ხოლო დასავლეთი – ოსმალეთისა. ამ ნარკვევში მხოლოდ ქართლსა და კახეთზე ვისაუბრებთ, რადგან მათი როლი რუსეთთან მიმართებით გადამწყვეტი აღმოჩნდა მთელი საქართველოსათვის.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქართლი და კახეთი სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ და თითქმის გამუდმებით მის ვასალად ითვლებოდნენ.

რა გასაკვირია, რომ სპარსეთი ცდილობდა, საქართველო სამუდამოდ მიეერთებინა და მოესპო, როგორც პოლიტიკური ერთეული. იგი მრავალჯერ შემოესია საქართველოს და ააოხრა, თუმცა მიზანს ვერასოდეს მიაღწია. ორი გარემოება ხელს უშლიდა მის ჩანაფიქრს: ერთი მხრივ, ქართველთა თავგანწირული წინააღმდეგობა და მეორე მხრივ, საქართველოს სპარსეთთან ორგანული ერთიანობის შეუძლებლობა, რადგან სპარსეთი თავადაც არ წარმოადგენდა ორგანულად მთლიან სახელმწიფოს. ის უფრო პოლიტიკური სხეული იყო, შემდგარი არა ადმინისტრაციული, არამედ პოლიტიკური ერთეულებისაგან. საქართველოს კვლავაც საკუთარი მეფე ჰყავდა, შაჰის ხელქვეითი, რომელსაც შაჰისთვის ხარკი უნდა ეძლია და ჯარით დახმარებოდა. სპარსეთი საქართველოს მშვიდობიანი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. ომის წყურვილით ატანილი ან ახირებული პოლიტიკის გამტარებელი რომელიმე შაჰი შემოესეოდა ხოლმე საქართველოს, აოხრებდა ქალაქებს, ხოცავდა მოსახლეობას და ამ სისხლიანი ლაშქრობის შემდეგ თავის ქვეყანას უბრუნდებოდა. ამ მდგომარობით განაწამები ქართველი მეფეები ისეთ მფარველ ძალას ეძებდნენ, რომელიც მათ მხარში ამოუდგებოდა და ქვეყანას ნანატრ მშვიდობას მოუტანდა.

ამ პერიოდში რუსეთი ძლიერი სახელმწიფო ხდება. ივანე მრისხანე რუსეთს ცენტრალიზებულ მონარქიად აქცევს. რუსეთის სახელმწიფო თანდათან აფართოებს თავის საზღვრებს და კავკასიისკენ მოიწევს. კასპიის ზღვის მახლობლად თათრებისათვის წართმეულ მიწებზე რუსები სახლდებიან. მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და მცირემოსავლიანი მიწების პატრონი რუსეთი მდიდარი და ნაყოფიერი მიწების დაპყრობას ცდილობს. როგორც ყველა ქვეყანა, იგი გაფართოებისკენ ისწრაფვის, მაგრამ საით უნდა წავიდეს, ევროპისაკენ თუ აზიისაკენ? ევროპის მიმართულებით მას დიდი ევროპული სახელმწიფოები ეღობებიან.

მაშინ რუსეთი აზიისაკენ მიემართება. აქაური პირობები მის ზრახვებს აკმაყოფილებს. ქართველი მეფეები რუსეთში იმ ძალას ხედავენ, რომელზე დაყრდნობაც შეუძლიათ და რომელიც სპარსეთსა და ოსმალეთს დაუპირისპირდება. XVI საუკუნიდან ისინი ურთიერთობას ამყარებენ რუსეთთან და მას დახმარებასა და დაცვას სთხოვენ. ქართველ მეფეებს, როგორც ჩანს, ურჩევნიათ, მათი მფარველი ერთმორწმუნე ქვეყანა იყოს, რომელიც დაიცავს სუვერენული ქვეყნის ურთიერთობებს და მის მოსახლეობას რელიგიურ დევნას არ დაუწყებს. ისინი ცდილობენ, დააჩქარონ რუსეთის მფარველობაში შესვლა, რადგან იმედოვნებენ, რომ ამით საქართველო ნანატრ მშვიდობას მოიპოვებს. სპარსეთის ხელისუფლება ენერგიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ამ პოლიტიკას. ყველაზე მეტი გააფთრებით და ყველაზე სისტემატურად საქართველო-რუსეთის ურთიერთობას შაჰ-აბასი ებრძვის.

უნიჭიერესი პოლიტიკოსი და სპარსეთის უდიდესი მმართველი, შაჰ-აბასი ხედავდა, რომ საქართველო-რუსეთის მეგობრული ურთიერთობა სპარსეთს დაღუპვით ემუქრებოდა. მან კარგად უწყოდა, რომ კავკასიონი ის დახშული კარი იყო, რომელიც სპარსთს ჩრდილოეთის საფრთხისაგან იცავდა. ამ კარის გაღება რუსეთის შემოშვებას ნიშავდა არა მარტო საქართველოში, არამედ სპარსეთშიც. შაჰ-აბასმა ამ საფრთხის არიდება ცადა. მას შემდეგ, რაც ვერც კახთა მეფე ალექსანდრე დაარწმუნა, ვერც ქართლის მეფე გიორგი (*sic*), ვერც, მოგვიანებით, თეიმურაზ და ლუარსაბ მეფეები, მან საქართველოზე გაილაშქრა. მას სურდა ან საქართველო გაემუსულმანებინა და ამ გზით რუსეთ-საქართველოს შორის რელიგიური ჯებირი აღემართა, ან იგი მთლიანად გაენადგურებინა და ქართულ მიწებზე სპარსელები ჩამოესახლებინა.

შაჰ-აბასი საქართველოს არა ერთხელ შემოესია და ქვა ქვაზე არ დატოვა. მან მოსახლეობა გაჟლიტა, 100 000 კაცი გადაასახლა და ქართლისა და კახეთის სამეფოებს დაეპატრონა. საქართველო მძიმე დღეში იყო ჩავარდნილი, სპარსელებისაგან აოხრებას განუწყვეტელი შინაური უთანხმოებებიც ემატებოდა. ფეოდალების თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა, სოფლის მეურნეობა სავსებით მოიშალა, ვაჭრობა წელში იყო გაწყვეტილი... ქვეყანაში აუტანელი ვითარება იყო შექმნილი. საქართველოს მესვეურნი გამწარებით ეძებდნენ უცხოელთაგან დახმარებას, განსაკუთრებით კი რუსეთს უყურებდნენ იმედის თვალით. ამ პერიოდის ქართველ მეფეთა უმთავარი საზრუნავი რუსეთისაგან მფარველობის მიღება იყო და მათი პოლიტიკაც აქეთკენ იყო მიმართული. თუმცა ზოგიერთს ქართველთა ხსნა სხვაგვარად ესახებოდა. მათი აზრით, შველა გარედან კი არ უნდა მოსულიყო, არამედ ქვეყნის შიგნიდან. ამ შეხედულების დამცველნი იბრძოდნენ, რათა ეროვნული ძალებისათვის თავი მოეყარათ და შექმნილიყო ერთიანი სახელმწიფო. მათი იდეალი აბსოლუტური მონარქია იყო. ფეოდალები სახელმწიფოს დაექვემდებარებოდნენ. ეს უკანასკნელი ქვეყნის ძალას გააერთიანებდა და სახელმწიფო ნების შესაბამისად წარმართავდა. ამას მოჰყვებოდა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის განვითარება, საშუალო ფენისა და გლეხობის გაძლიერება.

გიორგი სააკაძემ, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ და დიდმა სტრატეგმა, გააერთიანა რა ქართლი და კახეთი, ნაწილობრივ შეძლო ამ პოლიტიკის ხორცშესხმა. მან სასტიკი დამარცხება აგემა შაჰ-აბასის მრავალრიცხოვან ჯარს. თუმცა შემდგომ, იმ დროისათვის უზარმაზარი უფლებების მქონე ფეოდალთა

მიერ შვვინროებულმა და დევნილმა, ოსმალეთის სულთანს სთხოვა თავშესაფარი და მანაც ხელგაშლით მიიღო. დიდი ხანი არ გასულა, რომ სააკაძე მეტოქისაგან მოსყიდული მოღალატის ხელით იქნა მოკლული ოსმალეთში. განუწყვეტელი შემოსევების მეოხებით შაჰ-აბასმა საქართველოს ქედი მოადრეკინა. საქართველომ კავშირი გაწყვიტა რუსეთთან, თუმცა მხოლოდ დროებით. მოგვიანებით, ვახტანგ VI-ის დროს, ქართველები ამ გაწყვეტილი კავშირის აღდგენას შეეცდებიან.

საქართველოს რუსეთთან დაახლოების მიზეზები XVIII საუკუნის დამდეგს გამოიკვეთა და შემდგომ აღარც შეცვლილა. საქართველოს მუსულმანთაგან დაცვა სჭირდებოდა. იგი არტილერიასა და იარაღს ითხოვდა და სანაცვლოდ რუსეთს მორჩილებასა და სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა.

აი, ამგვარი იყო საქართველოს პოზიცია, როცა კავშირი გაიბა ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის. პეტრე I კარგად ხედავდა სპარსეთის სისუსტეს და შიშობდა, ოსმალეთს ამით არ ესარგებლა და კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნები ხელში არ ჩაეგდო. ამიტომაც, მდიდარ მიწებს თავად რომ დაპატრონებოდა, სპარსეთს ომი გამოუცხადა. ბრძოლის დაწყებამდე პეტრე I-ს სურდა დარწმუნებულიყო, რომ ვახტანგი მის მხარეს იქნებოდა, ამიტომაც მასთან მოლაპარაკება გამართა და ქართველ მეფეს სანაცვლოდ სპარსეთისა და ოსმალეთისაგან დაცვას შეჰპირდა. ვახტანგ VI-მ, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობის მოწადინე იყო, რუს მონარქს ომში თანადგომა აღუთქვა. იმავდროულად ვახტანგს სპარსეთის შაჰმა ჰუსეინმაც სთხოვა დახმარება შემოსეული ავღანების წინააღმდეგ. ქართველი მეფე წესით შაჰს უნდა დამორჩილებოდა, როგორც მისი ვასალი, მაგრამ მან, პეტრე I-ის გულის მოსაგებად, სპარსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა არჩია.

რუსეთისათვის მეტისმეტი ნდობის გამოცხადება ვახტანგის პოლიტიკური შეცდომა იყო. ამ ნდობას საფუძველი არ ჰქონდა. რა იყო იმის პირობა რომ რუსეთი სიტყვას შეასრულებდა? ვახტანგი აშკარად მიემხრო რუსეთს და სპარსეთი მტრად მოიკიდა. გასაკვირი არაა, რომ მან თამაში წააგო. მან ვერ განჭვრიტა, რომ რუსეთი, წინ საკუთარ ინტერესებს დააყენებდა, ქცევას შეიცვლიდა და მიცემულ სიტყვას გატეხდა.

1722 წლის 12 ივნისს ვახტანგ VI-ს რუსეთის იმპერატორმა მოუწოდა, ჯარი დაერაზმა და ლეკების წინააღმდეგ დაძრულიყო. ვახტანგმა მაშინვე მოაგროვა ჯარი და კასპიის ზღვის მიმართულებით წაიწია, სადაც რუსულ ჯარს უნდა შეერთებოდა. მაგრამ დათქმული შეხვედრა არ შედგა. პტრე I, თავის ჯარიანად, მოულოდნელად უკან გაბრუნდა. გართულებული პოლიტიკური ვითარების მოსაგვარებლად მან რუსეთს მიაშურა და ვახტანგი მარტო დატოვა. ქართვლ მეფეს თავადვე უნდა ეპოვა გამოსავალი. სპარსელების თვალში მან ურჩობა გამოიჩინა და თავის ნამოქმედარზე მკაცრად უნდა ეგო პასუხი. სასჯელმაც არ დააყოვნა. სპარსელებმა მალევე გაგზავნეს კახეთის წინააღმდეგ უზარმაზარი ჯარი, დაიპყრეს, გაძარცვეს და გადაწვეს ტფილისი.

ვახტანგ მეფე იძულებული შეიქნა, იმერეთში გაქცეულიყო და იქიდან ედევნებინა თვალი საკუთარი პოლიტიკის შედეგებისათვის. ვითარების გამოსასწორებლად მან იმის მეტი ვერაფრი იღონა, რომ ისევ იმპერატორისთვის

მიემართა, დანაპირები შეეხსენებინა და დახმარება ეთხოვა. პეტრე I-მა დუმილით უპასუხა.

პეტრე I დამნაშავეა, მაგრამ ვახტანგს კიდევ უფრო მეტი ბრალი მიუძღვის წნდაუხედაობისა და პოლიტიკური უუნარობისათვის. კაცმა რომ თქვას, რაში უნდა დავადანაშაულოთ რუსი იმპერატორი, იმაში, რომ სხვა ქვეყანა თავისი ქვეყნის ინტერესებს შესწირა? განა ყველა ქვეყანა ასე არ იქცევა? ეს რეალური, საყოველთაოდ მიღებული პოლიტიკაა. ვახტანგის შეცდომა მხოლოდ მისი ბრალია. პეტრე I-მა, მართალია, იგი მოატყუა და ეს დანაშაული მის კისერზეა, მაგრამ ეს უფრო მორალის საკითხია, ვიდრე პოლიტიკისა.

სპარსთა მიერ ტფილისის აოხრებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ თურქებმა კახეთის სამეფოს სისუსტით ისარგებლეს და იგი ხელთ იგდეს. შავ დღეში ჩავარდნილ საქართველოს პეტრე I არა თუ არ დაეხმარა, არამედ, 1724 წლს კონსტანტინოპოლში დადებული ხელშეკრულებით, დასტური მისცა ოსმალეთის მიერ საქართველოს ოკუპირებას. ამგვარად, თურქები საქართველოში ათ წელზე მეტი ხნით გაბატონდნენ.

რუსეთის იმედი რომ გადაეწურა, ვახტანგმა დახმარებისთვის ჯერ გერმანიის [3]იმპერატორს მიმართა, შემდეგ კი რომის პაპს, მაგრამ მათგან პასუხი ვერ მიიღო. საქართველოს დახმარება არც გერმანიის ინტერესებში შედიოდა და არც პაპისა. პაპისათვის საქართველო რელიგიურ ბაზარს არ წარმოადგენდა (კათოლიციზმს აქ წარმატება არ მოჰყოლია), ხოლო გერმანიას ეს მისგან დაშორებული ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით არ იზიდავდა.

როგორც ჩანს, ქართველ მეფებს რუსული მმართველობის იმედი გაუცრუვდათ, მაგრამ ნდობას რუსეთისადმი რატომღაც მაინც არ კარგავდნენ და ჯიუტად ელოდნენ დახმარებას.

ამ ბრმა ნდობის მიზეზი ერთი მხრივ, საქართველოსა და რუსეთის ერთმორწმუნეობაშია საძიებელი, მეორე მხრივ კი – XVIII საუკუნის ქართველ მეფეთა გულუბრყვილობაში. ბედის უკუღმართობამ მათ პოლიტიკური სიფხიზლე მოუდუნა.

საქართველო რუსეთს რელიგიის მებაირახტრედ მიიჩნევდა და მასთან კავშირის გაწყვეტა ასე ადვილად არ სურდა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ის-ისაა იწყებოდა, რომ რუსეთმა 1724 წლის ტრაქტატით საქართველოზე ოსმალეთის ბატონობა აღიარა. ვახტანგს ისღა დარჩენოდა, რუსეთში ეძებნა თავშესაფარი. მან საქართველო დატოვა და თან ქართველ დიდებულთაგან შემდგარი ათასკაციანი ამალაც გაიყოლა. ვახტანგს საქართველოში დაბრუნება აღარ ეწერა: ის უცხოეთშივე მოკვდა, სამშობლოდან მოშორებული.

აი, ასე სევდიანად დაასრულა სიცოცხლე ამ ბედკრულმა მეფემ. თუმცა სამშობლოსთვის კარგი უნდოდა, უბედურების მეტი ვერაფერი მოუტანა. ამაში კი დამნაშავე მისი პოლიტიკური უუნარობა და იმდროინდელი არახელსაყრელი პირობები იყო. ვახტანგმა თითქოს თავადვე საგანგებოდ შეაჯამა თავისი ტრაგიკული და სამწუხარო სიცოცხლე მის მიერვე მოჭრილი მონეტის წარწერაში: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც. კაცსა სიმდაბლე ჰმართებს. ვახტანგ მეფე.“

---

3 გერმანიის იმპერია იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობს. შესაძლოა, ავტორი პრუსიის ან ავსტრიის ძლიერ სახელმწიფოებს გულისხმობდეს, თუმცა ვახტანგს უფრო კათოლიკური ქვეყნების იმედი ჰაონდა და მათთვის არასდროს მიუმართავს (მთარგმნ.).

VI.

საქართველოში თურქები გაბატონდნენ. აზერბაიჯანიც მათ ხელში იყო. კასპიის ზღვის მიმდებარე მიწები რუსთა მფლობელობაში მოექცა. მაგრამ მალე ორივე დამპყრობელი სპარსეთმა დაჯაბნა. ტახტზე ნადირ-შაჰის ასვლის შემდეგ სპარსეთმა არნახულ ძლიერებას მიაღწია. მან თურქები საქართველოდან (1734) და აზერბაიჯანიდან გააძევა და რუსეთსაც წაართვა კასპიისპირა მიწები. ოსმალეთი, რომელსაც არ სურდა, ასე ადვილად შელეოდა საქართველოს, სპარსეთთან ბრძოლაში ჩაება. საქართველო ამ ბრძოლის დროს გულხელდაკრეფილი ვერ დარჩებოდა: იგი ან ოსმალეთს უნდა მიმხრობოდა, ან – სპარსეთს.

კახეთის მეფე თეიმურაზმა სიბრძნე გამოიჩინა. მან განჭვრიტა, რომ სპარსეთი გამარჯვებული გამოვიდოდა ამ ბრძოლიდან და თურქებს შეუტია. ქართულმა ჯარმა ნადირ-შაჰის მოსვლამდე გაანადგურა მოწინააღმდეგე, რითაც შაჰის მადლიერება დაიმსახურა. თეიმურაზმა სპარსეთის პროტექტორატი აღიარა.

ვახტანგ VI-ის რუსეთს გადახვეწის შემდეგ აღარავინ იყო, რომ ქართლი ბრძნულად ემართა. სამეფო ხან ოსმალეთის მხარეს იჭერდა, ხან – სპარსეთისას. საბოლოოდ, თეიმურაზის გავლენით, ის სპარსეთს მიემხრო. 1744 წელს, გარემოებათა წყალობით, კახთა მეფე თეიმურაზმა ქართლის ტახტი მიიღო. იგი ქართლში გამეფდა, ხოლო კახეთის ტახტი თავის ძეს, ერეკლეს გადასცა. მამაშვილი წარმატებით მეფობდა ორსავე სამეფოში. 1762 წელს, თეიმურაზის სიკვდილის შემდგომ, ერეკლეს კვერთხქვეშ ქართლ-კახეთი კვლავ ერთ სამეფოდ იქცა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერეკლეს მეფობისას საქართველო კვლავ მხრებში გაიშალა. ერეკლე მეფე სამხედრო საქმეში უდიდესი ნიჭით გამოირჩეოდა. მან ადვილად დააშინა კავკასიის მუსულმანები, დაიმორჩილა მეზობელი ხანები და მათ ხარკი დააკისრა.

ერეკლეს ბრძოლები ლეგენდად იქცა. ამ მეომარმა მეფემ 6 000 კაცით დამარცხება აწვნია მტრის 60 ათასიან ჯარს. თავის დროზე ბევრი დაიწერა ერეკლეს გადახდილ ომებზე. სიცოცხლეშივე მას იცნობდნენ არა მარტო აზიაში, არამედ ევროპაშიც. დიდი ჰერცოგი ფრიდრიხი ამბობდა: „ევროპაში მე ვარ და აზიაში უძლეველი ერეკლ“-ო.

ერეკლეს დროს საქართველომ ისეთ სამხედრო ძლიერებას მიაღწია, რომ არა მხოლოდ თავი გაითავისუფლა სპარსეთის ქვეშევრდომობისაგან, არამედ შაჰს საკუთარი ძალაც მოახვია თავს. ერეკლეს რომ სამხედრო ნიჭის ტოლფასი პოლიტიკური ნიჭიც ჰქონოდა, შექმნილი ვითარებით ისარგებლებდა და თავის სამეფოს საქართველოს სხვა ნაწილებსაც შემოუერთებდა, მუდმივ ჯარს შექმნიდა, ადმინისტრაციულ სისტემას დახვეწდა და ამგვარად ქვეყნის მომავალს უზრუნველყოფდა.

მტრებს რომ გამკლავებოდა, საქართველოს ისინი თავისი ცივილიზაციით უნდა დაეჯაბნა. ერეკლე ამას მიაღწევდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, მას არ ჰყოფნიდა სახელმწიფო მოღვაწისა და მმართველისათვის საჭირო შორსმჭვრეტელობა. წინამორბედთა მსგავსად, მანაც მზერა ჩრდილოეთს მიაპყრო. აქაური პირობები ამ დროისათვის ერეკლესათვის ხელსაყრელი ჩანდა. რუსეთი ოსმალეთთან პირველი ომისათვის ემზადებოდა და საქართველოც, რომელიც მისთვის შეიძლებოდა ფრიად გამოსადეგი ყოფილიყო, მაშინ გაიხსენა.

საქართველო რომ უფრო ადვილად გადმოებირებინა, რუსეთმა ეს ომი რელიგიურ ომად გამოაცხადა. თანადგომის სანაცვლოდ იგი საქართველოს ყოველგვარ დახმარებას შეჰპირდა, თანაც ოსმალეთთან მომავალი ხელშეკრულებით საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობის პირობასაც იძლეოდა. საქართველო დათახმდა რუსეთის წინადადებას. ერეკლე, როგორც ჩანს, სიხარულით შეხვდა ამ ომს, თუმცა მას ხანები უკვე დამორჩილებული ჰყავდა და საქართველოც ძლიერ სამხედრო ძალად იყო ქცეული. ერეკლეს ქვეყნის ბედი მაინც აშინებდა და იმედოვნებდა, რომ რუსეთის მეშვეობით მას უსაფრთხო მომავალს შეუქმნიდა.

რუსეთმა ოსმალეთს ომი 1768 წელს გამოუცხადა. 1770 წელს იმპერატორმა ეკატერინემ საქართველოში ჯარი გამოგზავნა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით.

ერეკლემაც, თავის მხრივ, ოსმალეთს ომი გამოუცხადა და თავისი რაზმებიანად ქალაქ სურამის მახლობლად რუსის ჯარს შეუერთდა. შეერთებულმა ჯარებმა ბორჯომის ყელი გადაკვეთეს და აწყურის ციხეს შემოერტყნენ. ერეკლე, როგორც გამოცდილი სარდალი, მალევე მიხვდა, რომ ციხის აღება შეუძლებელი იყო. მან ტოტლებენს ურჩია, ალყა არ მოეხსნა, მაგრამ შეტევაზე არ გადასულიყო. მისი აზრით, მთავარი ძალა ქვეყნის სიღრმეში უნდა გადაესროლათ და მოწინააღმდეგსათვის ძალების თავმოყრაში შეეშალათ ხელი. ტოტლებენმა, რომელსაც რუსული ზარბაზნების გადაჭარბებული იმედი ჰქონდა, არ დაუჯერა და ერეკლემაც დათმო. ქართველებით გამაგრებული რუსული ჯარი შეტევაზე გადავიდა. ორდღიან დაბომბვას წარმატება არ მოუტანია. მესამე დღეს, ერეკლეს შეატყობინეს, რომ ტოტლებენმა მალულად დატოვა ბრძოლის ველი და ქართველები მტერს მარტო შეატოვა. გაოცებული და დამწუხრებული მეფე გენერალს დაედევნა, ბორჯომის გზაზე დაეწია და დაბრუნება სთხოვა. რუსმა გენერალმა ცივი უარი სტკიცა. მეფე ახლაღა მიხვდა ტოტლებენის ნამდვილ განზრახვას: მას ერეკლესა და მისი ჯარის დამარცხება სურდა, რომ საქართველო ხელში ჩაეგდო.

უეჭველია, რუსი გენერალი თავისი ქვეყნის ხელისუფლების მითითებით მოქმედებდა. ერეკლე მასზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის პირისპირ მარტო დარჩა. ვითარება საგანგაშო იყო. ტოტლებენის არტილერიასა და ცხენოსან ჯარზე მეფე იმედს ვეღარ დაამყარებდა, თავად კი მცირე ცხენოსანი ჯარისა და სამი ზარბაზნის მეტი არა გააჩნდა რა. ამასობაში თურქებს მაშველი ძალებიც შეემატა. ერეკლეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არასდროს იბნეოდა და ახლაც შეძლო ძლიერი მტრის დამარცხება. თუმცა ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა: ჯარის სამი მეოთხედი ბრძოლაში გაწყდა.

რა მოუტანა რუსეთ-ოსმალეთის ომმა საქართველოს? დახმარების სანაცვლოდ რუსეთი საქართველოს წინაშე ვალდებულებას იღებდა: 1) ხელშეკრულებაში, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდებოდა, შეეტანა საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობის პირობა; 2) შედეგიანი მფარველობა გაეწია საქართველოსათვის; 3) ერეკლესათვის დაებრუნებინა ოსმალეთის მიერ წართმეული ჯავახეთისა და ახალციხის პროვინციები.

ამ ომში ჩარევით ერეკლე მეფემ არათუ ვერაფერი შესძინა თავის გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ ბევრიც დაკარგა. როცა 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება და-

იდო, რუსეთს საქართველო აღარც მოჰგონებია. ამ ომით საქართვლომ მტრად მოიკიდა ოსმალეთი და მეზობლი ფაშები, ისინიც კი, ვისაც მასთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. დასავლეთ საქართველო კიდევ უფრო მეტად დაზარალდა, რადგან ზემონახსენები ხელშეკრულებით რუსეთმა იგი ოსმალთის ვასალად ცნო.

* * *

გავიდა რამდენიმე წელი და საქართველო კვლავ მოხვდა რუსეთის მზერის არეში. რუსეთს კიდევ ერთხელ დასჭირდა საქართველოს თანადგომა, რადგან მოიწადინა, შაჰ ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში გამეფებული ქაოსით ესარგებლა და კასპიისპირეთს დაპატრონებოდა. ქართველ მეფეთაგან სასურველი დახმარება რომ მიეღო, რუსეთმა მათ ხელახლა შესთავაზა მოკავშირეობა და მფარველობა. ერეკლე მეფე ახლაც სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას, თუმცა ზეპირ დაპირებას აღარ ენდობოდა და მოითხოვა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა ოფიციალური ტრაქტატით გაფორმებულიყო. მან თავადვე შესთავაზა ტრაქტატის ძირითადი პირობები. 1783 წელს რუსეთმა ტრაქტატის პროექტი წარადგინა, რომელიც, მართლაც, ერეკლეს მიერ შეთავაზებულ პირობებს ემყარებოდა. იმავე წელს ქართველმა და რუსმა მინისტრებმა ტრაქტატს ხელი მოაწერეს. ამ მომენტიდან საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. ტრაქტატი რუსეთის პროტექტორატსა და საქართველოს მიერ რუსეთის სუვერენთა ხელისუფლების უზენაესობის აღიარებას ეფუძნებოდა.

რუსეთის იმპერატორთა ხელისუფლების უზენაესობის აღიარებით ერეკლეს აღარ შეეძლო, სხვა ქვეყნის ვასალი გამხდარიყო (მუხლი 1). ამასთან, მეფეს საგარეო პოლიტიკის მართვის უფლებაც ერთმეოდა. საჭიროების შემთხვევაში, მას რუსეთის ხელისუფლების ან საქართველოში რუსეთის სამეფო კარის მიერ დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენლის შეხედულებისამებრ უნდა ემოქმედა (მუხლი 4).

საზოგადოდ, პროტექტორატი გულისხმობს მფარველობაში მყოფი ქვეყნის მიერ საგარეო პოლიტიკის უფლების სუზერენი ქვეყნისადმი გადაცემას. მე-4 მუხლის თანახმად, საგარეო პოლიტიკაზე უფლება რუსეთს გადაეცა. აქედან გამომდინარე, რუსეთის მტრები და მოკავშირეები საქართველოს მტერ-მოყვარეებადაც იქცნენ. ტრაქტატის მე-5 მუხლი სწორედ ამაზე ლაპარაკობს. ერეკლემ ვალდებულება აიღო, სამხედრო ძალა მიეშველებინა რუსეთისათვის და აღმოეჩინა ყოველგვარი დახმარება, რასაც იმპერატორი მოითხოვდა (მუხლი 1). ამ დახმარების ხასიათის შესახებ დაწვრილებით არაფერი იყო ნათქვამი, თუმცა ცხადია, რომ ერთი ქვეყნის მეორისადმი დახმარება მხოლოდ სამხედრო, ფინანსური ან პოლიტიკური შეიძლება იყოს და ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდეს. მე-2 მუხლის ძალით, ქართველი მეფეები ტახტზე ასვლამდე მოვალენი იყვნენ, გაეფრთხილებინათ რუსეთის იმპერატორი, მისგან ინვესტიტურა მიეღოთ და ერთგულება შეეფიცათ.

ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის იმპერატორები მოვალენი იყვნენ, მუდმივად გაეწიათ მფარველობა საქართველოს იმჟამინდელი და მომავალი მეფებისათვის, უზრუნველეყოთ ერეკლეს სამფლობელოს ხელშეუხებლობა და მეტიც, მისთვის დაებრუნებინათ ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები (მუხლი 2).

რუსეთს საქართველოს მტერი საკუთარ მტრად უნდა მიეჩნია და ტახტი ერეკლესა და მისი მემკვიდრეებისათვის შეენარჩუნებინა (მუხლი 6.). რუსეთის იმპერატორი არა მხოლოდ თავად არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, არამედ რუსეთის ყოველი სამხედრო თუ სამოქალაქო წარმომადგენლისათვის სასტიკად უნდა აეკრძალა მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნის ადმინისტრაციულ, სასამართლო თუ საგადასახადო საქმეებში ჩარევა. ამ საკითხთა გადაწყვეტა ერეკლესა და მის მომდევნო მეფეთა კომპეტენციაში შედიოდა და მათ უფლებებს შეადგენდა (მუხლი 6). რუსეთის იმპერატორებს ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის თავად-აზნაურობის თანასწორად უნდა მიეჩნიათ და იმავე პრივილეგიებით სარგებლობის უფლება მიეცათ (მუხლი 9). მე-9 მუხლში საუბარი იყო აგრეთვე ორ ქვეყანას შორის თავისუფალ ვაჭრობაზე.

აი, ამგვარი იყო ძირითადად ტრაქტატით განსაზღვრული ორმხრივი უფლება-მოვალეობანი.

რამდენადაც რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა ეკრძალებოდა, საქართველო სუვერენიტეტს ინარჩუნებდა. სახელმწიფოს შიდა საქმეები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას უნდა გადაეწყვიტა. სამაგიეროდ, საქართველომ საგარეო პოლიტიკა რუსეთს მიანდო და მის წნაშე ვალდებულებებიც აიღო, რამაც იგი იურიდიულად ვასალი ქვეყნის მდგომარობაში ჩააყენა.

ერეკლესა და მის ერს 1783 წლის ტრაქტატმა დიდი უბდურება მოუტანა და საქართველოს დაცემის უშუალო მიზეზიც გახდა. საქართველოს მეზობლები დიდად შეაშფოთა იმან, რომ ერეკლემ საქართველო რუსეთის ვასალად აქცია. მათ იცოდნენ, რომ ქართველი მეფე, რუსეთის ჯარს კავკასიაში გზას რომ უხსნიდა, ამით დასაღუპავად წირავდა სპარსეთსა და ყველა სახანოს. ხანები და თურქი ფაშები ერეკლეს წინააღმდეგ შეიკრნენ. ქართველ მეფეს აუმხედრდნენ მოხარკეები, რომლებიც მის ვასლებად ითვლებოდნენ. მოკავშირეებმა მასთან კავშირი გაწყვიტეს. თურქებით ზურგგამაგრებულმა ახალციხის ფაშამ და ავარიის ხანმა ომარმა საქართველოზე გაილაშქრეს. რუსეთმა, თითქოს თავის ვასალს დასცინისო, მას მხოლოდ ორი ბატალიონი გაუგზავნა დასახმარებლად. ეს მცირე მაშველი, მშვიდობის დასამყარებლად თუ არ კმაროდა, იმისათვის სრულიად საკმარისი იყო, რომ ლეკები და ფაშები საქართველოს წინააღმდეგ აემხედრებინა.

იმის ნაცვლად, რომ უბედურებაში ჩავარდნილი ქვეყნისათვის მეტი ძალა მიეშველებინა, რუსეთის ხელისუფლებამ ეს ორი ბატალიონიც გაიწვია საქართველოდან და განაცხადა, რომ ერეკლე საფრთხეს ძველი კავშირების აღდგენით უფრო ადვილად დააღწევდა თავს, ვიდრე იარაღით.

აი, როგორ ასრულებდა რუსეთი თავის მოვალეობებს საქართველოს მიმართ. საქმე ისაა, რომ რუსეთმა შეცვალა სპარსეთთან ომის გეგმა, რომლისთვისაც მას საქართველო სჭირდებოდა. ამ დროისათვის ის ოსმალეთთან ახალ ომს გეგმავდა, რაც საქართველოს სამხედრო ჩარევას არ ითვალისწინებდა. ამგვარად, როცა რუსეთს საქართველოს საკუთარი ინტერესისთვის გამოყენება არ სურდა, მაშინვე ივიწყებდა ყოველგვარ დაპირებას, ხელშეკრულებასა და შეთანხმებას.

სპარსეთის ძლევამოსილ შაჰს, აღა-მაჰმად-ხანს, საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორება უნდოდა. მან სცადა, ერეკლე გადმოებირებინა და მას სახარბიელო პირობები შესთავაზა. ერეკლემ უარი შეუთვალა. მაშინ შაჰი ომისათვის მზადებას შეუდგა. ერეკლემ, როცა მიხვდა, რომ სპარსთა მრავალრიცხოვან ჯარებს ვერ გაუმკლავდებოდა, დახმარება რუსეთს სთხოვა და 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატი შეახსენა. დახმარების ნაცვლად, იმპერატორმა უპასუხა, რომ „საქართველოში ჯარების გამოგზავნას საჭიროდ არ მიიჩნევდა.“

აღა-მაჰმად-ხანმა ურიცხვი ჯარით ტფილისს ალყა შემოარტყა. ქართველები რიცხვით მტერს ბევრად ჩამოუვარდებოდნენ. ერეკლე თავადაც იბრძოდა თავის ვაჟებთან, იოანესა[4] და ვახტანგთან და თავის შვილიშვილთან, დავითთან, ერთად. მიუხედავად სამეფო ოჯახისა და მებრძოლთა მამაცობისა, 1795 წლის 12 სექტემბერს ტფილისი სპარსელებმა აიღეს. ამ ბრძოლაში ქართველებმა არნახული თავგანწირვა გამოიჩინეს. ცოცხალი მხოლოდ 150 კაცი გადარჩა, დანარჩენები ბრძოლის ველზე დაეცნენ. ჯარის სარდლობაც გმირულად დაიღუპა. მათ შორის იყვნენ თავადები აბაშიძე, გურამიშვილი და სხვანი. აღა-მაჰმად-ხანმა მიწასთან გაასწორა დედაქალაქი, მოსახლეობა გაჟლიტა და ათასობით კაცი დაატყვევა.

მან ერეკლეს ერთხელ კიდევ შესთავაზა, დამორჩილებოდა და რუსეთთან კავშირი გაეწყვიტა, მაგრამ მეფე კვლავ უარზე დადგა. მას არ სურდა, რუსეთისათვის მიცემული სიტყვა გაეტეხა და მასთან დადებული კავშირი დაერღვია. ქართველი მეფე მფარველი ქვეყნის ერთგული დარჩა. ეს ერთგულება ყოველთვის დარჩება, როგორც ნიმუში რაინდული ქცევისა, მაგრამ ისტორია იმასაც გვიჩვენებს, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ამგვარ ქცევას პოლიტიკაში. თავისი უარით ერეკლემ შეცდომა დაუშვა. ამ მეფის სამხედრო ნიჭი უდაოა, მაგრამ იგი მოიკოჭლებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ერეკლემ არათუ ვერ შეძლო თავისი უფლებები დაეცვა ფეოდალთა წინაშე, არამედ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ფეოდალური რეჟიმის გაძლიერებას და სამეფო დააქუცმაცა, დაუნაწილა რა თავის მრავლარიცხოვან მემკვიდრეებს.

მისი მეფობის პერიოდის შესწავლისას ისტორიკოსს ის განცდა უჩნდება, რომ ერეკლემ ქვეყანა დაღუპვის პირას შეგნებულად მიიყვანა. თუმცა, მეფის შეცდომებზე საუბრისას, არ უნდა დავივიწყოთ სამშობლოსადმი მისი მხურვალე სიყვარული. დაე, ისტორიამ განსაჯოს იგი. ხალხს ერეკლე უყვარს, მას თაყვანს სცემს შეუდარებელი მამაცობისა და ომებში გამოჩენილი გმირობისათვის და ფოლკლორულ ლექსებსა და სიმღერებში მრავალტანჯული სამშობლოს გამოსახსნელად უხმობს. ქართველ მთიელებს, ხევსურებს, დღესაც სჯერათ, რომ ერეკლე დაბრუნდება და სამშობლოსთვის ბრძოლაში ხალხს წინ გაუძღვება. როცა ხევსური აბჯარს ისხამს, უნებურად შორს იცქირება, თითქოს სადღაც, ცის დასალიერზე, მისკენ ვინმე მხედარი მოაგელვებდეს ცხენს. მთის ფერდობებზე მას ფლოქვების თქარუნი ესმის, გული სიხარულით უძგერს და თავისი სათაყვანო მეფის გამოჩენას ელის.

4 იოანე გიორგის ძე ბატონიშვილი ერეკლეს შვილიშვილია და არა შვილი (მთარგმნ.).

VII.

ერეკლე მეფე გარდაიცვალა 1798 წლის 2 იანვარს. ტახტზე მისი ძე გიორგი ავიდა და რუსეთს თავისი გამეფება მაშინვე აცნობა, როგორც ამას 1783 წლის ტრაქტატი ითხოვდა. 1799 წელს, მან იმპერატორისაგან ინვესტიტურა მიიღო. ამგვარად, გიორგის გამეფებით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ტრაქტატის შესაბამისად წარიმართა.

ახალგამეფებულმა გიორგიმ აწეწილი და აღა-პაჰმად-ხანის შემოსევით გაერანებული ქვეყანა ჩაიბარა. მოსახლეობა სიღატაკეში იხრჩობოდა, მეფის ძმები ინტრიგებს ხლართავდნენ და მას გვირგვინს ეცილებოდნენ. ალექსანდრეს გარდა არც ერთი ბატონიშვილს მამულის ბედი არ ადარდებდა, საკუთარ ინტერესებზე ფიქრობდა და თავად-აზნაურობას მრავალ პოლიტიკურ პარტიად თიშავდა, რომელთაგანაც თითოეულს გამეფების საკუთარი კანდიდატი ჰყავდა. ამრიგად, მეფის ძმები და დიდებულები ქვეყნის დაღუპვას უწყობდნენ ხელს.

უნდა ითქვას, რომ თავად-აზნაურობას ქვეყნის ისტორიაში ყოველთვის უარყოფითი როლი არ შეუსრულებია. თუ, ერთი მხრივ, ის ფეოდალურ რეჟიმს წარმოადგენდა და ქვეყნის დასუსტებაში იღებდა მონაწილეობას, მეორე მხრივ, სამშობლოს საუკეთესო მამულიშვილებსა და გმირებს უზრდიდა. ისტორია სავსეა ქართველი თავად-აზნაურობის მიერ სამშობლოსათვის გაღებული მსხვერპლის მაგალითებით.

მოდით, დავუბრუნდეთ გიორგის. თითქოს ბედის დაცინვა იყო, რომ თავისი პოლიტიკური ცხოვრების უმძიმეს მომენტში ქვეყანას მეფედ სწორედ ის მოევლინა. გიორგი მეფე ნამდვილი ჭკუასუსტი იყო. მას არც პოლიტიკისა გაეგებოდა რამე და არც მმართველობისა. ერთადერთი, რაშიც ჩაეხედა, რელიგიის ისტორია იყო. ფილოსოფია თუ მეცნიერება მის გონებამდე ვერ აღწევდა. აკი თავადვე აღიარა: „არა მესმის ესე. ვნაყავ წყალსა." გიორგი მთელ დღეებს ლოცვაში ატარებდა და ბერად უფრო იყო დაბადებული, ვიდრე მეფედ.

განა ამ საბრალო არსებას თავისი ერისათვის სამსახურის გაწევა შეეძლო? ქვეყნის სასიკეთოდ ერთი ისღა მოიფიქრა, რომ რუსეთს მიმართა და სთხოვა, იმაზე კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დაემყარებინა საქართველოსთან, ვიდრე ეს 1783 წლის ტრაქტატთ იყო განსაზღვრული.

მართალია, განცდილმა უბედურებებმა ქართველებს სასო წარუკვეთა და მხნეობა გამოაცალა, მაგრამ ქვეყანაში ჯერ კიდევ მოიპოვებოდნენ ისეთი ადამიანები, ბრძოლის უნარი კვლავაც რომ შესწევდათ. ისინი საღად აფასებდენ მიზნის მიღწევის საშუალებებს.

მათ შორის ყველაზე ბრძენი სოლომონ ლიონიძე იყო, ერეკლე მეფის უახლოესი მრჩეველი. იგი თავიდანვე მტრულად შეხვდა რუსეთთან დაახლოებისა და რუსოფილურ პოლიტიკას. გიორგი XIII-ის[5] დროს მას აზრი არ შეუცვლია. ამ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, ნათელი გონებით დაჯილდოებულს, შექმნილი ვითარების განსჯის დიდი უნარი ჰქონდა. XVIII საუკუნის საქართველოს ბნელეთში მისი აზრები ამოღებული ხმალივით ელავს. სოლომონ ლიონიძემ კარგად განჭვრიტა ისტორიული მომენტი და შეიმუშავა მოქმედების გეგმა. ამ გეგმას ხორცი რომ შეესხა, საქართველო დღეს ამ დღეში აღარ იქნებოდა.

---

5 სავარაუდოდ, ავტორი სარგებლობს პლატონ იოსელიანის ნაშრომით, რომელშიც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XIII-დ იხსენიება (მთარგმნ.).

სოლომონს, უპირველეს ყოვლისა, ყველა ქართული სამეფოსა და სამთავროს გაერთიანება სურდა. იგი იღვწოდა, რომ იმერეთი, სამეგრელო და გურია ქართლ-კახეთს შეერთებოდა. ეს საქართველოს გაძლიერების ერთადერთი პოლიტიკური გზა იყო.

ქართული სახელმწიფო, თუნდაც მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთ ძალას, ერთ კლასს – თავად-აზნაურობას ეყრდნობოდა. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ ეს კლასი მონაწილეობდა. სხვა სოციალური ფენები ამ სფეროს ჩამოშორებულნი იყვნენ. მაგრამ დადგა გარდამავალი ეპოქა, როდესაც მაღალი წოდება დაცემის გზას დაადგა, თავისი ძალა ამოწურა და მისი უმრავლესობა ინტრიგანთა ხროვასღა წარმოადგენდა. დაცემული კლასი იხრწნება, ეს გარდაუვალია... რომაელი პატრიციები გარყვნილებაში დაიღუპნენ, ქართველი თავადები კი კორუფციაში იძირებოდნენ. ფენა, რომელსაც სახელმწიფო ეყრდნობა, ერთხელ წამხდარი, უარყოფით ელემენტად იქცევა. ამ შემთხვევაში ქვეყანას ახალ ფენაში დაგროვილი ახალი ძალა სჭირდება, რომელიც მზადაა ძველის შესაცვლელად. საქართველო სწორედ ამგვარ კრიზისს განიცდიდა: თავად-აზნაურობა დაცემისაკენ მიექანებოდა, ხოლო დემოკრატია ძალას იკრებდა. პირველი სახიფათო და მომაკვდინებელი შეიქნა სახელმწიფოსათვის, ხოლო მეორე მას თავის ძალასა და ენერგიას სთავაზობდა.

სოლომონ ლიონიძემ კარგად განჭვრიტა ქვეყნისათვის დემოკრატიული ფენის მნიშვნელობა და მის მხარეს დადგა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, იგი მომხრე იყო, რომ საქართველოს რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა და სპარსეთს დამეგობრებოდა.

ამ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს კარგად ესმოდა, რომ რუსეთის მეკავშირეობა საქართველოს უფსკრულისაკენ მიაქანებდა, სპარსეთთან მეგობრობა კი საფრთხეს არ უქმნიდა. საქართველო, მას შემდეგ რაც გაერთიანდებოდა და დემოკრატიულობის გზას დაადგებოდა, კავკასიაში სიტუაციის ბატონ-პატრონი და სპარსეთისთვის საშიშიც კი გახდებოდა.

* * *

ქართველთა მეფე 1800 წლის 22 იანვარს[6] გარდაიცვალა, ისე, რომ ვერ მოასწრო რუსეთთან მეტად დაახლოების გეგმის განხორციელება და 1783 წლის ტრაქტატი ისევ ძალაში დარჩა. ტახტი მის ვაჟს, დავითს, უნდა გადასცემოდა, მაგრამ რუსეთის წარმომადგენლებმა ურჩიეს ტახტის მემკვიდრეს, იმპერატორის თანხმობას დალოდებოდა.

რუსეთის მთავრობამ საიდუმლოდ ამცნო თავის წარმომადგნლებს, რომ საქართველოში, რუსეთის იმპერიასთან შეერთების მიზნით, გადატრიალება მზადდებოდა და ტახტზე ქართველი მეფის ასვლა საქმეს გაართულებდა. სოლომონ ლიონიძე მშვენივრად მიხვდა ყველაფერს და ბატონიშვილს ურჩია, დაუყოვნებლად ასულიყო ტახტზე, რუსეთის იმპერატორის ინვესტიტურას არ დალოდებოდა და ხელში აეღო ქვეყნის მმართველობის სადავეები. დავით ბატონიშვილმა ვერ გადაწყვიტა, მეკავშირისათვის ეღალატა. რუსეთის წარმომადგენლებმა ამით ისარგებლეს, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს და საქართველოს

---

6 ისტორიული წყაროები გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად მიუთითებენ 28 დეკემბერს და არა 22 იანვარს (მთარგმნ.).

რუსეთის იმპერიის მიერ უპირობო ანექსია გამოაცხადეს. სოლომონ ლიონიძე დააკავეს, ბატონიშვილები დაიმორჩილეს და რუსეთს გააგზავნეს, საეჭვო პირები გადაასახლეს. ალექსანდრე ბატონიშვილმა, მეფის უმცროსმა ძმამ, რომელმაც იმპერატორის მოქმედება უკანონოდ ჩათვალა, რუსეთს ბრძოლა გამოუცხადა. ამ ბრძოლის შესახებ ქვემოთ, მეოთხე ნაწილში ვისაუბრებთ.

ამრიგად, XIX საუკუნის დამდეგს, საუკუნისა, რომელიც განმათავისუფლებელი ბრძოლებით არის აღბეჭდილი, საქართველო ყველაზე დესპოტური და ყველაზე მჩაგვრელი სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ მოექცა.

III ნაწილი
ამბოხებები საქართველოში

რუსეთის ბატონობის დამყარებას საქართველოში, რასაკვირველია, ძალადობა და რეპრესიები მოჰყვა. ერთმანეთს შეეჯახა ორი ქვეყნის განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია. ერთს მეორე უნდა დაემორჩილებინა.

საქართველო სოციალურად და პოლიტიკურად ფეოდალურ, მარტივი ორგანიზაციისა და აზიური კოლორიტით აღბეჭდილ ქვეყანას წარმოადგენდა. მაგრამ მისი ინსტიტუცია, კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრება უძველეს სოლიდურ ცივილიზაციასა და ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს ეფუძნებოდა. რუსეთი, მისგან განსხვავებით, აბსოლუტური და დესპოტური მონარქია იყო. მას ბიურაკრატიული და ცენტრალიზებული პოლიტიკური ინსტიტუტები ჰქონდა. საქართველოს არ შეეძლო, უბრძოლველად დაეთმო თავისი უფლებები, უარი ეთქვა მისთვის ბუნებრივ, ეროვნულ ხასიათთან მისადაგებულ ინსტიტუტებზე. რუსეთის აბსოლუტური და ცენტრალიზებული მონარქია კი ცხადია, იმპერიაში მოქცეული ქვეყნის ეროვნულ ინსტიტუტებს ვერ შეინყნარებდა. მისი ისტორიული დევიზი გაერთიანებული და ერთგვაროვანი რუსეთი იყო.

გაჩაღდა ბრძოლა. ძლიერმა სუსტი დაჯაბნა. ქვეყანა ჩინოვნიკობამ წალეკა. რუსეთის ბატონობის პირველი პერიოდი ყველაზე შემზარავი და სასტიკია. საქართველოში გამოგზავნეს ყველაზე თავზეხელაღებული და უზნეო მოხელეები. ჩვეულებრივ ამბად იქცა მექრთამეობა, ქურდობა, ქალების გაუპატიურება. უსამართლობასა და სისასტიკეს თვლა არ ჰქონდა. ამ ეპოქის ისტორია მართლაც რომ გულისშემძვრელია. ხალხმა, მთავრობის თავაშვებულობა რომ ვერ აიტანა, აჯანყება დაიწყო. ამბოხებებმა რუსეთის ბატონობის პირველი დღეებიდანვე იფეთქა და მთელი საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა.

საქართველოს ანექსია 1801 წელს მოხდა. 1802 წელს მთაში უკვე დაიწყო დიდი აჯანყება. რუსეთის მთავრობამ იგი ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო. აჯანყების მონაწილეები ჩამოახრჩვეს, სოფლები გაძარცვეს. 1804 წელს კვლავ იფეთქა აჯანყებამ, ამჯერად კახეთში, თუმცა მასაც იგივე ბედი ეწია. დესპოტურმა რეჟიმმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. ექვსი წელიც არ გასულა, რომ 1810-1811 წლებში მთიელები აჯანყდნენ ლევან ბატონიშვილის წინამძღოლობით. ამბოხება მძლავრ აჯანყებაში, უფრო სწორედ კი 1812 წლის პარტიზანულ ომში გადაიზარდა.

აჯანყების ცეცხლი პირველად კახეთის ერთ სოფელს, ახმეტას მოედო. 1812 წლის 31 იანვრის დილას მოსახლეობაში ხმა გავარდა, რომ ახმეტაში „ეგზეკუცია“ უნდა ჩამომდგარიყო და ხორბლის დიდი ნაწილი წაერთმია სოფლელებისთვის.

ხალხი ამ საზარელ ცნობაზე სასაუბროდ შეიყარა. შუა ბჭობაში რომ იყვნენ, სოფელში „საეგზეკუციოდ" გამოგზავნილი ჯარისკაცების რაზმი გამოჩნდა. ბრაზმორეული გლეხები ჯარისკაცებს მისცვივდნენ, იარაღი აჰყარეს... და დააფრთხეს, თუმცა მათთვის არაფერი დაუშავებიათ. რამდენიმე დღეში მათ დასასჯელად თელავიდან გამოგზავნილი ინფანტერიისა და კავალერიის რაზმები მოვიდნენ. მოსახლეობამ, რომელსაც მატნისა და თიანეთის მეზობელი სოფლებიც უჭერდნენ მხარს, სამხედროებს ბრძოლა გაუმართა. რუსები უკუიქცნენ და მნიშვნელოვანი დანაკარგიც განიცადეს. აჯანყება ახლომახლო სოფლებსაც მოედო.

მეტად დამახასიათებელია სოფელ თიანეთის აჯანყება. სოფელში „ეგზეკუცია" იდგა. 2 თებერვალს მოსახლეობა სოფლის ეკლესიის წინ შეიკრიბა და თავის უბედურებაზე ბჭობა გამართა. ამ დროს ბრბოს ერთი ქალი მიუახლოვდა, გაფითრებული და აცახცახებული თავის ქმართან მიიჭრა და შესძახა: „სალდათებმა ნამუსი ამხადეს. შერცხვენილი სიცოცხლე აღარ მინდა, შური უნდა ვიძიო!" მან ქმარს ხანჯალი გამოგლიჯა და გაიქცა. პატივაყრილი სოფელი ბრაზმა აიტანა. ყველანი იმ ქალს მიჰყვნენ, „ეგზეკუციის" რაზმს მისცვივდნენ და ოფიცრები და ჯარისკაცები ამოხოცეს. იმავე დღეს სოფლელებმა ახლო-მახლო მდგარ „ეგზეკუციის" სხვა რაზმებსაც შეუტიეს და 150-ზე მეტ ჯარისკაცს მოუსპეს სიცოცხლე. აჯანყება სწრაფად მოედო მთელ კახეთს. მან საყოველთაო ხასიათი მიიღო და გლეხებთან ერთად თავად-აზნაურობაც მიიმხრო. აჯანყებულებმა ბრძოლას ორგანიზებული პარტიზანული ომის ხასიათი მისცეს და მეთაურად თავადი ოთარ ქობულიშვილი აირჩიეს.

საქართველომ რუსეთის ბატონობას ოფიციალურად გამოუცხადა ომი. ბრძოლის მიზანი ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგნა იყო. კახეთმა საქართველოს მეფედ ბატონიშვილი გრიგოლ ბაგრატიონი გამოაცხადა. სამეფო ტახტზე ასულმა გრიგოლმა მმართველობის სადავე ხელთ იგდო და უნდა ითქვას, რომ დიდი შემართებით შეუდგა ქვეყნის მართვას. მან თავისი გამეფება ამცნო ქართლსა და იმერეთს და მოუწოდა, კახელთა ბრძოლას ისინიც შეერთებოდნენ, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ და მის კვერთხქვეშ გაერთიანებულიყვნენ. გრიგოლმა კავკასიურ სამთავროთა ხანებსა და სპარსეთსაც სთხოვა, ეღიარებინათ საქართველოს მეფედ და კახეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს მხნე მეფე შესანიშნავად გაუძღვა ბრძოლას და აჯანყების ცეცხლი არა მარტო კახეთში, არამედ ქართლსა და საქართველოს მთიანეთშოც გააღვივა. 4 თებერვალს აჯანყებულებმა კახეთის დედაქალაქი დაიკავეს. ქალაქის კომენდანტმა ისღა მოასწრო, რომ ციხეში გამაგრებულიყო და ტფილისიდან მაშველ ძალას დალოდებოდა. დედაქალაქიდან მოსული პირველი რაზმი აჯანყებულებმა მოიგერიეს. მათ დახოცეს (რუსი ოფიცრების მოხსენების მიხედვით) 11 ჯარისკაცი, ტყვედ აიყვანეს 10 კაცი და დაჭრეს ორი ოფიცერი და 30 ჯარისკაცი. მეორე დღეს მათ ახლა სხვა რუსულ რაზმს შეუტიეს და 156 კაცი დააკარგვინეს. რაზმის მეთაური ოსიპოვი, არტილერიის ლეიტენანტი ვრონსკი და მრავალი სხვა ოფიცერი შეტაკებისას დაიღუპნენ. 5 თებერვალს რუსებმა ტფილისიდან კახეთისაკენ ახალი მაშველი ძალა და არტილერია გადმოისროლეს, მაგრამ აჯანყება ბარიდან მთას მოედო. მოსახლეობა გრიგოლს ყველგან ისე იღებდა, როგორც საქართველოს მეფეს და მას ფიცს აძლევდა. რუსი რაზმების წინააღმდეგ ყველგან გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა.

ბატონიშვილი ალექსანდრე, ერეკლეს ძე, ამ დროს სპარსეთში იმყოფებოდა და აჯანყებულებს იქიდან ეხმარებოდა. მგზნებარე მოწოდებებით ის ხალხს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა. ეს ერთგული მამულიშვილი; შაჰთან შეთანხმებით, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარს აგროვებდა. ინგლისი ალექსანდრეს დიდად უწყობდა ხელს და უწევდა როგორც ფინანსურ, ასევე სამხედრო დახმარებას, უგზავნიდა ინსტრუქტორებს, რომლებიც ქართველებისა და სპარსელებისაგან შემდგარ რაზმებს წვრთნიდნენ.

ქართველი აჯანყებულები დიდ იმედს ამყარებდნენ სპარსეთის ომზე რუსეთის წინააღმდეგ. საუბედუროდ, ვერც ინგლისმა და ვერც სპარსეთმა ვერ შეძლეს საომარი გეგმის სისრულეში მოყვანა. ქართველები მხოლოდ საკუთარი ძალის ამარა დარჩნენ, რაც რუსეთთან საბრძოლველად არ კმაროდა. ქართველმა ხალხმა თავგანწირული ბრძოლა მანამ განაგრძო, სანამ ძალა სრულებით არ გამოეცლებოდა, თუმცა ურიცხვ მტერთან რას გახდებოდა!

ქართველი მეფე რუსეთში გადაასახლეს. აჯანყებული სოფლები გაანადგურეს და გადაწვეს, მოსახლეობა ჩამოახრჩვეს და დახვრიტეს. როზგისა და ჩამოხრჩობის სისტემა კვლავ აღდგა. ჩინოვნიკებმა და ჟანდარმებმა ისევ დაიწყეს პარპაში.

1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობიდან რამდენიმე თვეც არ გასულა, რომ სპარსეთიდან დაბრუნებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა მთიელები და კახელები შემოიკრიბა და რუსებს გაბედულად შეებრძოლა.

1819 წელს იმერეთი და გურია დიდმა ამბოხებამ მოიცვა. მისი უშუალო გამომწვევი მიზეზი საქართველოში საეკლესიო რეფორმა შეიქნა. რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1811 წელს გააუქმა ქართლის ეკლესია და იგი წმინდა სინოდს დაუქვემდებარა. საეკლესიო ნაგებობები და შემოსავალი ამიერიდან წმინდა სინოდის ხელში გადავიდა.

1817 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, წმინდა სინოდისთვის სრულიად საქართველოს ეკლესია დაექვემდებარებინა. ამ მიზნით რუსეთმა საქართველოში ახალი ეგზარქოსი (თანამდებობის პირი, რომელიც ქართულ კლესიაში წმინდა სინოდს წარმოადგნდა), თეოფილაქტე, გამოგზავნა. ეგზარხოსი მოსვლისთანავე შეუდგა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების საკუთრების წაგლეჯას. საეკლესიო ქონების აღსანუსხად ჩინოვნიკები მთელ ქვეყანას მოედვნენ.

ქართველობას იმ ეროვნული საგანძურისაგან ძარცვავდნენ, რისი შენახვაც მას საუკუნეების განმავლობაში სისხლის ფასად შეძლო. გაოგნება სასოწარკვეთილებამ შეცვალა. ხალხმა მთავრობას პეტიცია გაუგზავნა, სადაც ეწერა: „ჩვენ ხშირად ჩავცვენილვართ მუსულმანთა ხელში, მაგრამ მათ ყოველთვის უციათ პატივი ჩვენი ეკლესიისთვის და თითი არ დაუკარებიათ მისი ქონებისათვის. ჩვენ საუკუნეების განმავლობაში სისხლით დავიცავით ქრისტეს სჯული, შვინარჩუნეთ ჩვენი ეკლესია და მისი საგანძური, დავიცავით სამღვდელოება. ახლა კი უსამართლოდ გვგლეჯენ ყოველივეს.“ მთავრობამ ყურიც არ ათხოვა ამ პეტიციას. მეტიც, ჩინოვნიკებმა თავიანთ ნუსხებში კერძო პირთა კერძო საკუთრებაც კი შეიტანეს, რომელიც ასევე წმინდა სინოდს უნდა გადაცემოდა.

მალე ხალხს მოთმინება აევსო და ამბოხებამაც არ დააყოვნა. ამბოხებულებს სათავეში თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ჩაუდგნენ. ქართულმა

რაზმებმა სხვადასხვა ადგილას შეუტიეს რუსულ ნაწილებს. მთავრობამ რომ ნახა, საქმე სახუმარო არ იყო, მოსახლეობის დასაშოშმინებლად დროებით შეაჩერა „ეგზეკუცია“ მაგრამ უკვე გვიანი იყო, ამბოხი ფართოვდებოდა და შეიარაღებულ დაჯგუფებათა რიცხვიც მატულობდა. მღვდლები ეკლესიებში აკურთხებდნენ იარაღს და საბრძოლველად მიმავალ კაცებს. ხალხი იარაღს ისხამდა და ფიცულობდა, რომ რუსებს სამშობლოდან განდევნიდნენ. სამღვდელოება ხმამაღლა ქადაგებდა თავისუფლებასა და სამშობლოსათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. იქმნებოდა ახალ-ახალი პოლიტიკური პარტიები, რომელნიც უკვე იმაზე მსჯელობდნენ, გათავისუფლების შემდეგ სახელმწიფოს რა ფორმა უნდა მიეღო და მომავალი მეფის საკუთარ კანდიდატებს აყენებდნენ. ეს პარტიები ოსმალეთს დაუკავშირდნენ, რომელმაც მათ დახმარება აღუთქვა.

ქუთაისში (იმერეთის დედაქალაქი) დაბანაკებული რუსული ჯარები საომარ მზადებას შეუდგნენ. მათ გაამაგრეს ქუთაისი, რათა იგი მოსალოდნელი საფრთხისაგან დაეცვათ, ააგეს ფორტიფიკაციები არტილერიისათვის, გაჩეხეს მიმდებარე ტყეები, რომ აჯანყებულთა ოპერაციებისათვის ხელი შეეშალათ. ტფილისიდან კავკასიის მთავარგუბერნატორმა მაშველი რაზმები გააგზავნა ქუთაისში – ხერსონის გრენადერთა ბატალიონი, კაზაკთა ორი ლეგიონი და ერთიც საარტილერიო პოლკი გენერალ სისოევის მეთაურობით.

აჯანყების ჩახშობა რომ გაადვილებოდა, მთავრობამ გადაწყვიტა, როგორმე ერთად შეეყარა მოთავეები და ღალატით ერთადვე შეეპყრო. აჯანყების მეთაურთა შორის იყვნენ იმერეთის მიტროპოლიტები, სოლომონ მეფის ასული დარეჯანი, თავადი აბაშიძე, გრიგოლ არქიმანდრიტი, თავადი ბეჟან წერეთელი, თავადი წულუკიძე და სხვანი. იმერეთის მმართველ პუზირევსკისთან მიწვეულნი, ისინი შეიპყრეს და რუსეთის გზას გაუყენეს.

გზაში ტყვეებს ისე ცუდად ეპყრობოდნენ, რომ მიტროპოლიტი ქუთათელი გარდაიცვალა და ჯარისკაცებმა გზაშივე დამარხეს, როგორც ერთი ვინმე ავაზაკი. მიტროპოლიტი ექვთიმე გენათელი გააციმბირეს. მეფის ასული თავისი ათი წლის ვაჟით წარმოუდგენელ სიღატაკეში გადაასახლეს. შიმშილის პირას მისულმა ამ ოდესღაც მდიდარმა ბანოვანმა მთავრობისაგან ას ორმოცდაათი ფრანკის (sic.) ოდენობის ყოველთვიური დახმარება ითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მთავრობამ მოინდომა, სამეფო ოჯახის ჩამომავალი ბავშვი ობოლთა თავშესაფარში მოეთავსებინა. ამგვარი ქცევა კიდევ უფრო აღვივებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას. აჯანყება იმერეთსა და გურიასაც მოედო.

იმერეთის მმართველი პუზირევსკი აჯანყების ჩასახშობად და მთავრის ოჯახთან გასასწორებლად გურიისაკენ დაიძრა. მისმა რაზმმა ქართველების წინააღმდეგობას ვერ გაუძლო: პუზირევსკი მოკლეს, მებრძოლთა ნაწილი მტერს შეაკვდა, ნაწილი დაიჭრა, ხოლო გადარჩენილებმა გაქცევით უშველეს თავს და იარაღი მოწინააღმდეგეს შეატოვეს. პუზირევსკის დასახმარებლად მოსული რაზმი ქართველებმა ალყაში მოიქციეს და მთლიანად ამოწყვიტეს. კავკასიის მმართველმა დიდძალი მაშველი გამოგზავნა შტაბის მეთაურის, გენერალ ველიამინოვის, წინამძღოლობით. ველიამინოვს ნაბრძანები ჰქონდა, იარაღით ვისაც დაინახავდა, ცოცხალი არ გაეშვა, არ დაენდო მოსახლეობა და გადაებუგა ყველა ის სოფელი, რომლსაც რაიმე კავშირი ჰქონდა აჯანყებულებთან. გენერალს უნდა შეეპყრო და სიკვდილით დაესაჯა ვახტანგ ბატონიშვილი. იმერეთში აჯანყებას ივანე აბაშიძე ედგა სათავეში. მცირერიცხოვანი და ცუდად შეიარა-

ღებული რაზმებით ის თავგანწირვით ებრძოდა რუსებს. მდინარე ჩოლაბურზე გამართულ ბრძოლაში აბაშიძემ რუსული ჯარი დაამარცხა, თბილისიდან იმერეთისკენ მიმავალი გზა დაიკავა და ამით რუსებს დედაქალაქთან დაკავშირების საშუალება მოუსპო.

გურიაში თავად ერისთავის წინამძღოლობით ხუთასი კაცი თავს დაესხა რუსეთის სამხედრო ნაწილს, რომელიც ხუთი რაზმის, კაზაკთა ერთი პოლკისა და საარტილერიო შეიარაღებისაგან შედგებოდა. ქართველბმა მტერი დაამარცხეს და უკუაქციეს. სამი დღის შემდეგ გიორგი დადიანმა ასევე დაამარცხა კაზაკთა შენაერთი და მათი მეთაური ტყვედ აიყვანა. არ გასულა რამდენიმე დღე, რომ იგივე დადიანი ტყვია-წამლის ტრანსპორტს დაესხა თავს, ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგის ნახევარი ამოწყვიტა, ხოლო მეორე ნახევარი გააქცია. აჯანყებამ იმავდროულად იფეთქა რაჭაშიც (იმერეთის მთიანი ნაწილი). მას სათავეში დავით ბატონიშვილი ედგა. 1820 წლის 17 მაისს დავითმა ბრძოლა გაუმართა რაჭისაკენ დაძრულ რუსის ჯარს, მაგრამ დამარცხება იწვნია, რადგან მტერი რიცხვითაც სჭარბობდა და შეიარაღებაც უკეთესი ჰქონდა. დავითი რამდენიმე დღის შემდეგ, პირველ ივნისს, სხვა უთანასწორო ბრძოლაში მოკლეს. მისი ქონება სახელმწიფოს გადაეცა, სახლი გადაწვეს, ოჯახის წევრები დააპატიმრეს.

აჯანყებულ ხალხს სათავეში ძმები იაშვილები ჩაუდგნენ. თავდადებული ბრძოლის მიუხდავად, მათაც დავითის ბედი ეწიათ: მათი სახლები გადაბუგეს და ქონება სახელმწიფომ მიითვისა. მათ მომხრეთა ავლა-დიდებაც ცეცხლმა შთანთქა.

რუსულმა მმართველობამ, მას შემდეგ, რაც მთელი პროვინცია ცეცხლს მისცა და სისხლით მორწყო, წვეულებაზე მიიპატიჟა ყველანი, ვისაც აჯანყების მეთაურებად მიიჩნევდა. წვეულთ მისვლისთანავე შემოეხვივნენ და შეიპყრეს. ქართველებმა ხმლები იშიშვლეს და თავის დაცვა სცადეს, მაგრამ ერთს ათი უტევდა. უმრავლესობა დაიხოცა ან დაიჭრა. ცოცხლად გადარჩენილებს სასტიკი ხვედრი ერგოთ. თავადები დავით და გიორგი წულუკიძეები ტფილისის ციხეში დაიღუპნენ; ზოგიც ციმბირის გზას გაუყენეს. ყველას ქონება ჩამოართვეს, სახლები გაუძარცვეს და გადაუბუგეს.

რუსებმა რაჭა ცეცხლსა და მახვილს მისცეს და ახლა იმერეთს გადასწვდნენ. აქაურ აჯანყებულთა მთაური, თავადი აბაშიძე, როგორც სჩვეოდა, თავს გმირულად იცავდა, მაგრამ მეკავშირე თურქებმა დაპირებული დახმარება დროზე არ მიაწოდეს. აბაშიძე დამარცხდა და თავს ოსმალეთში გაქცევით უშველა. ცეცხლმოდებული იმერეთი დაწყნარდა. რუსები ახლა გურიისაკენ გაემართნენ. გურია საოცარი გააფთრებით იბრძოდა. აჯანყებულთა დამორჩილება მეფის ჯარებმა მშვიდობიანი სოფლების აოხრება-გადაწვითა და უდანაშაულო მოსახლეობის ამოჟლეტით დაიწყეს. ისინი ქალებსა და ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ და ენით აუწერელ სისასტიკეს იჩენდნენ. ცეცხლს მხოლოდ ნაგებობებს კი არ უკიდებდნენ, არამედ ნათესებს, ვაზებსა და ბაღებსაც – იმას, რაც მრავალ თაობებს საკუთარი ოფლით გაეშენებინათ.

აი, ასე დაიმორჩილეს გურია.

* * *

ქვეყანა ცარისტული რეჟიმის ქვეშ გმინავდა, მაგრამ ეროვნული ცნობიერება ჯერ არ გამქრალიყო და მამულიშვილებს ჯერაც არ მიეტოვებინათ ეროვნული თავისუფლების იდეა.

1830 წელს, გამოჩენილმა ქართველებმა დიდი შეთქმულება მოამზადეს. მისი მიზანი კავკასიაში დაბანაკებულ რუსულ ძალებზე შეტევა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. შეთქმულებმა მოილაპარაკეს, მოეწყოთ დიდი ნადიმი, სადაც კავკასიის გუბერნატორი და ყველა დიდი მოხელე იქნებოდა მიწვეული. დათქმულ დროს, ისინი სტუმრებს უნდა მიცვენოდნენ და მათთვის ყელი გამოეჭრათ (sic.). ამას უნდა მოჰყოლოდა ტფილისის რუსულ შენაერთებზე თავდასხმა, საქართველოს რუსეთთან შემაერთებელი სამხედრო გზის დაკავება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ შეთქმულები მოღალატემ გასცა. ყველანი დაიჭირეს და გააციმბირეს.

1878 წელს, საქართველოს ერთი მხარე, აფხაზეთი, აჯანყდა და რუსეთის ბატონობის ნიააღმდეგ უიმედო ბრძოლაში ჩაება. რუსეთმა ეს აჯანყებაც ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო.

შედარებითი მშვიდობიანობის შემდეგ, 1905 წელს, მთელ საქართველოში დიდმა რევოლუციამ იფეთქა. იგი 1907 წლამდე გაგრძელდა. ისტორიას არ ახსოვს ამგვარი გაბედული ბრძოლა. მას სათავეში ქართველ სოციალ-ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატთა პარტიები ჩაუდგნენ.

თავიდან რევოლუციურმა ბრძოლამ წარმატებას მიაღწია. რუსეთის მმართველობა ბევრი პროვინციიდან განდევნეს. თითოეულმა გათავისუფლებულმა პროვინციამ ცალკე რესპუბლიკა შეადგინა და ძველ დესპოტურ რეჟიმს კანონსა და წესრიგზე დამყარებული რეჟიმი ჩააცვლა. მაგრამ რუსეთმა, მას შემდეგ რაც მოსკოვში რევოლუცია დაამარცხა და მილიარდობით ევროპელის ნდობა მოიპოვა, საქართველოში მრავალრიცხოვანი ჯარები შემოიყვანა და რევოლუციური მოძრაობა ჩაახშო.

ამას უმაგალითო რეაქცია მოჰყვა. ყოველგვარი გასამართლების გარეშე ახრჩობდნენ და ხვრეტდნენ ადამიანებს, აუპატიურებდნენ ქალებსა და ახალგაზრდა ქალიშვილებს, ცეცხლში ხვევდნენ ქალაქებს... რუსულმა ჯარებმა სულ ცოტა 125 სოფელი გადაწვეს, ცხრაზე მეტი ქალაქი დაანგრიეს და ცეცხლი წაუკიდეს, გაძარცვეს და გაქურდეს მთელი საქართვლო. 100 ათასზე მეტ კაცს ციხეში უკრეს თავი და გადაასახლეს. ტფილისში შენობებს ზარბაზნები დაუშინეს და ერთ დღეში 250 კაცი ცოცხლად დაწვეს. კაზაკები ვაჟთა გიმნაზიაში შეიჭრნენ და ორმოცზე მეტი ბავშვი დახოცეს. ქუთაისის ქუჩებში უმოწყალოდ გამოასალმეს სიცოცხლეს უდანაშაულო გამვლელები. ქუთაისშივე კაზაკებმა ქალთა სასწავლებელში 30 გოგონა გააუპატურეს, რომელთა ასაკიც 9-დან 11 წლამდე იყო. თითქმის ყველა მათგანი დაიღუპა. მთავრობამ გადაასახლა, დახვრიტა და დააპატიმრა ქვეყნის საუკეთესო მწერლები და პუბლიცისტები.

ეს რევოლუციაც, როგორც მანამდე სხვები, სისხლში ჩაახშვეს.

1914 წელს მსოფლიო ომმა რუსეთი კვლავ დაუპირისპირა ოსმალეთს. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სწორედ საქართველოს საზღვართან უნდა მომხდარიყო. საქართველოსაც იმედი მიეცა, რომ რუსეთი ახლა მაინც შეეცდებოდა მისი კეთილგანწყობის მოპოვებას და ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებდა ქართველთა ეროვნულ მისწრაფებებს. სამწუხაროდ, იმედი იმედად დარჩა.

რუსეთის მთავრობამ რეპრესიების პოლიტიკა განაგრძო. მაშინ საქართველომ რუსეთის პირისპირ ფინეთის მსგავსი პოზიცია აირჩია. ფინელმა სენატორმა ტაკოიმ, რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემდეგ, სენატს ასე განუმარტა ფინეთის პოზიცია: „როცა მსოფლიო ომი დაიწყო, ფინეთმა რუსეთის წინაშე ნეიტრალიტეტი შეიარჩუნა და აჯანყება არ უცდია. მაგრამ ვერ დავმალავთ, რომ მთელი ფინეთი ხსნას რუსული ჯარის დამარცხებაში ხედავდა. ბევრმა ახალგაზრდამ იარაღი აიღო და რუსეთის მტრის რიგებს შეუერთდა (მინიშნება ფინურ ლეგიონზე), რათა სამშობლოს გათავისუფლებისათვის ებრძოლა.“

დიახ, საქართველოც იმავე დღეში იყო და მთლიანად იზიარებდა ფინეთის გრძნობას.

მაგრამ დღეს რუსეთში პოლიტიკური ვითარება ძირფესვიანად განსხვავდება ადრინდელისაგან. დესპოტური რეჟიმი დემოკრატიამ შეცვალა, რომელიც თავისუფლებისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების დამცველად აცხადებს თავს. შეძლებს თუ არა დემოკრატიული რუსეთი რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ერთა ეროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილებას?

შეძლებს თუ არა დამფუძნებელი კრება, რომელიც მალე გამოჩნდება პოლიტიკურ სარბიელზე, ახალგაზრდა რუსეთის რესპუბლიკური და სამართლიანი რეჟიმის ქვეშ გააერთიანოს ყველა ის ერი, რომელიც ცარისტულ რუსეთს უარყოფდა?

რას მოგვიტანს მომავალი?

მერაბ ოდიშელიძე

გენერალ გიორგი კვინიტაძის შვილიშვილის – მერაბ ოდიშელიძის სიტყვა ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის ჩოხის საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის გადაცემისას. 2018 წ. 26 მაისი

ბატონო დირექტორო, ბატონო მინისტრო, ბატონებო და ქალბატონებო,

უპირველეს ყოვლისა, ქართველ ემიგრანტთა აქ დამსწრე შთამომავლების სახელით, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თბილი და საზეიმო მიღებისათვის, რომელიც ამ საპატიო ადგილას – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში – მოგვიწყვეთ.

სიყტვის წარმოთქმას არ ვაპირებ, ნამდვილად ვერ შევძლებ. უბრალოდ, რამდენიმე წუთს ვითხოვ, რომ ერთი პატარა ამბავი მოგითხროთ. ეს ამბავი, ჩემი აზრით, შესანიშნავად გვიჩვენებს, თუ რამ შეგვყარა დღეს აქ.

მე ბედმა მიწყალობა, დავბადებულიყავი საფრანგეთში, გამორჩეულ ოჯახში და გარემოცული ვყოფილიყავი გამორჩეული ადამიანებით. ამ ადამიანებს დიდსულოვანი ურთიერთგაზიარება და ურთიერთპატივისცემა აერთიანებდათ და მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ საერთო ღირებულებებს ემსახურებოდნენ.

ეს ადამიანები ჩვენი წინაპრები იყვნენ, ანუ თქვენი წინაპრებიც.

ქართველთა წრე, სადაც რამდენიმე ფრანგი და სხვა ეროვნების წარმომადგენელიც ერია, ხშირად იკრიბებოდა ხოლმე. ყველას ის იმედი ასაზრდოებდა, რომ რაც შეიძლება მალე დაუბრუნდებოდნენ დამპყრობლისაგან გათავისუფლებულ მშობელ მიწას.

გადიოდა წლები და თან მიჰყვებოდა ბევრის სიცოცხლე. პაპაჩემის გარშემო შემოკრებილ თანამემამულეთა რიცხვიც თანდათან მცირდებოდა. ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ, 1970 წლის აგვისტოში, პაპაჩემიც გარდაიცვალა.

ამ ხანებში იყო, რომ ერთმა მისმა უახლოესმა მეგობარმა და უერთგულესმა თანამებრძოლმა რაღაც გადმომცა და საზეიმო კილოთი მითხრა: „გამომართვი, შენთვისაა. ეს ქაქუცას ჩოხაა, სიკვდილის წინ თავადვე მიბოძა.“

ქაქუცა 1930 წელს გარდაიცვალა, 42 წლის ასაკში. აქ დამსწრეთა მსგავსად, არც მე მრგებია პატივი, პირადად მცნობოდა საქართველოს თანამედროვე ისტორიის ეს გმირი, რომლის ხსოვნასაც ჩვენი მცირედი ემიგრაციის თითოეული ოჯახი სასოებით ინახავდა.

პაპაჩემის თანამებრძოლს, რომელმაც ეს ლეგენდარული ჩოხა გადმომცა, ჯიბო ერქვა, პოლკოვნიკი ჯიბო ყანჩელი. მინდა, დღეს მის ხსოვნასაც მივაგო პატივი.

ჯიბო ალბათ დღესაც ბევრს ახსოვს: სახელაჟღაჟა კაცი, ბრიჯის ჩინებული მოთამაშე. ის და პაპაჩემი, გიორგი კვინიტაძე, ხშირად თამაშობდნენ ხოლმე ერ-

თად, საათობით იგონებდნენ წარსულს და სამხედრო სტრატეგიის საკითხებზე მსჯელობდნენ.

ჯიბო ბრგე კაცი იყო, ას კილოს იწონიდა. გრძელ ულვაშს ატარებდა; მის მზერაში კი საოცარი სინაზე და კეთილშობილება იკითხებოდა.

სწორედ კეთილშობილების გამო შეიფარა საკუთარ ჭერქვეშ საშა კარგარეთელი, ერთ-ერთი იმ შეფიცულთაგანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილს საფრანგეთში რომ ჩამოჰყვნენ.

აი, ასე აღმოჩნდა ჩემს ხელში ქაქუცას ლეგენდარული ჩოხა, რომლის ტარებაც ვერასდროს გავბედე და მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებული შემთხვევის გამო ჩავიცვი.

1970-იან წლებში, როდესაც ეს არაჩვეულებრივი საჩუქარი მივიღე, საქართველოში ჯერ კიდევ რუსული საბჭოთა რეჟიმი ბატონობდა.

ქაქუცა მაშინ სენტ უანის ფრანგული კომუნის საერთო სასაფლაოზე იყო დაკრძალული, საიდანაც მოგვიანებით ლევილში გადაასვენეს, თანამემამულეთა შორის. ამ ვითარებაში, მისი ჩოხის მოვლა-პატრონობა მეტად საჭირო საქმე იყო.

აი, რამდენიმე სიტყვით, ამბავი, რომელიც მინდოდა მომეთხრო. მისი გაგრძელება თქვენთვის მომინდვია.

ბატონო დავით, დღეს პატივი გვაქვს, გადმოგცეთ ეს ისტორიული ჩოხა. აქ დამსწრე ჩემი მეგობრები, ჩემი მეუღლე აგნესი, მე – ყველანი დიდი მღელვარებითა და ასევე დიდი სიხარულით ვართ მოცულნი. ამას ჩვენ ქართულ მიწაზე დაბადებული ჩვენი ძვირფასი ნათესავების ხსოვნისთვისაც ვაკეთებთ. ჩოხა სამშობლოს უბრუნდება, რათა აქ გამოიფინოს. მისი ნახვა შეეძლებათ არა მარტო ქართველებს, არამედ თქვენი შესანიშნავი მუზეუმის დამთვალიერებელ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ტურისტებს.

მადლობას ვუხდი საფრანგეთს – ქვეყანას, რომელმაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ჩვენი მამა-პაპა მიიღო და სადაც ჩვენ გავიზარდეთ. ამ დიდებისა და თავისუფლების ქვეყანაში ჩვენმა წინაპრებმა ღირსეულად იცხოვრეს და ღირსეულადვე აღესრულნენ.

ნება მიბოძეთ, აქ დამსწრე საზოგადოების სახელით, კიდევ ერთხელ გამოვხატო მადლიერება დღევანდელი მიღებისათვის. გმადლობთ, რომ გამუდმებით ზრუნავთ საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისა და დაფასებისათვის.

ვაშა საქართველოს! ვაშა საფრანგეთს! ეს ორი ქვეყანა ხომ ასე ახლოა თავიანთი კულტურითა და ათასეული წლების ტრადიციებით.

დასასრულ, ჩემს ოჯახში შენახულ ქაქუცას ჩოხასთან დაკავშირებით, ერთი რამ მინდა დავამატო. თუ დღეს ჩოხა აქ ძევს, ეს ერთი აქ დამსწრეთაგანის დამსახურებაცაა. ამ არაჩვეულებრივ კაცს, ჯერ კიდევ პატარა ბიჭს ვიცნობდი, დღეს ის 65 წელსაა გადაცილებული. ის საოცარი ხიბლის პატრონია, საოცარი ერთგულების უნარი, მოთმინება და კეთილშობილება ახასიათებს. რაც ყველაზე მთავარია, მას საქართველოს, ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის დიდი სიყვარული გააჩნია. ამ სიყვარულს ის ყოველი თავისი მოქმედებით ამტკიცებს და სადაც არ უნდა იყოს, გარშემომყოფებსაც უზიარებს.

აი, ეს კაციც: დღეს ჩვენს შორის მყოფი ოთარ ზურაბიშვილი. მინდა, საჯაროდ გადავუხადო მადლობა ყველა თქვენგანის სახელით მთელი მისი ღვაწლისთვის. ბატონი ოთარი ნამდვილად იმსახურებს ჩვენს ტაშს.

P. S. *აქვე ვბეჭდავთ საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს თავმჯდომარის, ბატონ ოთარ ზურაბიშვილის მიმართვის ტექსტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძისადმი მუზეუმისათვის ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ჩოხის გადმოცემის თაობაზე.*



ASSOCIATION GEORGIENNE EN FRANCE
(Fondée en 1921)

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ
ლტოლვილთა სათვისტომო

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორს
ბატონ დავით ლორთქიფანიძეს

პარიზი, 24 თებერვალი 2018

ბატონო დავით,

მქონდა პატივი კვლავ შეგხვედროდით პრემიერ მინისტრის მიერ გამართულ, უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სადილზე.

მინდა შეგახსენოთ იმ პროექტის პირობები, რომელზეც ვისაუბრეთ.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, ჩვენ, სათვისტომოს კომიტეტი ორგანიზებას ვუწევთ საფრანგეთში მცხოვრები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ასამდე შთამომავლის სიმბოლურ მოგზაურობას საქართველოში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენს მფლობელობაშია პოლკოვნიკის, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის (1924 წლის აჯანყების მეთაურის) ჩოხა, რომელიც გვსურს, გენერალ გიორგი კვინიტაძის (საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის) შვილი შვილის ხელით , სიმბოლურად გადავცეთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ეს გადაცემა შეიძლება მოხდეს 2018 წ-ის 26 ან 27 მაისს. თარიღის შერჩევა მოხდება როგორც თქვენთან, ასევე მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ.

ჩვენი თხოვნა იქნებოდა, ცხადია, თუ კი ამას შესაძლებლად ჩათვლით, აღნიშნული ცერემონიის მონაწილეებისთვის დაგეგმათ ვიზიტი სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში.

პატივისცემით,

ოთარ ზურაბიშვილი
თავმჯდომარე

სათვისტომოს საკონტაკტო მისამართი :
o.zourabichvili@georgie-agf.eu
+33 6 85 42 21 11

პაატა ნაცვლიშვილი

დროთა კავშირი

საპროექტო წინადადება და სინოფსისი დოკუმენტური ფილმისათვის*

ფილმის თემაა ქართული ემიგრაცია, რომლის ცხოვრების დრამატიზმი ნაჩვენები იქნება ერთი დიდი და ძლიერი ოჯახის – არგენტინელი პაპავა-ჭეიშვილების ოჯახის მაგალითზე. პაპავა-ჭეიშვილების ოჯახის სარკეში როგორც წვეთში ზღვა, ისე ირეკლება ქართული ემიგრაციის მთელი ისტორია თავისი საქმეებით, თავისი შუქ-ჩრდილებით, თავისი დიდი სევდითა და პატარა, მაგრამ მძაფრი სიხარულებით.

ეს ოჯახი ათწლეულების მანძილზე ერთგვარი ცენტრი იყო, როგორც პირველი, ისე მეორე ტალღის ქართული ემიგრაციისათვის. პაპავა-ჭეიშვილების ოჯახთან დაკავშირებულია ქართული ემიგრაციის ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეთა სახელები, როგორიცაა: ექვთიმე თაყაიშვილი, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე, გრიგოლ რობაქიძე, კიტა ჩხენკელი, სამსონ ფირცხალავა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რაფიელ ინგილო-ივანიცკი, ირაკლი ბატონიშვილი...

ფილმში დოკუმენტური კინო-ფოტო-ვიდეოკადრების ფონზე გაცოცხლდება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ინფორმაციული და ყველაზე ემოციული ფრაგმენტები მათი წერილებიდან, რომელთა რაოდენობა თამარ და აკაკი პაპავების არქივში რამდენიმე ასეულს აჭარბებს. ამ წერილების ფრაგმენტებს წამყვანთან ერთად ემიგრანტთათვის დამახასიათებელი განსხვავებული ქართულით წაიკითხავენ თამარ და აკაკი პაპავების შვილიშვილები: გულნარა, სალომე, ტურფა-მარია, მზია და ნინო ჭეიშვილები. ჩვენი ჩანაფიქრით, ფილმში მონაწილეობას მიიღებს და უნიკალურ საარქივო მასალას კომენტარს გაუკეთებს

---

* საპროექტო წინადადება 2018 წელს წარედგინა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიას და მოწონებულიც იქნა სტუდიისა და არხის ხელმძღვანელობის მიერ, იმდენად, რომ, მათი თხოვნით, შვიდსერიიანი დოკუმენტური სერიალის ვრცელი სასცენარო გეგმაც კი შეიქმნა, მაგრამ პროექტის განხორციელება, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა.

გენერალ კვინიტაძის შვილიშვილი, ცნობილი ფრანგი მსახიობი მარიამ დ'აბო.

„ჩემი ძველი მეგობრის, ცნობილ მწერლის გრიგოლ რობაქიძის მხვდური თქმით, ემიგრანტობა ტრამვაით მოგზაურობაა: ვინ იცის – ვისთან ზიხარ, ვისთან მგზავრობ", – წერდა ერთ თავის წერილში აკაკი პაპავა, თავის დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი და მისი პირველი თავმჯდომარის, კოტე მაყაშვილის პირველი მოადგილე.

პაპავა-ჭეიშვილების და მათ მიერ თბილისის სიონის ტაძრის საკურთხევლის გადასაფარებლის გადარჩენისა თუ თბილისში გამოგზავნის ამბავს ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდი ეძღვნება ცნობილი მწერლისა და კინოდოკუმენტალისტის რეზო თაბუკაშვილის ფილმში „შორიელთა სიახლოვე" იმ პერიოდში, როცა რეზო თაბუკაშვილის ის ფილმი იქმნებოდა, საქართველო და ქართული ემიგრაცია საგულდაგულოდ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული. დღეს კი, საბედნიეროდ, ქართული ემიგრანტული კულტურა, ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობა სხვადასხვა გამოვლინებაში ერთიან ქართულ ისტორიას შეერთვის და მისი ნაწილი ხდება. გარდა იმისა, რომ იმ დროს ბევრი რამის თქმა, გასაგები მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო, გასული 20-25 წლის განმავლობაში ჩვენ მიერ გამოვლენილი იქნა საზღვარგარეთ და კერძოდ – სამხრეთ ამერიკაში არსებული მრავალი უნიკალური მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, სრულიად ახლებურად გავიაზროთ ქართული ემიგრაციის ისტორია და რომლის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ელის საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას.

ჩვენს ფილმში გამოყენებული იქნება ამ დღემდე უცნობი და ექსკლუზიური მასალის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და „კინოგენური" ნაწილი – უნიკალური ფოტოები თუ კინოკადრები, აგრეთვე ჩემ მიერ და ნინო სხირტლაძის მიერ ლომას-დე-სამორაში, ბუენოს-აირესსა თუ მონტევიდეოში გადაღებული ვიდეომასალა.

გარდა ამისა, ფილმში ნაჩვენები იქნება პაპავა-ჭეიშვილების სრულიად უნიკალური ბიბლიოთეკისა და არქივის თბილისში ჩამოტანის ეპოპეა. ეს ბიბლიოთეკა და არქივი უცხოეთში არსებული უმდიდრესი ქართული კერძო სიძველეთსაცავი იყო. იგი თამარ და აკაკი პაპავების ანდერძით და მათი შთამომავლების ნებით საქართველოს გადმოეცა და დღეს ქართულ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, თამარ და აკაკი პაპავების სახელობის კაბინეტში.

ფილმის დროითი საზღვრები ზუსტად ერთ საუკუნეს მოიცავს – XX საუკუნის ათიანი წლებიდან, ვიდრე ჩვენს დღეებამდე. ხოლო მისი გეოგრაფია რამდენიმე ქვეყანას მოიცავს: გერმანია, საფრანგეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, შვეიცარია, რუსეთი, ესტონეთი, არგენტინა, ჩილე, ურუგვაი... და, რა თქმა უნდა, საქართველო.

თუმცა ჩვენი ფილმი არგენტინაზეა, უფრო ზუსტად – საქართველოზე, კიდევ უფრო ზუსტად – არგენტინაში მცხოვრებ ქართველებზე, იგი მონტევიდეოთი იწყება, ლურჯი მონტევიდეოთი ვიწრო ხელთათმანებით, როგორც იტყოდა გალაკტიონი.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ არგენტინიდან საშუალო შეძლების ხალხიც კი დასასვენებლად მონტევიდეოში ჩადიოდა ხოლმე.

1964 წელს მონტევიდეოში გაუტარებიათ თავიანთი უკანასკნელი ერთობლივი არდადეგები თამარ და აკაკი პაპავებს, ქართველ ემიგრანტებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიიდან არგენტინაში გადასახლდნენ ორ ქალიშვილთან და მათ მეუღლეებთან ერთად.

ძალზე ემოციურად იხსენებს ამ არდადაგებს თამარ პაპავა თავისი მემუარული ჩანაწერების ერთ თავში – „უკანასკნელი ვაკანსები ურუგვაიში“ ეს ჩანაწერები ჩემ მიერ არის გამოვლენილი და დღემდე უცნობია საზოგადოებისათვის.

ამ მემუარებთან და სხვა მრავალ მნიშვნელოვან მასალასთან ერთად პაპავების არქივში დაცულია თამარ პაპავას რამდენიმე ათეული სრულიად უნიკალური წერილიც, რომლებსაც იგი რამდენიმე თვით ადრე გარდაცვლილ თავის მეუღლეს სნერდა. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ:

...„ჩვენი ფოჩტალიონი ისევ დადის, ისევ დააქვს ფოსტა, თუ გაფიცული არაა. ვაძლევ ფულს, ისე როგორც შენ იცოდი. ისევ წითელია სახეზე, ოფლიანი და გაბურძგნული... გაზეთებს ვიღებ. ჟურნალებსაც. ესაა ჩემი გასართობი... ეს პირველი აღდგომაა უშენოდ, საყვარელო! როგორ გიყვარდა შენ ეს დღესასწაული, ჩემო ძვირფასო! როგორ სასოებით იგონებდი მუდამ ამ დღესასწაულს ბავშვობისას შენ სახლში, სამტრედიაში. როგორ აღბეჭდე ეს დღესასწაული შენს ლექსებში, ტკბილად, სასოებით... გახსოვს, ამ დღეს მე და შენ მუდამ ეკლესიაში რომ დავდიოდით ჯერ ჰამბურგში, მერე კი – სადაც მოგვისწრებდა ეს დღესასწაული. როგორ გიყვარდა ლოცვა. მუდამ, როცა კი შევიდოდით ეკლესიაში, დაემხობოდი და იყავი გარინდებული... ლოცულობდი... რას სთხოვდი ღმერთს? შენი სამშობლოს კეთილყოფას, არა? ო, როგორ გიყვარდა შენი სანეტარო სამშობლო, რა ღრმა იყო შენი სიყვარული მისდამი! რა სათნო და სათუთი იყო შენი სიტყვები მისდამი მიძღვნილი! ეს ვიცოდი მარტო მე, მუდამ შენს გვერდში მდგომმა. რამდენჯერ მომიწმენდია ცრემლები შენს თვალებზე, როცა შენ ჩვენს სამშობლოზე, მის წარსულზე ლაპარაკობდი... ღმერთმა გისმინოს, ჩემო, და მალე გამცნოს მისი ჭეშმარიტი აღდგომა“

და აი, საქართველოს აღდგომა, მისი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა გვაძლევს საშუალებას პირველი რესპუბლიკის მე-100 წლისთავზე ჩვენი ფილმით რელიეფურად გავაცნოთ ფართო საზოგადოებას საქართველოს ჭეშმარიტი მამულიშვილები, ცნობილი მწერლები, სახელოვანი მეცნიერები, დიდი კულტურტრეგერები, გამოჩენილი მოღვაწენი.

ფილმში დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნება თამარ და აკაკი პაპავების დიდი სიყვარულის ისტორია, აღწერილი იქნება მათი ოჯახის უაღრესად საინტერესო თავგადასავალი – როგორ მოახერხეს მათ უცხოობაში შვილების და შვილიშვილების ქართულად აღზრდა, როგორ მოახერხეს არგენტინელი მეზობლების ქართულად ალაპარაკება, როგორ ჩაუყარეს საფუძველი ძლიერ ქართულ სათვისტომოს არგენტინაში, როგორ შეაგროვეს უმდიდრესი ქართული ბიბლიოთეკა, როგორ გამოსცეს იბეროამერიკაში ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, მათ შორის ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის განკითხვათა“ რამდენიმე ტომი, როგორ აქციეს მათი ოჯახი ქართული პოლიტიკური, კულტურული თუ სამეცნიერო ემიგრაციის მძლავრ კერად.

ფილმში ნაჩვენები იქნება პაპავების არგენტინული სახლის ცნობილი სხვენი იმ თავისი უკვე ცნობილი სკივრით, რომელშიც უამრავი საარქივო მასალა იყო დაცული – დაწყებული ასეულობით პირადი წერილიდან და თამარ პაპავას ჯერ

გამოუქვეყნებული მემუარებიდან, დამთავრებული გრიგოლ რობაქიძის უცნობი ნოველითა და სრულიად უნიკალური ვიზუალური მასალით.

ფილმის დრამატურგიული ხაზი პაპავების სკივრში დაუნჯებული მასალის დღის სინათლეზე გამოტანა იქნება, რაც ხშირ შემთხვევაში თავად სკივრის პატრონთათვისაც მრავალი სიახლისა და სიურპრიზის შემცველია.

თითქოს სწორედ ამ სკივრზე წერდა ჯერ კიდევ ემიგრაციამდე იოსებ იმედაშვილის „თეატრსა და ცხოვრებაში" დაბეჭდილ თავის მინიატურაში „ძველი წერილები" თამარ პაპავა:

„ალბათ თქვენც, ჩემო ახლობელო მკითხველო, შეხვედრიხართ შემთხვევით ძველს განჯინაში ან ბებიას ნამზითვ დაჟანგულ სკივრში, რომელსაც გასაღები რაღაც მისტიკური რანკუნით აღებს, ჭრელს ბაღდადში, ან ატლასის ნაჭერში გახვეულ ძველ წერილებს. მას ზევიდან ოქროს ფერის აბრეშუმის ძაფი აქვს შემოხვეული... თქვენც აუტანიხართ ამ დროს ცნობისმოყვარეობას, იქვე მოგირთხავთ ფეხი, სასოებით შემოგიხსნიათ ეს ძაფი და გაყვითლებულ ფურცლებზე თითქმის გადასულ ასოებს დიდხანს ჩასცქერებიხართ... გამოუთქმელ ნეტარებას მისცემიხართ ალბათ ამ დანოტივებულ წერილების კითხვით... თქვენ ხარბად შლით ამ ფურცლებს და სავსებით ეძლევით ძველს ეპოქას, მანერას, სტილს, ენას და გრძნობებს – დაუსრულებელ გრძნობებს"

ემოციურობასთან ერთად ფილმი გამორჩეული იქნება თავისი ინფორმაციულობითაც და სიახლითაც – ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, რაც ამ ფილმში იქნება გამოყენებული, როგორც დოკუმენტური მასალა, ფაქტობრივად პირველად იხილავს დღის სინათლეს.

ჩვენს ხელს არსებული მასალა თავისუფლად შეიძლება გასწვდეს არა მხოლოდ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს, არამედ სერიალსაც.

ხოლო ფილმის / სერიალის სათაური – „დროთა კავშირი" – პირობითია.

\+ + +

ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ეს ამდენი ექსკლუზიური მასალა ჩემს ხელში მოიყრიდა თავს და ახალი ინფორმაციით გაძეძგილი და ემოციურობით დამუხტული დოკუმენტური ფილმ(ებ)ის საფუძველი გახდებოდა,

ვერც მაშინ, როცა 1981 წელს ჩვენი გემი „დავით გურამიშვილი" ბუენოს-აირესის პორტში შევიდა და თუმცა ტელეფონის ნომერი მქონდა, კაგებეს ფხიზელი თვალის შიშით, უბრალო მატროსმა ჭეიშვილებთან დარეკვა ვერ გავბედე,

ვერც, მით უმეტეს, მანამდე სამი წლით ადრე, როცა ფეხბურთელთა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან ახალდაბრუნებული მიშა კაკაბაძისაგან პირველად გავიგე არგენტინაში მცხოვრები ქართველების შესახებ,

ვერც მაშინ, როცა 1985 წელს ჩემთან – მაშინ უკვე საქართველოს მეორე უდიდესი გაზეთის რედაქტორთან – ცნობილი ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი შემოვიდა და წინ რამდენიმეგვერდიანი ხელნაწერი დამიდო – ეს გამოუქვეყნებული ნარკვევი მიშა კაკაბაძის არქივში აღმოჩნდა, ვერავინ ამის დაბეჭდვა ვერ გაბედა და ნახე, თუ ვერც შენ დაბეჭდავ, საწყენად არც მიშას მეგობრებს და არც მის ოჯახს არ დაგვრჩებაო,

ვერც მაშინ, როცა ეს მართლა საეტაპო წერილი (რაკი იგი პირველი იყო ჩვენს პრესაში, სადაც ავტორი ქართველ ემიგრანტებზე ლანძღვა-გინების ნაცვლად სიმპათიითა და სიყვარულით წერდა) გაზეთში დაიბეჭდა და მეორე დილას

ჩვენი გაზეთის სპორტულმა მიმომხილველმა, დღეს „რადიო-თავისუფლების“ ქართული სამსახურის უფროსმა დათო კაკაბაძემ, მიშა კაკაბაძის ვაჟმა, დედამისის წერილი მომიტანა, რომელშიც ქალბატონი მანანა ქავთარაძე მწერდა: „ტელეფონით ვერ ვიტყოდი სათქმელს, ალბათ ავტირდებოდი და ამიტომ ვარჩიე წერილობით გადამეხადა უდიდესი მადლობა... რამდენი ვიღელვე, როდესაც წყდებოდა საკითხი – დაიბეჭდება თუ არ დაიბეჭდება...“,

ვერც ორი წლის შემდეგ, როცა ჩემი უფროსი მეგობრის, რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმი „შორიელთა სიახლოვე“ ვნახე, სადაც სხვა ემიგრანტულ ამბებთან ერთად არგენტინელ ჭეიშვილებთან მისი სტუმრობისა და მათგან სიონის საკურთხევლის გადასაფარებლის ჩამოტანის ეპოპეა ესოდენ ამაღელვებლად იყო მოთხრობილი,

ვერც მაშინ, როცა ჩემი საყვარელი საქმიანობისას – ძველი ჟურნალ-გაზეთების თვალიერებისას – იოსებ იმედაშვილის „თეატრსა და ცხოვრებაში“ (თებერვალი, 1926) სრულიად შემთხვევით გადავაწყდი თამარ პაპავას ლიტერატურულ ჩანახატს „ძველი წერილები“, სადაც იგი მრავალი წლით ადრე თითქოს წინასწარმეტყველურად ხედავდა უამრავი ძველი წერილით სავსე სკივრს თავიანთი არგენტინული სახლის სხვენში,

ვერც 1994 წელს, როცა უკვე სხვა გაზეთის – „სამშობლოს“ რედაქტორმა, როგორც ყოველთა ქართველთა კონგრესის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, აქტიური მონაწილეობა მივიღე ამ დიდი ფორუმის ჩატარებაში, როცა არაერთ ქართველ ემიგრანტს პირადადაც ვუმასპინძლე და არგენტინელ ქართველთა ერთ-ერთი წარმომადგენლის – პუსი ჭეიშვილის ინტერვიუც დავბეჭდე ჩემს გაზეთში,

ვერც მაშინ, 1998-ში, როცა პუსის დედამ და დეიდამ – თამარ და აკაკი პაპავების ქალიშვილებმა – ტურფა და მზია პაპავა-ჭეიშვილებმა ჩემი გაცნობა ინებეს და არგენტინაში მიმიწვიეს, და ვერც მაშინ, როცა მე მათთან ორკვირიანი ურთიერთობის შედეგად დიდძალი მასალა დამიგროვდა და მზია პაპავასთან საკმაოდ ვრცელი და უაღრესად საინტერესო ვიდეოინტერვიუც ჩავწერე,

ვერც მაშინ, როცა სწორედ იმ ჩასვლაზე, თითქოს თამარ პაპავას იმ ლიტერატურული ჩანახატის საილუსტრაციოდ, გულნარა ჭეიშვილმა მათი სახლის სხვენზე ამიყვანა, ბებიის ნამზითვი ის დაჟანგული სკივრი გასაღების რაღაც მისტიკური რაწკუნით გააღო და მე გარდასული ეპოქის მანერით, სტილით, ენით, გრძნობებით მონუსხელი, გამოუთქმელ ნეტარებას მივეცი, და ვერც მაშინ, როცა გულნარამ აბრეშუმის ძაფებით შეკრული ძველი წერილების რამდენიმე დასტა თბილისში წამოსაღებად გადმომცა,

ვერც მაშინ, როცა თამარ და აკაკი პაპავების შვილიშვილებთან ერთად მოვიარეთ დასავლეთი საქართველო, მთიულეთი თუ ხევი და ვერც მაშინ, როდესაც თამარ და აკაკი პაპავების დღეები ჩავატარეთ თბილისში 2008 წელს, როცა გალერეა „ვერნისაჟში“ პაპავების არგენტინულ არქივში დაცული ბეჭდური თუ ხელნაწერი ეფემერების გამოფენა მოვაწყვეთ, რაც ამ ტიპის პირველი გამოფენა იყო საქართველოში,

ვერც მაშინ, როცა შევისწავლე და გამოვეცი არგენტინიდან იმ პირველ ჯერზე ჩამოტანილი არქივის ერთი ნაწილი – ექვთიმე თაყაიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, სამსონ ფირცხალავას, კიტა ჩხენკელისა და მიხაკო წერეთლის წერილები და არგენტინიდან ჩამოტანილ სხვა მასალასთან ერთად საქართველოს ხელნა-

წერთა ეროვნულ ცენტრს გადავეცი დასაცავად, სადაც ჩემი ინიციატივითა და ცენტრის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით თამარ და აკაკი პაპავების სახელობის მემორიალური კაბინეტი გაიხსნა,

ვერც მაშინ, როცა საფუძვლიანი გამოკვლევითურთ გამოვეცი იმავე სკივრში აღმოჩენილი გრიგოლ რობაქიძის უცნობი ნოველა, რომლის არსებობა აკაკი პაპავას გარდაცვალების შემდეგ აღარავის სცოდნია, მათ შორის არც იმ სკივრის პატრონებს;

ვერც მაშინ, როცა, უკვე ტურფა და მზია პაპავების გარდაცვალების შემდეგ, ისე დავუახლოვდი და დავუმეგობრდი მათ შვილებს, რომ მათ სწორედ მე მომანდეს წინაპართა ანდერძის აღსრულება – თამარ და აკავი პაპავების უმდიდრესი არქივისა და ბიბლიოთეკის საქართველოში მთლიანად ჩამოტანა და მათზე შემდგომი ზრუნვა,

ვერც 2013 წელს, როცა, როგორც იმჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობის შესწავლის პროგრამის ხელმძღვანელი, ცენტრის სხვა თანამშრომლებთან და საარქივო თუ საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტებთან ერთად არგენტინაში ჩავედით და მთელი არქივი და უნიკალური ბიბლიოთეკა საქართველოში გამოვაგზავნეთ,

ვერც მაშინ, როცა ეს არქივი საიმედოდ დავაბინავეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და როცა მისი დამუშავებას და კატალოგიზაციას გამოცდილმა და საქმის მოყვარულმა სპეციალისტებმა მოჰკიდეს ხელი;

მაგრამ როდესაც არგენტინაში ჩემთან ერთად მყოფი ჩემი მეუღლის, დოკუმენტური კინოს რეჟისორისა და ოპერატორის ნინო სხირტლაძის ბუენოს-აირესსა თუ მონტევიდეოში გადაღებული კადრები და ინტერვიუები ვნახე;

როდესაც კიდევ ერთხელ აღმოვჩნდი არგენტინაში, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის იქ მიმდინარე მორიგი კონგრესის მონაწილე, და როდესაც კვლავ ვეწვიე ჩემს ძველ მეგობრებს ლომას-დე-სამორაში, სადაც ჩემთვის კიდევ ერთხელ გაიხსნა ის ჯადოსნური სკივრი და გულნარა ჭეიშვილმა ძველი წერილების კიდევ ერთ დასტასთან ერთად სრულიად უნიკალური ახალი მასალაც გადმომცა;

როდესაც კიდევ ერთხელ გადავხედე ჩემს ხელთ არსებულ ამ მართლა უნიკალურ მასალას და როდესაც ნინო სხირტლაძემ ამ მასალის რეჟისორული ორგანიზების კონცეპტუალური მოსაზრებები გამიზიარა;

როდესაც წარმოვიდგინე, რა შთაბეჭდილებას მოახდენს დღეისათვის სრულიად უცნობი პირადი წერილებიდან გამოკრებილი ემოციური ფრაგმენტები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაზე, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის რამდენ ახალ და რამდენ უცნობ ეპიზოდს შეიტყობს იგი, და რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება ეს ყველაფერი ერთიანი ქართული ისტორიის შექმნისათვის დროითი თუ სივრცითი საზღვრების გარეშე;

როდესაც წარმოვიდგინე, რა საინტერესო იქნება ქართული საზოგადოებისა თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემულეთათვის ჩემს ხელთ არსებული მასალის გამომზეურება სწორედ ახლა, როცა სრულდება 100 წელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადებიდან, რომლის ნოსტალგიაც ჩვენი ნარატივის გმირთა ერთი მთავარი განწყობილება იყო და იქნება;

ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მთელი ამ მასალის დოკუმენტური კინოს ენაზე გადატანა არათუ სასურველი, არამედ უაღრესად საშური და გადაუდებელი საქმეა, და საამისოდ ბევრი რამ ნინო სხირტლაძისა და ჩემ მიერ წლების განმავლობაში უკვე გაკეთებულია წინასწარი სამუშაოების სახით, და თუ საბოლოო პროდუქტის შექმნა გარკვეულ დროს და სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს, მათ შორის შესაძლო დამატებითი გადაღებებისათვის არგენტინასა თუ საფრანგეთში, დიახაც ღირს ზრუნვა ამ მხარდაჭერის მოსაპოვებლადაც და სრულმასშტაბიანი შემოქმედებითი თუ ტექნიკური სამუშაოების მაღალ დონეზე წარსამართავადაც.

სწორედ ამისთვის დაიწერა ჩემი ეს უჩვეულო სინოფსისი.

გიორგი მამულია

რეცენზია წიგნზე: რუსუდან დაუშვილი, ოთარ ჯანელიძე. გიორგი მაჩაბელი. თბილისი, ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2019.

გასულ წელს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობამ დასტამბა რუსუდან დაუშვილის და ოთარ ჯანელიძის წიგნი „გიორგი მაჩაბელი“ წიგნი ეძღვნება პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელის, ხოლო შემდეგ კი – ქართველი დიპლომატის და ცნობილი ბიზნესმენის გიორგი მაჩაბლის ცხოვრებას და მოღვაწეობას. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულების ჩვენი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე აშკარა ნაკლად, ქართული ისტორიის მე-20 საუკუნის თვალსაჩინო პიროვნებების მეცნიერულ ბიოგრაფიათა ნაკლებობა უნდა მივიჩნიოთ. ამ მხვრივ, სარეცენზიო ნაშრომს უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ხსენებულ ხარვეზის შევსებაში. წიგნის ბილინგვური ხასიათი (ქართულ ტექსტს გვერდით თან მისდევს პარალელური ინგლისური თარგმანი), ასევე მისაბაძ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ისტორიკოსებისთვის, რაც საშუალებას მისცემს უცხოენოვან მკითხველსაც, გაეცნოს ამ მნიშვნელოვანი მოღვაწის ბიოგრაფიას.

სტრუქტურულად ნაშრომი წინასიტყვაობად და ცხრა თავად არის დაყოფილი. ამგვარი დაყოფა ავტორებს საშუალებას აძლევთ, კარგად წარმოაჩინონ გიორგი მაჩაბლის ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები.

პირველ თავში – „გიორგი მაჩაბლის წინაპრები“ – ავტორები დაწვრილებით ეხებიან როგორც მაჩაბელთა გვარის ისტორიულ წარმომავლობას, ისე გიორგი მაჩაბლის მშობლიური კუთხის (სამაჩაბლოს) ისტორიულ ბედს. დამაჯერებლად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სამაჩაბლო, ისევე როგორც მთლიანად შიდა ქართლი, საქართველოს ძირ-ძველ მხარეს წარმოადგენდა, რომელიც ხშირად ასრულებდა ისტორიული ბალავარის როლს, ბრძოლაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენისათვის.

მეორე თავში, რომელიც გიორგი მაჩაბლის ოჯახს, მის მოწაფეობას და სტუდენტობას შეეხება, რ. დაუშვილმა და ო. ჯანელიძემ, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, შეძლეს მეცნიერულად შეესწავლათ, როგორც გიორგი მაჩაბლის ოჯახის უახლოესი გენეალოგია, ისე სოციალურ-პოლიტიკური გარემოც, რომელმაც, უდავოდ, საკუთარი ღრმა და წარუშლელი დაღი დაადო გიორგის ხასიათს, მის პიროვნულ ჩამოყალიბებას და შემდგომ მოღვაწეობას. აშკარად ჩანს, რომ სწორედ მაჩაბელთა ოჯახში არსებული ტრადიციული ქართული და მოწინავე ევროპული სულის უნიკალურმა ნაზავმა შესძინა ქართველ ერს ისეთი ფენომენი, როგორიც გიორგი მაჩაბელი იყო. გიორგის ოჯახური გარემოთი, გენეალოგიით და მოწაფეობისა და სტუდენტობის წლების შესწავლით ბუნებრივი გატაცებისას, ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ ის, თუ როდიდან ჩნდება საარქივო წყაროებში ცნობები გიორგი მაჩაბლის ქართულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირის შესახებ. ამ მხვრივ, მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს რუსეთის ჟანდარმერიის მიერ შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი. ჯერ კიდევ 1906 წელს ჟანდარმერიას ხელში ჩაუვარდა გიორგი მაჩაბლის მიერ ლაიფციგიდან თბილისში ერთ-ერთი ადგილობრივი სოციალისტ-ფედერალისტის სახელზე გამოგზავნილი წერილები. 1906 წლის 11 იანვრით დათარიღებულ წერილში გიორგი წერდა: – რა შემიძლია? – არაფერი! – შენ ხომ კარგად იცი, რომ იარაღით რუსულ მთავრობას ვერ შევებრძოლებით. ჩვენი პარტია ამისთვის ძალიან სუსტია და საამისოდ არც ხალხი გვყავს. ახლახანს (ნურავის ნუ ეტყვი) პარიზიდან ფედერალისტებმა გამოგზავნეს იარაღით დატვირთული ორთქმავალი გემი. ჩვენებს მისი მიღების უნარიც არ აღმოაჩნდათ, რამდენიმე დღე აცდევინეს ფოთში. შემდეგ ნახევარი ძლივს გადმოზიდეს იქაურმა მუშებმა, მაგრამ ეს შენიშნეს და ჩვენს ორთქმავალს სამხედრო გემები დაედევნენ. იძულებულნი იყვნენ ნახევარი, რისი გადმოზიდვაც ვერ მოასწრეს, გადაეყარათ ზღვაში. ამბობენ, რომ ის ნაწილიც, რომელიც მუშებმა გადმოზიდეს, წაართვეს კაზაკებმა. ასე ზერელედ მოექცნენ ასეთ დიდ და სერიოზულ საქმეს. ყვირილის მეტი, არაფრის თავი აქვთ. ეს მე ვიცი ამხანაგისგან, რომელიც აცილებდა ორთქმავალ გემს... ჩემი აზრით, არ გვყავს კარგი ხალხი სათავეში, საქმე რომ არ წაეხდინათ. თანაც რა თოფები იყო, – საუკეთესო, დამზადებული ლონდონში. იმდენად მეცოდება, რომ არც კი ვიცი რა ვქნა“[8].

---

8 1906 წლის ივლისის ბოლოს, სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ დუშეთის ბანკის ექსპროპრიაციის საქმესთან დაკავშირებით ტფილისის ჟანდარმერიის მიერ ჩატარებულ იქნა ამ პარტიის ერთ-ერთი აქტივისტის, ვახტანგ ქართველიშვილის (ქართველოვის) ბინის ჩხრეკა, სადაც, ლეო და გიორგი კერესელიძეებისა და ნესტორ მაღალაშვილის წერილების გარდა, იპოვეს და კონფისკაცია გაუკეთეს გიორგი მაჩაბლის წერილებსაც. რუსულად თარგმნილი ამონარიდები ამ წერილებიდან, შეტანილ იქნა იოსებ გედევანიშვილის და დუშეთის საქმეში მონაწილე სხვა სოციალისტ-ფედერალისტთა ბრალდების აქტში. როგორც აღნიშნულია ამ დოკუმენტში, „кроме вышеназванных писем у Картвелова обнаружены были письма некоего Георгия Мачабели, из коих обращает на себя внимание письмо из Лейпцига от 11 января 1906 года, в коем названный Мачабели между прочим пишет: „...Что я могу? Ничего. Ты ведь хорошо знаешь, что оружием мы не можем бороться с русским правительством. Наша партия для этого очень слаба и людей не имеет. Недавно (никому не говори) из Парижа федералисты отправили пароход, нагруженный оружием. Наши

ეს უმნიშვნელოვანესი მასალა ერთდროულად პასუხს სცემს რამდენიმე კარდინალურ კითხვას. 1) უკვე 1905-1906 წლებიდან გიორგი მაჩაბელი თავს სოციალისტ-ფედერალისტად მოიაზრებდა. 2) ჰქონდა უმჭიდროესი კონტაქტები რუსეთ-იაპონიის ომის და პირველი რუსული რევოლუციის პერიოდში პარიზში მოქმედ გიორგი დეკანოზიშვილის სოციალისტ-ფედერალისტურ ჯგუფთან (აქედან გასაგები ხდება თუ საიდან ჰქონდა დაწვრილებითი ცნობები გემ „სირიუსის" ეპოპეის შესახებ). 3) უკვე ამ დროისთვის (წერილი 1906 წლის დასაწყისში ანუ რუსეთ-იაპონიის ომის დასრულების შემდეგ არის შედგენილი) მიიჩნევდა, რომ რევოლუციური აფეთქება, თუ კი მას თან არ ერთვოდა რუსეთის იმპერიის სამხედრო მარცხი და შესაბამისი ნგრევა ევროპის რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან ომში, წარუმატებლობისთვის არის განწირული.

სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარე, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, გიორგი მაჩაბელი უერთდება საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რასაც ეძღვნება ჩვენს მიერ რეცენზირებული ნაშრომის ცალკე თავი. ავტორები დაწვრილებით და საფუძვლიანად აღწერენ გიორგის მოღვაწეობას პირველი მსოფლიო ომის დროს და სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სწორედ მას დაევალა გერმანული მთავრობის და ქართული კომიტეტის ყველაზე სახიფათო და საიდუმლო დავალებების შესრულება. კერძოდ – კავშირის გაბმა საქართველოსთან და, ფაქტობრივად, კავკასიის ფარგლებში პროგერმანული ანტირუსული წინააღმდეგობის იატაკქვეშა მოძრაობის ჩამოყალიბება. კარგად არის აღწერილი ის ტიტანური და, ერთი შეხედვით, ერთი ადამიანისთვის შეუძლებელი ამოცანებიც, რომლებიც წარმატებით განახორციელა გიორგი მაჩაბელმა და რომლებმაც, საბოლოო ჯამში, დიდად შეუწყეს ხელი 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი გერმანული პოლიტიკის საფუძვლის მომზადებას. სამწუხაროდ, ხსენებულ თავში მოიპოვება მცირე უზუსტობებიც, რაც სრულებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ მასალის მოცულობას, რისი დამუშავებაც უწევდათ ავტორებს და იმ ფაქტსაც, რომ გერმანული საარქივო მასალა მათთვის, იმ დროს, როგორც ჩანს, ხელმიუწვდომელი იყო. მაგალითად, წიგნის 32-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „კომიტეტმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. იქ ქართული საქმის წარმოება მინდობილი ჰქონდათ სამინისტროს მრჩეველს რუდოლფ ნადოლნსა და გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსს, ლეგაციის მდივანს ოტო გიუნტერ ფინ ვეზენდონკს" სინამდვილეში, საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს საქმეები მინდობილი ჰქონდა პოლიტიკური დეპარტამენტის ახლო აღმოსავლეთის რეფერატის (განყოფილების) თანამშრომელს, ლეგაციის მდივანს (1917 წლიდან – ლეგაციის მრჩეველს) ო. გ. ფონ ვეზენდონკს, ხოლო გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის პოლიტიკურ სექციას,

---

не оказались способными даже встретить его, несколько дней заставили ждать в Поти. Потом половину кое-как выгрузили тамошние рабочие, но это заметили и за нашим пароходом погнались военные судна. Принуждены были половину, которую не успели выгрузить, выбросить в море. Говорят, что и ту половину, которую рабочие перенесли, отобрали казаки. Так небрежно обошлись с таким большим и серьезным делом. Кроме крика ни к чему не способны. Это я знаю от товарища, который сопровождал пароход... По моему мнению, нет хороших людей во главе, чтобы не испортить дело. А какие были ружья, – лучшие, изготовленные в Лондоне. Так жалко, что не знаю, что делать"
საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფ. 153. ანან. 1, საქმ. 1853, ფურც. 178.

რომლის უშუალო კომპეტენციაშიც შედიოდა სადაზვერვო-სადივერსიო ოპერაციების წარმოება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, და რომელთანაც ამ ხაზით უმჭიდროესად თანამშრომლობდა გიორგი მაჩაბელი, სათავეში ედგნენ ჯერ ზემოხსენებული რუდოლფ ფონ ნადოლნი (1915-1916 წწ.), ხოლო შემდეგ – კაპიტანი ერნსტ ფონ ჰიულსენი (1916-1918 წწ.).

საინტერესოა ავტორთა თვალსაზრისი საქართველოში გერმანული წყალქვეშა ნავებით კომიტეტის წევრთა არალეგალური ჩასვლის, იარაღის და ფულადი თანხების გაგზავნის ექსპედიციების დათარიღებების შესახებ. ექსპედიციების ქართველ და გერმანელ მონაწილე პირთა მოგონებებსა და სხვ. მონაცემებზე დაყრდნობით, წიგნში აღნიშნულია, რომ სულ საქართველოში წყალქვეშა ნავებით 5 ექსპედიცია განხორციელდა. ორი – 1916 წელს, ხოლო სამი – 1917 წელს (გვ. 53). 1917 წლის 30 მაისი – 4 ივნისის ექსპედიცია გერმანული საარქივო დოკუმენტებით არ დასტურდება. ამ წელს საქართველოს ნაპირებთან გერმანული წყალქვეშა ნავების ორი ექსპედიცია შემდგარა – 4-9 ოქტომბერს და 10-18 ნოემბერს.[9]

მომდევნო თავი, რომელიც გიორგი მაჩაბლის პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიპლომატიურ მოღვაწეობას ეხება, უდავოდ შეიცავს მრავალ აქამდე უცნობ ცნობას და დეტალს გიორგის იტალიაში დიპლომატიურ სარბიელზე საქმიანობის შესახებ. ავტორები სამართლიანად მიუთითებენ, რომ 1924 წელს, დასავლეთის ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ცნობის შემდეგ, გიორგი მაჩაბელმა, საქმისადმი მისებური, რეალისტური მიდგომიდან გამომდინარე, საკუთარი მოღვაწეობის ძირითადი კონცენტრაცია ბიზნესზე მოახდინა, რადგან მისი აზრით, ამიერიდან პირველ პლანზე გამოვიდა ქართული ემიგრაციის მატერიალური საფუძვლის და შედარებითი კეთილდღეობის ჩაყრის აუცილებლობა.

მომდევნო და ბოლო თავებში, ავტორები დაწვრილებით და საფუძვლიანად აღწერენ გიორგის მოღვაწეობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავდაპირველად ანტიკვარის, ხოლო შემდგომ – მსოფლიოში ცნობილი პარფიუმერიის ფირმის „პრინც ჯორჯ მაჩაბელის" შემქმნელის და ხელმძღვანელის როლში. შესაფერ ყურადღებას უთმობენ მის საზოგადოებრივ და ქველმოქმედებით მოღვაწეობას.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ რუსუდან დაუშვილის და ოთარ ჯანელიძის მიერ დაწერილმა გიორგი მაჩაბლის ბიოგრაფიამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა და სისტემატიზირება გაუკეთა საარქივო მასალებში და ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბნეულ ცნობებს მე-20 საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ამ ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის შესახებ. წიგნი დაწერილია ელეგანტური და პოპულარული ენით, რაც მნიშვნელოვანწილად აადვილებს მის წაკითხვას არასპეციალისტთა მიერ. ამას თავის მხვრივ ხელს უწყობს წიგნის მშვენიერი პოლიგრაფიული დონეც და თან დართული მდიდრული ფოტომასალა და ილუსტრაციებიც, რაც ზოგადად და მკვეთრად გამოყოფს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ წიგნებს.

---

9 იხ.: მამულია გ. ასტამაძე გ. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2019, გვ. 499-502, 521-523.

რეცენზია ალბომზე „ვარლა" (ფელიქს ვარლამიშვილი), თბილისი, 2018.

1983 წლის მარტში საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ემიგრანტი მხატვრის ფელიქს ვარლამიშვილის 10 ნახატის ფოტო-ანაბეჭდის, საქართველოში ნაცნობ-მეგობრების ოჯახებში შეგროვილი და მუზეუმში დაცული ადრეული ნახატების გამოფენა. ამ გამოფენით გაიგო ქართულმა საზოგადოებამ მხატვრის არსებობა, რომელიც დასავლეთის სამხატვრო სამყაროში „ვარლას" სახელით უკვე სახელგანთქმული ხელოვანი იყო. გამოფენის ორგანიზატორი, მუზეუმის დირექტორი თამაზ სანიკიძე, რომელიც პირადად შეხვდა პარიზში ვარლამიშვილს, აღნიშნავდა რომ, მაშინ მხატვრის ბიოგრაფიაც კი არ იყო კარგად ცნობილი. თ. სანიკიძე სტატიაში „დაბრუნება" წერდა ქართველი ხელოვანის გაწონასწორებულ, მშვიდ, დეკორაციულ, კამერულ კომპოზიციებზე, მკვეთრ, ამავე დროს ნატიფ ხაზებზე, ღრმა, ინტენსიურ ფერებზე, იდილიურ განწყობაზე „რომელთაც სევდაც ახლავთ, სევდა, რომელიც ვარლას შემოქმედებას ბოლომდე გასდევს"

ქართველი საზოგადოება ფელიქს ვარლამიშვილს არ იცნობდა, თუმცა მასზე მუდმივად მსჯელობდნენ ახლობლებისა და სპეციალისტების წრეში. პირველად ხელოვნებთმცოდნე გულნარა ჯაფარიძემ შეიტანა მისი სახელი 1966 წელს გამოქვეყნებული წიგნის „შეხვედრები ქართველ მხატვრებთან" ბოლო თავში „პარიზის შთაბეჭდილებები", მას შემდეგ არაერთი სტატია და გამოკვლევა დაიწერა ვარლამიშვილზე (ქეთევან ბაგრატიშვილი, გოგი ხუციშვილი, გურამ შარაძე, ვახტანგ ბერიძე, ქეთევან კინწურაშვილი, ელისო ჩოგოვაძე, ნონა გობეჯიშვილი, სამსონ ლეჟავა და სხვები) გადაიღეს სიუჟეტებიც. ყველაზე ხშირად ვარლასთან შეხვედრები გოგი ხუციშვილს ჰქონდა: „ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედება ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ანუ უნივერსალურის კიდევ ერთი კარგი მაგალითია". მან პირველმა ქართველ ავტორთაგან მოიხსენია ვარლამიშვილი „დიდ მხატვრად" ეს ეპითეტი ჯერ კიდევ 1951 წელს ბუენოს-აირესის პირველი გამოფენის ანონსში გაჩნდა, 1958 წლის პარიზის გამოფენის დროს ფრანგულ გაზეთში. თუმცა ეს აღიარება და ბევრი რამ მხატვრის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის. ემიგრანტული მემკვიდრეობის შესწავლამ და ემიგრანტთა არქივების ჩამოტანამ შესაძლებელი გახადა მხატვრის ბიოგრაფიისა და შემოქმედების უფრო საფუძვლიანად შესწავლა. მკვლევრების, განსაკუთრებით კი პაატა ნაცვლიშვილის ძალისხმევით, ჩვენი ცოდნა ფელიქს ვარლამიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც ქვემოთ მოკლედ გადმოვცემთ, მნიშვნელოვნად შეივსო და უფრო შთამბეჭდავად წარმოჩნდა. ამასთან, დღეს ინტერნეტში შეგვიძლია 1983 წელს გადაღებული რეზო თაბუკაშვილის ფილმის ის ნაწყვეტიც ვნახოთ, სადაც პარიზში მცხოვრებ ქართველ მხატვრებზე და მათ შორის ვარლამიშვილზეა საუბარი და რადიო „თავისუფლების" ქართული

რედაქციის ხელმძღვანელის კარლო ინასარიძის (დავით თაბორიძე) 1974 წელს ჩაწერილი ვარლას ინტერვიუც მოვისმინოთ.

ფელიქს ვარლამიშვილი დაიბადა ქუთაისში 1903 წელს ფინანსისტ-გრიგოლ ვარლამიშვილისა და როზა ფალიაშვილის ოჯახში. დედის ნაადრევად გარდაცვალების გამო, ახალციხეში დეიდასთან იზრდებოდა. 1912 წელს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შევიდა, 1920 წლიდან კი თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1922 წელს ახლად გახსნილ სამხატვრო აკადემიაში გადავიდა, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ: გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ევგენი ლანსერე, ოსკარ შმერლინგი, ბორის ფოგელი, იოსებ შარლემანი. მისმა ნამუშევრებმა სტუდენტობის დროსვე მიიქციეს ყურადღება. ხატავდა სატირულ პოლიტიკურ პლაკატებს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს საქართველოს განყოფილებისათვის. 1920-იან წლებში მისი ნამუშევრები გამოიფინა თბილისსა და ქუთაისში. 1927 წელს გამოიცა იეთიმ გურჯის კრებული მისი ილუსტრაციებით. თანამშრომლობდა რუსულ ილუსტრირებულ ჟურნალთან „პლამია"

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ფელიქს ვარლამიშვილმა თბილისში დააარსა საკუთარი სამხატვრო სკოლა, რომელშიც სწავლობდა ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძეც. აკადემია აპირებდა სხვა ორ სტუდენტთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად პარიზში მის გაგზავნას, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვეღარ მოხერხდა. პარიზში გამგზავრების განწყობა კი არ გამქრალა. ამას დაემტკა საფრანგეთიდან წარმატებული მხატვრების: დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქთევან მაღალაშვილის დაბრუნება, რამაც ვარლამიშვილი წააქეზა და აკადემიის თანაკურსელ ლუკა ხითარიშვილთან ერთად საზღვარი ჩუმად გადალახა. მაშინ ის 25 წლის იყო და არც უფიქრია, რომ ეს მისი სამუდამო ემიგრაციის დასაწყისი იყო. რამდენიმე თვე სტამბოლში გაატარა. ქართველ კათოლიკეთა მონასტერში შეიფარეს. სამუშაოც უშოვეს. ფული დააგროვა, 1929 წელს პარიზში გაემგზავრა და მონპარნასზე დასახლდა. სწავლა ვერ გააგრძელა. ძალიან უჭირდა. ხატავდა ქართულ სცენებს, რომლებსაც ქართველი ემიგრანტები ყიდულობდნენ. განიცდიდა ფიროსანისა და გუდიაშვილის გავლენას. პარიზში რამდენიმე წელი სიეჟელის ავეჯის ატელიეში მუშაობდა დეკორატორად. პარალელურად ხატავდა და 1933 წელს ნახატები პირველად გამოფინა პარიზში გალერეა „სპერანცაში", თუმცა გამოხმაურება არ მოჰყოლია. 1934 წელს ცოლად შეირთო წარმოშობით დანიელი მხატვარი ზირე ბინდერი – მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი. 1945 წლიდან ფელიქს ვარლამ საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო და მაშინდელი ხელოვნების უპირველესი ასპარეზის სახელგანთქმული „შემოდგომის სალონის" წევრი გახდა, გამოფენებმა კი აღიარება მოუტანა.

II მსოფლიო ომის შემდეგ, ომგადატანილ და დანგრეულ ევროპაში, განსაკუთრებით კი ოკუპაციაგამოვლილ საფრანგეთში ცხოვრება ძალიან ჭირდა. აღარავის უნდოდა მხატვრობა და „დამატებითი ხელოვნება", როგორც გამოყენებით ხელოვნებას უწოდებდა ვარლა. ამასთან, პარიზში რუსებმა დიდი გავლენა მოიპოვეს. იალტის შეთანხმების შესაბამისად, საბჭოთა მთავრობამ მოკავშირებს არა მარტო ტყვედჩავარდნილი და სამუშაოდ დასავლეთში გაყვანილი თავისი მოქალაქეების, არამედ ნაცისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით სხვა ქართველების და ძველი ემიგრაციის დაბრუნებააც მოსთხოვა. ყოველივე ამის გამო ბევრმა

ქართველმა დატოვა ევროპა და სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში გადასახლდა, რომლის პრეზიდენტმა ხუან პერონმა უპირობოდ შეიფარა ყველა ნაციონალისტი. 1948 წელს არგენტინაში ვარლამიშვილებიც გაემგზავრნენ, სადაც ვარლას თავდაპირველად დეკორატიულ დარგში დაუწყია მუშაობა. ძირითადად ხატავდა ხალიჩებისათვის პანოებს, იმავდროულად ქმნიდა სურათებს. ბუენოს-აირესში 1950 წელს მის პირველ გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად. 1951 წელს გამართულმა მეორე გამოფენამ კი უხმაუროდ ჩაიარა. ორივე გამოფენას გამოეხმაურა ბუენოს-აირესში ვიკტორ ნოზაძის რედაქტორობით არსებული ჟურნალი „მამული", მოათავსა რამდენიმე ნახატის ფოტო. ვარლამიშვილები 1952 წელს პარიზში დაბრუნდნენ და მონპარნასზე, დაგერის ქუჩაზე დასახლდნენ. ვარლამ აღადგინა ძველი კავშირები და ჩაერთო პარიზის ცხოვრებაში, იმავე წელს გაიტანა ნახატები „შემოდგომის სალონზე"

ფელიქს ვარლამიშვილის პერსონალური გამოფენებიდან აღსანიშნავია: პარიზის — (1933, 1947, 1959, 1976), ბუენოს-აირესის (1950, 1951), სან-ფრანცისკოს (1959, 1960, 1961), დეტროიტის (1963), ნიუ-იორკის, ლოს-ანჟელესის, დალასის, ჰიუსტონის, ტოკიოს, ოსაკას, იოკოჰამას, ბრიუსელის, მონტე-კარლოს, თეირანის გამოფენები. ბევრს ხატავდა, მაგრამ მისი სახელოსნოს კედლები ცარიელი იყო, რადგან მისი აგენტი ყველაფერს ყიდიდა. ფელიქს ვარლამიშვილის ნახატებს ცნობილი მუზეუმებისათვის საფრანგეთის მთავრობაც ყიდულობდა, ამიტომ მისი ნამუშევრები ბევრი ქვეყნის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებშია დაცული, 1990 წლიდან დღემდე აუქციონებზე 150-მდე ნახატი, ლითოგრაფია, პრინტი და ფურნიტურა იქნა გატანილი და გაყიდული. გაფანტულია ხატებიც – ვარლა ხატმწერიც იყო. ერთი მათგანი – წმ. ნინოს ხატი ალბომშია შეტანილი. ასე რომ, ვარლას ნამუშევრები დღესაც საძებნელია. მისაკვლევია ახალგაზრდა ვარლამიშვილის ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტიც.

1970-იანი წლებიდან ფელიქს ვარლამიშვილი ხშირად ავადმყოფობდა და 1986 წელს, 83 წლის ასაკში, გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი დაწვეს და ფერფლი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალეს. სამწუხაროდ, ფელიქს ვარლამიშვილს სიცოცხლეში არ გამოუცია ნახატების კატალოგი, გარდაცვალების შემდეგ კი მის ბინაში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა ბევრი რამ, მათ შორის გაყიდული ნახატების ფოტოებიც. მისმა მეუღლემ ზირე ბინდერმა ქმრის ანდერძი შეასრულა და 1987 წელს 10 ნახატი გადასცა ზურაბ წერეთელს, რომელმაც ტილოები საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ჩამოიტანა. ნახატები გამოიფინა თბილისსა და ქუთაისში. ქუთაისში ერთ-ერთ ქუჩას ვარლამიშვილის სახელი ეწოდა, მხატვართა საგამოფენო დარბაზს კი — „ვარლა" ვარლას 105 წლის საიუბილეოდ კიდევ ერთი გამოფენა 2008 წელს მოაწყო გალერისტმა ზაირა ბერელაძემ გალერეა „ვერნისაჟში" და გამოსცა საქართველოში მხატვრის პირველი კატალოგი.

2018 წლის თებერვალში გალერეა „შარდენში" ფელიქს ვარლამიშვილის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი კამერული გამოფენა გაიმართა. გამოფენილი იყო კერძო კოლექციებში დაცული 15 ნახატი, დაიბეჭდა კალენდარი მხატვრის ნამუშევრებით. 2019 წლის იანვარში დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გალერეა „შარდენისა" და კომპანია „არგოს" ორგანიზებით გაიხსნა ვარლამიშვილის უფრო მასშტაბური გამოფენა. პროექტის ავტორების – ხათუნა ჩხეიძის, ია დვალისა და მაია ნოზაძის ძალისხმევით, გამოფენაზე

წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციებში დაცული 60-ზე მეტი ნამუშევარი. გამოფენის გახსნის დღეს მოეწყო ფელიქს ვარლამიშვილის პირველი ალბომის წარდგენაც.

2018 წელს შპს „სეზანში" დაბეჭდილი დიდი ზომის ფერადი ალბომი „ვარლა" ორენოვანია — ქართულ-ინგლისური. პაგინაცია არ აქვს, მაგრამ 100-ზე მეტ გვერდს შეცავს და ვარლამიშვილის ნახატების გარდა, ფოტომასალით უხვადაა დასურათებული. ალბომზე მუშაობდნენ: ფოტოგრაფი გია ჩხატარაშვილი, მთარგმნელი ნინო კაკიაშვილი, დიზაინერები – მაკა ჭიჭინაძე, თამარ კოლოტაური, რედაქტორი — ნინო ნადარაია. გალერეა პროექტის განხორციელებაში დახმარებისა და თანადგომისათვის მადლობას უხდის: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ირაკლი ანდრიაძის ფონდ „ქართულ საქმეს", საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეას, პერსონალურად — ოთარ მარღანიას, ელისო ჩოგოვაძეს, ზაირა ბერელაძეს, მარი-ელენ (ჩიტო) რუხაძეს, დიმიტრი ქემოკლიძეს, ლამარა თუხარელს, ნატალია ვარლამიშვილს, ალექსანდრე რეხვიაშვილს, ივა მარტიაშვილს, ბაია წიქორიძეს, დალი გოგორიშვილს, ხათუნა ბეჟუაშვილს, ირინე დვალს.

გალერეა „შარდენის" მოკლე წარდგენას მოსდევს ახალგაზრდა ფელიქს ვარლამიშვილის ფოტო ავტოგრაფით და თავის შემოქმედებაზე ნათქვამი სიტყვებით: „ყველა ჩემს სურათს საქართველოს სიყვარულით ვხატავდი და ამის საფუძველზე შევქმენი საკუთარი მხატვრული სტილი" ფორზაცის და წარდგენის შემდეგ ჩართული ორი ბორდოსფერი ფურცელი, ასე დამახასიათებელი ვარლას ფერწერისათვის, შესანიშნავ ფონს უქმნის სატიტულო ფურცელზე გამოსახული ორი ქალის ფიგურას და მომდევნო გვერდზე დაბეჭდილ „სოფლის პეიზაჟს", რომლებსაც გოდრები, მოწნული კალათები და ბორდოსფერის გრადაცია აერთიანებთ.

ალბომის ტექსტები იწყება მხატვრის ძმისშვილის ნატალია ვარლამიშვილის მოკლე წინასიტყვაობით. მას მოსდევს ნახატებითა და ფოტოებით გაჯერებული პაატა ნაცვლიშვილის, ქეთევან კინწურაშვილის, დავით ანდრიაძის და პოლ სონენბერგის ტექსტები.

პოლ სონენბერგი 1962 წლიდან ვარლამიშვილის არტდილერი და კონსულტანტი იყო. ვარლამიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1988 წელს გამოსცა მის მიერ გაყიდული ვარლას ნახატების კატალოგი. ეს ტექსტიც იმ კატალოგიდანაა. ტექსტში რამდენიმე საყურადღებო ბიოგრაფიული ცნობაა: რომ აკადემია ახალდამთავრებული ფელიქსისათვის მიუნდიათ სახელმწიფო შეკვეთა — სტალინის ოფიციალური პორტრეტის დახატვა, რომ თურქეთის საზღვრის გადალახვისას დაკავებულ ვარლას ნახატები საპატიმროს ხელმძღვანელთან მოხვედრილა, ის ხელოვნების მოყვარული აღმოჩნდა და გაათავისუფლა. სონენბერგი ორიოდ სიტყვით გვიხატავს მხატვრისა და მეგობრის პორტრეტს: „ჩვეულებრივ ჩუმი, უთქმელი საზოგადოებაში, ვარლა მხოლოდ ჩვენს კერძო საუბრებში გამოთქვამდა თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს ადამიანსა და მოვლენებზე. წარმატებას არ შეუცვლია მხატვრის მშვიდი და ნათელი ცხოვრება. ის ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი პატარა სახელოსნოსი პარიზში, დაგერის ქუჩაზე". ყველა ყოფით პრობლემას მისი ერთგული თანამგზავრი, თვითონაც ნიჭიერი მხატვარი – ზირე უგვარებდა. „1986 წლის 6 თებერვალს ვარლას გული გაუჩერდა. მასთან ერთად გაქრა მისი ბრძნული გამოხედვა და „ჯოკონდასეული" ღიმილი. წავიდა

დიდი მეგობარი. ჩვეულებრივ ახლობლის დაკარგვის შემდეგ დასადგურებული სიცარიელე გვაგრძნობინებს მის მნიშვნელობას მისი შემოქმედება სამუდამოდ იცოცხლებს მომავალი თაობისათვის“ – დიახ, იცოცხლებს და ერთ-ერთი პირობაც სწორედ ეს ალბომია.

ფილოსოფოს და კულტუროლოგ დავით ანდრიაძის ესეში „ვარლას ვარამი“ მხატვრის წერილის მიხედვით, აღწერილია საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძისა და ვარლამიშვილის შეხვედრა პარიზში: „ჩვენი ახალგაზრდობაც გავიხსენეთ და ძველი მეგობრებიცო“ მათი შედარების ანარეკლია ვარლას, როგორც დეკორატიული ფონების მხატვრის „მასობრივი კულტურის ძირეული მეტაფორული კონსტრუქტიც: შემოქმედება ხალხის ფონზე“ მსჯელობას ვარლას დამოკიდებულებაზე სამყაროს მიმართ, რომ ის ერთგვაროვან ადამიანებზე და მათ მოთხოვნებზე იყო გათვლილი, დ. ანდრიაძე მიჰყავს დასკვნამდე – მის მიერ არჩეული პერსონაჟებიც ასეთები არიან: „ადამიანები, ყოველდღიურობის რაღაც სტრუქტურირებული რიტმით... თუნდაც ცხოვრების კონვეიერიზაციით...“ ალბათ ჯაფარიძისა და ვარლამიშვილის შეხვედრის ეპიზოდმა უბიძგა ავტორს გამოეთქვა საინტერესო ვარაუდი — ისეთივე „მოთხოვნადი“ მხატვარი, როგორიც პარიზში „გამოერწეს“ ვარლა, საქართველოში დარჩენის შემთხვევაში — ფელიქს ვარლამიშვილი გახდებოდა თუა არა „სახალხო მხატვარი“ მისი ნახატების მთავარი თემა ხომ ხალხი და ბუნება იყო, ანდრიაძის მიერ მოხმობილი იუნგერისეული „გეშტალტი“ კი — ყოველდღიური შრომა!

ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კინწურაშვილის „ვარლა“ ავტორის განწყობით იწყება: „როდესაც ვარლას ნამუშევრებს საგამოფენო კედლებზე თანამიმდევრობით ათვალიერებ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ერთი გაბმული, სევდიანი მელოდია ჩაგესმის... იცვლება თემები: ნადირობა, მოსავლის აღება, გასეირნება, თევზაობა განწყობა ერთი რჩება...“ სავსებით გასაგები განწყობაა, ასეთი სევდა სდევს I ტალღის ემიგრანტთა ცხოვრებასა და საქმიანობას, რა დარგშიც არ უნდა მოღვაწეობდნენ ისინი, ეს სევდა ჩაგვესმის ყველას, ვინც ემიგრაციის საკითხებზე ვმუშაობთ — მშობლიურ მიწასთან, ჩვეულ გარემოსთან, ახლობლებთან იძულებით განშორების სევდა, ნოსტალგია. ეს განწყობა განსაკუთრებით ახლობელია ქ. კინწურაშვილისთვის, რომლის ოჯახში ფელიქს ვარლამიშვილი თავის ნამუშევრებს საახალწლო მისალოცი ბარათების სახით გზავნიდა. ქუთაისის რეალური სასწავლებლის მე-4 კლასის მოსწავლე 11 წლის ფელიკოს 1914 წელს დეიდისთვის გაგზავნილი პირველი ასეთი ბარათიც კინწურაშვილთან ინახება და ეს ჩვევა ახლობლებისთვის თავისი ნახატების გაგზავნა ღია ბარათებად, მხატვარს იმ დროიდან გაჰყვა. 1984 წელს ქეთევანი პარიზში სახელოსნოში ეწვია ფელიქს ვარლამიშვილს. ნახა მისი ნამუშევრები. შემდგომ რამდენიმე სტატია და მოხსენება უძღვენა. მოამზადა სატელევიზიო გადაცემაც და ალბომში შეტანილ წერილიც ამ განწობითაა დაწერილი. „ვარლას შემოქმედებაში ერთმანეთს შეერწყა საქართველოში მიღებული პროფესიული ცოდნა, სამშობლოდან „წაღებული“ მოგონებები, ემოციები და საზღვარგარეთ მიღებული ახალი გამოცდილება და შთაბეჭდილებები“. ახალი გარემოს გავლენით ვარლას შემოქმედებაში საქართველოს თემამ უკან გადაიწია, გაჩნდა ახალი ფიგურები, თემები. რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ინდივიდუალური „ფიგურატული“ სტილი, როგორც თავად უწოდებდა. ქ. კინწურაშვილი თქმით — ვარლა არ გახდა პარიზში მის დროს არსებული რომელიმე მიმართულების ეპიგონი: „მისი კომპოზიციები იბადება

მხატვრის შინაგანი განწყობიდან, ბუნებისა და ადამიანების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულებიდან, სილამაზით აღფრთოვანებიდან, შინაგანი ლირიზმიდან. ვარლა ფერებითა და ხაზებით თხზავს სურათებს, რომლებიც ლექსებთან ან მუსიკალურ ჩანახატებთან ასოცირდება“

ალბომში პირველი, ყველაზე დიდი ტექსტი ჟურნალისტს, ქართული ემიგრაციის ცნობილ მკვლევარს, პროფესორ პაატა ნაცვლიშვილს ეკუთვნის საინტერესო სათაურით „ვარ(სკვ)ლა(ვი)“ მართალია, ავტორი არც მხატვარს შეხვედრია და არც მის მეუღლეს, როგორც გურამ შარაძე, არც ხელოვნებათმცოდნის ფუნქციებში სურს შეჭრა, მაგრამ მის ნაშრომში მრავალი სიახლეა, როგორც თავად მხატვრის ბიოგრაფიის, ასევე ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის. ავტორს სხვადასხვა ემიგრანტულ არქივში (პაპავების, რუხაძეების) მოძიებული აქვს მხატვრის პირადი წერილები, არტეფაქტები, ეფემერები და სხვა უცნობი მასალა, რომელთა საფუძვლზე ქმნის ვარლას ცხოვრების ფართო და საინტერესო „პანოს“. ნაშრომი იწყება 1980 წლით დათარიღებული პარიზიდან ბუენოს-აიერსში გაგზავნილი ლიდა ნასყიდაშვილის პატარა წერილით მზია პაპავა-ჭეიშვილისადმი პატრიარქ ილია II პირველ ვიზიტზე, რომლისთვისაც ემიგრანტებს ვარლას ნახატი „წყაროსთან“ მიურთმევიათ.

ვარლასთვის დიდი მხარდაჭერა იყო პარიზთან ახლოს, ჯერ ბელაკში, შემდეგ პონტუაზში მცხოვრებ ვლადიმერ რუხაძის 7 შვილიან ძლიერ ოჯახთან ურთიერთობა, განსაკუთრებით გაჭირვების წლებში და II მსოფლიო ომის დროს. ამ ურთიერთობას დიდი ადგილი უჭირავს სტატიაში და კარად წარმოაჩენს ორივე მხარეს. რუხაძეების ოჯახმა შემოინახა ვარლას წერილები, ნახატები, გამოფენის კატალოგები, ასევე მისი მოხატული გობელენი და სალონი. გულჩათხრობილ და როგორც პარიზის, ასევე ბუენოს-აირესის ქართულ სათვისტომოსგან შორს მდგარ ვარლას ცოტა მეგობარი ჰყავდა. მათ შორის იყვნენ, რუხაძეების ოჯახთან ერთად, არგენტინაში მცხოვრები პაპავა-ჭეიშვილების ოჯახებიც, რომელთა არქივებმაც სხვადასხვა სახის ინფორმაცია მხატვარზე ასევე მრავლად შემოინახეს.

არგენტინაში გამგზავრება და იქ ცხოვრების ორი წელი აღწერილია ვარლას წერილებში. მის არგენტინაში მოწყობას ჩქარობს გიორგი გომელაური, რომელსაც 20 წელია არ უნახავს ქართველები, ჩილეში კი ქალაქის მშენებლობის პროექტის განსახორციელებლად ეპატიჟება მეორე მეგობარი. იგულისხმება სპილენძისა და გვარჯილის მაგნატი ავთანდილ მერაბაშვილი. პ. ნაცვლიშვილს მოხმობილი აქვს არგენტინული პრესის თითქმის ყველა გამოხმაურება და აქცენტი, გამოყოფს რამდენიმე საინტერესო პასაჟს: „მისი არაერთი ნახატი შრომის საგალობელია, მაგრამ არა შრომისა, როგორც თემისა თავისთავად, არამედ შრომისა, როგორც მოძრაობის დღესასწაულისა“ და განმარტავს სიტყვა „უნ ალარდე“-ს „დღესასწაულის“ გარდა „სანახაობას“, „შოუს“, „თამაშსაც“ ნიშნავს, ქართველი კაცისთვის კი „თამაში“ „ცეკვის“ სინონიმიცაა და რომ „ვარლას მოცეკვავე ფიგურები მისი სტილის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ბორბალთან ერთად“. საინტერესოა პ. ნაცვლიშვილის მოსაზრება ბორბალზე, რომელიც ხშირად ჩანს ვარლას ნახატებზე. ზოგადად ბორბალი მინიშნებაა მოძრაობაზე, ვარლასთან კი მოძრავი ფიგურების გვერდით ბორბალი, როგორც წესი, უძრავია. მისი ბედის ბორბალი კი სულ ტრალებს და ტრიალებს და მიაქანებს ვარლას და მის შემოქმედებას სხვადასხვა ქვეყნებში.

მოძრაობის, როგორც ცეკვის ილუზიას აღიქვამს 1947 წელს გალერეა „რუ ენჩელში“ მოწყობილი გამოფენის კატალოგში ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი რენე მასაც: „ვარლას ურჩევნია დაჰყვეს ფერებს, ვიდრე გამოედევნოს მათ. მან იცის, როგორ მოზომოს მწვანისა თუ ოხრის ძალა და როგორ შეუხამოს ისინი ერთმანეთს. იგი საოცარი ოსტატობით ფლობს და იმორჩილებს ფერებს... მისი პერსონაჟების მოძრაობები ჰაეროვანია. ხალასი ფერები იმაზე მეტად არ ამძიმებს მათ, ვიდრე მაისური მოცეკვავის სხეულს“

მრავალრიცხოვან, მრავალენოვან ბეჭდურ მასალასთან ერთად პ. ნაცვლიშვილს სტატიაში მოჰყავს, სავარაუდოდ, პრეს-რელიზისათვის ნაბეჭდი შესანიშნავი ტექსტიც და ინგლისურენოვან გაზეთში დაბეჭდილი რეცენზია ვარლას მიერ პრესტიჟულ მაღაზიისთვის სპარსული მინიატურების სტილში მოხატულ ვიტრინებზე. ტექსტს ახლავს იმ მასალის ფოტოები, რაზეც ავტორი წერს. შეუძლებელია რეცენზიის ფარგლებში ყველაფრის მოტანა, მაგრამ ერთი რამ ძალიან მინდა — ერთხელ მაინც შევიხედო პაატა ნაცვლიშვილის იმ ამოუწურავ ბიბლიოზეუმში, სადაც ამდენი საინტერესო მასალა ეტევა...

1983 წლიდან, თბილისში ვარლას პირველი გამოფენის მოწყობიდან 2018 წლის გამოფენამდე და ალბომის გამოცემამდე, 35 წელი გავიდა, თუმცა ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ ბოლომდე არ იცნობს ვარლას, „არადა, იგი ქართული მხატვრობის ერთი კაშკაშა ვარსკვლავია. შორეული, მაგრამ კაშკაშა ვარსკვლავი. ვარსკვლავი სახელად – ვარლა ვარ(სკვ)ლა(ვი). და ამ ვარ(სკვ)ლა(ვი)ს ტილოებზე გაჩერებული ბორბალი უკვე ამოძრავდა, დატრიალდა და ის აღარ გაჩერდება“, — წერს პ. ნაცვლიშვილი. აქვე მინდა დავეთანხმო მის თვალსაზრისსაც, რომ თუ ემიგრანტული მემკვიდრეობა დიდხანს ცალკე, ერთიანი ქართული კულტურისაგან მოწყვეტილად განიხილებოდა, „დღეს იგი თანდათანობით, ჩვენ თვალწინ და ჩვენი მონაწილეობით ერთიანი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი ხდება. ჩვენ თვალწინ და ჩვენი მონაწილეობით ერთიანი ქართული მხატვრობის ნაწილი ხდება ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედებაც“.

რაც შეეხება ალბომის მთავარ ნაწილს — ვარლას ნახატების ილუსტრაციებს, შეიძლება ითქვას, რომ პირობითადაა დალაგებული ქრონოლოგიის მიხედვით. ვარლა არ ათარიღებდა და ხშირად არც ასათაურებდა თავის ნამუშევრებს, დილერები თავად აკეთებდნდნ ამას მყიდველის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამიტომ ალბომში შეტანილი ნახატებიდან მხოლოდ ავტორის მიერ დათარიღებულ ნამუშევრებს აქვთ თარიღი. ილუსტრაციები მაღალი ხარისხისაა და წარმოდგენას გვიქმნის მხატვრის ოსტატობაზე, ზომები კი — მათ კამერულობაზე. მითითებულია მფლობელის ვინაობაც. რამდენიმე ნახატის დეტალი აქცენტირებულია და გატანილი მთელ ფორმატზე.

ალბომს ერთვის ვარლას ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონიკა, რაც კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენს მხატვრის ბიოგრაფიის მთავარ თარიღებს არა მხოლოდ მის სიცოცხლეში არამედ გარდაცვალების შემდეგ — როგორ გრძელდება მისი შემოქმედების სიცოცხლე 2018 წლამდე — ამ ალბომის გამოცემამდე. იმედია, ფელიქს ვარლამიშვილის ამოძრავებული ბორბალი უკვე აღარ გაჩერდება...

როსტომ ჩხეიძე

სიკეთის სახარება
(გიორგი პაპაშვილის ამერიკული თავგადასავალი)

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად ჩასული აკაკი ბელიაშვილი – ეს სტუმრობა საბედისწეროდ რომ გაუხდებოდა, თუმც მაშინ ამას აბა რას წარმოიდგენდა – თუ რაიმეთი დაინტერესდებოდა, უპირველესად გიორგი პაპაშვილის გაცნობით, კაცისა, რომელზეც საქართველოში ლეგენდები დადიოდა – მოქანდაკესა და მწერალზე, თუმც თვითონ გიორგი მწერლობაზე თავს არა სდებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი წიგნი – „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს" – ძალზე პოპულარული გახლდათ ამერიკაში და კინოსურათიც გადაეღოთ მისი მოთხრობის მიხედვით.

ეს ავტობიოგრაფიული ყაიდის წიგნი მეუღლესთან ერთად დაეწერა – ჰელენ უეიტ-პაპაშვილთან, ოღონდ აცხადებდა:

– მე რისი მწერალი ვარ... მე ვუამბობ ხოლმე და ეგაა მწერალი, მე კი არა... ჩემი მთავარი სამუშაო ძერწვაა.

აკაკი ბელიაშვილი ამ სიტყვებს გიორგი პაპაშვილის გადაჭარბებულ ქართულ რაინდობას მიაწერდა.

კი მაგრამ... მთავარი ხომ დაწერაა?

როგორ ცოცხლად და ენაწყლიანადაც უნდა ჰყვებოდეს ესათუის პირი თავის ამბავს, მწერალი ხომ ისაა, ვინც ამ მონაყოლს ჩაიწერს, გაშიფრავს და ლიტერატურულ გარსში მოაქცევს?

მაგრამ აკაკი ბელიაშვილი ერთ გარემოებას მიაქცევდა ყურადღებას:

ჰელენ უეიტს სხვა წიგნებიც დაეწერა, მაგრამ მხოლოდ გიორგი პაპაშვილის მონაწილეობით დაწერილი წიგნები სარგებლობდნენ ამერიკელ მკითხველებში წარმატებით.

არცერთს არ დაეკარგებოდა თავისი წვლილი და... თანაავტორობა ყველაზე უკეთესი გამოსავალი იქნებოდა, თორემ სხვაგვარად ვერადავერ მორიგდებოდნენ, და არა იმიტომ, რომელიმეს თვითონ დაენარჩუნებინა ერთპიროვნულად მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების ეს ერთი საუკეთესო ნიმუში, არამედ სწორედაც რომ ერთმანეთისათვის ემეტებოდათ.

მწერალი ეგ არისო, – გიორგი პაპაშვილი რომ ირწმუნებოდა, აბა ახლა ჰელენ უეიტისათვის მოგესმინათ:

– მწერალი გიორგია, მე კი უბრალო ჩამწერი ვარ.

ეს სულიერი თანაზიარობა, ეს სულიერი ჰარმონია ორი პიროვნებისა განსაზღვრავდა სწორედაც ამ უჩვეულო წარმატებას წიგნისა, 15 ენაზე რომ ითარგმნებოდა, დაიბეჭდებოდა ბრაილის შრიფტითაც და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მას ამერიკის სააგენტოს მეშვეობით გაავრცელებდა, ნაწყვეტებს წიგნიდან 250-ზე მეტჯერ შეიტანდნენ უმცროს და უფროსკლასელთა სასკოლო ანთოლოგიებში. და მალევე რომ გახდებოდა კინოსცენარის საფუძველიც, ფილმში პაპაშვილებს განასახიერებდნენ ხოზე ფარერი და კიმ ჰანტერი.

მის ნაკლად რას მიიჩნევდნენ კრიტიკოსები და მკითხველები?

იმას, რომ... ძალზე მოკლე გახლდათ.

თუმც ეს ხომ ის პარადოქსია, წიგნის უმაღლეს შეფასებას რომ გამოხატავს – მკითხველს ისე ჩაითრევს თხრობა, რომ სურვილი უჩნდება, გაგრძელდეს და გაგრძელდეს დაუსრულებლად.

აღტაცების ეპითეტები ხომ არ მოაკლდებოდა და არა, ყველაფრის მწვერვალი მაინც ეს შეფასება რომ უნდა ყოფილიყო:

სიკეთის სახარება.

ეს სიმბოლური გაიგივება სხვა შემთხვევაშიც გამოუყენებიათ, ოღონდ ხელგაშლილად არასოდეს გაუფანტავთ, ამ ნიმუშებიდან კი რუსუდან ნიშნიანიძე გამოარჩევდა ვალერიან გაფრინდაშვილის სტრიქონს:

ჩემს წინ ბოდლერი, გადაშლილი ვით სახარებაო.

როგორც აღიარებას თავისი ფრანგი თანამოკალმის ცხოვრების წესისა და ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

და თავის მხრივ დასძენდა მკვლევარი:

პაპაშვილების „სიკეთის სახარება“ მკითხველს გაუჩენს კეთილშობილების, წესიერების, დაწერილი თუ დაუწერელი მორალური კანონების მორჩილების განცდასო.

არადა რა დროს მოუწევდა ამერიკაში ცხოვრება:

დიდი დეპრესიის ხანად რომ შევიდოდა ისტორიაშიც და ლიტერატურის ისტორიაშიც, დაუხატავი რომ არ დარჩებოდათ ამერიკელ მწერლებს.

გიორგი პაპაშვილიც აკეთებდა იმას, რასაც ყველა ემიგრანტი: ნებისმიერ სამუშაოს თანხმდებოდა, ოღონდაც რაიმე ეშოვნა – ჭურჭელსაც რეცხავდა, სახურავზე ფისსაც უსვამდა, რკინიგზაზეც მუშაობდა, ფოლადის შემდუღებელ ქარხანაშიც დადიოდა... ამასობაში პიკარდის ქარხანასაც მიაღწევდა დეტროიტში, ცოტაოდენ ინგლისურსაც ისწავლიდა, მაგრამ სისხლსავსე ქალაქის ცხოვრება უნდა ჩამკვდარიყო დიდი დეპრესიის გამოისობით, მეტაფორულად ასე რომ გამოხატავდა:

დაცარიელებულ ქუჩებში ცარიელი ვიტრინები მიცვალებულის ღიად დარჩენილ თვალებს მოგაგონებდათო.

ემიგრანტი რუსები სამუშაოს გამოუძებნიდნენ – კინოსტუდიაში წაიყვანდნენ და პატარა როლს შესთავაზებდნენ მხედრისა, დაიმედებულნი, როგორც ქართველს, ცხენზე ამხედრება შეეძლება და თავდაჭერასაც ღირსეულად შეძლებსო.

უკეთესი შეთავაზება რა უნდა ყოფილიყო ფულის იოლად შოვნისათვის.

დაინტერესდებოდა გიორგი პაპაშვილი, თუ ვისი როლი უნდა შეესრულებინა: კოვბოის, წითელარმიელისა თუ რომელიმე ბანდის წევრის?!.

თურმე: კაზაკის.

და უარს განუცხადებდათ, მოგონებაში კი მიზეზს უარისა ასე ახსნიდა:

– ეს ჩემი საქმე არ იყო. ამით ხომ ჩემს სოფელს შევარცხვენდი.

ამ მორალით, ამ ზნეობრივი პრინციპებით იცხოვრებდა და საქმიანობდა ყველგან, რასაც ხელს მოჰკიდებდა.

და წიგნშიც ავტორის ეს პორტრეტი წარმოისახება – ბუნებრივად და ძალდაუტანებლად.

დიდძალი ლიტერატურა უნდა დაგროვებულიყო გიორგი პაპაშვილის სამწერლო და სახელოვნო მოღვაწეობის ირგვლივ, ფურცელ-ფურცელ და წვეთ-წვეთობით რომ ესაჭიროებოდა ამ ყოველივეს მიკვლევა, დალაგება, სისტემატიზება, შესწავლა-

გააზრება და მონოგრაფიულად გადმოშლა, თუ ვინმე, რუსუდან ნიშნიანიძე რომ გახლდათ ამ ყოველივეს შემძლებელი უმაღლეს პროფესიულ დონეზეც და თხრობის იმ ექსპრესიითაც, ამ პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობასაც რომ შეჰფერის და ქართული ლიტერატურისმცოდნეობის იმ დონესაც, დასავლური აზროვნების წრეში ძალდაუტანებლად რომ შევა და დამკვიდრდება ჩვენი მეცნიერების მონაპოვარიც.

მონაპოვართა შორის დაიდებდა ბინას ეს ორტომეულიც: „უცნობი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი“ (ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2018).

უდავოდ გაუმართლებდა გიორგი პაპაშვილს, მის ნაღვაწს ასეთი მკვლევარი რომ გამოუჩნდებოდა, თავის დაზოგვა რომ არა სჩვევია და ძირისძირობამდე ჩასდევს თვითეულ დეტალსა და წვრილმანს და მოუძიებელს არაფერს ტოვებს, თუკი არ გამქრალა; და ღრმა ერუდიციის, ლოგიკური მსჯელობისა და ინტუიციის წყალობით მარჯვედაც შეუძლია ამოავსოს ცარიელი ადგილები, დროის მსახვრალი ხელით გაჩენილი.

და ამჯერად კი გიორგი პაპაშვილის მონუმენტური ფიგურა უნდა გამოკვეთილიყო.

თუმც ცხადია მთელი სისავსით წარმოჩენა ერთი პირისა შეუძლებელი იქნებოდა შესაფერისი ფონის გარეშე, რუსუდან ნიშნიანიძე ქართულ ემიგრანტულ რეალობასაც თვალნათლივ რომ წარმოსახავდა, განსაკუთრებით კი მაინც გიორგი გამყრელიძეს გამოკვეთდა რელიეფურად და ჩინებულ საფუძველსაც შექმნიდა ამ პიროვნებაზე საგანგებო მონოგრაფიის დასაწერად.

მაშინაც გაუმართლებდა გიორგი პაპაშვილს, მისი თანაავტორობით შექმნილ იმ გახმაურებულ წიგნს ანდუყაფარ ჭეიშვილი რომ გამოუჩნდებოდა მთარგმნელად, დახვეწილი გემოვნების პატრონი და საუკეთესო სტილისტი, რომელიც ყოველთვის ახერხებდა შესაფერისი გასაღები მოერგო ამათუიმ მწერლის – უოლტერ სკოტი იქნებოდა, სომერსეტ მოემი, ერნესტ ჰემინგუეი, რეი ბრედბერი თუ სხვანი – თხზულებისათვის და ქართული ენობრივი სამყაროს განუყოფელ ნაწილადაც ექცია.

„ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ კიდევ ერთი დასტურია მისი მთარგმნელობითი ხელოვნებისა.

ავტორების თხრობის ნიჭიერებისა და მხატვრულ-დოკუმენტური რომანის პოპულარობის საიდუმლოს რუსუდან ნიშნიანიძე იმით ახსნიდა, რომ მიგნებულიყო ზუსტი მხატვრული პრინციპი.

მაინც რას გულისხმობს ეს მხატვრული პრინციპი და მისი სიზუსტე?

რას და:

ჩვენს წინაშეა არა ბანალური წინააღმდეგობებითა და – აქედან გამომდინარე – ტკივილებით, ცრემლებით, სანტიმენტალური ფათერაკებით სავსე ამბები, არამედ თბილი იუმორი, რეალური თავგადასავალი და „ჩამოსული“ კაცის თვალით დანახული სივრცე. და სინამდვილე დაიხატებოდა ისე, როგორც მას ყოველდღიური, ჩვეულებრივი გარემო სთავაზობდა.

ამ ყოველდღიურობის შესაფერი რიტმი და ენობრივი მანერა უნდა მოძებნილიყო თარგმანში, და ანდუყაფარ ჭეიშვილი სწორედ ამ რიტმის მიგნებით შეუნარჩუნებდა წიგნს მთავარ თავისებურებასა და ღირსებასაც.

თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო ემიგრანტი მწერლის ნაწერის გამოცემა საბჭოთა რეჟიმის პირობებში მყოფ საქართველოში – 1966 წელს, ამის თაობაზე მოთხრობილია დიალოგში, რომელსაც რუსუდან ნიშნიანიძე გაუმართავდა მთარგმნელს, მოხდენილად რომ ერწყმის მონოგრაფიის სტრუქტურას ამ საუბრის ჩანაწერიც, ისევე როგორც დიდძალი დოკუმენტური მასალა, რომელშიც

ჩაიკარგებოდა მკითხველი, ასე მარჯვედ რომ არ იყოს განაწილებული და დალაგებული, სკრუპულოზური, პედანტური კვლევა დროდადრო რომ გახალისებულია პირადი შთაბეჭდილებებითა თუ სხვადასხვა მემუარებიდან ამოკრებილი ეპიზოდებით, პირადი წერილების პუბლიკაციაც თავის ინტიმსა და სილამაზეს რომ სძენს თხრობას.

ხოლო გიორგი პაპაშვილის ქანდაკებების მონახულება რა შთაბეჭდილებას დაუტოვებდა აკაკი ბელიაშვილს და:

გაამერიკებული ქართველი ფიროსმანიო.

როგორც მოქანდაკეს, 600-ზე მეტი ნამუშევარი უნდა დაეტოვებინა, პრიმიტივიზმი და მოდერნიზმი ხელწერის ნიშნად რომ უნდა ექცია.

გიორგი პაპაშვილის მოქანდაკეობის უმაღლესი შეფასების ნიმუშად ორტომეულში მოხმობილია თუნდ ეს სტრიქონები:

– მისი ადრეული ნამუშევრები სულაც არ არის დამწყების ნაშრომი, საიდანაც მისი სტილი განვითარდა. ეს არის ჩამოყალიბებული, მცოდნე პროფესიონალის ქმნილებანი... მათ, ვინც ესკიზის შესწავლას აპირებს, ჯორჯ პაპაშვილის ეს დამახასიათებელი ნიშანი ნამდვილ გენიად უნდა ჩათვალონ.

ნამუშევრებზე ინიციალებს რომ არასოდეს ტოვებდა?

მიზეზს რომ ეკითხებოდნენ, ამგვარად განუმარტავდათ:

ხელმოწერა თვითონვეა ხელოვნების ნიმუშშიო.

და რუსუდან ნიშნიანიძე თავის მხრივ მიადევნებდა:

მოქანდაკე მიიჩნევდა, რომ თვით ნამუშევრით უნდა მიმხვდარიყო მნახველი ავტორის ვინაობას და არ მხოლოდ მიწერილი გვარ-სახელის მეშვეობითო.

როგორც თვითმხილველები ირწმუნებოდნენ:

ქვებს მანამდე ამოწმებდა, ვიდრე სასურველ, შესაფერისი ზომისა და ფორმის ქვას მიაგნებდა. ზოგჯერ თვით ქვა კარნახობდა ფორმას... ამ ქვებს აკვირდებოდა, სწავლობდა; შემდეგ მათზევე აკეთებდა მონახაზს რბილი, მშრალი ცარცით, რომელიც ადვილად იშლებოდა. ბევრ ქვას გადასაყრელადაც იმეტებდა – ან ბზარებს უპოვნიდა, ან ფორმა არ დააკმაყოფილებდა... და როდესაც მიიჩნევდა: ახლა კი ყველაფერი რიგზეაო – იწყებდა გამოქანდაკებას.

ესეც მისი მუშაობის მეთოდი, მისი შემოქმედებითი ლაბორატორიის შეხსნილი კარი, თვითნასწავლი ხელოვანისა, რომელიც ყოველგვარი სკოლისა და მოძღვრების გარეთ იდგებოდა, და თუ არა საჭიროებდა ქანდაკებების შექმნის მეთოდისა ან საჭირო იარაღების შესახებ განსაკუთრებულ მითითებებს, იმიტომაც: როგორც მექანიკოსსა და მჭედელს რამდენიმე სფეროში უკვე შეეძინა დიდი გამოცდილება.

ყველაზე ხშირად რას აქანდაკებდა და:

ცხოველებს – განსაკუთრებთი ძაღლებსა და დათვებს, თევზებს, ფრინველებს, მწერებს. ორი მშვენიერი აბსტრაქციაც მოეძევებოდა, მაგრამ თუ ამ გზას არ გაჰყვებოდა, თურმე იმიტომ:

ყურადღებას მარტოდენ ფორმას კი არ აქცევდა, არამედ უპირატესობას ანიჭებდა ფორმისა და შინაარსის ერთობლიობას.

რაჭველი მესტვირის შექმნა რომ განეზრახა საქართველოში ჩამოსატანად – ორმეტრიანი ქანდაკებისა, ამერიკელი ხელოვნებათმცოდნენი ივარაუდებდნენ, რომ ეს სწორედ ის ნამუშევარი უნდა ყოფილიყო, ქართველი კაცის გამომხატველი:

წვერ-ულვაშით, ახალუხით, ბოხოხით, თასმებიანი ფეხსაცმლითა და ხელში საკრავით – ძველებური გუდასტვირით. მისი გამომეტყველებიდან ცნაურდებოდა, რომ: მხიარული ბალადის სიმღერას აპირებდა. და დაე ნურავის გაუკვირდებოდა, თუ

ის მაღალ ნოტაზე ამღერდებოდა, რადგანაც – იმათი შეტყობით – ქართველებს ეს ძალიან მოსწონდათ.

მონოგრაფიის მეორე ტომი უფრო ამ მხარეს ეთმობა გიორგი პაპაშვილის მოღვაწეობისა – ქანდაკებას, და რუსუდან ნიშნიანიძე მის დასაწერად საგანგებოდ ჩაუღრმავდებოდა და გაერკვეოდა ქანდაკების ისტორიაში, რათა არ ეკმარა მხოლოდ მოშველიება ცნობილ ხელოვნებათმცოდნეთა შეხედულებებისა და თვითონაც გამოეთქვა თავისი დაკვირვებანი ყველაზე ზუსტ და ნიშანდობლივ თვალსაზრისთა ფონზე.

არ ეშვებოდა ქართული სინამდვილე გიორგი პაპაშვილს, აქაური ჯადოსნური ზღაპრები თუ ბავშვობის მოგონებანიც რომ უადვილებდნენ ცხოვრებას ქვეყანაში, სადაც ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო... და ისე არ წავიდოდა წუთისოფლიდან, ერთხელ მაინც რომ არ სწვეოდა საქართველოსა და მშობლიურ ბუდეს – კობიანთკარს.

ანდერძად კი სხეულის დაფერფვლას დაიბარებდა.

მეუღლე უპატრონებდა მის დანატოვარს – ხელნაწერებსაც და ნამუშევრებსაც, იმის დაწყებულ საქმეს რუთ ადამსი რომ გააგრძელებდა და 1993 წლის 26 ოქტომბერს შედგენილ ბარათში გამოთქვამდა ვარაუდს, რომ არქივს შესთავაზებდნენ ლიჰაის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, და ეიმედებოდა, რომ:

გიორგი პაპაშვილს ადრე თუ გვიან გამოუჩნდებოდა თავისი ბიოგრაფოსი.

ეს იმედი, ეს ნატვრა უნდა აეხდინა რუსუდან ნიშნიანიძეს და აეხდინა ისე, ამ არაორდინარული კაცის ცხოვრებასა და ღვაწლს როგორც შეჰფეროდა და ერთხელ კიდევ გამოეხატა ქართველ ემიგრანტთა სატკივარიც და დრამატიზმიც, და ის სულიერი სწრაფვაც, სადაც უნდა მოხვედრილიყვნენ ეს პიროვნებანი, თავიანთი ფესვებით რომ სუნთქავდნენ და ცდილობდნენ გადაერჩინათ თავიანთი წილი საქართველო.

ესეც არსი და ქარგა რუსუდან ნიშნიანიძის ორტომეულისა – ძეგლი გიორგი პაპაშვილისა, მღელვარე, მძაფრი ძიებებით აღსავსე თავგადასავალი – თუ როგორ გადაერჩინა თავისი წილი საქართველო!..

ლაშა ბაქრაძე

საქართველოს ისტორიის ახალი პირველწყარო

2019 წელს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა სქელტანიანი ნაშრომი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში უცხოეთში აღმოცენებული და მოქმედი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციის – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობას აშუქებს.

საინტერესოა რომ საზღვარგარეთ არსებული ამ კომიტეტის საქმიანობას ნაშრომი ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა გიორგი მამულიამ და გიორგი ასტამაძემ მიუძღვნეს. გ. მამულია პარიზის უმაღლესი სოციალური კვლევების სკოლის (EHESS) დოქტორია, ხოლო გ. ასტამაძე გერმანიაში ქ. კარლსრუეს უნივერსიტეტის დოქტორანტურას ასრულებს. მათ უცხოეთის სხვადასხვა სიძველეთსაცავში (გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, რუსეთის, ასევე ქართველი ემიგრანტების კერძო არქივებში) მოიძიეს და შეკრიბეს ქართულ კომიტეტთან დაკავშირებული მრავალი დოკუმენტი და მასალა, თარგმნეს ისინი ქართულ ენაზე და სამეცნიერო კომენტარებისა და წინასიტყვაობის დართვით მკითხველ საზოგადოებას წარუდგინეს. საყურადღებოა, რომ წინასიტყვაობა ინგლისურ ენაზეც არის გამოქვეყნებული.

განთავისუფლების კომიტეტმა 1914-1918 წლებში გერმანიის სახით იპოვა მძლავრი მოკავშირე, რომელზე დაყრდნობითაც წამოაყენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი და ამ მიმართებით აქტიური ძალისხმევა გასწია. ფაქტობრივად, კომიტეტმა შეამზადა ნიადაგი და თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყო სუვერენული ქართული სახელმწიფოებრიობის განახლებას 1918 წლის მაისში.

საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სვლის ისტორია 1917-1918 წლებში ძნელად წარმოსადგენია საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მოღვაწეობის შესწავლის გარეშე. ქართულ კომიტეტთან, როგორც მას შემოკლებით უწოდებდნენ გერმანელები, დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოს მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი წყაროებია. თავისთავად, ისტორიული დოკუმენტების კრებულების კვალიფიციური გამოცემებითაც არ არის ქართული საზოგადოება განებივრებული.

გიორგი მამულიას და გიორგი ასტამაძის მიერ გამოცემული „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი. 1914-1918. დოკუმენტები და მასალები“ კარგი მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დაცვით და კვალიფიციურად გამოცემული დოკუმენტების კრებული. სამეცნიერო აპარატი, არა მარტო პირთა და გეოგრაფიულ საძიებელებს მოიცავს, არამედ მნიშვნელოვან პირთა კარგად შედგენილ ბიოგრაფიებსაც. ის, რომ უცხოელთა სახელები ორიგინალის ენაზეცაა მოცემული, აუცილებელია და თავისთავად ცხადია, მაგრამ სასურველი იქნებოდა, ქართველ მოღვაწეთა სახელებიც, რომლებიც სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვანაირადაა ლათინურად ტრანსკ-

რიბირებული, ასევე იყოს მითითებული, რათა მომავალ მკვლევართ გაუადვილდეთ მათი მოძებნება ან სულაც იდენტიფიცირება.

წიგნში დაბეჭდილი პირველი დოკუმენტი 1914 წლის 9 აგვისტოთი თარიღდება, შემდგომ პუბლიკაცია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გრძელდება და 1918 წლის 28 ივნისით სრულდება. ნაშრომში სულ 277 დოკუმენტს აერთიანებს. კრებულში შესულია ასევე, 3 დამატებითი მასალა, რომელიც ავსებს და კიდევ უფრო შინაარსიანს ხდის გამოცემას.

საერთოდ, რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა დოკუმენტები ორიგინალის ენაზეც იყოს გამოქვეყნებული, მაგრამ ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ ეს ისედაც სქელი, 800-გვერდიანი წიგნის მოცულობას იმდენად გაზრდიდა, რომ ორი ტომი გახდებოდა საჭირო.

აქ აუცილებლად მადლობა უნდა ეთქვას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რომელმაც ამ საჭირო წიგნის გამოცემა ითავა, ისე როგორც, მაგალითად, საქართველოს დამფუძნებელი კრების ოქმების ტომეულისა, რომლის ბოლო ტომებს წელს დაბეჭდავენ.

დიზაინის თვალსაზრისით, მცირედი კრიტიკაც, ალბათ, საჭიროა. მაგალითად, მთელ წიგნს გასდევს ზედა ხაზზე დაწერილი დოკუმენტების კრებულის შემდეგენელთა სახელები – რაც ნამდვილად არ არის აუცილებელი იმ შემთხვევაშიც კი, ისინი წიგნის მთელი ტექსტის ავტორები რომ იყვნენ. სარჩევში კი კარგი იქნებოდა მითითებული იყოს, ვის ეკუთვნის წინასიტყვაობა.

ამ მართლაც მშვენიერი გამოცემის ნაკლია, რომ არ არის მითითებული წიგნში დაბეჭდილი ფოტოების დაცვის ადგილი – არქივი, ბიბლიოთეკა თუ პირადი კოლექცია. ფოტოც დოკუმენტია და აუცილებელია, მითითებული იქნეს, სად ინახება.

კრებულის გამომცემელთათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში, კავკასიის მეფისნაცვლის ფონდში არის ქართული კომიტეტის სხდომათა ოქმები, რომელიც ამ კრებულს უთოოდ დაამშვენებდა და ბევრ საკითხს მოჰფენდა ნათელს, მაგრამ, იმედია, ისინი ამ საქმეებს ცალკე წიგნად გამოსცემენ.

გიორგი მამულიას და გიორგი ასტამაძის მიერ შედგენილი კრებული ჩინებულ წინასიტყვაობასთან ერთად, რომელიც კარგად გვაცნობს საქმის არსს, მკვლევართათვის მყარი საფუძველია, ჩაუღრმავდეს საქართველოს საკითხის მრავალ წახნაგს და იმ პრობლემებს, რომელიც იდგა საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე, დაინახოს ის გეოპოლიტიკური კონსტელაცია, რომელიც დღევანდელისგან დიდად არ განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი საუკუნე გვაშორებს იმ ფაქტებს, რომლის შესახებაც ამ მართლაც მნიშვნელოვან დოკუმენტების კრებულშია საუბარი.

პაატა სურგულაძე

„ოქროს წიგნის“ წარდგინება. ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის გამოცემის გამო

„ეს ერთადერთი რამ არის, რაც დამრჩა ჩემი სანატორიუმიდან. სანატორიუმის დღიურში ბევრმა იქ მყოფმა მოათავსა ლექსები და შენიშვნები, რომელთა გამოქვეყნებას ადვილად მოახერხებდა ადამიანი, რომ ძალიან არ იყოს გაძვირებული ქართული ბეჭდვითი საქმე საფრანგეთში. ეხლანდელ პირობებში ეს მხოლოდ ოცნებით წარმოსადგენია და მეტი არაფერი“ ეს ცნობილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ემიგრანტ ვახტანგ ღამბაშიძის სიტყვებია, რომელიც პარიზში გამომავალ ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ში 1949 წელს არის დაბეჭდილი. და აი, ზუსტად 70 წლის შემდეგ, ვახტანგ ღამბაშიძის ღირსეული შთამომავლების მონდომებით, ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა ძალისხმევითა და ხელშეწყობით ქართველი სახალხო მკურნალის ოცნება ახდა და მისი ალბომი წიგნად გამოიცა.

ვახტანგ ღამბაშიძე საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის ერთერთი გამორჩეული ფიგურაა. მისი სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ქართული ემიგრაციის ისტორიაში. იგი საქართველოში კურორტოლოგიის ერთერთი ფუძემდებელია. 1904 წელს მან გახსნა სანატორიუმი „პატარა ცემი“ და 1921 წლამდე მისი უცვლელი ხელმძღვანელი იყო. სწორედ ამ სანატორიუმის ერთგვარ შთაბეჭდილებათა წიგნს წარმოადგენდა ეს ალბომი, რომელშიც იქ მყოფი დამსვენებლები გულწრფელად გამოხატავდნენ ამ მართლაც შესანიშნავი კურორტისა და მისი ხელმძღვანელის მიმართ თავიანთ დამოკიდებულებას, შთაბეჭდილებებსა და სურვილებს. თვითონ ვახტანგი ამ ალბომს „ოქროს წიგნს“ ეძახდა. თუ გავითვალისწინებთ მასში სამუდამოდ აღბეჭდილ სახელებს, ის მართლაც „ოქროს წიგნად“ შეიძლება ჩაითვალოს. ამ ალბომის ჩანაწერების ავტორები პოეტები, მხატვრები, მეცნიერები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები არიან. ისინი მაშინდელი საქართველოს ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები არიან. მარტო ის რად ღირს, რომ ალბომში პირველი ჩანაწერი დიდ ქართველ მგოსანს აკაკი წერეთელს ეკუთვნის. პატარა ცემისადმი დამოკიდებულება დიდ პოეტს ლექსად აქვს გადმოცემული. იგი ვახტანგის მამის, „დიდი დეკანოზის“ დავით ღამბაშიძის სულიერი შვილი იყო და თან მასთან მეგობრობდა, მერე კი თვითონ ვახტანგთან განაგრძობდა მეგობრობას. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში მისი პირადი ექიმი იყო. ამიტომაც ინახება დიდი პოეტის არქივში ვახტანგ ღამბაშიძის ხელით გამოწერილი წამლების რეცეპტები. მათი ახლობლობა ნათელ-მირონობითაც იყო გამყარებული. სწორედ აკაკი გახლდათ ვახტანგის უფროსი ქალიშვილის მედიას (მედეას) ნათლია.

1904 წელს სანატორიუმის საზეიმო გახსნაზე აკაკიმ საპატიო მიზეზის გამო დასწრება ვერ შეძლო. რამოდენიმე ხანში პოეტი ცემში ასულა და ერთ-ერთი სკამის საზურგეზე თავისივე ხელით წაუწერია: „კარგი სანატორია ეს პატარა

ცემია – დასუსტებულისათვის ჯან ღონის მომცემია“ ვახტანგის ეს სკამის საზურგე სამახსოვროდ საკმაოდ დიდხანს შემოუნახავს. დიდ მგოსანს პატარა ცემისადმი თავისი დამოკიდებულების გამოხატვის შანსი მალევე მიეცა. 1904 წლის აგვისტოში აკაკი პატარა ცემში დასასვენებლად შედარებით ხანგრძლივი დროით ავიდა და ვახტანგის ალბომში ერთ-ერთი პირველი ჩანაწერიც თავისივე ხელით მაშინ გააკეთა. „ვსთხოვე თავისი ხელით ჩაეწერა ჩემს საგანგებო დავთარში, რომელსაც შემდეგ ყველა მომსვლელი პატარა ცემში სიამოვნებით ეცნობოდა,“ – იგონებდა ამის თაობაზე თავად ვახტანგ ღამბაშიძე. ასე გაჩნდა ამ ალბომში პირველი მნიშვნელოვანი ჩანაწერი და დიდმა პოეტმა ცხრა სტროფიან ლექსში უკვდავყო პატარა ცემი.

„თუ სენი ვისმე შემოჰპარვია
და გულს ნაღველი ისრად სცემია,
მისთვის სამოთხე – სააგარაკოდ
და სამკურნალოდ მხოლოდ ცემია!

ნათქვამია ამ ლექსისი პირველ სტროფში.

„პატარა ცემისთვის“ აკაკის ლექსი თავისი შემდგომი სტუმრობის დროსაც მიუძღვნია („ერისთავის ასულის პასუხად“).

ალბომში გაკეთებულ სხვა ჩანაწერებთან დაკავშირებით ვახტანგი იგონებდა: „ბევრნი არიან ისეთი პირები და ამათგან ბევრმა იჩინა თავი საზოგადო ასპარეზზე ნაყოფიერი მუშაობით, მაგ: ვუკოლ ბერიძემ, ინგოროყვამ, (იგულისხმება პავლე ინგოროყვა – პ. ს.), აბაშელმა (იგულისხმება ალექსანდრე აბაშელი – პ. ს.), გიორგი ნიკოლაძემ, არჩილ ხარაძემ, კომპოზიტორმა არაყიშვილმა (იგულისხმება დიმიტრი არაყიშვილი – პ. ს.), შალვა ღამბაშიძემ და სხვადასხვა“ ვახტანგ ღამბაშიძის ალბომში ჩანაწერები ასევე გაკეთებული აქვთ ისეთ სახელოვან მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: კიტა აბაშიძე, მიხაკო წერეთელი, დუტუ მეგრელი, ალექსანდრე ხახანაშვილი. „ოქროს წიგნი“ ასევე საქართველოს უცხოელი მეგობრების ჩანაწერებსაც ინახავს. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საქართველოს დიდი მეგობრის, სამხრეთ კავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის სერ ოლივერ უორდროპის, ცნობილი ქართველოლოგის რობერტ სტივენსონის, კავკასიაში ფრანგული სანიტარული მისიის მთავარი ექიმის ლუი დარტიგის ჩანაწერები.

1896 წელს ვახტანგმა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და, მამის რჩევით, პარიზში გაემგზავრა. საფრანგეთის დედაქალაქში იგი მედიცინის პრობლემებს ჩაუღრმავდა და ამ დარგის იმდროინდელ სიახლეებში კარგად გაერკვა. მან გაიცნო სორბონის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორები ალფონს ლავერანი და ალფრედ ბინე. მისი პარიზში ყოფნა პირადი ცხოვრების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ უმშვენიერესი ქალაქის ლუქსემბურგის ბაღში გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე, ამერიკელი გოგონა ვანდა ჰოპე, რომელიც პარიზში 19 წლის ასაკში ჩასულა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ამერიკელმა ქალბატონმა ღირსეული მეუღლეობა გაუწია ვახტანგს. დაქორწინებამდე ვახტანგს ვანდა გაუფრთხილებია, რომ საქართველოში დაბრუნებას აპირებდა. მათ ოთხი შვილი შეეძინათ: მედია (მედეა), სუნანა (თამარი), გივი და ჟორჟეტა. ვანდამ ქართული ენა საკმაოდ სწრაფად ისწავლა და შვილებიც ქართული სულისკვეთებით აღზარდა. მოგვიანებით ვანდა ღამბაშიძე ახლად დაფუძნებულ

თბილისის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილმა ინგლისური ენის კათედრაზე პედაგოგად მიიწვია.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვახტანგისა და ვანდას უფროსი ქალიშვილი. მედეა ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო, რასაც მის სახელზე გამოწერილი N1 სტუდენტური ბილეთი ადასტურებს.

ვახტანგი პარიზიდან საქართველოში 1898 წელს დაბრუნდა. ის მეუღლესთან ერთად ზესტაფონში ცხოვრობდა და კერძო საექიმო პრაქტიკას ეწეოდა.

1904 წლის 15 ივნისს ვახტანგ ღამბაშიძის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. გაიხსნა სანატორიუმი „პატარა ცემი" ეს საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო, არამარტო ღამბაშიძეების, არამედ მთელი ქართული საზოგადოების ცხოვრებაშიც.

დრო გადიოდა და ღამბაშიძეების საოჯახო ალბომი კვლავ საინტერესო ჩანაწერებითა თუ ჩანახატებით ივსებოდა. სანატორიუმში ჯანმრთელობის აღსადგენად და გასაკაჟებლად ჩამოსული დამსვენებლები დიდის კმაყოფილებით ერთხმად ხაზგასმით აღნიშნავდნენ მისი, როგორც უნიკალური კურორტის მნიშვნელობას. ამავე დროს ვახტანგის, როგორც მისი სულისჩამდგმელის დამსახურებასაც არ ივიწყებდნენ. თვითონ ვახტანგს „პატარა ცემი" თავის მეხუთე შვილად მიაჩნდა.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ საქართველოს თავზე დატრიალებული ბედუკუღმართობის გამო ვახტანგთან ერთად ამ ალბომსაც არ მოუხდა საქართველოს დატოვება.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ვახტანგ ღამბაშიძეს სანატოტიუმი „პატარა ცემი" ჩამოართვა. სახალხო დასტაქარი აღნიშნავდა: „დიდი ლახვარი დამეცა გულს, როდესაც დიდი შრომითა და წვალებით აგებული ტაძარი გაველურებულმა და ბოროტი აზროვნების ბრმა მიმდევრებმა ჩვენ მეზობლებსვე გაანადგურებინეს. და გაპარტახებულ ქარვასლას დაამსგავსეს. ...მეორე ლახვარი იყო ჩემთვის მისი იძულებით ჩამოშორება და და საერთოდ მასთან ერთად სამშობლოს დაშორებაც". მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში ვახტანგი კავკასიის საკურორტო ზონის ხელმძღვანელი იყო, მან საკუთარი პირმშოს გადარჩენა ვერ შეძლო. „პატარა ცემი" დაარბიეს და გაანადგურეს. ამ დროს დაიკარგა მასთან დაკავშირებული მთელი დოკუმენტაციაც. ერთადერთი, რაც ვახტანგს იქიდან შემორჩა, ეს საოჯახო ალბომი იყო.

ამის მერე დაიწყო ამ ალბომის მეორე სიცოცხლე. მოგზაურობდა ისიც თავისივე პატრონთან ერთად. ვახტანგმა საქართველო 1922 წლის თებერვლის დასაწყისში დატოვა და კონსტანტინოპოლში ჩავიდა. აქ იგი თავის მეუღლესთან ვანდა ჰოპესთან ერთად წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობდა და ქართველ ლტოლვილებსაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. 1924 წელს კი ვახტანგ ღამბაშიძე ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა და ოჯახთან ერთად სამუდამოდ პარიზში დამკვიდრდა. მასთან ერთად პარიზშივე თეოფილე გოტიეს ქუჩაზე დაიდო ბინა მისმა ერთგულმა „ოქროს წიგნმაც"

ვახტანგის ალბომი ამ დიდი ოჯახის საინტერესო და სისხლსავსე პარიზული ცხოვრების პირუთვნელი მემატიანე გახდა. მასში გარკვეულწილად აისახა ჩვენი ემიგრაციის ურთულესი ყოველდღიურობა და სამშობლოს კეთილდღეობაზე მუდმივი ზრუნვა. ალბომის პარიზული პერიოდის ჩანაწერების ავტორთა შორის შეხვდებით ემიგრაციაში მოღვაწე მრავალი გამორჩეული შემოქმედის, მეცნი-

ერისა, თუ პოლიტიკოსის სახელებს. მათ შორის არიან: გრიგოლ რობაქიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვიკტორ ნოზაძე, ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, რევაზ გაბაშვილი, სპირიდონ ჭავჭავაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გრიგოლ დიასამიძე, და სხვ.

„ოქროს წიგნში" ლურსმულად გაკეთებულ ჩანაწერსაც წააწყდებით. მისი ავტორი თვალსაჩინო მეცნიერი, ძველი აღმოსავლეთისა და ასირიოლოგიის აღიარებული სპეციალისტი, ვახტანგის მეგობარი, მიხეილ (მიხაკო) წერეთელია. ალბომშივე შესული ლურსმული ტექსტის მიხაკო წერეთლისეული ქართული თარგმანი შემდეგს გვაუწყებს: „მაღალთა ღმერთთა აკურთხონ მეგობარი ჩემი (ვახტანგ) და სახლი მისი" ჩანაწერი პარიზში 1926 წლის 24 ნოემბრით თარიღდება.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ვახტანგის ალბომში კიდევ რამოდენიმე მოღვაწის მიერ გაკეთებული ხელმოწერები. ისინი საქართველოს ეროვნულ გმირს ქაქუცა ჩოლოყაშვილს, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების მთავარსარდალს სპირიდონ ჭავჭავაძეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრს შალვა ამირეჯიბს, სამხედრო მოღვაწე ჟერომ მამალაძესა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრ ელიზბარ ვაჩნაძეს ეკუთვნით. ყველა მათგანი ერთი და იგივე თარიღით, – 1925 წლის 2 იანვრითაა დათარიღებული.

ვახტანგ ღამბაშიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირადი ექიმი იყო. სიცოცხლის ბოლო დღეებში იგი მასთან ერთად იყო „პრაზ-კუტანის" სანატორიუმში. შეფიცული ალექსანდრე სულხანიშვილი ამასთან დაკავშირებით იგონებდა: „კიდევ კარგი აუსრულდა უკანასკნელი ნატვრა და ვახტანგმა ცოცხალს ჩამოუსწრო, რადგან სულ ორი დღე გავიდა მისი ჩამოსვლიდან და ქაქუცა გარდაიცვალა" ქაქუცას დაკრძალვის მთავარი ორგანიზატორი ვახტანგ ღამბაშიძე ყოფილა. მანვე შემოუნახა ისტორიას ეროვნული გმირის დაკრძალვის კადრები.

1945 წელს ვახტანგის მეუღლე ვანდა ჰოპპე-ღამბაშიძისა გარდაიცვალა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მან კიდევ 6 წელი იცოცხლა. ვახტანგ ღამბაშიძე 1951 წლის 10 აგვისტოს, უმცროსს ქალიშვილ ჟორჟეტასთან სტუმრობისას, შოტლანდიაში, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. თავდაპირველად იგი თავისი სიძის ნილ სტიუარტის მამულში დაკრძალეს, მერე კი ლევილში გადაასვენეს და ქართველთა სასფლაოზე მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი.

ამ მოვლენამ მთელი ქართული ემიგრაცია დაამწუხრა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ სულ სხვა დატვირთვა შეიძინა მისმა ნაწერებმა და ნივთებმა. მათ შორის გამორჩეული კი უდაოდ მისი „ოქროს წიგნი" იყო, რომელსაც პატრონის სათუთი დამოკიდებულება იმ ავბედითი დღიდან დააკლდა, თუმცა იმავე დღიდან ის ვახტანგის შვილებისა და შვილიშვილებისათვის მამასა და ბაბუასთან დაკავშირებულ რელიკვიად იქცა. ამ ოქროსფერყდიანმა ალბომმა თავის დროს დაუწყო ლოდინი.

ვახტანგ ღამბაშიძის მთელი არქივი, მათ შორის მის მიერ გადაღებული ფოტოები მისმა შთამომავლებმა საქართველოს ეროვნულ არქივს გადასცეს. ვერ შეელივნენ მხოლოდ მათი ღირსეული პაპის ალბომს და მის მოსაგონარ რელიკვიად კვლავ დაიტოვეს. თუმცა საბოლოოდ მათ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს: 2017 წლის გაზაფხულზე, ვახტანგის შვილიშვილმა, ქალბატონმა ნათელა ნიკოლაძე-ვილკურმა თავისი ბაბუის „ოქროს წიგნი" სამშობლოში ჩამოიტანა და ქართველ ხალხს გადასცა. მათივე გადაწყვეტილებით, ვახტანგ ღამბაშიძის ალ-

ბომმა ბინა სამუდამოდ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში დაიდო.

იმავე წლის სექტერმბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ვახტანგ ღამბაშიძის ალბომს სავსებით სამართლიანად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

წიგნი ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის ფოტოტიპური გამოცემა გახლავთ. მას თან ერთვის ჩანაწერების ბეჭდური ვარიანტები, მასში მოხსენიებულ პირთა მოკლე ანოტირებული საძიებლები და ასევე კომენტარები. მნიშვნელოვანია, რომ გამოცემაში ასევე შესულია ქალბატონ ჯულიეტა გაბოძის საინტერესო ნარკვევი ვახტანგ ღამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგ ღამბაშიძის შესახებ მანამდე ასევე საინტერესო წერილები აქვთ გამოქვეყნებული ბატონ პაატა ნაცვლიშვილს და ქალბატონ ნინო ღამბაშიძეს.

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის წიგნად გამოცემის პროექტის ავტორი ქალბატონი ჯულიეტა გაბოძეა.

ალბომის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და პირთა საძიებელი დაურთეს ქალბატონებმა: ჯულიეტა გაბოძემ (1904-1920 წწ. ჩანაწერები) და რუსუდან კობახიძემ (1920-1946 წწ. ჩანაწერები). ალბომის რედაქტორია პაატა ნაცვლიშვილი, ფრანგული ტესტის რედაქტორი – გოჩა ჯავახიშვილი.

გამოცემის კონსულტანტები არიან: რამაზ შენგელია, თამარ ვეფხვაძე, ნინო ხუნდაძე, ჰენრიეტა იუსტინსკაია.

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის გამოცემა თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებისა და ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილეს ეძღვნება.

გამოცემაში გამოყენებულია საქართველოსა და ემიგრაციაში გამომავალი პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალები, თავად ვახტანგ ღამბაშიძის ხელნაწერი მოგონებები, მის შთამომავალთა მოგონებები, ასევე საარქივო მასალა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ახლად დასტამბულ ალბომში თავად ვახტანგ ღამბაშიძისა და მისი სიძის გიორგი ნიკოლაძის ფოტოებია გამოყენებული. ასევე მასში შესულია სხვა ფოტოებიც ღამბაშიძეების შთამომავალთა საოჯახო ალბომებიდან.

პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა.

ალბომი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან: საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი.

მკითხველთა სახელით მადლობა მინდა გადავუხადო ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახს და მის შთამომავლებს, რომლებმაც დიდი სიყვარულითა და რუდუნებით მოუარეს მის საინტერესო და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან მემკვიდრეობას და ეს ყველაფერი საქართველოში დააბრუნეს. სწორედ მათი მონდომებით, მაღალი ეროვნული შეგნებითა და დიდსულოვნებით გახდა შესაძლებელი სახალხო

მკურნალისა და თვალსაჩინო ქართველი მოღვაწის, ვახტანგ ღამბაშიძის ოცნების რეალურად განხორციელება და მისი „ოქროს წიგნის“ გამოცემა.

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის საზოგადოებისათვის წარდგენა მიმდინარე წლის 10 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა. წარდგენას დაესწრო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა.

ამ ალბომის გამოცემით „ოცნებით წარმოსადგენი რამ მოხდა“ და ღირსეული მამულიშვილი და მოღვაწე ახლიდან გაცოცხლდა.

ვულოცავ ვახტანგ ღამბაშიძის შთამომავლებს, ქართულ ემიგრაციას და მთელ ქართულ საზოგადოებას ამ საინტერესო და მნიშვნელოვანი ალბომის წიგნად გამოცემას.

უდავოა, რომ ქართული ემიგრაციის ისტორიით დაინტერესებულმა მრავალრიცხოვანმა მკითხველმა მისი დასტამბვით ძვირფასი საჩუქარი მიიღო.

ჰაატა ნაცვლიშვილი

დადა-მანიფესტიდან სულ-სხვა(ა)-რითმამდე ანუ ბუენოს-აირესიდან თბილისამდე

2018 წლის შემოდგომაზე „ლიტერატურულ გაზეთში" (№ 17) დაიბეჭდა ჩემი საპროგრამო ლექსი-მანიფესტი „სულ სხვა(ა) რითმა" რომელიც ანაგრამული რითმებითაა გაწყობილი და ზოგადად რითმის ერთგვარ აპოლოგიას წარმოადგენს.

აი, რამდენიმე სტროფი ამ ლექსიდან:

არის, ურითმობაც არის, მაგრამ არის კიდევ რითმა,
ო, არ მითხრა არაფერი! ო, არ მითხრა, არა, არ მით...
მამა უნდა იცნო ძეთი, ვიშნუ უნდა იცნო რამით,
რა თქმა უნდა არის რიტმი, მაგრამ არის კიდევ რითმა!
ვესალმები მკითხველებსაც, ანოთ, ვანოთ, გვანცათ, ირმათ,
კი არსებობს რითმა, მაგრამ არის კიდევ სულ სხვა რითმა!

ორიოდე კვირაში ეს და ამ საპროგრამო ლექსის სხვა სტროფები ცალკე წიგნად გამოიცა არგენტინაში, ბუენოს-აირესში.

მაგრამ წიგნიც არის და წიგნიც!

როგორც ესპანურად შედგენილ მის კოლოფონში ვკითხულობთ, ეს გახლავთ უნიკალური მხატვრული გამოცემა ერთადერთ ეგზემპლარად. წიგნის რედაქტორი, კალიგრაფი, მხატვარი და გამომცემელია გოჩა გაიოსი. ამ სახელით იცნობენ ესპანურენოვან სამყაროში და მის გარეთაც არგენტინაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს – კოლექციონერს, ანტიკვარს, ბუკინისტს, მხატვარსა და გამომცემელს, დოქტორ გოჩა შათირიშვილს.

კოლოფონსაც თავის ამ არტისტულ ფსევდონიმს აწერს. იქვეა ჩემი ხელმოწერაც, რითაც მასთან ერთად გამოცემის ერთადერთობას ვადასტურებ.

სხვა ნამუშევრებთან ერთად ეს გამოცემა წარმოდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც 2019 წლის 6 ნოემბერს გოჩა გაიოსის უნიკალური მხატვრული წიგნების პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე ექსპონირებული იყო გოჩას რამდენიმე ათეული ფურცლოვანი გამოცემა, მის მიერ გაწიგნებული გალაკტიონის, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტერენტი გრანელის, კოლაუ ნადირაძის, სიმონ ჩიქოვანის თუ სხვათა გამორჩეული ტექსტები.

არგენტინა ერთ-ერთია თითებზე ჩამოსათვლელ იმ ქვეყნებს შორის, სადაც ქართული წიგნი გამოცემულა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არგენტინაში საკმაოდ ძლიერი ქართული კოლონია ჩამოყალიბდა, რომელიც აქტიურ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა, ჟურნალსაც სცემდა და წიგნებსაც ბეჭდავდა. თამარ და აკაკი პაპავების გარდა, მაშინ ბუენოს-აირესში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ვიკტორ ნოზაძე, გიორგი ნაკაშიძე,

ავთანდილ მერაბაშვილი, ვარლა – ფელიქს ვარლამიშვილი. ბუენოს-აირესში გამოსცა ვიკტორ ნოზაძემ თავისი „ვეფხისტყაოსნის განკითხვათა“ პირველი ტომიც – „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“

გოჩა შათირიშვილის გალერეა – „Gotcha's Books“ („გოჩას წიგნები“) სწორედ იმ შენობაში მდებარეობს მაიპუს 971 ნომერში, რომელშიც დღესაც ტრიალებს მეოცე საუკუნის უდიდესი მწერლის ხორხე ლუის ბორხესის სული. ბორხესი აქვე ახლოს ცხოვრობდა და თითქმის ყოველდღე შემოივლიდა ხოლმე ამ შენობაში მდებარე კაფეში, ყავას დალევდა და საგანგებოდ მასთან შესახვედრად მოსულ თაყვანისმცემლებს ავტოგრაფებს ურიგებდა. მე და გოჩა ერთ-ორჯერ იმ მაგიდასაც ვუსხედით, რომელიც მწერალს ჰქონდა ამოჩემებული და გოჩა გატაცებული მიამბობდა ფართო საზოგადოებისათვის უცნობ ეპიზოდებს ბორხესის ცხოვრებიდან. სხვა სამხრეთამერიკელ მწერალთა არქივებთან ერთად, გოჩას ხელში ბორხესის უამრავ ხელნაწერს გაუვლია და რამდენიმე მათგანი მან თბილისშიც ჩამოიტანა.



...თავის სახლში, ბუენოს აირესში

ამ გამოფენისათვის გოჩას რამდენიმე ნამუშევარი ლუგანოდანაც ჩამოიტანეს ჯონ და დანიელა დეპუიებმა. ისინი ლუგანოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გალერეის მფლობელები არიან, სადაც თბილისური გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე დაიხურა ორი არგენტინელი არტისტის გოჩა გაიოსისა და გაბრიელა აბერასტურის გამოფენა საერთო სათაურით „ხელოვნება ქაღალდზე“

ეს უჩვეულო გამოფენა იტალიური შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში 27 სექტემბერს გაიხსნა. გაბრიელა აბერასტურისა და გოჩა გაიოსის ნამუშევრები ლიტერატურის, საგამომცემლო საქმისა და მხატვრობის მიჯნაზეა. ისინი ერთი მხრივ გრაფიკული ფურცლებია, მეორე მხრივ კი – წიგნები, ოღონდ მხატვართა წიგნები, არტისტული წიგნები.


გამოფენის გახსნაზე სეფესიტყვა წარმოთქვა თანამედროვე ხელოვნების ცნობილმა შვეიცარიელმა კრიტიკოსმა ლუკა ვენტურიმ.

– ამ გამოფენაზე გაბრიელა აბერასტურისა და გოჩა გაიოსის არაჩვეულებრივი ნამუშევრებია წარმოდგენილი არტისტული წიგნების სახით, – თქვა მან, – მხატვრის წიგნი სამყაროში არსებობს, როგორც ფორმისა და შინაარსის უნიკალური ნაერთი. მას საფუძვლად უდევს კონვერგენცია ტექსტსა და გამოსახულებას შორის.


ლუკა ვენტურიმ დაიმოწმა სახელოვანი მექსიკელი კონცეპტუალისტის ულისეს კარიონის მანიფესტი „წიგნის კეთების ახალი ხელოვნება“, რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა და რომელშიც ავტორი სხვათა შორის წერს, რომ

„გავრცელებული აზრის მიუხედავად, მწერალი არ წერს წიგნებს, იგი წერს ტექსტებს“ ხოლო წიგნი ტექსტის კონტეინერია. თავდაპირველად მწერალი არად დაგიდევდა ამ კონტეინერის ფორმას, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ მწერლები, რომლებმაც ტექსტთან ერთად მის შეფუთვაზეც დაიწყეს ზრუნვა და მხატვრის ფუნქციებიც შეითავსეს.

მხატვრების მიერ წიგნების, როგორც ხელოვნების ნიმუშების შექმნა კონცეპტუალიზმისა და მოდერნიზმის უაღრესად თვითმყოფადი შენაკადია და XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს პირველი ფუტურისტული თუ დადაისტური წიგნების სახით.



პაატა ნაცვლიშვილის წიგნი „სულ სხვა(ა) რითმა“



ტიციან ტაბიძის „დადა- მანიფესტი“

სხვებთან ერთად არტისტული წიგნების აღიარებულ ოსტატად ფიროსმანის ერთ-ერთი აღმომჩენი და შემფასებელ-დამფასებელი, თბილისელი მხატვარი ილია ზდანევიჩი ითვლება, რომელმაც უკვე პარიზში გადაცხოვრებულმა, პიკასოსთან თანამშრომლობით არაერთი უნიკალური არტისტული წიგნი შექმნა.

თავისი წარმომავლობის გამო გოჩა გაიოსმა დოქტორ ლუკა ვენტურის სწორედ ილია ზდანევიჩი და მისი გამოცემები გაახსენა.

ილიაზდი – ამ არტისტული სახელით არის ცნობილი ილია ზდანევიჩი ლიტერატურის, ხელოვნებისა და წიგნის სამყაროში. აკი გოჩა გაიოსიც ფსევდონიმია – გოჩა გაიოზის ძე შათირიშვილის არტისტული ფსევდონიმი.

მე ვიცი, რომ გოჩა გაიოსს უნახავს ილიაზდის უნიკალური გამოცემები, ისევე როგორც სხვა მრავალი უიშვიათესი გამოცემა. და არა მარტო გამოცემები, – მის ხელთ იყო და არის სახელოვან მხატვართა ფერწერული ტილოები თუ გრაფიკული ნამუშევრები. საერთოდ, გოჩა გაიოსი დიდად სახელმოხვეჭილი კოლექციონერი

და ანტიკვარული წიგნის ავტორიტეტული ექსპერტია ესპანურენოვან და არა მარტო ესპანურენოვან სამყაროში. მისი, როგორც კოლექციონერის, ანტიკვარის, გალერისტისა თუ ბუკინისტის ძირითადი ინტერესის საგანი ევროპული და სამხრეთამერიკული ავანგარდული ხელოვნება გახლავთ.

საკუთარი არტისტული წიგნების შექმნით კი გოჩა ამ რამდენიმე წლის წინათ დაინტერესდა. მას ეკუთვნის არგენტინელ და ლათინურამერიკელ ავტორთა არაერთი მხატვრული წიგნი, რომლებიც არგენტინელ მხატვართა თუ მის მიერვეა ილუსტრირებული. მის მიერ გამოცემულ ავტორთა შორისაა ისეთი მწერლებიც, როგორებიც არიან ბორხესი და კორტასარი. გოჩას პროექტებზე მისი მოწვევით ბევრს მუშაობს ცნობილი არგენტინელი მხატვარი გაბრიელა აბერასტური, სწორედ ის, რომლის არტისტული წიგნები გოჩას ნამუშევრებთან ერთად გამოიფინა 2019 წელს ლუგანოში.

დღეს გოჩა გაიოსის გამოცემები და კონცეპტუალური ხელოვნების ნიმუშები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია დაცული. აქ უნდა დავასახელოთ ცნობილი არგენტინელი ფსიქიატრისა და კოლექციონერის ფელიპე დიაზ უსანდივარის, ჩიკაგოელი კოლექციონერის ალან კრავიტცის, გერმანელი კოლექციონერის ვოლფგანგ ლუჰის, შვეიცარიელი გალერისტების ჯონ და დანიელა დეპუიების, აგრეთვე გაზეთ „კორიერე დელ ტოჩინოს“ დირექტორის ჯან-ლუკა ბონეტის კოლექციები.

25 ოქტომბერს, გოჩა გაიოსისა და გაბრიელა აბერასტურის გამოფენის დახურვის დროს ლუგანოში გამართულ კოქტეილზე ხელოვნების საერთაშორისო ფონდ „არტფილაინის“ პრეზიდენტმა კატერინა დე პიეტრიმ განაცხადა, რომ გაისად ეს ფონდი გოჩა გაიოსის პერსონალურ გამოფენას მოაწყობს ლიხტენშტაინში. ლუგანოში კი გოჩას ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა და არაერთმა მათგანმა ცნობილი კოლექციონერების კოლექციებში გადაინაცვლა.

ლუგანოდან ჩამოტანილ ნამუშევრებს შორისაა რამდენიმე კონცეპტუალური ნამუშევარი სერიიდან „წარმოსახვითი ტექსტები“ („ტექსტოს იმახინარიოს“) და გალაკტიონის ლექსზე შექმნილი ორმეტრიანი ეტრატი „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ თბილისში გამომგზავრების წინ ეს მართლა „გრძელი პერგამენტი“ გოჩამ მხოლოდ იმ პირობით დატოვა ლუგანოში, რომ იგი არ გაიყიდებოდა და თბილისური გამოფენისთვის მას საქართველოში ჩამოუტანდნენ.

ეს ნამუშევარი გოჩასთვის განსაკუთრებით ძვირფასია. ძალიან ეძვირფასება მას აგრეთვე კონცეპტუალური ფურცლები, რომლებშიც ქართული ასოებიც არის გათამაშებული და ქართული ტექსტებიც. წმინდა ქართული თემატიკის ნამუშევრებიდან კი გოჩა შათირიშვილი განსაკუთრებულად ტიციან ტაბიძის „დადა მანიფეტის“ რამდენიმე გამოცემას გამოჰყოფს. ეს ნაწარმოები პირველი იყო გოჩას შემოქმედების ქართული ნაკადიდან.

საკუთარი ხელით გადაწერილი და გაფორმებული მან იგი 2016 წელს გამოსცა ბუენოს-აირესში. მას მერე მისი ფავორიტი ეს ნაწარმოები კიდევ სამჯერ გამოსცა და ყველა მათგანი ერთადერთი ეგზემპლარის სახით არსებობს.

„დადა მანიფესტს“ მოჰყვა გალაკტიონის, გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ლელი ჯაფარიძის, ნიკოლო მიწიშვილის, კოლაუ ნადირაძისა თუ სხვათა არტისტული წიგნები. გოჩასთვის განსაკუთრებით ძვირფასია ქართული ლიტერატურის ის პერიოდი – ქართული სიმბოლიზმი თუ

ფუტურიზმი, ზოგადად – ქართული ავანგარდი, გასული საუკუნის თბილისის, და არა მარტო თბილისის, მოდერნისტული ლიტერატურა და ხელოვნება.

ამ სამი ათეული წლის წინათ მე და გოჩა სწორედ იმ პერიოდის ერთ-ერთი თბილისური გამოცემის გამო დავუპირისპირდით ერთმანეთს: თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში ბუკინისტური წიგნის პირველი აუქციონი გაიმართა. ჩვენი ის ბრძოლა ორივეს სხვადასხვაგვარად გვახსოვს. მე მგონია, რომ აუქციონში გავიმარჯვე, გოჩა კი მეუბნება, რომ აუქციონში მან გაიმარჯვა და შემდეგ წიგნი მე მაჩუქა. ასეა თუ ისე, დღეს ის წიგნი ჩემს ბიბლიოზეუმშია დაცული.

მაშინ გავიცანი გოჩა შათირიშვილი, წიგნზე შეყვარებული ახმეტელი ახალგაზრდა, თბილისის სახულმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. მერე გოჩა ვარშავაში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად, იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი გახდა. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ცნობილი პოლონელი ქართველოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი იან ბრაუნი. პოლონეთიდან გოჩა არგენტინაში გადავიდა საცხოვრებლად და არგენტინელი პაპავა-ჭეიშვილების ოჯახის მეშვეობით ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს: 1996 წელს ბუენოს-აირესში ჩასულს ჩემი კეთილი მასპინძელი მზია პაპავა-ჭეიშვილი ტელეფონის ყურმილს მაწვდის და ერთ აქაურ ახალგაზრდას შენთან ლაპარაკი უნდაო, მეუბნება. გამიკვირდა, რადგან მაშინ ჩემი მასპინძლების გარდა არავის ვიცნობდი არგენტინაში. კიდევ უფრო გავოცდი, როცა ყურმილში ქართულად მომესალმნენ. ვერ მიცანიო? – უცნობი ხმა მეკითხება. ვერა-მეთქი, რომ ვუთხარი, როგორ, თბილისური წიგნის აუქციონი არ გახსოვსო?

მახსოვდა, როგორ არ მახსოვდა, მაგრამ ბუენოს-აირესში ყველაფერს ველოდი მასთან შეხვედრის გარდა! ახმეტელ ახალგაზრდა, უკვე მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე ენის მცოდნე, პოლონეთის შემდეგ არგენტინაში დამკვიდრებულა. თავდაპირველად ინგლისურის კერძო გაკვეთილებით და თარჯიმნობით გაუტანია თავი, მერე ორ წელიწადს უმუშავია საერთაშორისო ურთიერთობათა კერძო ფონდში, როგორც მკვლევარს, ძალიან მოკლე ხანში არგენტინის მოქალაქეობაც მიუღია და მერე უკვე თავისი ანტიკვარული გალერეით და არტისტული წიგნების გამოცემებით გაუთქვამს სახელი არგენტინაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მას ახლა ძირითადად გოჩა გაიოსის სახელით იცნობენ. გოჩას მამა, გაიოზ შათირიშვილი ახალგაზრდა გარდაიცვალა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა გოჩა 10 წლისა იყო.

ბუენოს-აირესში ჩვენი იმ პირველი შეხვედრისას გოჩამ გადმომცა მის მიერ არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოძიებული მასალა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას ეხება. ჩვენში ცნობილი იყო, რომ არგენტინა გახლდათ ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დე-იურე ცნო საქართველო 1919 წელს, თუმცა დოკუმენტური მასალა ამ ფაქტის შესახებ არ მოგვეპოვებოდა. მის მიერ მოძებულ დოკუმენტებს მე აქ მოძიებული ინფორმაციაც დავუმატე და არგენტინის მიერ საქართველოს აღიარების ამბავი გაზეთ „სამშობლოში" გამოვაქვეყნე.

ამ გაზაფხულზე ვარლას – ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი მხატვრის ფელიქს ვარლამიშვილის – წიგნის წინასიტყვაობაზე ვმუშაობდი და

გოჩას დახმარებით ვარლას ორი ნამუშევარი აღმოვაჩინეთ ბუენოს-აირესში, სადაც ქართველი მხატვარი გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ცხოვრობდა. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ვარლას წიგნის გამოსვლის შემდეგ მისი ის არგენტინული ნახატები გაიყიდა და ორივემ საქართველოში დაიდო ბინა.

იმ პირველი შეხვედრის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს – საქართველოშიც და არგენტინაშიც. გოჩა ბუენოს-აირესის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში ცხოვრობს. მისი სახლის ფანჯრებიდან ბუენოს-აირესის შთამბეჭდავი ხედი იშლება. იქვეა მემორიალური დაფა, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ ცხოვრობდა ხორხე ლუის ბორხესი. ხოლო გოჩას ანტიკვარული გალერეა სწორედ იმ შენობაშია, რომელში მდებარე პატარა კაფეშიც თითქმის ყოველდღე ჩერდებოდა სახლიდან სადმე მიმავალი თუ შინ მომავალი ბორხესი. ამ კაფეში მოდიოდა ყველა, სადაც XX საუკუნის ამ უდიდესი მწერლის ავტოგრაფი სურდა. რამდენჯერმე მეც ვარ ნამყოფი ამ კაფეში, შეიძლება იმ მაგიდასთანაც ვმჯდარვარ, რომელსაც ბორხესი უჯდა, იქაური ყავაც დამილევია, მაგრამ დიდ მწერალთან დროში აცდენილს, მისი ავტოგრაფი მხოლოდ გოჩა შათირიშვილის გალერეაში მაქვს ნანახი იმავე შენობაში.



თავის სახელოსნოში
„გრძელი პერგამენტით" ხელში



ვახტანგ ჯავახაძე და გოჩა გაიოსი

ეს გალერეა ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილია ბუენოს-აირესში და იქ ყოფნისას ხშირადაც ვსტუმრობ ხოლმე მას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ არგენტინაში ჩასულს გოჩას რაიმე იშვიათი წიგნი თუ ჟურნალი არ ეჩუქებინა ჩემი ბიბლიოზეუმისათვის. საერთოდ, ყველა ქართველს, რომელიც მის გალერეას სწვევია ბუენოს-აირესში, გოჩა აუცილებლად ასაჩუქრებს რაიმე საინტერესო გამოცემით.

ბოლო ჩასვლაზე, 2018-ში გოჩამ თავისი არტისტული წიგნები მაჩვენა და მათი ნაწილი თბილისშიც გამომატანა – იგი უკვე მაშინ ფიქრობდა საქართველოში გამოფენის მოწყობაზე. არტისტული წიგნების გამოფენა საქართველოში ერთხელ უკვე გაიმართა – ორიოდე წლის წინათ ქართველმა მხატვრებმა და გამომცემლებმა თავიანთი ნამუშევრები წიგნის ფესტივალის ფარგლებში თბილისის საგამოფენო ცენტრში წარმოადგინეს. გოჩა გაიოსის


ნამუშევრების გამოფენა კი არტისტული ნიგნების მხატვარ-გამომცემლის პირველი პერსონალური ექსპოზიცია იყო საქართველოში.

გოჩა გაიოსის თბილისური გამოფენა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გახსნა. მან შეკრებულ საზოგადოებას გოჩა გაიოსი წარუდგინა და მადლობა გადაუხადა ძვირფასი საჩუქრისათვის – გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების დიდ ნაწილს ავტორი ეროვნულ ბიბლიოთეკას დაუტოვა საჩუქრად.

მანამდე გოჩამ გრიგოლ რობაქიძის სამი მისეული უნიკალური გამოცემა და ერთი კონცეპტუალური ნამუშევარი საჩუქრად გადასცა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს, სადაც მას უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დასამახსოვრებელი შეხვედრა მოუწყვეს. 28 ოქტომბერი გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღეა და რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტები ამ დღეს ყოველწლიურად მიდიან მცხეთაში და მწერლის ცნობილი ანდერძის თანახმად, სანთელს ანთებენ მის მოსახსენებლად სვეტიცხოველში, პანია სალოცავის წინ. 2019 წლის 28 ოქტომბერს უნივერსიტეტში რობაქიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა. სტუდენტებს მიესალმა რობაქიძის მონუმენტური ხუთტომეული შემდგენელი, რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ლალი ცომაია. შემდეგ კონფერენციის მონაწილეებს და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა თუ სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ გოჩა გაიოსი წარუდგინა. მან მოკლედ ისაუბრა თავის შემოქმედებაზე, რომლისთვისაც მას ლირიკოგრაფია დაურქმევია.



გოჩა და ფიგარინიო



ბორხესის ხელნაწერები

შემდეგ მეც ვთქვი ორიოდე სიტყვა. გავიხსენე, როგორ გავიცანი ამ 30 წლის წინათ თბილისში გამართულ წიგნის პირველ აუქციონზე ახმეტელი ახალგაზრდა, რომელიც მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, და. როგორ შევხვდი მას ბუენოს-აირესში შვიდი თუ რვა წლის შემდეგ. მაშინ გავიგე, რომ უკვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორს, ვარშავის უნივერსიტეტში პროფესორობას სთავაზობდნენ, მაგრამ მას ადრევე გადაწყვეტილი ჰქონია არგენტინაში დამკვიდრება და საამისოდ პოლონურისა და ინგლისურის პარალელურად ესპანურიც შეუსწავლია. მერე და მერე ამ ენებს პორტუგალიური და იტალიურიც დაემატა. ბევრი ქართველი ემიგრანტისაგან განსხვავებით, თავისი პოლიგლოტობის ფონზე, გოჩას არც ქართული დავიწყებია – რობაქიძის უნივერსიტეტში მშვენიერი ქართულით მიმართა დამსწრეთ და ქართულად მოგვითარგმნა მისი გამოცემების ესპანურენოვანი კოლოფონები. მშვენიერი ქართულით ისაუბრა მან ქართულ რადიოსა თუ ტელევიზიაშიც.

რობაქიძის უნივერსიტეტში სტუმრობამდე ორი დღის ადრე გალაკტიონის ტექსტებზე შექმნილი ორი თავისი ლირიკოგრაფიული ნამუშევარი – „სიშორით შენით“ და „ქარით დატირებული“ – გოჩამ გალაკტიონის თბილისის სახლ-მუზეუმს აჩუქა. მუზეუმში ამჟამად რემონტი მიმდინარეობს და ნამუშევრები მან სახლ-მუზეუმის დირექტორს, გალატიონის ცხოვრება-შემოქმედების ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარს და გამოჩენილ პოეტს ვახტანგ ჯავახაძეს გადასცა, რომელსაც ჩვენ ერთად ვეწვიეთ შინ.

ბატონი ვახტანგი დიდად დაინტერესდა გალაკტიონის ტექსტებზე შექმნილი არტისტული წიგნებით, ლიტერატურის, მხატვრობისა და საგამომცემლო საქმის ამგვარი სინთეზით, ძალიან მოეწონა მამის სახელის უკვდავყოფის გოჩასეული ფორმა და სახელდახელო სუფრაზე სხვათა შორის ფიგარინიოს საღდეგრძელოც დალია.

ფიგარინიო მტრედია! ის შეუბუმბლავი ბარტყი ყოფილა, როცა მშობლებს ზემოთა სართულიდან ჩამოვარდნიათ და პირდაპირ მე-17 სართულზე, გოჩას სახელოსნოს ფანჯრის რაფაზე გაწყობილ ყვავილნარში ჩავარდნილა. გოჩას ბარტყი მოურჩენია, გამოუზრდია და დღეს იგი მისი ერთგული მეგობარია, ქართულის „მცოდნე“ და ხანდახან თანაავტორიც – როცა თავის ვარდისფერ ფეხებს მელანსა თუ საღებავში ჩაყოფს და უძვირფასეს იაპონურ თუ იტალიურ ქაღალდზე, რომლებზეც გოჩას პოეტური ტექსტები გამოჰყავს, ფერად ნაფეხურებს ტოვებს. ბატონ ვახტანგთან ერთად ღიმილნარევი ინტერესით ვუყურებდი გოჩას მობილურში შენახულ ვიდეოკადრებს, სადაც ფიგარინიო მართლა ანგელოზივით დაჰყურებს გრძელ პერგამენტს, რომელზეც გოჩას გალაკტიონის ცნობილი ლექსის სტრიქონები აღუბეჭდავს – „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“

სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინათ ვახტანგ ჯავახაძემ დაწერა წინასიტყვაობა ჩემი წიგნისათვის „555 პაატაური“, რომელშიც ანაგრამული რითმით გაწყობილი 555 ლექსი გაერთიანდება, მათ შორის, რა თქმა უნდა, ისიც – „სულ სხვა(ა) რითმა“, რომელიც 2018 წელს ასე ლამაზად გაფორმებული გამოსცა გოჩამ ბუენოს-აირესში. წიგნი ახლა მზადდება დასაბეჭდად და მე ვფიქრობ, იგი გოჩასეული ნახატითაც დავამშვენო.

თავისი საგამომცემლო საქმიანობა არგენტინაში გოჩას ბეჭდური ფურცლებით დაუწყია, მერე და მერე მხატვრობაც შეუსწავლია და არტისტულ

წიგნებზე გადასულა. თავდაპირველად ძირითადად არგენტინელი ავტორებით იყო დაინტერესებული, მაგრამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ქართულ თემატიკასაც მოჰკიდა ხელი. მის მიერ გამორჩეულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს გოჩა სხვადასხვაგვარ მხატვრულ სამოსელში ხვევს და ახალ ფასეულობას ქმნის. იგი კარგად არის დაუფლებული გრაფიკული ხელოვნებისა და კოლაჟის ამა თუ იმ ფორმას.

მხატვრობაში თავის მასწავლებლებად თვლის გამოჩენილ არგენტინელ მხატვრებს ალიცია ჯიანგრანდეს, ხუან ეიშლერს და ალიცია დიას რინალდის. სიამაყით იხსენებს ურთიერთობას არგენტინული სიურრეალიზმის მამამთავართან ვიქტორ ჩაბთან, რომელიც მალე 90 წლისა გახდება. რა თქმა უნდა, აქვე უნდა დავასახელოთ არგენტინელი კონცეპტუალისტი გაბრიელა აბერასტური – მისი და გოჩა გაიოსის ერთობლივმა გამოფენამ 2019 წლის შემოდგომაზე დიდი წარმატებით ჩაიარა ლუგანოში, ლუგანო-პარადისოს გალერეაში.

აი, რას ამბობს გოჩა-გაიოსის შემოქმედებაში ქართული თემატიკის შესახებ ცნობილი არგენტინელი ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი როდრიგო ალონსო:

– ბუენოს-აირესში ჩამოსვლის შემდეგ გოჩა გაიოსმა მჭიდრო და დინამიური კავშირი დაამყარა ადგილობრივ ლიტერატურულ თუ სამხატვრო წრეებთან, რამაც მას მდიდარი არგენტინული ვიზუალური პოეზიის და საავტორო გამოცემების შესწავლის სურვილი გაუჩინა. შედეგად ბოლო წლების განმავლობაში იგი თავად შეუდგა ამგვარი ნამუშევრების შექმნას, შეითავსა რა უნიკალური გამოცემების რედაქტორისა და ილუსტრატორის ფუნქციები. მის პირველ გამოცემებში ჩართული იყვნენ წამყვანი არგენტინელი ავტორები, შემდგომ კი გოჩა გაიოსმა გადაწყვიტა, შეექმნა ნამუშევართა სერია, რომლებიც მისი მშობლიური საქართველოს ავანგარდისტ ავტორებს მიაგებს პატივს. მათი ცეცხლოვანი მანიფესტებისა თუ პამფლეტების, განცხადებებისა თუ ლექსების პრეზენტაციისას გოჩა გაიოსი გვთავაზობს ორმაგ ვიზუალურ სტრატეგიას. ერთი მხრივ იგი იღებს იმგვარ ექსპანსიურ და არაწრფივ ტექსტებს, რომელთა შესახებ ტომაზო მარინეტი წერდა ფუტურისტული პოეზიის მანიფესტში, მეორე მხრივ კი ხელნაწერის მეშვეობით აძლევს მათ ხელისა თუ სხეულის სასიცოცხლო ენერგიას, რომელის აცოცხლებს ტექსტს, ანიჭებს მას მეტ სუბიექტურობას და გამომსახველობით ძალას. გოჩა გაიოსი სიტყვებს ჭეშმარიტ ვიზუალურ სახეებად აქცევს, მაგრამ განსხვავებით ილუსტრაციებისგან, მასთან სიტყვები და ფორმები თანაარსებობენ დიალოგებსა თუ მკვეთრ კონტრაპუნქტებში. მასთან გრაფიკული შტრიხები თუ ჩანართები არასოდეს არის „ილუსტრაცია“. პირიქით – ეს არის აბსტრაქტული ვიზუალური სახეები, რომლებიც ნიადაგს ქმნის რიტმული კომბინაციებისა და თავისუფალი ინტერპრეტაციისათვის. საამისოდ გოჩა გაიოსი სხვადასხვა, სრულიად განსხვავებულ ტექნიკას იყენებს გრავიურიდან თუ ნახატიდან დაწყებული, კოლაჟამდე თუ უბრალო ლაქამდე. გოჩა გაიოსისათვის ყოველი მისი ნამუშევარი ერთგვარი თავ-გადასავალია, თავისუფალი ყოველგვარი თავბრუსხვევისა და რადიკალური სპონტანურობისაგან.

გოჩა შათირიშვილის სახელოსნოში, რომელშიც ფიგარინიო დანავარდობს, დასტა-დასტა აწყვია უძვირფასესი იაპონური თუ იტალიური ქაღალდის

ფურცლები, რომლებიც გოჩას ხელში უნიკალურ გამოცემებად გადაქცევას ელიან.

თბილისური გამოფენის გახსნისას გოჩას შემოქმედებაზე საინტერესოდ ისაუბრეს მისი ხელოვნების დამფასებლებმა თუ მისმა ნაცნობ-მეგობრებმა. მეც მათ შორის. თუმცა ახალი ბევრი არაფერი მითქვამს. თითქმის სრულად გავიმეორე ის ყველაფერი, რაც რობაქიძის უნივერსიტეტში გოჩა შათირიშვილთან შეხვედრაზე ვთქვი და რაც ახლა ზემოთაც დავწერე.

ამიერიდან გოჩა გაიოსის ნამუშევრების ნახვა საქართველოშიც არის შესაძლებელი, კერძოდ – პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში, ქართული ლიტერატურის მუზეუმში, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, გალაკტიონ ტაბიძის თბილისის სახლ-მუზეუმსა და ჩემს ბიბლიოზეუმში.

დოდო ჭუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი. სახელმწიფო მოღვაწე. დიპლომატი. მამულიშვილი, თბ., 2018.

ნოე ჟორდანია – 150, თბ., 2018.

ნოე რამიშვილი, შემდგენლები **დიმიტრი სილაქაძე, ირაკლი ირემაძე**, თბ., 2018.

გელა სულავა, ნოე რამიშვილის მკვლელობა, თბ., 2018.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018.

ვარლა. ფელიქს ვარლამიშვილი, თბ., 2018.

რუსუდან ნიშნიანიძე, „უცნობი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი, წიგნი I, წიგნი II, თბ., 2018.

შოთა ვადაჭკორია, ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921-1990), წიგნი I, თბ., 2018.

ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბ., 2019.

ედიშერ ჯაფარიძე, ევროინტეგრაციის სათავეებთან, თბ., 2019.

გიორგი მამულია, გიორგი ასტამაძე, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (1914-1918). დოკუმენტები და მასალები. თბ., 2019.

რუსუდან დაუშვილი, ოთარ ჯანელიძე, გიორგი მაჩაბელი, თბ., 2019.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. მემორიალური ალბომი, თბ., 2019.

ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე, რედაქტორები: **ნიკოლოზ ნახუცრიშვილი** და **გიორგი სანიკიძე**, თბ., 2019.

მალხაზ მაცაბერიძე, იუზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალით, თბ., 2019.

ბაბო შარვაშიძე. მემუარები. ინგლისურიდან თარგმნა, კომენტარები, შენიშვნები, გენეალოგიური ტაბულები და საძიებლები დაურთო **მაია ცერცვაძემ**, თბ., 2019.

2018 წ. მაისი.
აღინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავი.

2018 წ. ივნისი.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?

2019 წ. თებერვალი.
აღინიშნა საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავი.

2019 წ. სექტემბერი.
გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

ჟურნალის ავტორები

გიორგი ასტამაძე – კარლსრუეს უნივერსიტეტის დოქტორანტი

ლაშა ბაქრაძე – ისტორიის აკადემიური დოქტორი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი

რუსუდან დაუშვილი – ისტორიის დოქტორი, პროფესორი

მაია ვარსიმაშვილი-რაფაელი – უნივერსიტეტი პარიზი 10-ის მეცნიერ-თანამშრომელი

გიორგი მამულია – საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევების უმაღლესი სკოლის დოქტორი

მალხაზ მაცაბერიძე – პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მარიამ მარჯანიშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო

ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

პაატა ნაცვლიშვილი – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

პაატა სურგულაძე – ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის პ/მგებელი მდივნის მოადგილე.

როსტომ ჩხეიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მაია ცერცვაძე – ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოთარ ჯანელიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი